

სსიპ ლეპლ აჯარა მუზეუმი
LEPL AJARA MUSEUM



მუზეუმი და გლობალიზაცია
საგანმანათლებლო და სამეცნიერო

IV

MUSEUM AND GLOBALIZATION
SCIENTIFIC AND JOURNAL

E-ISSN: 2960-9526

ISSN: 2960-9518

ბათუმი

2024

BATUMI



მუზეუმი და გლობალიზაცია
საერთაშორისო ჯონფუხენსიის მასწავლებელი
(ბათუმი, 20-21 დეკემბერი)

Museum and Globalization
International Conference
(Batumi, 20-21 December)

ჟურნალის DOI: <https://doi.org/10.52340/mg2023>

E-ISSN: 2960-9526

ISSN: 2960-9518

ბათუმი
2024
Batumi

UDC (უკ) - 069: 327 მ-91

მთავარი რედაქტორი: თამარ შალიკაძე
სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი

Editor chief: Tamar Shalikadze
Kurator of Scientific and Publishing of the Ajara Museum

სარედაქციო კოლეგია: თ. ზოიძე - სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორი
T. Zoidze - Director of LEPL Ajara Museum

Editors of the Volume ო. გოგოლიშვილი - სსიპ აჭარის მუზეუმი, აჭარის ხარიტონ
ახვლედიანის მუზეუმის მმართველი
O. Gogolishvili - LEPL Ajara Museum, Head of Khariton Akhvlediani
Museum of Ajara

ე. კახიძე - სსიპ აჭარის მუზეუმი, ამირან კახიძის სახელობის აჭარის
არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი
E. Kakhidze - LEPL Ajara Museum, Head of Amiran Kakhidze Ajara
Archaeological Museum

თ. შალიკაძე - სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო საინფორმაციო
და საგამომცემლო საქმის კურატორი
T. Shalikadze - Kurator of Scientific and Publishing of the Ajara Museum

ხელოვნება/ART

მანანა ჯაშია

ნიკო ფიროსმანის მხატვრობის ძირითადი ასპექტები

MANANA KASHIA

Main aspects of Niko Pirosmani painting

რათი ჩიბურდანიძე

ფრანკ მაისლერის კოლექცია აჭარის ხელოვნების მუზეუმიდან

RATI CHIBURDANIDZE

Frank Meisler's collection from the Ajara Art Museum

არქეოლოგია/ARCHAEOLOGY

ემზარ კახიძე

ფერადი მეტალურგიის მოპოვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული რიგი

სიახლეების შესახებ

EMZAR KAKHIDZE

About a news related to extraction and processing of non-ferrous metallurgy

ნინო სულავა

სადეხვირო და არქეოლოგია

NINO SULAVA

Dekhviri and Archaeology

კახაბერ კამადაძე/თათული მოცხოხილი

მცირეაზიური კულტები გონიო-აფსაროსიდან

KAKHABER KAMADADZE/TATULI MOTSKOBILI

Asia Minor Cults from Gonio-Apsaros

ელიზო ბაღათური-კნერი

უსასრულობის სიმბოლოები: დამალული ცოდნის ამოსაცნობი ფილოსოფია

ELISO BAGHATURIA-KNER

Infinity Symbols: Puzzling Philosophy of Hidden Knowledge

ნინო სულავა/რუსუდან ჩაგელიშვილი/ნანა რეზესიძე/გონერი არახამია/გიორგი მამარდაშვილი

მთიანი კოლხეთი-სპილენძის მეტალურგია (აღმოჩენები, მულტიდისციპლინარული

კვლევები, წყაროები და ეთნოლოგია)

NINO SULAVA/RUSUDAN CHAGELISHVILI/NANA REZESIDZE/GONERI ARAKHAMIA/GIORGI MAMARDASHVILI

Hilly Colchis-copper metallurgy (discoveries, multidisciplinary researches and ethnology)

კულტურული ტურიზმი/CULTURAL TOURISM

ნანა ნელსონი

ეკონომიკური ზრდის სტრატეგია განახლებისა და ტურიზმის სინთეზით

NANA NELSON

A strategy of economic encrease the synthesis of education and tourism

თამარ შალიკაძე/იზოლა დუმბაძე

მუზეუმის როლი კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და გადარჩენის საქმეში

TAMAR SHALIKADZE/IZOLDA DUMBADZE

The Role of the museum in research and preservation of cultural heritage

თეონა ზოიძე

ღონისძიებების როლი მუზეუმების განვითარებაში

TEONA ZOIDZE

The Role of events in the development of museums

იასა თანდილავა

გლობალიზაცია და მუზეუმები

IASHA TANDILAVA

Globalization and museums

რომან მამულაძე/ლენი ძნელაძე/მერი გაბაიძე/გიორგი მამულაძე

სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ასპექტები და ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები

ROMAN MAMULADZE/LEDI DZNELADZE/MERI GABADZE/GIORGI MAMULADZE

Transport logistics aspects and modern challenges of tourism

ეთნოლოგია/ETHNOLOGY

ნინო ხაჩილავა

აკვანი-ქართულ-აფხაზური პარალელები

NINO KHARCHILAVA

The Cradle - Georgian-Abkhazian parallels

რუსუდან კობახაძე

ხორბლეულის სალექი კვერი მუზეუმსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში

RUSUDAN KOBRAVA

Threshing board of weat in the musem and ethonographic life

ისტორია/HISTORY

მეგი ტეტემაძე

ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარება

1879-1885 წწ

MEGI TETEMADZE

The Social-political and Cultural-Educational Situation in Batumi in 1879-1885

ნიჩნა ვახალომიძე/ ნინო ძნელაძე/ სიური ჯათამაძე

ყალბი ფულის საქმე (ბათუმი - XX საუკუნის დასაწყისი)

IRINE VARSHALOMIDZE/NINO DZNELADZE/CIURI QATAMADZE

Case of fake money (Batumi - beginning of XX century)

ოთარ გოგოლიშვილი

ევროპის სახელმწიფოების დაინტერესება ბათუმის ოლქით პირველი

მსოფლიო ომის წინ

OTAR GOGOLISHVILI

Interest of European Countries to Batumi district before the First World War

მიჩან ფუტკარაძე

სარკინიგზო ტრანსპორტის როლი ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაში

(XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში)

MIRIAN PUTKARADZE

The role of railway transport in the economic increase of Batumi

(in the last quarter of the 19th century and the beginning of the 20th century)

მაგალი მურადიშვილი

ლაზი ოსტატების მიერ კაცხის ტაძრის აღდგენის ისტორია

MAGULI MURADISHVILI

The history of restoration of Katskhi Pillar by Lazi masters

ლამარა გულორდავა

ვაზი გეოლოგიურ წარსულში

LAMARA GULORDAVA

A grapevines in the geological past

ირმა კარანაძე

განათლების პირველი კერები აჭარაში XX სს. 20-40 წწ. (აჭარა)

IRMA KARANADZE

First education hubs in Ajara in the middle of XX c

ნახიზ სურმანიძე/ნინო ძნელაძე

ორნამენტის სახეები „ფიჭვნარულ დოქებზე“ (ქრონოლოგიური ჩარჩოები,

გავრცელების არეალი)

NARGIZ SURMANIDZE/NINO DZNELADZE

Types of ornament on «Pichvnari jugs» (chronological frames, distribution area)

**ნიკო ფიროსმანის და უახლესი ხანის მოდერნიზმის ხელოვნების
მხატვრული მსოფლხედვის პრინციპები
(ნიკო ფიროსმანის მხატვრული სტილის გასააზრებლად)
Principles of Artistic Worldview of Niko Pirosmani and Modern Art of the Contemporary Era
(For Understanding the Artistic Style of Niko Pirosmani)**

მანანა კაშია

*სსიპ აჭარის მუზეუმი, აჭარის ხელოვნების მუზეუმის მკვლევარი
აღმოსავლეთმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასირიოლოგიის კათედრის ასოც. პროფესორი*

MANANA KASHIA

*LEPL Ajara Museum, Researcher of the
Ajara Art Museum*

აბსტარქი: ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება განსაკუთრებული ფენომენია თანამედროვე ქართულ და არა მარტო ქართულ ხელოვნებაში. „მისი სახელი დიდი ხანია მყარად დგას სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის იმ უდიდეს ოსტატთა გვერდით, რომლებმაც თავისი შემოქმედებით XX ს. მსოფლიო მხატვრული კულტურის მიმართულება განსაზღვრეს“ [კუზნეცოვი, 1984:7].

„ფიროსმანის როლი უაღრესად დიდია არა მარტო მისი შემოქმედების უმაღლესი მხატვრული დონით, არამედ იმ ისტორიული როლითაც, რომელსაც იგი ასრულებს, როგორც ორი, ძალზე საპირისპირო, განსხვავებული ეპოქის შემდგავშირებული ხიდი“ [ხოშტარია, ციციშვილი 2013:115].

მხატვრის შემოქმედება ყალიბდება XIX–XX სს. მიჯნის მხატვრული კულტურის განვითარების ისტორიულად რთულ რეალობაში, რომელშიც იშვა და განვითარდა მოდერნიზმი. მისი ხელოვნება ახლოს დგას XX ს. პირველი ათწლეულის მოდერნისტული მხატვრობის ძიებებთან.

საბჭოთა პროპაგანდა გამიზნული ქმედებით, მისი სახელის არასერიოზულ კონტექსტში გადატანით ცდილობდა ფიროსმანისთვის, ამ განსაკუთრებული ფენომენისთვის, ძალის გამოცლას. „გაუნათლებლობით“, „გულუბრყვილობით“ ხსნიდა მხატვრის არაორდინალურ ფერწერას. მიზანმიმართულად ხდებოდა „ერთი მხრივ ბოჰემის, ღვინის სმის და მეორე მხრივ, მართალი და დაჩაგრული გენიოსის შემოქმედების გაიგივება“ [ჩორგოლაშვილი, 1991:105] მხატვრის პიროვნების ეგზოტიზაცია; დაიწერა ლექსები, მუსიკა ფიროსმანზე, როგორც ბოჰემაზე, ღვინის მსმელ, მარტოსულ, მოხეტიალე მხატვარზე. მისი მისამართით გამოთქმული განსაზღვრებების („ფიროსმანი – მარგინალი ტიპი“, „გარიყული საზოგადოების გან“, „ერთჯერადი მოვლენა“ და არა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფიგურა) ზერელობა და ყალბი „რომანტიკა“ ემსახურებოდა მიზანმიმართულ ლტოლვას, დაეკნინებინათ მხატვრის როლის მნიშვნელობა, მოეხდინათ ამ „კაზმული“ გამონათქვამების ნიველირება მხატვრის პიროვნებასთან. შესაბამისად, გამოეცალათ ფიროსმანისთვის, როგორც მხატვარ–რეფორმატორისთვის, ის ნიადაგი (კერძოდ, რომ მან შექმნა ქართული ავანგარდის საფუძველი, ის სიმულტანიზმი, რომელიც არსებობს მის ნაწარმოებებში და ა.შ.), რომლის გამოცლაც არა მარტო ფიროსმანის გაქრობის ტოლფასი იქნებოდა, არამედ სრულიად ქართული ავანგარდის. და თუ ამ ნიადაგს გამოვაცლით, მაშინ ისმის კითხვა: მაშ, ვინ არის ფიროსმანი, ბოჰემა, დუქნების მხატვარი?..

ნაშრომი მიზნად ისახავს, მხატვრული აზროვნების პრინციპების ანალიზის ფონზე ახალი ქართული და უახლესი დროის მოდერნიზმის ხელოვნების სპეციფიკისა და ფიროსმანის ფენომენის ადგილისა და როლის განსაზღვრას. ასევე ფიროსმანისა და მოდერნიზმის ურთიერთმიმართების სპეციფიკის საკითხისთვის ნაწარმოებებში მანამდე უცნობი შემოქმედებითი ძიებების; წყობისეული პრინციპების – სტილური მახასიათებლების, კომპოზიციური სქემების, გარკვეული სახის კოლორიტის (ტონის, ფერის), გამოკვეთის განხორციელებას. აღნიშნულ საკითხთა გააზრება მნიშვნელოვნად გვესახება ახალი ქართული მხატვრობის ფენომენის – ფიროსმანის მხატვრობისა და მოდერნიზმის ხელოვნების პრინციპების გასააზრებლად და შესაჯერებლად.

საკვანძო სიტყვები: ფიროსმანი, მხატვრობა, მოდერნიზმი, ავანგარდი, კოლორიტი

Abstract: Niko Pirosmanashvili's work is a unique phenomenon not only in modern Georgian art but also in the broader context of global art. "His name has long stood firmly alongside the greatest masters of various nations and peoples, those who, through their creativity, helped shape the direction of 20th-century world artistic culture" [Kuznetsov, 1984:?.].

"Pirosmani's role is significant not only due to the high artistic quality of his work but also because of the historical function he serves—as a bridge between two radically different epochs" [Khoshtaria, Tsitsishvili, 2013:115]. His artistic legacy emerged during the historically complex cultural landscape at the turn of the 19th and 20th centuries, a period that gave rise to modernism. Pirosmani's art resonates with the experimental spirit of early 20th-century modernist painting.

However, Soviet propaganda intentionally sought to diminish Pirosmani's significance by portraying him in a frivolous light. His extraordinary style was explained away as the product of "ignorance" or "naivety." This agenda-driven narrative deliberately conflated the artist with bohemianism—depicting him as a lonely, wandering drunkard, a victimized genius. Such portrayals, accompanied by romanticized poetry and music, exoticized the artist's image and stripped his work of its deeper significance. Definitions such as "Pirosmani—the marginal figure," "excluded from society," or "a one-time phenomenon" reflect a superficial and falsely romanticized view, aimed at undermining his importance.

These efforts detracted from Pirosmani's role as a reformative artist, one who laid the foundation for the Georgian avant-garde. His works contain elements of simultaneity and structural innovation that are crucial to this artistic movement. To strip away this foundation would not only erase Pirosmani but also compromise the integrity of the entire Georgian avant-garde tradition. Without acknowledging this context, we are left to ask: Who, then, is Pirosmani? Just a bohemian? A tavern painter?

This research aims to analyze the principles of artistic thinking in order to better understand the specificity of both modern Georgian and contemporary modernist art, and to clarify the place and role of the Pirosmani phenomenon within that context. It also explores the specific relationship between Pirosmani and modernism, highlighting previously unknown creative strategies and foundational principles in his works—such as stylistic features, compositional schemes, and distinct uses of color and tone.

Understanding these aspects is essential for grasping and reconciling the phenomenon of new Georgian painting, Pirosmani's artistic vision, and the principles of modernist art.

Key words: Pirosmani, painting, modernism, avant-garde, color scheme.

ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება განსაკუთრებული ფენომენია თანამედროვე ქართულ და არამარტო ქართულ, ხელოვნებაში. „მისი სახელი დიდი ხანია, მყარად დგას სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის იმ უდიდეს ოსტატთა გვერდით, რომლებმაც თავისი შემოქმედებით XX საუკუნის მსოფლიო მხატვრული კულტურის მიმართულება განსაზღვრეს“ [კუზნეცოვი]. მხატვრის შემოქმედება ყალიბდება XIX–XX საუკუნეთა მიჯნის მხატვრული კულტურის განვითარების ისტორიულად რთულ რეალობაში, რომელშიც იშვა და განვითარდა მოდერნიზმი. ფიროსმანის ხელოვნება ახლოს დგას XX საუკუნის პირველი ათწლეულის მოდერნისტული მხატვრობის ძიებებთან (სტილური მახასიათებლებით, კომპოზიციური სქემებით, გარკვეული სახის კოლორიტით და ა.შ.), რომლებთანაც აერთიანებს საერთო პრინციპები, კერძოდ, განდგომა იმ რეალისტური სისტემის პრინციპებისგან, რომლებიც ჯერ კიდევ რენესანსის ეპოქიდან ახასიათებდა ევროპულ ხელოვნებას. ქართული მხატვრობის ისტორიაში კი ის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც საქართველოში რენესანსულ მონაპოვართან ზიარებასა და დამკვიდრებას გულისხმობდა ახალი ქართული მხატვრობის პირველი თაობის წარმომადგენელთა მიერ, ძალიან მოკლე აღმოჩნდა, რაც ქართული ხელოვნების განვითარების, ავანგარდიზმის დაჩქარებული ტემპით შეიძლება ავსხნათ.

XX საუკუნის ქართულ სახვით ხელოვნებაში შესამჩნევი ხდება ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია, რომლებიც აღინიშნება როგორც დასავლეთ ევროპის კულტურულ სივრცესთან კავშირით,

ასევე აღმოსავლური ქრისტიანული ხელოვნებით ნასაზრდოებ ეროვნულ-ისტორიულ ძირებთან სიახლოვით. სამყაროს ეპოქალური განცდა, ინდივიდუალური მსოფლშეგრძნება და ტემპერამენტი, თავისუფალი აზროვნება, „ჩვეულებრივის არაჩვეულებრივად“ გარდასახვისა და დიდი ფორმის „დამაჯერებლად“ განზოგადების ნიჭი ფიროსმანს XX საუკუნის ისეთი შემოქმედებითი ინდივიდების გვერდით აყენებს, როგორებიც არიან: ვინსენტ ვან გოგი, პოლ სეზანი, პოლ გოგენი, პაბლო პიკასო, ანრი მატისი და სხვ. მხატვრის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ახალი ქართული მხატვრობის ზოგადკულტურულ მსოფლმხედველობაზე, ლოგიკაზე, შესაბამისად, მხატვრებზეც, მათი მხატვრობის სახეობით სისტემაზე (მათ შორის ლადო გუდიაშვილის, ავთო ვარაზის, მერი იანქოშვილის და სხვ.). დიდია „ახალ რეალობაში“ მოვლენილი ფენომენის შემოქმედებისადმი ინტერესი, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთშიც, თუმცა ბოლომდე დღესაც არ არის გამოკვლეული. მხატვრის შემოქმედებისადმი უსაზღვრო ინტერესის დამადასტურებელია ახალი ასპექტებით, ახალი ფაქტებითა და ვარაუდებით გაშუქებული მხატვრის შემოქმედების ამსახველი ისტორიულ-მეცნიერული ნარკვევები, ესეები, ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი, ფიროსმანის სკოლის მაღიარებელთა მრავალრიცხოვანი ლიტერატურა. მათ შორის აღსანიშნავია: კირილე ზდანევიჩის მონოგრაფია, ერასტ კუზნეცოვის შესანიშნავი მონოგრაფია, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის ნაშრომი, გიორგი ხოშტარიას ფუნდამენტური კვლევა, რომელმაც მხატვრის შემოქმედება მეცნიერული შესწავლის დონეზე აიყვანა, ირინე არსენიშვილის, დიმიტრი თუმანიშვილის, ალ. კამენსკის და სხვა თანამედროვე მეცნიერთა ნაშრომები, ნარკვევები თუ წერილები. ხელოვნების მკვლევართა ნაშრომები ეძღვნება მხატვრის ფერწერის სულ ახალსა და ახალ სააზროვნო პრობლემებს, მისი თანადროული ეპოქის გარკვეული პერიოდისა და მასთან დაკავშირებული მხატვრის მოღვაწეობის ანალიზს. ამ უკიდურეს დიაპაზონის მრავალმხრივი ფენომენის შემოქმედება მდიდარი მასალის შემცველია ახალი კვლევა-ძიებისთვის. რთულია მისი შემოქმედება დღემდე არსებულ რომელიმე მხატვრულ მოვლენათა ვიწრო ჩარჩოში მოვათავსოთ და, ასევე, რომელიმე ხელოვნებათმცოდნეობით სქემას დავუქვემდებაროთ.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ფიროსმანის მხატვრობის ძირითადი ასპექტების, მხატვრული მეთოდის სტილისტური თავისებურებების ხელოვნებათმცოდნეობით ანალიზს, XIX–XX საუკუნეთა დასაწყისის ქართული ტრადიციული და ევროპული ხელოვნების ჭრილში სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებზე, სტატიის ავტორის დაკვირვებებსა და შეხედულებებზე დაყრდნობით ფიროსმანის მნიშვნელობის გასააზრებლად.

ავტორის არჩევანი – ფიროსმანის შემოქმედების კვლევა განსაზღვრა როგორც მხატვრის შემოქმედებისადმი, ასევე მისი თანადროული ეპოქისადმი საყოველთაო ინტერესმა და ბათუმის ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციის გარემოცვამ, სადაც მრავლადაა ექსპონირებული სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ მხატვართა, მათ შორის, ფიროსმანისა და მოდერნისტ ხელოვანთა ნამუშევრები. წინამდებარე სტატია სახავს შემდგომ საკვლევ თემათა ძირითად ვექტორებს, ვინაიდან სტატიის ფორმატი არ იძლევა საკითხთა სრულად გაშლის საშუალებას.

XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე „ახალ რეალობაში“ ჩამოყალიბებული, ქართული ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის „ბუნებრივი მემკვიდრე“, „ქართველი ხალხის მხატვრული პოტენციის“ გამომხატველი, XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე ახალი თაობის ჭეშმარიტი გზის მანათობლად და დამაკავშირებელ ხიდად იქცა მონუმენტური მხატვრობის ტრადიციისა და ახალი ქართული მხატვრობის განვითარებაში. არაერთი მკვლევარი თუ მხატვარი ეცადა მისი არაორდინარული ფერწერის ახსნას. მხატვრის შემოქმედების წინამძღვრად, „პირველწყაროდ“ ბევრი მეცნიერი, უპირველესად, შუა საუკუნეების მონუმენტურ ქართულ მხატვრობას ასახელებს, ასევე, ხალხურ ხელოვნებას, იმ პერიოდში გავრცელებულ საფლავის ქვების რელიეფებს, ფოტოგრაფიასა და აბრებს, ამავე დროს, ევროპული მხატვრობის ნიმუშებს. მთლიანობაში, ყოველივე „არის ის მკვებავი „არტერიები“, რომლებმაც ჩამოაყალიბა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება“ [აბესაძე, <https://www.youtube.com>]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ იგულისხმება მათი პირდაპირი გავლენა ფიროსმანის მხატვრული ენის ჩამოყალიბებაზე, ვინაიდან ფიროსმანის შემოქმედება თანამედროვე ძიებებსა და ამოცანებს უფრო შეესაბამებოდა.

ფიროსმანის ფენომენის, როგორც ახალი ეპოქის ფუძემდებლის, როლისა და მნიშვნელობის

გასააზრებლად, უპირველესად, ნიშანდობლივად მივიჩნევთ, გავიგოთ, თუ „რა რიგის იყო ნიკო ფიროსმანის ეროვნულ მხატვრულ მემკვიდრეობასთან წილნაყარობა“, რომელიც დღემდე ბევრი მკვლევარის ინტერესის სფეროს მოიცავს. დ. თუმანიშვილის თქმით, ფიროსმანი ძველი ქართული ხელოვნების გამგრძელებლად არის აღიარებული წარსულშიცა და აწმყოშიც. ფიროსმანის სურათების პირობით-სიბრტყით-იერატიული ნიშნებიც და მათი მონუმენტურობაც ქართული კედლის მოხატულობების კავშირზე მიაწინებს.

ე. კუზნეცოვის განმარტებით, შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ნიშნებით ფიროსმანის მხატვრობის კავშირი აღინიშნება, ასევე, XIX საუკუნის „ზეთის ფერებით საეკლესიო მხატვრობასთან“. კერძოდ, ესაა სამგანზომილებიანი სივრცე – მოცულობასთან ერთად, ძლიერი სიბრტყობრიობითა და ილუზიონისტურობით გამორჩეული სიუჟეტური მრავალფეროვანი გამოსახულებები. მუქი ფერის ფონზე ღია ფერის საღებავით ხატვის თავისებურება, რომელიც ფიროსმანის სურათებში შუა საუკუნეების მხატვრობასთან ნათესაობაზე მიაწინებს. ყოველივე კი „ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებას XVIII-XIX საუკუნეთა ხატწერასთან აახლოებს. იგია, როგორც ეტყობა, მისი უმთავრესი მასაზრდოებელი, მისი ისტორიულად „ახლებური“ თუ „ძველი ნიშნების წყარო“ [თუმანიშვილი, 2002: 183-185].

საინტერესოა, არის თუ არა ფიროსმანთან ევროპელი და რუსი მხატვრების მსგავსი მიეზიოზობა. ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ ფიროსმანის მხატვრული პრობლემეტიკა საპირისპირო ნიშნით არის მიმართული. სივრცის შეგრძნება, მისი სიმულტანური განცდა, რომელიც ახასიათებს როგორც ევროპულ, ასევე ქართულ ავანგარდიზმს, დ. თუმანიშვილის თქმით, ფიროსმანთან განსხვავებულია. ის ცდილობს, გამოსახოს სივრცე ისე, როგორც გამოსახავს, განსხვავებით ევროპელი მხატვრებისგან, რომლებიც უარს ამბობენ სივრცის გამოსახვაზე. ფიროსმანი ავანგარდისტებისგან ცოტათი განსხვავებულ გზას ირჩევს. ესაა სპეციფიკური ოსტატობა, მაგრამ არა ევროპული, როგორც აქვს გიგო გაბაშვილს. ეს სხვა მოვლენაა, გამოხატული ფიროსმანის ადამიანებისთვის დამახასიათებელი დამჯდარი პროპორციებით, თავის სიმრგვალითა და კისრის სიმოკლით, მისი მხატვრობის შორეული, მაგრამ მაინც ტრადიციული კავშირით გვიანი შუა საუკუნეების ჩვენს საეკლესიო ფერწერასთან, XVII საუკუნის მინიატურებთან და XIX საუკუნის ხატწერასთან.

ამდენად, ფიროსმანის მხატვრობის მონუმენტური, პირობითი, მკაცრი ლოგიკური ხასიათი ქართული კედლის მხატვრობის ტრადიციასთან კავშირზე მიუთითებს, ხოლო რაც შეეხება მხატვრის სტილურ-სახეობრივ წყობას, აღვნიშნავთ, რომ შუა საუკუნეების ხელოვნებიდან მომდინარეობს ფიროსმანის ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელი საგანთა პირველ პლანზე გამოსახვის თავისებურება (განსაკუთრებით საღებავი სუფრის ნატურმორტებში) და პერსპექტივის სხვადასხვა წერტილის შერწყმა („ნატურმორტი შაქრის თავითა და ძეხვეულით“, „სააღდგომო ბატკანი“, მოძრაობაში ნაჩვენები ფიგურები, „ორთაჭალის ტურფები“ და სხვ.), ბიზანტიური სისტემიდან მომდინარე „მუქზე ბაციტ“ ხატვა, რომელიც საქართველოშიც გვხვდება, ანტურაჟის, ფერის პირობითობა, პანორამული ფონით შექმნილი საზეიმო განწყობა, გამოსახული საგნების მასშტაბების დამოკიდებულება არა რეალურ ზომაზე, არამედ მის მნიშვნელობაზე. მაგალითად, „ცნობილ „დიდ ნატურმორტში“ ხორცის ნაჭერი ნაცრისფერია, ირემი – ერთ-ერთ სურათში მჭახე ვარდისფერი, კლდეები მკვეთრად ყვითელ-მწვანე. ყოველივე კი სახის ლოგიკას, მის შინაგან კანონს ექვემდებარება“ [კამენსკი, 1981:56].

შუა საუკუნეების ხელოვნებასთან კავშირიც და მისგან განდგომის მცდელობაც ფიროსმანის ხელოვნებაში მიღწეულია მხატვრულ-ფორმალური რიგის ზოგადი წყობისეული მახასიათებლებით. ტრადიციით არის ნაკარნახევი მკაცრი, ქრომატულ-აქრომატული ფერების ლაკონიზმი. თუმცა, ტრადიციული ხელოვნების საპირისპიროდ ფიროსმანს შემოაქვს შუა საუკუნეების ქართული და ბიზანტიური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი პირობითი ფონის ნაცვლად, პეიზაჟური ფონი, ფიგურები ნაკლებმოდრავი, მაგრამ მოცულობითია, ჩნდება სამგანზომილებიანი სივრცე, რომელიც მიიღწევა არა პერსპექტიული სიღრმით, არამედ ცალკეული ფიგურის, საგნების, ჯგუფების ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილის დაშორებით, თვითნებურად, მათი მასშტაბების ცვალებადობით და ეს ყველაფერი „შინაგანი, ნებისმიერი კანონებითაა“ ნაკარნახევი. მაგალითად, უზომოდ დიდი ვაზის მტევნები –ხეებზე, სურათებში: „ნადირობა შავი ზღვის ნაპირას“, „რთველი“ (ჩიტების ფანტასტიკური ზომებით), „ვირის ხიდი“. მხატვრის კომპოზიციებში გამოსახული, შუა საუკუნეების მხატვრობისთვის

დამახასიათებელი დაგრძელებული, თითქოს ნიადაგს მოწყვეტილი, უწონო ფიგურების ნაცვლად, მისეული კანონებით წონადი, ნიადაგზე მყარად მდგრადი დაუნაწევრებელი სხეულების ბლოკური ფორმებიც, ასევე, ტრადიციისგან განდგომაზე მიგვანიშნებს. ფიროსმანისთვის უცხოა ნატურის მექანიკური განმეორება, „იმიტაცია“, იგი „შინაგანი“ „საკუთარი ნების“ კანონით ხელმძღვანელობს და ფორმის პირობითობის შენარჩუნებას ახერხებს.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში, კერძოდ, XII-XVI საუკუნეთა (რუსეთში, საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში) ფრესკასა და მინიატურაში „ყველა ისტორიული მოვლენის შენობის გარეშე გამოსახვა“ განპირობებული იყო სამყაროს განსაკუთრებული აღქმით; პანორამული, ფართო მოცულობით, მოვლენების დიდ მასშტაბში დანახვის უნარით, რაც შეუძლებელია ინტერიერის გამოსახვის შემთხვევაში და არა იმიტომ, რომ არ შეეძლოთ ინტერიერების გამოსახვა. სწორედ შუა საუკუნეების ხელოვნების პოეტიკით, მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ტრადიციით არის განპირობებული კამენსკის განმარტებით, ფიროსმანთან ლხინის ბუნებაში წარმოსახვა და თანამედროვეობისთვის აქტუალური პრინციპის – „სადაც ლხინია, იქ ცოცხალი ბუნების გარემოა“ – გადაწყვეტა, რომელიც წარმოდგენილია არა მცირე, საოჯახო, ლოკალურ, კარჩაკეტილ მოვლენად, არამედ მთელ სამყაროსთან კავშირში, ფიროსმანის სალხინო სუფრით, განსაკუთრებით მონუმენტურ, პანორამული ხასიათის კომპოზიციებში. სმა-ჭამა, ლხინი კი, თავისი უნივერსალური გაგებით, როგორც სამყაროსა და ადამიანის ორგანული კავშირი, კვლავ შუა საუკუნეების ტრადიციებით არის ნასაზრდოები. ასევე შუა საუკუნეების პოეტიკითაა ნაკარნახევი, ზეიმის თვალთ დანახული, მრავალი სხვადასხვა პოეტური იდეის მატარებელი, ფიროსმანის ამ მონუმენტური კომპოზიციებისთვის (როგორებიცაა: „ვირის ხიდი“, „ალაზნის ველი“, „რთველი“, „გიორგობა ბოლნისში“, „პარაკლისი სოფლად“) დამახასიათებელი ე.წ. ანფილადური პრინციპი, რომლის თანახმად, ცხოვრების ნაირ-ნაირ მოვლენებით სავსე, „დასრულებულობით, მოქმედებით, თხრობით, დროით“ გამორჩეული, ყოფის ფართო სურათის ცალკეული მონაკვეთი, საერთო ფაბულით კი არაა გაერთიანებული, არამედ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე იკითხება. მიუხედავად ამგვარი ერთიანობისა, ფიროსმანის ტილოებში მხატვრული წყობის მთლიანობა, მიიღწევა ერთგვარი დაფარული, სახეობრივი შინაარსის, აზრობრივი „თავმოყრის წერტილით“ და „შინაგანი კანონით“. საკუთარი ნება-სურვილით, იმავე შინაგანი კანონით, გვხვდება ცალკეულ ფიგურის, ჯგუფების, საგნების, პერსონაჟთა მასშტაბების გადიდება-შემცირება.

მკვლევარები, ფიროსმანის ნამუშევრებისა და შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ურთიერთმიმართების საკითხისთვის, უპირველეს ყოვლისა, ისეთ ასპექტებს გამოყოფენ, როგორებიცაა: ფიგურების სტატიკურობა და ფრონტალური დაყენება, ასევე სურათის კომპოზიციაში წარწერების ჩართვა. როგორც ქეთევან შავგულიძე აღნიშნავს, ფიროსმანის მხატვრობაში ბუნებრივად არსებობს შუა საუკუნეებისთვის სხვა ნიშანდობლივი თავისებურებებიც: მონუმენტალიზმი, სამყაროს ეპიკური განცდა (რომლებიც ასევე შუა საუკუნეებიდან მოდის და შემდეგ განსხვავებულად ვლინდება ავანგარდში), რაც ძალიან მნიშვნელოვანია ხელოვნების განვითარების აღნიშნულ ეტაპზე, განსაკუთრებით სივრცის საკითხთან მიმართებით. მხედველობაშია, სივრცეში არა ხელოვნურ ნაწილთა ჩამოთვლა, არამედ ეპიკურ ჭრილში, ერთ ორგანულ მთლიანობად ქცეული სივრცე. მაგალითად, შუა საუკუნეების ტაძრის სივრცის ინტერპრეტაციის განმსაზღვრელი იერარქია (არსებული როგორც ფიროსმანის მხატვრობაში, ასევე შემდეგ ავანგარდში, თუმცა განსხვავებულად), პირიქით უარყოფს იერარქიულ დაქვემდებარებულობის a priori-ს და აღიარებს ერთ ორგანულ მთლიანობად ქცეულ სივრცეს. თეატრთან პარალელის გავლების შესაძლებლობას გვაძლევს თეატრის მხატვრობაში არსებული ამ დროის ტენდენციებიც. საკმარისია გავიხსენოთ პეტრე ოცხელის, ირაკლი გამრეკელის, ელ. ახვლედიანის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის (სპექტაკლის სხვა წარმომადგენლებთან ერთად) სინთეზური სპექტაკლები ცნობილი მიმდინარეობების საფუძველზე განსხვავებული და ახალი კომპონენტებით შექმნილი, მაგრამ სისტემის ფარგლებში. ესაა ეტაპი, როცა მოხდა გადასვლა (ძალიან მოკლე დროში–90 წელიწადში) შუა საუკუნეებიდან ავანგარდზე. ქართულ ხელოვნებაში შუა საუკუნეების ხანგრძლივმა პერიოდმა განაპირობა მისი მემკვიდრეობითობა ქართულ ავანგარდში. ის იმდენად ახლობელი ნიადაგია და სივრცე, და ფიროსმანი – „გარდამავალი“ ეტაპის მხატვარი, ამ სივრცის განმსაზღვრელი, ამ მოვლენებისთვის „ნოყიერი“ ნიადაგის შემქმნელი, რომლის საფუძველზე, მერე ავანგარდმა უკვე გარდამავალი ეტაპიდან აიღო შუა საუკუნეებიდან

მოდწეული ნიშნები. ამდენად, ფიროსმანი, ასევე შუა საუკუნეებიდან მოსული, აღმოჩნდა სწორედ ის „ავანგარდული მოვლენა“, რომელიც არაცნობიერი ნაკადით აყალიბებს იმ მთავარ პრინციპებს, რომელიც შემდგომ ქართულ ავანგარდს ახასიათებს... ის არის საფუძველი, რომელზეც დგას ქართული ავანგარდი. მისმა მხატვრობამ დასაბამი მისცა უდიდეს კულტურას, რომელიც ამ დროის ევროპული ავანგარდის საფუძველი გახდა.

ნიშანდობლივია, რომ ევროპული და ქართული ავანგარდისთვის დამახასიათებელი შუა საუკუნეებიდან მოდწეული სივრცის სიმულტანური შეგრძნება და ამავე დროს შობილი ბრიკოლაჟი, მუდმივად არის როგორც ფიროსმანთან, ასევე შემდეგ ქართველ ავანგარდისტებთან. სწორედ ბრიკოლაჟისადმი სიმულტანური სივრცის განცდა, რომელიც აღმოჩნდა ძალიან ნაცნობი და ახლობელი ევროპელი არტისტების დამოკიდებულებაში შუა საუკუნეების უძველესი ხელოვნებისადმი, იგრძნობა მცდელობა, გაიმეორონ ეს, შექმნან მისი პირველსახე გონებრივად (ანუ წერენ მანიფესტებს) და ხელოვნებად აქციონ. ხოლო ქართულ კულტურაში თავჩენილი ეს სიახლე ძალიან ორგანულად ხდებოდა ფიროსმანის მეშვეობით, მისი გავლით. სწორედ მის უნიკალურობას განსაზღვრავს ქართული ავანგარდი.

ფიროსმანს არ ჰქონდა „სკოლის“ განათლება, არ ფლობდა კომპოზიციის აგების, პროპორციისა და პერსპექტივის კანონებს, შუქ-ჩრდილის გადმოცემის, სხეულის ანატომიური აგებულების ხერხებს. მას „ღვთაებრივ ბავშვს“ - ჯოტოს ადარებენ და არა შემთხვევით. ჯოტოს მსგავსად, მისეული კანონებით, უბრალოებითა და სიმარტივით, ნატურიდან ხატვის სრული უგულებელყოფით, განზოგადებით, დეტალების მკაცრი შერჩევით, მთავარსა და სახასიათოზე ყურადღების გამახვილებით, პირობითობის შენარჩუნებით (ფერი ასევე პირობითია უამრავ ტილოზე, კერძოდ, ზოგ ნატურმორტში, ანიმალისტურ ნამუშევრებში, პეიზაჟებში) ფიროსმანი ახერხებს თავის კომპოზიციებში თავისუფლების მიღწევას. გ. ხომტარიას თქმით, „მისი მხატვრობის ზოგადი წყობისეული მახასიათებელი პირდაპირ ესადაგება თანამედროვე მხატვრობის ყველაზე გაბედულ ამოცანებს, კერძოდ, იმ პრობლემატიკას, რომელიც მძაფრად დადგა XX საუკუნის პირველ ათწლეულებში: ინტუიციის როლის წამოწევა წინა პლანზე, ანტიილუზიონიზმი, მძაფრი ხაზგასმული ოპოზიციები – სიბრტყე – სამგანზომილებიანი, ასახვის საგნის ნიშნები; ფერი – ტონალური მოდელირება; ლაკონიზმი, როგორც ოპოზიციათა გაერთიანების საფუძველი, და ეს გასაგები უნდა იყოს, რომ ამ ურთულესი მხატვრული ამოცანების უაღრესად მაღალ დონეზე გადაწყვეტა დიდ გავლენას იქონიებდა ახალგაზრდა ქართველ მხატვრებზე ზოგადშემოქმედებით, მხატვრულ-მსოფლმხედველობით პლანში. ამდენად, ნიკო ფიროსმანაშვილის როლი უაღრესად დიდია“... [ხომტარია, ციციშვილი, 2013:114–115].

ფიროსმანის შემოქმედებაში ახალი ამოცანებისა და ძიებების შესატყვისი „ქართული შეურყეველი ესთეტიკური განცდა“ ბრწყინვალედაა გამოხატული დ. კაკაბაძის სიტყვებით: „არც ერთ მხატვართან არ შემხვედრია მე ფიროსმანის მსგავსი ძალუმი შეგრძნება საქართველოსი“ [კაკაბაძე, აბესაძე 1990:15]. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რაოდენ ძლიერი იყო ფიროსმანის ზეგავლენა ახალი თაობის ქართველ მხატვრებზე და, ზოგადად, ახალი ქართული მხატვრობის განვითარების ლოგიკაზეც. „მხატვრის სახელი კი მალე ქართულ ეროვნულ ენერგიასთან, მის სულთან იქნა გაიგივებული“ [აბესაძე, 1990:13].

ფიროსმანის მხატვრული მსოფლხედვის, როგორც უმნიშვნელოვანესი, ეპოქალური ხელოვნების საკითხზე, სურათების მხატვრულ-ფორმალური მხარის განსაკუთრებულობაზე საუბრობს გიორგი ხომტარია, როდესაც ფიროსმანის სურათის მხატვრულ წყობას ადარებს XX საუკუნის დასავლური მხატვრობის უდიდეს ოსტატებს. უთუოდ გასაოცარია ფორმის განზოგადება, მხატვრული სახის უტყუარი, კონკრეტული სიზუსტის შენარჩუნებით, სახვით საშუალებათა მინიმალიზაციით მიღწეული მაქსიმალური სახვითი გამომხატველობა. სურათის მხატვრულ-ფორმალური რიგის ნიშანდობლივ ფაქტორად ასევე უნდა ჩაითვალოს: სიბრტყე-სივრცის სმენითი ცვლა (რაც გამორიცხულია, სეზანსა და სეზანისტებთან ენახა ფიროსმანს), ფორნტალური და დიაგონალური განლაგების მონაცვლეობა, წინა პლანის ფიგურათა მასშტაბების ცვალებადობა, ტექსტის წაკითხვის მრავალგვარობა. გარდა ამისა, კომპოზიციური მეტყველების არნახული ლაკონიზმი, ფორმატისა და საგანთა განლაგების ფანტასტიკური გრძნობა (რაც კარგი მხატვრობისთვისაა დამახასიათებელი), საოცარი „ფერწერული

მეტყველება“, ფიროსმანთან არის – არავის მსგავსად, ინდივიდუალურად, მიღწეული ხშირად, ფიროსმანოლოგებისთვის ცნობილი, „მხოლოდ ოთხი – თეთრი და შავი, აგურისფერი, ყვითელი და მომწვანო ფერის გამოყენებით» [აბესაძე, <https://www.google.com>] და ა. შ.

ამდენად, ფიროსმანი არსებობს იმავდროულ სივრცეში, კერძოდ, XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე, რომელშიც იშვა დასავლური კულტურის ისეთი ყოვლისმომცველი მოვლენა, როგორიცაა მოდერნიზმი. ამ ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, მოვლენის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ღიანა მამალაძე-ანთელავა გამოყოფს ისეთ საერთო ნიშნებს, როგორებიცაა: ევროცენტრიზმის უარყოფა და კულტურის ძლიერი ორიენტალიზაცია; ანტიიმიტაციური ფერწერის კონცეფცია, რომელმაც მხატვრული შემოქმედების ვექტორი მიმართა ქვეცნობიერის ფენომენისაკენ; ორიენტალიზაცია პრიმიტიულ ან თვითშემოქმედების „დაბალ ფორმებზე“; გმირის მასობრივი, იმპერსონისტული ხასიათი და თავად მხატვრის მძაფრად ინდივიდუალური, პიროვნული თვალთახედვა; რეალისტური ესთეტიკის მიუღებლობა, სინამდვილისადმი ირაციონალური დამოკიდებულება, როგორც სამყაროს მისეული სუბიექტური მოდელის წარმომადგენლის, კონკრეტული ისტორიული ნორმებისგან თავისუფალი „სუფთა გონისა“ და „მხატვარ-დემიურგის“ *a priori*. ამდენად, იგი „ახალი რეალობის“ მხატვარია და დასავლეთის ეს მიზანსწრაფვა ფიროსმანისთვის ორგანული და თავისთავადია, რაც მტკიცდება მისი მხატვრული სისტემის სტილური მახასიათებლების თავსებადობით მოდერნისტულ მხატვრობასთან XX საუკუნის პირველ ათწლეულში.

მოდერნიზმის ავანგარდის, როგორც გამორჩეული ხასიათის მხატვრული მსოფლხედვის, უფრო მკაფიო და ნათელი სურათისთვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეპოქათა პრინციპების ანალიზი (მის წინამორბედ შუა საუკუნეების ეპოქასთან შედარებით), ფიროსმანის შემოქმედებისა და სტილური მახასიათებლების გამოკვეთით.

უპირველეს ყოვლისა, გიორგი ხოშტარიას მოსაზრებით, რაც შუა საუკუნეებს მოდერნიზმისგან განასხვავებს, არის პირობითობა. მისი მხატვრული სისტემა, მრავალგვარი ფუნქციის (მხედველობაში გვაქვს მხატვრულ-გამომხატველობითი და დეკორატიული) მქონე ორგანზომილებიანი ზედაპირის სასურათე სიბრტყეზე, ემყარება ასახვის საგნის პირობით გადმოცემას, პროპორციათა რღვევასა და ფორმის ტრანსფორმირებას. თავის მხრივ, მოდერნიზმის მსოფლხედვა წინამორბედ ეპოქებთან მიმართებით (ამ შემთხვევაში, ყურადღებას ვამახვილებთ შუა საუკუნეების მსოფლმხედველობით სპეციფიკაზე) ეფუძნება რეალისტურ მიმართებათა რღვევას სემანტიკაში, რომლის შედეგად მატულობს პირობითი წყობისეული ნიშნები – სიბრტყის, სუფთა ფერის ექსპრესია, მისთვის დამახასიათებელი რადიკალური განსხვავებით, პირობითი ბუნების მქონე „არარეალისტურ“ შუა საუკუნეების მხატვრულ ეპოქასთან მიმართებით. კერძოდ, XVII საუკუნეში თავჩენილი ფართო ჟანრული დიაპაზონი ამ ეპოქაში ისევ ნიშანდობლივია და უმაღლეს დონეზე ადის (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ნიუ, ყოფითი ჟანრი და ანიმალისტური სურათიც კი) იმპრესიონისტების: პ. სეზანის, ვ. ვან გოგის, პ. პიკასოს, ა. მატისის, ა. მოდილიანის, ჰ. სუტინის შემოქმედებაში.

ამასთან, ჟანრული ამოცანების განსხვავებული პირობითი გადაწყვეტა გამოარჩევს მოდერნიზმს შუა საუკუნეებისაგან, სადაც პორტრეტული ჟანრი პირობითია, მთავარი – ინდივიდუალობის, მისი განწყობის, შინაგანი სამყაროს გადმოცემის მცდელობის არქონის გამო. ფიროსმანის პორტრეტი კი, მიუხედავად მხატვრული წყობის მკაფიო პირობითობისა, მართლაც პორტრეტია, ამ ჟანრის მკაცრ მოთხოვნათა მიხედვითაც კი. მასში ბრწყინვალეაა გადმოცემული ინდივიდუალობა. მაგალითად, ფიროსმანის ქეიფის სცენების ამსახველ სურათებში პორტრეტულობით გამორჩეული მოქეიფეთა ვრცელი გალერეა თავისი მახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნებით. გარდა ამისა, ბუნების წიაღში მოთავსებული, საგნობრივი აქსესუარებით, ყოფითი კონკრეტიკისა და სიმყუდროვის განცდით სავსე პორტრეტები; ილია ზდანევიჩის, „სარქისა“, მცენარეებით გაწყობილ ინტერიერში გამოსახული; ასევე დამაჯერებელია მისი ნატურმორტი, როგორც რეალობის გარკვეული ფასეულობითი მხარის (ფორმის, წონის, მატერიალურობის) გამოვლენა და ა. შ. პირობით მხატვრულ სტრუქტურასთან სინთეზით, რეალობის მძაფრ განცდას ვხვდებით ფიროსმანის მიერ „ძლიერი მხატვრული ვნებით», თავისი ფორმათა თამაშითა და დეფორმაციის მეთოდით დახატულ „აქტრისა მარგარიტას“, იმავე „მარგარიტა-გარიტას» პორტრეტში, როცა პროპორცია სილუეტის, ხაზის, ფორმის დეფორმაციითა თუ

ფერის ტრანსფორმაციით, ქალური საწყისის დამაჯერებლად გადმოსაცემად კონკრეტული სახვითი ნიშან-თვისებების გადმოცემას ემსახურება, იმ ტემპერამენტით, რომელიც ფიროსმანის მხატვრულ ენას აქვს, კერძოდ: „საკუთარი ნიჭით, მხატვრული შთაბეჭდილებების ინტუიციური გადამუშავებითა და სინთეზირების მინიმალური ხერხებით, სეზანის მსგავსად, ფუნჯის სულ რამდენიმე აქტიური ზუსტი მოძრაობით, კონტურის გარეშე ქმნის ერთიან, მწყობრ საკუთარ მხატვრულ სისტემას, ფერით კი პლასტიკურ ფორმას და შთაბეჭდავად გადმოსცემს თავის სათქმელს ისე, როგორც მას ესაჭიროება. ხოლო მის მრავალფეროვრიან კომპოზიციებში („კახეთის ეპოსი (ალაზნის ველი)“, „ერთველი“, „გიორგობა ბოლნისში“), ფრონტალური და დიაგონალური მონაცვლეობა, მრავალფეროვნება, წინა პლანის ფიგურათა მასშტაბების ცვალებადობა, აღბეჭდილი პოლიფონიურობა მიღწეულია იმავე ტექსტის წაკითხვის მრავალგვარობით. აუცილებელი პირობითობაა წმინდანით მდგომ მეთევზეში („მეთევზე წითელ პერანგში“), ელდორადოს დარაჯის დიდი ფორმის განცდით განზოგადებული და თან დამაჯერებელი ფორმა (ატენის აღმოსავლეთ კედლის მხატვრობაში მამების მსგავსად) „მეუზოვის“ გამოსახულებაში. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, უბრალოში, ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის წარმოჩენა, გარდასახვა დიდ მხატვრობაზე მიმანიშნებელი მხატვრული მეთოდის ის პრინციპებია, რომელთა ერთიანობა-სიმულტანურობა განპირობებულია სხვადასხვა გავლენის რთული გადაწყვეთით და მიიღწევა „ერთ მაკროსტრუქტურულ სქემაში ჩასმული სხვადასხვა ინდივიდუალური გადაწყვეტა, ასახვის საგნის მიხედვით“ [ხომტარია, <https://www.youtube.com/>]. კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე, მხატვარი კომპოზიციას აგებდა პირდაპირი, პარალელური, ასევე უკუპერსპექტივის გამოყენებით. „ფიროსმანის სურათები არც შეიძლება აკადემიურად „სწორი“ ყოფილიყო, იმიტომ არა, რომ იგი ნატურით კი არ ხატავდა, არამედ უმეტესად ზეპირად; მან იცოდა და აკეთებდა ყველაფერს, რაც შეესატყვისებოდა მისი ხელოვნების ხასიათს, რაც საჭირო იყო იმისთვის, რომ ფიროსმანი ფიროსმანი ყოფილიყო, და სხვა არავინ“ [ბერიძე, არსენიშვილი 2007:39].

აღნიშნული მოხსენების ანალიზს თავისთავად მივყავართ იმ აზრისკენ, რომ ფიროსმანმა არა მარტო გზა გაუკვალა, უზარმაზარი, ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა ქართველ მოდერნისტებს, არამედ ის თავად იყო პირველი ქართველი მოდერნისტი (აზროვნების მიმართების კონტექსტში და არა მხოლოდ ფორმალისტური ნიშნებით). ამ აზრის დასტურად ნიშანდობლივად მიგვაჩნია ფიროსმანისა და იმპრესიონისტების ურთიერთმიმართების საკითხის ანალიზი. როგორც ქ. კინწურაშვილი აღნიშნავს, ფიროსმანისა და იმპრესიონისტების ხედვის ისეთი თვისებების ანალიზი (არა ფორმალური მონაპოვრების კონტექსტში, რომელიც ჰქონდათ თანადროული ცხოვრების პროცესში მთლიანად ჩაფლულ იმპრესიონისტებს), როგორც ჩვენთან, ფიროსმანის გარდა, არავის ახასიათებდა, ფიროსმანის მსოფლხედვის განსაკუთრებულობაზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით, ფიროსმანი იყო პირველი და ერთადერთი, ვინც გრძნობდა და ასახავდა თანადროულს, ცოცხალს, რისთვისაც ფართოდ გახელილი მაძიებელი თვალი ჰქონდა. ჩვენთან არავინ არც მერე ასე არ ხატავდა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებას, არავინ იყო ჩართული ქალაქის ცხოვრებაში. ის რეალობას „მიგნიდან“ ხატავდა და არა გარეგნულად აღწერდა ან გადმოსცემდა.

ამდენად, მის ნახატებში არ არსებობს აკადემიური სტილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფიროსმანი მაინც უზომოდ კულტურულია, მთავარი ხერხი კი ლაკონიზმია. დაგეგმილად კი არა, როგორც აღვნიშნეთ, „არაცნობიერი ნაკადის“ მხატვრული ხერხებით აგებს ადამიანისა და ყოფის, ფონისა და საგნების გამოსახულებებისა და სამყაროს ჰარმონიული აღქმით გამორჩეულ კომპოზიციებს, რომლებშიც გამოსახულება მუდამ დომინანტია ფონზე, გარემოზე. მინიმალური მონასმით, ქრომატულ-აქრომატული ფერების ლაკონიზმით, ძირითადად, შავი, თეთრი, ნაცრისფერი, რამდენიმე ფერადოვანი ლაქით და არა „ცივი-თბილი, დამატებითი ფერების მონაცვლეობით“. შეზღუდული კოლორისტული დიაპაზონით, „მარტივი, მაგრამ მრავალი დანაშრევის მქონე დიადი ფორმით“ [აბესაძე, <https://www.youtube.com/>] აღწევს ტილოზე სიცოცხლის ეფექტს, განსაკუთრებულ, თავისებურ სულიერებას, რომელიც შეიგრძნობა მის ყველა გამოსახულებაში, ადამიანებიდან – ნატურმორტამდე, სადაც ყველაფერი ნათელია, ჰარმონიული და მრავლისმთქმელი.

ნიშანდობლივია, რომ ფიროსმანის მხატვრული მეთოდის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი როლი მხატვრის თვალს ეთმობა. დიახ, ფიროსმანს სწორედ თვალი ჰქონდა განსაკუთრებით გამახვილებული.

მას სისხლსა და ხორცში უზის მთავარისა და სახასიათოს, ტიპურის ხაზგასმით უმნიშვნელო დეტალების უარყოფა. ფიროსმანთან ისევე, როგორც სეზანსა და იმპრესიონისტებთან, სწორედ თვალის მხატვრული ლოგიკის განმსაზღვრელი. გიორგი ხოშტარიაც თვალის მნიშვნელობაზე საუბრობს, როდესაც ფიროსმანის სტილურ მახასიათებლებს სეზანსა და იმპრესიონისტებს ადარებს. მის თქმით, სწორედ თვალმა უკარნახა სეზანს (თუმცა სეზანი აბსოლუტურად იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ინტელექტი და მხატვრული ალღო არის ერთად მოცემული, ხოლო მათი ლოგიკა თვალზე დამოკიდებული), რომ სიბრტყეზე „გადატანილი“ მაგიდა უნდა გატყდეს. მხატვრებმა იციან, რომ, როცა გამოსახვენ სახასიათო პლასტიკურ-საგნობრივ ფორმას, შესაძლოა, ეს ფორმა ამოვარდეს სივრცობრივ-კოლორისტული გარემოდან, და პირიქით. მაგ., იმპრესიონისტები არაჩვეულებრივ სივრცობრივ-ჰაეროვან, ფერადოვან-კოლორისტულ გარემოს ქმნიან, მაგრამ მათთან ფიგურა ცალკე საგანია. ფიროსმანთან კი ფიგურა არ არის ცალკე „ლაქა“, არამედ ორივე ერთადაა, სივრცესთან სინთეზში მოცემული. სინთეზში სივრცე-სიბრტყის შეხამების, ე.წ. „სმენითი გაცვლის“ ურთულესი საკითხი განსაკუთრებით მძაფრად დადგა და უმაღლეს დონეზე გადაწყდა დიდ მხატვრებთან, როგორებიც იყვნენ: სეზანი, ვან გოგი, მატისი, პიკასო და ა. შ., მათ საუკეთესო ნამუშევრებში.

ვფიქრობ, ფიროსმანის მხატვრობის შეფასებით მსჯელობასა და სპეციფიკური პრობლემების დაზუსტებაში, შეიძლება დაგვეხმაროს ფიროსმანის სურათის მხატვრული წყობის ანალიზი, რომელსაც გიორგი ხოშტარია გვთავაზობს. იგი მხატვრული წყობის ნიშანდობლივი მიმართებების საფუძველზე, ფიროსმანის მხატვრობის, ესთეტიკური ღირებულების, ხარისხის დადგენა-დაზუსტებისა და მხატვრული სახის, ლოგიკის ობიექტური ანალიზის საშუალებას გვაძლევს.

ვინაიდან, ეპოქალური სტილის კატეგორიებით (ჰენრიხ ვიოფლინისა და გიორგი ჩუბინაშვილის მსჯელობების მიხედვით) ფიროსმანის მხატვრობის შეფასება არ ხერხდება, ამიტომ მკვლევარი მიმართავს მხატვრული შინაარსის მხატვრულ წყობაში ძიების პრინციპს, რომელიც მხატვრული ნაწარმოების წყობისეული მოდელის იმ ძირითად ნიშნებს ეფუძნება, როგორებიცაა:

1. სურათი – მხატვრული ნაწარმოები – გარკვეული სამყარო ნიშანი-მთლიანობაში, სიმბოლო, ჟანრული თუ თემატური პლანის განმსაზღვრელი ასახვის საგნის ნიშნებით (აღებული სურათგარეშე რეალობიდან, ან ზერეალობიდან) რომელიც, თავისთავად, სამგანზომილებიანია, დროში განვრცობილი, მრავალფეროვანი ზედაპირითა და სიღრმით, სტრუქტურირებული აგებულებით, პროპორციებით.

2. ენობრივი ნიშნები: ა) მატერიალური საფუძველი (ორგანზომილებიანი, მყარი ზედაპირი, პიგმენტი და მისი გამხსნელი მასა და ა. შ.), ერთობლიობაში კი „მხატვრულ ენას“ ვუწოდებთ. ბ) ე.წ. სილამაზის ფორმალური პრინციპები (ზოგან მაორგანიზებელი პრინციპები) – ტაქტი, რიტმი, კონტრასტი, სიმრავლეთა ერთიანობა და ა. შ.

3. მხატვრის-სუბიექტის პიროვნების ნიშნები (მხატვარი, როგორც კონკრეტული სკოლის, ეპოქის, ერის წარმომადგენელი). ყოველივე ეს, გვაძლევს მხატვრის მიერ შექმნილ ინდივიდუალურ სამყაროს, რომლის მსგავსი ბუნებაში არ არსებობს. მისი არჩევანით ხდება სურათში მთავარისა და მეორეხარისხოვანის შერჩევა, განზოგადება, საჭირო რიტმით, წყობით გადაწყვეტა, რითაც ხერხდება ავტორის პიროვნების აღბეჭდვა. როგორც გიორგი ხოშტარია აღნიშნავს: „არ არსებობს ორი ერთნაირი თითის ანაბეჭდი, ორი ერთნაირი თვალის შეფერილობა, მით უმეტეს, ორი ერთნაირი სულის ანაბეჭდი და ხელოვნება სწორედ სულის ანაბეჭდია“. [ხოშტარია, 2013:317].

სურათის მთლიანობის დაპირისპირება და ერთიანობა კი, ეფუძნება სამი განსხვავებული რიგის ნიშანს, ხოლო მის მხატვრულად მთლიანობაზე საუბარი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მიღწეულია არა მარტო: 1. ასახვის საგნის ფასეულობითი თუ სახასიათო ნიშან-თვისებების გამოვლენა, არამედ, 2. ენაც, ანუ მატერიალური საფუძველი და ორგანიზების პრინციპები და 3. ყოველივე ამისადმი მხატვრის დამოკიდებულებაც, რომლებიც ერთად ქმნიან ერთ დიდ ნიშანს – სურათს. ავტორის შენიშვნით, ამ განსხვავებული საწყისების დაპირისპირების (კერძოდ: სამგანზომილებიან ასახვის საგანსა და ორგანზომილებიან ზედაპირს შორის; სტატიკასა და დინამიკას; ბუნებრივ და ხელოვნურ რიტმს და ა. შ.) შემქმნელი და ორგანიზატორი თავად მხატვარია. მისი ორგანიზებით მიიღწევა მხატვრული ჰარმონია, რომელიც გულისხმობს დაპირისპირებულ ელემენტთა შორის წინააღმდეგობების მოხსნას მთელში. ფიროსმანის მხატვრული მთლიანობის ეფექტურობა იგება პირველ რიგში, აღნიშნა

შერჩევა-განზოგადებით, ერთი მხრივ, საგნის, ფერის, ლაქის გაუბრალოებით, და ამასთან, ასახვის საგნის სახასიათო ნიშნების ზუსტი შენარჩუნებით ბინარული ოპოზიციის მისაღებად. მაგალითად: კონკრეტული – ზოგადი, მონუმენტური – სახასიათო, სიბრტყე – სივრცე, ლოკალიზებული ქრომატულ-ტონალური ლაქა და გრადაციულობა, „მამოდელირებელი ფუნქცია“, ლაკონიზმი და სიზუსტე.

ყოველივე ეს, ქმნის მხატვრის სამყაროს. ფიროსმანი უდიდესი მხატვარია, რომელმაც თავისი „ნებისმიერი“ კანონებითა და სახეებით, საკუთარი – ინდივიდუალური, განუმეორებელი მხატვრული სამყარო შექმნა, ისევე, როგორც ვერმეერმა, ბრეიგელმა, როგორც იყო ბიზანტიური სამყარო, ფაუმის ოაზისის პორტრეტების გალერეა და ა. შ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნული მოდელის ზემოთ მოყვანილი სამივე განსხვავებული რიგის ნიშანი შეინიშნება ფიროსმანთან. მაგალითად, სურათზე „დიდი ნატურმორტი“, ნეიტრალურ შავ ფონზე წარმოდგენილია ერთ-ერთი „დუქნის მენიუ“; ერთმანეთის საპირისპიროდ, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად განთავსებული სხვადასხვა მოცულობითი და ბრტყელი საგნები ფრონტალურადაა გაშლილი. ამ პირობით კომპოზიციაში, სივრცე და ფონი გაერთიანებულია. ამასთან, ერთი მხრივ, შავ ფონზე, ქვედა ნაწილს „ფუნდამენტის“ მნიშვნელობა ენიჭება ჰორიზონტალურად გამოსახული საგნებისთვის – სამი ლანგრისთვის (კიდევზე-მოხარშული დედალი და ლანგარზე დაწყობილი მსხლეტი, შუაში, თეთრი-შავით მოდელირებული ტიკით), რომელიც კომპოზიციას კეტავს და სიმყარეს ანიჭებს. მეორე მხრივ, მათ უკან კედელია, მასზე ვერტიკალურად ამართული, თუ ლურსმანზე ჩამოკიდებული დიდი თუ მცირე საგნებით. ამრიგად, პირობითი შავი ფონის ოსტატური გამოყენებით მიიღწევა ბინარული ოპოზიცია, როდესაც მატერიალური საფუძველი-შავი მუშამბა, ორმაგი კოდის მატარებელი ნიშანია; ის ერთდროულად მაგიდაც არის და კედელიც, ფონიც, ფიგურის ნაწილიც და ფორმის შემქმნელიც. აღნიშნულ ნატურმორტში, რომელიც მხოლოდ ოთხი ფერითაა შექმნილი, შავი ფერი სხვადასხვა ფუნქციას ითავსებს: ა)ერთი მხრივ, შავი, როგორც განყენებული ფონი, სამოქმედო არე.ბ) მეორე მხრივ, შავი, როგორც სივრცე, მოცულობა საგნისა, ისევე, როგორც მთლიანად ნამუშევრისა. გ) შავი, როგორც ფიგურა მამოდელირებელი და აქტიურად ქმედითი სხვა ფერებთან კავშირში. დ)შავი ჩრდილისა და კონტურის შემქმნელი. აღნიშნულ ნატურმორტში, თეთრისა და შავი ფერის გარდა, ასევე, ვხედავთ შავ ფონზე ზედდებით მიღებულ მწვანეში გარდამავალ ყვითელსა და ყავისფერს მიახლოებულ წითელს, ე.წ. „ინგლისურ წითელს“. ამრიგად, თვალნათელია, რომ ფიროსმანის ფერწერის ფერით მეტყველებას განსაზღვრავს „თვითშეზღუდული“ ფერადოვანი გამა (სულ რაღაც რამდენიმე ფერი: შავი, თეთრი, „ინგლისური წითელი“ და ყვითელი შავი ფონის გამო ხშირად „გამწვანებული“, ლურჯი და ცისფერი), რომელსაც გამოარჩევს ვ. ბერიძის თქმით: „ლაკონიზმი, სიმკაცრე და კვლავ თვითშეზღუდვა“ [ბერიძე, არონიშიძე <https://www.georgianart.ge/>], ხოლო ბინარულობა ამავე ნატურმორტში, კომპოზიციის, საგანთა განთავსების „წესითაა“ ნაკარნახევი (იგულისხმება სხვადასხვა მასშტაბის საგანთა წარმოდგენა პერსპექტივის კანონის უგულვებელყოფით, მხატვრის ნებისამებრ. კერძოდ, უკანა პლანზე საგნების განლაგება გაზრდილი მასშტაბებით წინ მოთავსებულთან მიმართებით (გაწონასწორებისა და კომპოზიციური ბალანსის დაცვით).

განვავრძობთ რა შეფასებით მსჯელობას (ამჯერად, ფიროსმანის სურათის „მეთევზე წითელ პერანგში“ მიხედვით), მხატვრული წყობის მახასიათებლებზე გ. ხოშტარასეული მოდელის თანახმად, აღვნიშნავთ, რომ ასახვის საგანი, სურათგარეშე არსებული – ცვალებადია, სამგანზომილებიანია. უძრავ მასალაზე, ფორმატში-შემოსაზღვრული კი, ის ორგანზომილებიანი ხდება. ამ ოპოზიციითა გამოვლინების შემთხვევაში, ვღებულობთ, რომ აბსოლუტურად უბრალო ასახვის საგნები, ადამიანთა ფიგურები – (მხედველობაშია არა სემანტიკური, არამედ ხასიათით, შინაარსით უბრალო), „მეთევზე“, „მეფხოვე“, „კურტნის მუშა“, „ორთაჭალის ტურფა“, ასევე, მოხარშული დედალი „დიდი ნატურმორტში“, ტრანსფორმირების შედეგად, თითქმის შუასაუკუნეობრივი მნიშვნელოვანებით, სახასიათოს წარმოჩენით, მონუმენტალიზმით, ამალღებულობის განცდით ისეთი დიდებულებით და „შუქმოსილობით“ წარმოგვიდგებიან არაჩვეულებრივ, მნიშვნელოვან სახეებად, როგორიც მხოლოდ შესაძლებელია ფიროსმანისთვის და სხვა არავისთვის, რაც მხატვრის ინდივიდუალიზმზე მიანიშნებს. ამდენად, ერთ სახეში მიღებული ოპოზიცია: უბრალო – მნიშვნელოვანი, ჰარმონია – გარდასახვა, თავჩენილი ფანტასტიკურად ლაკონური წერის მანერასა და ფორმატის გრძნობაში,

ასევე, მჟღავნდება სასურათე სიბრტყესა და მასალის გამოვლენაში. ამ ესთეტიკურ ოპოზიციათა ანალიზისთვის თვალსაჩინო მაგალითია მხატვრის მრავალპლანიანი „მეთევზე წითელ პერანგში“ – უბრალო მეთევზის სცენა თევზით ხელში (ასევე, „ვირის ხიდი“ ან „კრწანისი“), რომელიც გამოსახულია სახასიათოს აღნიშვნით, ამალგებულობითა და გარდასახვით. თითქოს სცენური განათების ეფექტით – ავანსცენაზე, მაყურებლის წინაშე მდგომი, ხალხთან შესახვედრად მზადყოფი მეთევზის განათებით და სხვა დანარჩენის უგულებელყოფით. ეს მონუმენტური და იერატიკული ფიგურა – შავულვამა ახალგაზრდა ქართველი მამაკაცი, ფართოდ გახედილი შავი თვალებით, წყალში მდგომი, აკაპიწებული შარვლითა და წითელი პერანგით, გამოსახულია ფრონტალურად, ფრესკისეული სტილით, ყვითელი ქუდით (შარავანდებით წმინდანისებრ) სურათის ცენტრში, შავ ფონზე, ცოცხალი, სველი თევზით ხელში. ლაკონური შესრულებით არის მიღწეული ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშანი (უბრალო–მნიშვნელოვანი). ეს გარდასახვა სინთეზურადაა მოცემული ერთ სახეში. შავი გარემო – დაუმუშავებელი მუშამბა ერთდროულად სიბრტყე–ფონისა და სივრცე–ტონის „ბუნებას“ ითავსებს, რაც გარდასახვის საფუძველს წარმოადგენს. მხატვრისთვის ჩვეული ლაკონიზმითაა შესრულებული მეთევზის პერანგი. ერთი მხრივ, მასიური ლაკონური წითელი ფერი ლაქაა, ამასთანავე, წითელი ფერის ვარირებით მიღწეულია მსუბუქი მატერიის ფაქტურის შეგრძნება, მისი გრადაცია. თუ გამჭირვალე წითელი საღებავის ფენასთან, შავი ფონი – ჩრდილია, „იქვე ეს არის თმა, იქვე ეს არის ცა, და იქვე ეს არის მიწა“ [თუმანიშვილი, <https://www.google.com>], რომლის მცირედი შეთხელება–შემკვრივებით ვლტებულობთ დადებულ ფერს. ამ სახის ოპოზიციები მრავლადაა ფიროსმანთან და შესაბამისად, არაერთი მაგალითის მოყვანა შესაძლებელი, იქნება ეს „ვირის ხიდი“, სადაც სცენები მთელ სასურათე სიბრტყეზეა გაშლილი და ამასთანავე, სავსეა სივრცისა და ნათების შეგრძნებით, თუ ფუნჯის მხოლოდ რამდენიმე, სულ რაღაც, ორი-სამი ზუსტი მონასმით შესრულებული საოცრად მეტყველი სახის სახასიათო ტიპაჟები „კრწანისში“.

სწორედ ეს და ფიროსმანის სხვა, მანამდე უცნობი შემოქმედებითი ძიებები, ჩვენ მიერ აღნიშნული მხატვრული მეთოდის სტილური მახასიათებლები, კომპოზიციური სქემები, კოლორიტის გამოკვეთა „ფერით სახისა და არა ნატურისა“, ასევე, „სამყაროს პოეტური წარმოსახვის განსაკუთრებული სისტემა, რომელიც სავსეა სირთულით, მოულოდნელი, უცნაური ასპექტებით, ზოგჯერ კი ძნელი ამოცანებით, რაც ფილოსოფოსებს აზრადაც არ მოლანდებიათ... და საერთოდ, ეს „თბილისელი პრიმიტივი“, ეს „საწყალი ნიკალა“ გულდასმით შესწავლისას გასული საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე რთულ ხელოვანად წარმოგვიდგება“ [კამენსკი, 1981:56]. ყოველივე კი, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ფიროსმანის სახით, საქმე გვაქვს ერთ-ერთ უდიდეს ინდივიდუალობასთან, არავის მსგავს შემოქმედთან, „ყველაზე დიდ მხატვართან“ [ხოშტარია, <https://www.youtube.com>].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე ირინე., „ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების აღქმა ისტორიოგრაფიულ დისკურსში“, <https://www.google.com>, 2014.
2. აბესაძე ირინე., „შალვა ქიქოძე“, თბილისი, 1990.
3. ანთელავა-მამალაძე ლიანა., „სივრცის განცდა ქართულ ესთეტიკურ ტრადიციაში«(ფიგურა-სივრცის ურთიერთობა ფიროსმანის მხატვრობაში)» ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, ჟურნალი „სპექტრი“, თბილისი, 2008.
4. ანთელავა-მამალაძე ლიანა., „კულტურათა დიალოგი მე-20 საუკუნის ქართულ ფერწერაში (,ფიროსმანის „ქალი ლუდის კათხით“ და პიკასოს „აბსენტის მოყვარული)“, ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, ჟურნალი „სპექტრი“, თბილისი, 2009.
5. არსენიშვილი ირინე., XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული დაზგური ფერწერის ზოგიერთი მხატვრულ-სტილისტური თავისებურება“, სამეცნიერო შრომების კრებული, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2000.
6. არსენიშვილი ირინე., ფიროსმანაშვილის მხატვრობა“, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა, სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა, N4, 2002.
7. არონიშვილი ნოდარ., ფიროსმანის „დიდი ნატურმორტი“ – სივრცის პრობლემისთვის <https://www.georgianart.ge>, 2010
8. ასათიანი ვლადიმერ., „ნიკო ფიროსმანის შემოქმედების ფოლკლორული ასპექტი“, თბილისი, 12, 1981.
9. ბაგრატიშვილი ქეთევან., „პესონაჟთა პროტოტიპების კვალდაკვალ“ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1987 # 3.
10. ბერიძე ვახტანგ., „ნიკო ფიროსმანაშვილი“, თბილისი, 2007.
11. Вельфлин Генрих., „Основные понятия истории искусств. Проблема Эволюции стиля в новом искусстве“. <https://www.google.com>
12. ზდანევიჩი კირილე, „ნიკო ფიროსმანაშვილი“, თბილისი 1965.
13. თუმანიშვილი დიმიტრი., ნიკო ფიროსმანაშვილის „პატარა მეთევზე“, (ინტერპრეტაციის მცდელობა), <https://www.georgianart.ge> ელექტრონული ჟურნალი „ARS GEORGICA“, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, 2011.
14. თუმანიშვილი დიმიტრი, ფიროსმანი. XX საუკუნის ქართული ხელოვნება, <https://www.google.com>.
15. კაკაბაძე გიორგი., „უკვდავების 150 წელი“, <https://www.radiotavisupleba.ge/a/pirosmani/> საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, ნიკო ფიროსმანის საიუბილეო გამოფენა „ფიროსმანი-150“, 2012.
16. კამენსკი ალექსანდრე., „ფიროსმანის სტილის საწყისები“, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 12, თბილისი, 1981.
17. კინწურაშვილი ქეთევან., „მოდერნიზაციის ორი ეტაპი მე-20 საუკუნის ქართულ ხელოვნებაში და ფიროსმანის ფენომენი“, [https://elfiles.emis.ge/uploads/pirosmani-\(proceedings\)](https://elfiles.emis.ge/uploads/pirosmani-(proceedings)) ელექტრონული ჟურნალი, მოხსენებათა კრებული, International Interdisciplinary Conference, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013.
18. Кузнецов Эраст., „Пиросмани“ Москва, 1986.
19. კუზნეცოვი ერასტ., „ნიკო ფიროსმანაშვილის თეატრი“, ჟურნალი „ტეატრი“, 10, 1988.
20. შავგულიძე ქეთევან, „ფიროსმანი და სხვები“, <https://www.radiotavisupleba.ge/a/citeli-zona> 2015.
21. ხოშტარია გიორგი., „შეფასებითი მსჯელობა და ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება“, [https://elfiles.emis.ge/uploads/pirosmani-\(proceedings\)](https://elfiles.emis.ge/uploads/pirosmani-(proceedings)) ელექტრონული ჟურნალი, მოხსენებათა კრებული, International Interdisciplinary Conference, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიისა

და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013.

22. ხომტარია გიორგი., „უახლესი დროის–მოდერნიზმის ხელოვნების მხატვრული მსოფლხედვის სპეციფიკა“, <http://www.georgianart.ge> ელექტრონული ჟურნალი „ARS GEORGIA», გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, 2010.

23. ხომტარია გიორგი., „მხატვრული აღქმის სპეციფიკა“, <https://www.youtube.com>, 2018.

24. ხომტარია გიორგი., „ქართული მხატვრული რეალობა მოდერნიზმის ეპოქაში“, <https://www.youtube.com/> საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, ნიკო ფიროსმანის საიუბილეო გამოფენის „ფიროსმანი-150“-ის ფარგლებში ჩატარებული ლექცია, 2012.

25. Хоштария Гиорги., „Творчество Пиросманашвили и его место в новой Грузинской живописи“, Диссертация на соискание ученой степени кандидата искусствоведения, <https://www.dissercat.com/content/tvorchestvo-pirosmanashvili-i-ego-mesto-v-novoi-gruzinskoi-zhivopisi>, Тбилиси 1985.

26. ციციშვილი მაია, ჭოდოშვილი ნინო., „ქართული მხატვრობა, განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები“, თბილისი, 2013.


27. ციციშვილი მაია, ჭოდოშვილი ნინო., „ქართული მოდერნიზმი 1910–1930“, თბილისი, გოეთეს ინსტიტუტი, 2005.

28. ჩორგოლაშვილი მამია., „ფიროსმანი“, თბილისი, 1991.


29. ჯაფარიძე თემო., „ნიკო ფიროსმანი ცხოვრება და შემოქმედება“, <https://burusi.wordpress.com> 2009.

30. ყიფიანი ნანა., „1910-20-იანი წლების ქართულ–თბილისური ავანგარდი“ <https://www.modernizm.ge>.

31. საილუსტრაციო მასალა., <https://burusi.wordpress.com/art/pirosmani/pirosmani-drawings/>; <https://artinfo.ge/2015/03/pikasos-phirosmani-khelovn/2024>.



ნიკო ფიროსმანი „ჟირაფი“



ნიკო ფიროსმანი „შაქრის თავითა და ძეხვეულით“



ნიკო ფიროსმანი „სააღდგომო ბატკანი“



ნიკო ფიროსმანი „დიდი ნატურმორტი (დროშები)“



ნიკო ფიროსმანი „ორთაჭალის ტურფა“



ნიკო ფიროსმანი „ხუთი თავადის ქეიფი“



ნიკო ფიროსმანი „გვიმრაძეების ქეიფი“



ნიკო ფიროსმანი „ოჯახური არიფანა“



ნიკო ფიროსმანი „სამი თავადის ქეიფი“



ნიკო ფიროსმანი „ქეიფი დათიკო ზემელთან“



ნიკო ფიროსმანი „მეთევზე
(წითელ პერანგში)“



ნიკო ფიროსმანი „მეთევზე“



ნიკო ფიროსმანი „შავი ლომი“



ნიკო ფიროსმანი „დედა ღორი გოჭებით“



ნიკო ფიროსმანი „შავი ლომი“



ნიკო ფიროსმანი „აქტრისა მარგარიტა“



ნიკო ფიროსმანი „ვირის ხიდი“



ნიკო ფიროსმანი „მეუზოვე“



ნიკო ფიროსმანი
„ნიკო ფიროსმანის პორტრეტი“



ნიკო ფიროსმანი „კახეთის ეპოსი“



ნიკო ფიროსმანი „გიორგობა ბოლნისში“



ნიკო ფიროსმანი „კრწანისი“



ნიკო ფიროსმანი „კრწანისი“

ფრანკ მაისლერის კოლექცია აჭარის ხელოვნების მუზეუმიდან
Frank Meisler's collection from the Ajara Art Museumcollection Museum

რატი ჩიბურდანიძე

სსიპ ჭარის მუზეუმი, აჭარის ხელოვნების მუზეუმი
სახვითი ხელოვნების კოლექციების კურატორი
პროფესორი

RATI CHIBURDANIDZE

LEPL Ajara Museum

Curator of Fine Art Collections at Ajara Art Museum

Professor

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2024.01.002>

აბსტრაქტი: 2009 წლის ოქტომბერში აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ხელოვნების მუზეუმს გადასცა გამოჩენილი ებრაელი მოქანდაკის ფრანკ მაისლერის ნამუშევრების სოლიდური კოლექცია. ეს მრავალფეროვანი კრებული 73 ექსპონატს მოიცავს, რომელშიც თავმოყრილია ავტორისათვის დამახასიათებელი თემატიკური კომპოზიციები, ყოფითი სცენები, ინდივიდუალური პორტრეტული სახეები, ბიბლიური სიუჟეტები, სხვადასხვა საკულტო ნივთები, დეკორატიული დანიშნულების საგნები, ანიმალისტური ჟანრის ნიმუშები.

გამოჩენილი მოქანდაკე ფრანკ მაისლერი დაიბადა აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქ დანციგში 1929 წელს(ახლანდელი გდანსკი, პოლონეთი). მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, რამდენიმე თვით ადრე, სხვა ებრაელ ბავშვებთან ერთად,«ქინდერტრანსპორტინგმა» მომავალი ხელოვანის ინგლისში გამგზავრება მოახერხა, მთელი მისი ოჯახი კი ჰოლოკოსტის კატასტროფას შეეწირა. სხვადასხვა დროს ის ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციაში (BBC) მსახურობდა, მიიღო არქიტექტორის ხარისხი მანჩესტერის უნივერსიტეტში. 1960 წელს ფ.მაისლერი საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა, მისი სახლი და გალერეა ძველი იაფოს მხატვართა კვარტალში მდებარეობს.1999 წ. ჩეხეთის ხელოვნების აკადემიამ შემოქმედებითი მიღწევებისთვის ხელოვანს ფრანკ კაფკას სახელობის ოქროს მედალი მიანიჭა. ფრანკ მაისლერი გარდაიცვალა 2018 წელს თელ-ავივში.

ხელოვნების მუზეუმში დაცული ფ. მაისლერის ნაწარმოებები განეკუთვნება ქანდაკების, მცირე პლასტიკის და დეკორატიული ხელოვნების დახვეწილ ნიმუშებს, რომლებიც პირობითად შემდეგ კატეგორიებს აერთიანებს,ესენია: ე.წ. «ინდივიდუალური სკულპტურები“, «უნივერსალური ხელოვნება» და „იუდაიკა“.

საკვანძო სიტყვები: ქინდერტრანსპორტი, უნივერსალური ხელოვნება, იუდაიკა, ბიბლიური, მოოქრული.

Abstract: In October 2009 a substantial collection of works by the renowned Jewish sculptor Frank Meisler was gifted to the Ajara Art Museum by the Ministry of Finance and Economy of the Autonomous Republic of Ajara. This diverse collection of 73 exhibits includes thematic compositions characteristic of the author, scenes of everyday life, individual portrait sculptures, biblical stories, various cult artifacts, decorative objects, examples of the animalistic genre.

The famous sculptor was born in Danzig (now Gdansk, Poland) in East Prussia in 1929. Several months prior to the outbreak of the Second World War the future artist together with other Jewish children was evacuated by the Kindertransport to England. All his family fell victim to the Holocaust catastrophe. At different times Frank Meisler worked for the BBC. He earned a bachelor's degree in architecture from the University of Manchester. In 1960 Frank Meisler moved to Israel. The sculptor's house and gallery are located in the artists' quarter of the Old City of Jaffa. In 1999 the sculptor was awarded the Franz Kafka Gold Medal for his creative achievements by the Czech Academy of Art. Frank Meisler died in Tel Aviv in 2018.

The works kept at the Art Museum include exquisite pieces of sculpture, small plastic and decorative art and conditionally fall into the following categories: so called “individual sculptures”, “Universal art” and “Judaica”.

Original compositional thinking, a sense of time, unique ability of eloquent comprehension of character and moods of different types are characteristic features of Frank Meisler's creative work, which is accompanied by mild irony as well as a sharp sense of humour. A mention should be made that in author's works a special expressive effect is achieved through the use of polychromatic method and inlay based on combinations of non-ferrous metals, silver plated or gilded details on surfaces of subjects and semi-precious stones. All this clearly represents the artist's original style and individual manner.

Key words: Kindertransport, Universal Art, Judaica, Biblical, Gilded

2009 წლის ოქტომბერში აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ხელოვნების მუზეუმს გადასცა გამოჩენილი ებრაელი მოქანდაკის ფრანკ მაისლერის ნამუშევრების სოლიდური კოლექცია. ეს მრავალფეროვანი კრებული 73 ექსპონატს მოიცავს, რომელშიც თავმოყრილია ავტორისათვის დამახასიათებელი თემატიკური კომპოზიციები, ყოფითი სცენები, ინდივიდუალური პორტრეტული სახეები, ბიბლიური სიუჟეტები, სხვადასხვა საკულტო ნივთები, დეკორატიული დანიშნულების საგნები, ანიმალისტური ჟანრის ნიმუშები.

გამოჩენილი მოქანდაკე ფრანკ მაისლერი დაიბადა აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქ დანციგში 1929 წელს (ახლანდელი გდანსკი, პოლონეთი). მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, რამდენიმე თვით ადრე, სხვა ებრაელ ბავშვებთან ერთად, «ქინდერტრანსპორტინგმა» მომავალი ხელოვანის ინგლისში გამგზავრება მოახერხა, მთელი მისი ოჯახი კი ჰოლოკოსტის კატასტროფას შეეწირა. სხვადასხვა დროს ის ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციაში (BBC) მსახურობდა, მიიღო არქიტექტორის ხარისხი მანჩესტერის უნივერსიტეტში. 1960 წელს ფ. მაისლერი საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა, მისი სახლი და გალერეა ძველი იაფოს მხატვართა კვარტალში მდებარეობს.

ფრანკ მაისლერის სიმბოლური თუ მემორიალური ხასიათის ნამუშევრები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მოქანდაკის მონუმენტური სკულპტურული ნაწარმოებები აღმართულია თელ-ავივში, იერუსალიმში, ლონდონში, ბერლინში, როტერდამში, კიევში, გდანსკში და ა. შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრინჯაოში ჩამოსხმული ჯგუფური კომპოზიციები: «მოგზაურობა სიცოცხლისკენ – მოგზაურობა სიკვდილისკენ» (ბერლინი. 2008), «ქინდერტრანსპორტი – გამგზავრება» (გდანსკი. 2009), «სიცოცხლის არხის გადალახვა» (როტერდამი. 2011) და სხვ., რომლებშიც ხელოვანი პატივს მიაგებს ჰოლოკოსტის მსხვერპლი 1,6 მილიონი ბავშვის ხსოვნას და იმ 10 ათასი გადარჩენილი ბავშვის სიცოცხლეს, რომლებიც ქინდერტრანსპორტის (გერმ. Kindertransport - ბავშვებისთვის განკუთვნილი ტრანსპორტი) სამშველო ოპერაციის წყალობით დიდმა ბრიტანეთმა შეიფარა. 1996 წ. გამოიცა მაისლერის ავტობიოგრაფიული წიგნი «ვისლადან აღმოსავლეთით», რომელშიც აღწერილია მხატვრის ცხოვრება დანციგსა და ინგლისში. 1999 წ. ჩეხეთის ხელოვნების აკადემიამ შემოქმედებითი მიღწევებისთვის ხელოვანს ფრანკ კაფკას სახელობის ოქროს მედალი მიანიჭა. ფრანკ მაისლერი გარდაიცვალა 2018 წელს თელ-ავივში.

ხელოვნების მუზეუმში დაცული ფ. მაისლერის ნაწარმოებები განეკუთვნება ქანდაკების, მცირე პლასტიკის და დეკორატიული ხელოვნების დახვეწილ ნიმუშებს, რომლებიც პირობითად შემდეგ კატეგორიებს აერთიანებს, ესენია: ე. წ. «ინდივიდუალური სკულპტურები», «უნივერსალური ხელოვნება» და «იუდაიკა». აღსანიშნავია, რომ ამ კოლექციის თითოეულ ექსპონატს გააჩნია მისთვის შესაფერისი რუხი მარმარილოს სადგამი, სერიული ნომერი და მოოქრული ეტიკეტი (ნამუშევრის სახელწოდება, ავტორი, ქვეყანა).

აღსანიშნავია, რომ ფ. მაისლერის «ინდივიდუალური სკულპტურების» თემატიკას უპირატესად გამოჩენილ ადამიანთა მხატვრული სახეები განსაზღვრავს: «პაბლო პიკასო», «ზიგმუნდ ფროიდი», «ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი», რომლებიც სუბიექტური სახვითი ინტერპრეტაციით და ორიგინალური კომპოზიციური გააზრებით ხასიათდება.

რუხი მარმარილოს მოძრავ სადგამზე დგას ხანში შესული პაბლო პიკასო, რომელსაც ზოლებიანი მაისური და შორტები აცვია. მხატვარს მარჯვენა ხელში მოოქრული ფუნჯი უჭირავს, ხოლო მარცხენაში – მისი ცნობილი მუხის, ფოტოგრაფ დორა მაარის პორტრეტი, სურათის ზედა მარცხენა კუთხეში

მოოქრული ავტოგრაფია – Picasso. პერსონაჟის თავი მოძრავი ელემენტით უკავშირდება სხეულს, ტანზე დატანებული ერთგვარი კარედი კი იხსნება. ფიგურის შიგნით ერთგვარი პასტორალური სცენა ვითარდება - ცენტრში მოთავსებულია მოოქრული მოზანავე ქალი ოვალური სარკით და მის უკან მჯდომი მითოლოგიური სატირი, რომელიც ფლეიტას უკრავს. მარცხენა კარედის შიგნითა მხარეს გამოსახულია პიკასოს კუბისტური ნატურმორტი, მარჯვენაზე კი წარმოდგენილია ხარის მოოქრული გამოსახულება წარწერით – Tauromachia (ტავრომაქია – ესპ. ხარების ბრძოლა). ნიშანდობლივია, რომ აქ ყოველი ზემოაღნიშნული დეტალი თავისებურად ეხმიანება XX საუკუნის ამ გენიალური ხელოვანის შემოქმედების სხვადასხვა ეტაპს, რაც გარკვეული თვალსაზრისით მხატვრის ცხოვრებისეულ გზასაც ასახავს.

ზიგმუნდ ფროიდი სავარძელში ზის. ფსიქოანალიზის ფუძემდებელს მარჯვენა ხელი მის გვერდით მჯდომარე ქალის ტორსზე აქვს შემოხვეული, მარცხენაში მოოქრული სიგარა უჭირავს და მოოქრული პენსნე უკეთია. ქალის ფეხებგაჩაჩხული ფიგურა მოშიშვლებული მკერდით, რომელსაც არც თავი და არც ხელები არ გააჩნია, ამავდროულად თავადაც წარმოადგენს ერთგვარ სიმბოლურ სავარძელს, რომელზეც წიგნია დადებული. ცნობილია, რომ ამგვარი სკამი, რომელიც ე. წ. «ედვარდიანული ეროტიკის» სტილს განეკუთვნება, ფროიდს საკუთარ საწერ მაგიდასთან ედგა. ფსიქოთერაპევტის თავი მოძრავი ელემენტით უკავშირდება სხეულს, ტანზე დატანებული კარედია, რომელიც იხსნება. შიგნით მოთავსებულია ბერძნული პეპლოსით მოსილი ფიგურა თეატრალური ნიღბებით, რაც ფროიდის ანტიკური სამყაროთი გატაცების თუ ტრაგედიების მეცნიერული კვლევის ერთგვარი ნიშანია, აქვეა მდგომარე მამაკაცი, რომელიც ზურგის მხრეს გაჭრილი სარკმლიდან იყურება, სარკმლის ფრონტონის ქვემოთ შემდეგი წარწერაა - Herr Doktor Jung (ბატონი დოქტორი იუნგი). ეს საინტერესო დეტალი სავარაუდოდ მასსა და კარლ გუსტავ იუნგს შორის მოგვიანებით მომხდარი განხეთქილების თავისებური ალუზიაა. ფროიდის თავში, კეფის მხრიდან, მოთავსებულია ბიბლიური მოსეს ფიგურა, რომელსაც სჯულის ფიქლები უჭირავს, ყოველივე ფროიდის ებრაულ წარმომავლობას უსვამს ხაზს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვადასვა სახის სიმბოლურ-ალეგორიული დეტალების გამოყენებით ფ. მაისლერი ამ ნამუშევარშიც ცდილობს თავისებურად გადმოსცეს პერსონაჟისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები, გამოავლინოს ამ ინტელექტუალური ადამიანის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები.

იგივე სტილისტური მეთოდით არის წარმოდგენილი დიდი ფრანგი პოსტ-იმპრესიონისტი ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი. პერსონაჟს პალტო და ზოლებიანი შარვალი აცვია, მარჯვენა ხელში მოოქრული სიგარა უჭირავს, მარცხენაში, რომელიც ზურგს უკან აქვს წაღებული, თხის თავიანი ტროსტი. ხელოვანს ნახევრადმევრფასი ლურჯი ქვით გაფორმებული მოოქრული ჰალსტუხი და მოოქრული პენსნე უკეთია, პალტოს საყელოზე მოოქრული ვარდი აქვს მიბნეული თავზე კი ცილინდრი ახურავს. აქაც, ისევე როგორც წინა ნიმუშებში, პალტოს კარედის ფუნქცია აქვს მინიჭებული, რომელიც იხსნება. ფიგურის შიგნით პარიზული ყოფის ამსახველი სხვადასხვა ტიპის დეკორატიული კომპოზიციებია. მარცხენა კარედზე მოთავსებულია პოპულარული საესტრადო მომღერლის ივეტ გილბერის ფიგურა, რომელიც ლოტრეკს არაერთხელ ჰყავს დახატული, მარჯვენა კარედზე კი ფანჯარასთან მდგომი ქალი კატი. ცილინდრში, უკანა მხრიდან, მოთავსებულია სარკის წინ მჯდომი შიშველი ქალის განზოგადებული ფიგურა, რომელიც შესაძლოა მხატვრის ბოჰემურ ცხოვრებასთან იყოს ასოცირებული.

კატეგორია «უნივერსალური ხელოვნება» აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ამსახველ ჟანრულ თუ ყოფით სცენებს: «ორკესტრი», «ადვოკატი ქალი», «საქმიანი ქალი», «ბალანსის შედგენა», «ექიმი სახლში» და ა. შ.

«ორკესტრი» მრავალფიგურიანი კომპოზიციანია, რომელშიც ნაციონალურ ებრაულ სამოსში გამოწყობილი ოთხი პერსონაჟი მუზიკირების პროცესშია წარმოგვეჩინოს, მათ გრძელი კულულები ე. წ. პეისები ამშვენებს, რაც ორთოდოქს ებრაელთა ვარცხნილობის ტრადიციული ელემენტია. საქსოფონისტის, ვიოლონჩელისტის, აკორდეონისტის და ტრომბონისტის დინამიკურ პოზებში ვლინდება, რომ მუსიკოსები რიტმულ, მხიარულ მელოდიას ასრულებენ. საინტერესოა «ადვოკატი ქალი», რომელსაც ზეაწეულ ხელში აფრიალებული მოოქრული ფურცელი უჭირავს წარწერით – WRIT (აქტი, ორდერი, აკრძალვა). მარცხენა იდაყვით ის მართლმსაჯულების ქალღმერთის თემიდას სკულპტურას ეყრდნობა, რომელსაც მოოქრული პინებიანი სასწორი უჭირავს, ხოლო თავზე სქელი

წიგნები ადევს წარწერით – LAW (კანონი, სამართალი, იურისპრუდენცია). ადვოკატი შემოსილია პროფესიული მანტიით, რომელზეც სხვადასხვა იურიდიული ტერმინები იკითხება: CRIMINAL, DAMAGES, COMPLAINT, PROCEDURE, TORT, VERSUS The... ერთგვარი გროტესკული ელფერით არის აღბეჭდილი «საქმიანი ქალი», რომელიც ზედმიწევნით დინამიკურ პოზაშია წარმოდგენილი – პერსონაჟი ცალი ფეხით სკეიტბორდზე დგას და დიდი სიჩქარით მიჰქრის. გულზე ე.წ. “კენგურუში” ჩასმული ბავშვი ჰყავს მიკრული, რომელიც დედას მობილურ ტელეფონს უკავებს, ქალს წინ გაწვდილ მარცხენა ხელში საქალაქო პორტფელი, უკან გაწეულ მარჯვენაში კი დიდი ჩანთა უჭირავს, რომელშიც სხვადასხვა სახის პროდუქტია ჩალაგებული. ზურგის მხრიდან პერსონაჟს დატანებული აქვს ერთგვარი ნიშა, რომელშიც ფაქსის აპარატია მოთავსებული. თავისი შინაარსობრივი დატვირთვით ამ ნამუშევარს გარკვეულწილად ეხმიანება კომპოზიცია «ბალანსის შედგენა», რომელშიც მოცემულია საოფისე მაგიდასთან მჯდომი სათვალისანი მამაკაცის ფიგურა, იგი ტელეფონზე ლაპარაკობს და ამავდროულად, პოზიდან გამომდინარე, სხვა საქმეებშიც არის ჩართული. მაგიდის მარცხენა კიდეში დევს კომპიუტერი, აწყვია ბევრი საკანცელარიო ნივთი: წიგნები, საანგარიშო, ტელეფონი და ა.შ. პერსონაჟის თავი და ტანი ერთმანეთს მოძრავი ელემენტებით უკავშირდება. ზურგის მხრიდან მას დატანებული აქვს ერთგვარი ნიშა, რომელშიც ფაქსის აპარატია მოთავსებული. სკულპტურის სადგამის მარჯვენა კუთხეში დევს დაკეცილი გაზეთი მოოქრული წარწერით – WALL STREET JOURNAL – ეს გავლენიანი ამერიკული გაზეთი, რომელშიც ყოველდღიურად იბეჭდება სიახლეები პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და ფინანსებზე ნათლად მეტყველებს ამპიროვნების საქმიან ინტერესებზე. ორიგინალური კომპოზიციური გადაწყვეტით ხასიათდება «ექიმი სახლში». ექიმის ფიგურა ცალი ხელით საწოლის თავს ეყრდნობა, მეორე ხელში კი, რომელიც ზურგს უკან აქვს წაღებული, მოოქრული შპრიცი უკავია. პერსონაჟის თავი მოძრავი ელემენტით უკავშირდება სხეულს, მას მოოქრული ფონენდოსკოპი, ჰალსტუხი და პენსნე უკეთია. საწოლზე მიმაგრებულია სამედიცინო მონიტორი კარდიოგრამის გამოსახულებით, ხოლო ქვემოთ პაციენტის ტერფები მოჩანს. წინა მხრიდან მამაკაცის ფიგურაში დატანებული კარედია, რომელიც იხსნება. შიგნით ერთგვარ გამჭოლ ღიობში მოთავსებულია შიშველი ქალის მოოქრული ფიგურა. ამდენად, ამ ნამუშევრებში, სკულპტორი თავისებურად ეხმიანება იმ აქტუალურ პრობლემატიკას, რაც თანამედროვე ადამიანისთვის ყოველდღიურ რეალობად თუ რუტინად იქცა – გლობალიზაცია, მეცნიერულ ტექნიკური პროგრესი, ცხოვრების დაძაბული, დინამიკური რიტმი და ა. შ.

კატეგორია «იუდაიკა» მოიცავს ნიმუშებს, რომელთა ჟანრული დიაპაზონი ბიბლიური პერსონაჟების, სხვადასხვა სახის დეკორატიული, სიმბოლური თუ საკულტო დანიშნულების საგნების გამოსახულებებით განისაზღვრება: «დალილა», «მეფე დავითი და ბერსაბე», «ნოეს კიდობანი», «ცხოვრების ხე», «იერუსალიმი» და სხვ.

სამსონის სატრფოს, ფილისტიმელი ქალის «დალილას» მხატვრული სახე ერთ-ერთი საინტერესოა ოსტატის მიერ ბიბლიურ თემატიკაზე შესრულებულ მრავალფეროვან ნიმუშებს შორის. პერსონაჟის მჯდომარე ფიგურა მრავლად შეიცავს მოძრავ ელემენტს, რითაც ის გარკვეულ დინამიკურობას იძენს – სკულპტურის ხელები, ფეხები, მკერდი, გლობუსი მოძრაობაში მოდის. მარცხენა ხელის გულზე ქალს გლობუსი უდევს, რომლის ნახევარსფერო სტილიზებულ პორტრეტულ გამოსახულებას წარმოადგენს, მარჯვენა ხელში კი ნიღაბი უჭირავს, რომელიც ამავდროულად მისი სახეც არის. მოხსნილი ნიღბის მიღმა მცირე ზომის სიუჟეტური კომპოზიცია იკითხება – დამტვრეულ კოლონებს შორის გამოსახულია მოოქრული შიშველი ქალის მოცეკვავე ფიგურა, კიბეზე კი მოოქრული კატა ზის. ნიშანდობლივია, რომ ეს პიკანტური სცენა თავისებურად ეხმიანება ბიბლიურ სიუჟეტს, როცა ფილისტიმელების მიერ მოსყიდული დალილა მის მუხლებზე ჩაძინებულ სამსონს თმას შეაჭრის და ამით საოცარ ფიზიკურ ძალას დააკარგვინებს. დამტვრეული კოლონები ალბათ ამ ბიბლიური ამბის ფინალურ სცენასთან არის დაკავშირებული, როცა იეჰოვამ მას ძალა დაუბრუნა და სამსონმა ფილისტიმელების ღვთის ტაძარი ნანგრევებად აქცია.

ორფიგურიანი დეკორატიული კომპოზიცია «მეფე დავითი და ბერსაბე» გამოსახავს ბიბლიური მეფე დავითის და მისი ცოლის ბერსაბეს ბანაობის სცენას. ბიბლიის მიხედვით დავითმა ბერსაბეს პირველი ქმარი – ხეთელი ურია მოაკვლევინა და ცოლის მის ადონიას ნაცვლად ტახტის მემკვიდრედ მისი შვილი სოლომონი გამოაცხადა. წვეროსან მამაკაცს, ნიღბისებური სახით, თავზე მოოქრული

გვირგვინი ადგას, რომელიც მოლურჯო ნახევრადგვირფასი ქვითაა გაფორმებული, მარჯვენა მკლავზე მოოქრული სამაჯური უკეთია, მარცხენა ხელში კი ყურძნის მტევანი უჭირავს. პერსონაჟს ზურგის მხარეს აქვს ერთგვარი კამაროვანი ნიშა, რომელშიც მეფური ძლევამოსილების სიმბოლო – მოოქრული ლომია მოთავსებული. მოპირდაპირე მხარეს მჯდომი ბერსაზე ქნარს უკრავს, რომელსაც დრაკონისმაგვარი სტილიზებული თავი აქვს. ქალს მოოქრული ყელსაბამი, დიადემა და საყურე ამშვენებს. ორივე ფიგურის თავი მოძრავი ელემენტებით უკავშირდება სხეულებს, რაც ნამუშევარს თავისებურ გამომსახველობას ანიჭებს.

დეკორატიული კომპოზიცია «ნოეს კიდობანი» წარმოადგენს ერთგვარ ზარდახმას, რომელიც ამ ბიბლიური თემის ავტორისეული ინტერპრეტაციაა. საღვთო წერილის მიხედვით ცოდვით დაცემა, ხსნა, სულიერი დამკვიდრება და კვლავ აღმოცენება ბიბლიურ სჯულის კიდობანშია გაცხადებული, რომელიც ისრაელიანთათვის ღმერთის მიწიერ საუფლოდაა მიჩნეული. ამგვარად საკრალიზებული საგნისგან განსხვავებით, ნოეს კიდობნის სიმბოლიკაში ფუნქციონალური ასპექტიც იკვეთება: კიდობანი – ხომალდი – სკივრი. ბიბლიური წარღვნის ეს უპირობო არქექტიპი დედამიწაზე სიცოცხლის წალეკისა და ხელახალი აღმოცენების მარადიული სიმბოლოა. ამ ორიგინალური ნამუშევრის ზედა ნაწილში გამოსახულია არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც შესაძლოა პირობითად იერუსალიმის ოქროს კარიბჭეს ასახავდეს, ქვედა ნაწილს კი სტილიზებული გემის ფორმა აქვს, სადაც სხვადასხვა სახეობის ცხოველები, ფრინველები, თევზებია განთავსებული. კომპოზიციის ცენტრში დატანილია კარები, რომლის შიგნით ნოეს ფიგურაა გამოსახული. შიგნიდან ზარდახმის სახურავს აქვს წარწერები ივრითზე და ინგლისურ ენებზე: «და გაიხსენა ღმერთმა ნოე და ყველა ცოცხალი არსება და ყველა პირუტყვი, რომელიც კიდობანში იყო მასთან ერთად». დაბადება 8.1

სხვადასხვა კულტურული ტრადიციის მიხედვით «ცხოვრების ხე» სამყაროს შექმნის მეტაფორად გარდაისახა, რომელიც წმინდა მთაზე ან სამოთხეში იზრდება. ეს დეკორატიული კომპოზიცია, რომელიც მოოქრული ფრინველებით და ყურძნის მტევნებით დახუნძლულ ხეს წარმოადგენს, მრავალფეროვან სიმბოლიკას შეიცავს, კერძოდ: ხის ტანზე შემოხვეული გველი სპირალურ მოძრავ ენერგიას განასახიერებს, ტოტებზე შემომჯდარი ფრინველები ზეცით წარმოვლენილ სულებს, ვაზი კი ბუნების სიუხვის ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა. ნიშანდობლივია, რომ ძველ აღთქმაში ვაზმა განასახიერა «ხე ცხოვრებისა». ეს არის პირველი მცენარე, რომელიც ნოემ წარღვნის შემდეგ დარგო, ხოლო გამოსვლათა წიგნში – პირველი ნიშანი იმისა, რომ ეგვიპტიდან გამოსულმა ებრაელებმა აღთქმულ მიწას მიაღწიეს. ნამუშევრის წინა მხრიდან ხის ვარჯი იხსნება, რომლის შიგნით სასანთლებია მოთავსებული.

სფერული ფორმის განზოგადებული კომპოზიცია «იერუსალიმი» რუხი მარმარილოს სამსაფეხურიან ექვსწახნაგა სადგამზეა მოთავსებული, რომელიც საყრდენი ღერძის გარშემო ტრიალებს და სიმბოლურად ქალაქ იერუსალიმს გამოსახავს. ნამუშევრის ექვსწახნაგა სადგამი ბადებს გარკვეულ ასოციაციას დავითის ვარსკვლავთან – ჰექსაგრამასთან, რაც იუდაიზმის გრაფიკული ნიშანია და უძველესი დროიდან სულისა და მატერიის კავშირს განასახიერებს. თავისთავად სფერო სამყაროს უნივერსალური მოდელია. ეს 3 ათას წლოვანი ქალაქი, რომელიც სამი ძირითადი მონოთეისტური რელიგიის – იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის სამშობლოა, შედგება სხვადასხვა ისტორიული ნაგებობების ამსახველი დეტალებისაგან: გალავნები, კარიბჭეები, სინაგოგები, მინარეთები, ეკლესიები, სახლები და ა.შ. კომპოზიციას აგვირგვინებს ცნობილი კლდის მეჩეთი, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი არქიტექტურული დომინანტია.

ამგვარად, წარმოდგენილი ნიმუშების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფრანკ მაისლერის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ორიგინალური კომპოზიციური აზროვნება, დროის შეგრძნების, ტიპაჟების მკაფიოდ გამოვლენილი ხასიათის წვდომის და განწყობილების გადმოცემის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული უნარი, რასაც თან ახლავს მსუბუქი ირონია თუ მახვილი იუმორი. აღსანიშნავია, რომ ნამუშევრებში ავტორი ზედმიწევნით გამომსახველობით ეფექტს პოლიქრომული მეთოდის და ინკრუსტაციის გამოყენებით აღწევს, რაც ფერადი ლითონების, საგნების ზედაპირების მოოქრული თუ მოვერცხლილი დეტალების და ნახევრადგვირფასი ქვების კომბინაციებით არის განპირობებული. ყოველივე ეს ხელოვანის ორიგინალურ სტილს და ინდივიდუალურ ხელწერას მთელი სისრულით წარმოაჩენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე ზ. , ელაშვილი ქ. 2006. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია ტ. I, გამომცემლობა ბაკმი. თბილისი
2. აბზიანიძე ზ. , ელაშვილი ქ. 2007. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია ტ. I I, გამომცემლობა ბაკმი. თბილისი
3. Frank Meisler, 2009. Universal Art, Judaica – Catalogue. Production by Itzuvim –
4. <https://frank-meisler.com/ru/>
5. <https://frank-meisler.com/ru/history/>



პიკასო



მეფე დავითი და ბერსაბე



ტულუზ-ლოტრეკი



ფროიდი



დალილა



საქმიანი ქალი



ექიმი სახლში



ადვოკატი ქალი



ცხოვრების ხე



ორკესტრი



ბალანსის შედგენა



ნოეს კიდობანი



იერუსალიმი

ფერადი მეტალურგიის მოპოვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული რიგი
სიახლეების შესახებ

About a news related to extraction and processing of non-ferrous metallurgy

ემზარ კახიძე

სსიპ აჭარის მუზეუმი, ამირან კახიძის სახელობის
აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი, პროფესორი

EMZAR KAKHIDZE

*LEPL Ajara Museum, Head of Amiran Kakhidze Ajara
Archaeological Museum, Professor PhD in Archaeology*

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2024.01.004>

აბსტრაქტი: საქართველო კეთილშობილი ლითონების მოპოვების და დამუშავების ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლება მსოფლიოში. ამას ადასტურებს სტრაბონის, მარკუს ტერენციუს ვარონის, პლინიუს უფროსის, აპიანეს, ევსტათი თესალონიკელის და სხვათა ცნობები. საინტერესოა, რომ საწმისზე მსჯელობისას ანტიკური და შუასაუკუნეების ავტორები მაშინვე სვანებს ახსენებენ, რომლებიც მცირე და დიდ მდინარეებში ცხვრისტყავიანი დახვრეტილი ფიცრებით ოქროს აგროვებდნენ. სვანურ ხალხურ გადმოცემებშიც ხშირად გვხვდება ოქროვანი მდინარეების სახელები, იქ ძვირფასი ლითონების მოპოვების ხერხების აღწერები ან ეკლესიებში თუ ქალებში განძების, ოქროს ნატეხების და სხვ. პოვნის ისტორიები. განძეულობისა და ჩანქერებისა თუ რგოლების თემა პოპულარულია ზედა მაჭახელშიც. აჭარაში განხორციელებული კვლევებით დგინდება, რომ ძველი მეღვინეობის მსხვილი წარმოების პარალელურად პატარა ზომის გობებსა და უსისტემოდ განლაგებულ წვრილ არხებში მითის ნაკადულებით ჩამორეცხილ ალუვიურ ქვიშრობებში შემავალ ოქროსა და სხვა სახის ფერადი ლითონებსაც აგროვებდნენ. დგინდება, რომ საწმისის ფენომენი ცივილიზირებულმა სამყარომ ანტიკურობამდე გაცილებით ადრე გაიცნო. ჯერ კიდევ ცნობილმა ხეთოლოგმა გრიგოლ გიორგაძემ მიაქცია ყურადღება ხეთების ძველი სამეფოს (ძვ.წ. 1650-1500 წწ) დროინდელ ტერმინ kurša-ს, რომელიც შუმეროგრამა უნდა იყოს და kuš-იდან - ტყავიდან (იხ. შუმერული მითის „ნანშე და ჩიტების“ 52-ე სტრიქონი) უნდა მომდინარეობდეს. აღმოსავლეთმცოდნე ნინო სამსონიამ დაადგინა, რომ ის munšub კომპოზიტის ლურსმულ ნიშანს ემთხვევა, რომელიც ჯერ კიდევ „ენმერქარი და არათას ბატონის“ (დაახლ. ძვ.წ. XXI ს) 423-ე სტრიქონში მოხსენიებულია როგორც „თმით დაფარული“ ხელსაწყო. მისი აზრით, შესაძლებელია, რომ მუნშუბ საწმისად მივიჩნიოთ, რომელიც ალქიმიის რიტუალში გამოიყენება ოქროსთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: ოქროს საწმისი ძველადმოსავლურ წყაროებში; ანტიკური და შუა საუკუნეების ავტორები; სვანეთში დაცული ეთნოგრაფიული ცნობები.

Abstract: Georgia is considered one of the oldest centers of mining and processing of precious metals in the world. This is confirmed by the reports of Strabo, Marcus Ternetius Varon, Pliny the Elder, Appian, Eustathius of Thessalonica, etc. On the example of Svaneti, it is visible the ancient empirical knowledge in collecting of precious metals using sheepskin. Apparently, knowledge similar to those is widespread in the civilizations of both the Ancient Near East and the Aegean world. On this matter there are interesting the lines 420-434 of the Sumerian epic Enmerkar and the Lord of Aratta (ca. 21st century BC), which still remains obscure for researchers. Based on the context of the existing text, where only the presented words can be recovered from the damaged line: the king picked up an unknown object covered with hair - munšub. After twisting the munšub, he crushes the obtained material in a pestle like a plant. Here it becomes obvious that we are dealing with an unknown ritual of alchemy which is intertwined with the method of crushing metals. The next lines of the text tell us about the knowledge of obtaining certain materials, admixtures and chemical processes.

Key words: The Golden Fleece in Ancient Eastern sources; Classical and Medieval authors; Ethnographic

ადიარებულია, რომ საქართველო კეთილშობილი ლოთონების მოპოვების და დამუშავების ერთ-ერთ უძველესი კერაა (იხ. ბოჭორიშვილი, 1946: 283-289; ზუხბაია, 1995: 6-8; კვიციანი, 2011: 19-27; ბოჭორიშვილი, 2011: 190-196; Максимов, 1988: 9 და სხვ.), რისი დასტურია ცნობები ოქროს მოპოვების ხერხებზე როგორც ანტიკურ და ბიზანტიელ, ისე ევროპელ ავტორებთან, აგრეთვე ეთნოგრაფიული მონაცემები. ცალკე გამოსაყოფია ძველადმოსავლური წყაროები, სადაც, ოქროს საწმისი, მართალია ჩვენი ქვეყნის კონტექსტში არაა ნახსენები, მაგრამ ეს ფენომენი, რომ ბერძნებამდე გაცილებით ადრე უკვე ცნობილია, თვით ეს ფაქტი ძალზედ მნიშვნელოვანია.

უკვე ანტიკურ ლიტერატურაში უხვადაა ცნობები ოქროს საწმისსა და მის მოპოვების ტექნოლოგიებზე. სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ სვანეთის მთის მდინარეებს ჩამოაქვთ ოქროს ქვიშა, რომლებსაც ადგილობრივები დახვრეტილი ვარცლებით და ბეწვიანი ტყავებით აგროვებენ (X, I, 19). მარკუს ტერენციუს ვარონი (ძვ.წ. I ს) ხშირად ასახელებს ქრიზოროას, ოქროს მომტან მდინარეს, მათ შორის თერმოდონტის (თანამ.თერმეჩაი) ქვეყანაში (I, 10), რომელშიც, უდაოდ, ხალიბების მიწა უნდა იგულისხმებოდეს. პლინიუს უფროსის თანახმად, „კოლხებთან მეფობდა სავლაცი, აიეტის შთამომავალი, ამბობენ, რომ სვანეთის ქალწულებრივი მიწიდან ამოიღო ბევრი ვერცხლი და ოქრო. გარდა ამისა მისი მიწა ცნობილია ოქროს საწმისებით“ (NH, XXXIII, 52). ახ.წ. II ს მწერალი აპიანე აღნიშნავს: „აქ მრავალ ნაკადულს ოქროს მქონე ქვიშა ჩამოაქვს, ადგილობრივი მოსახლეობა მათ რეცხავს და სქელმატყლიანი ცხვრის ტყავების მეშვეობით აგროვებს“ (Hist. Romana, I, 103). ახ.წ. XII ს მწერალი ევსტათი თესალონიკელი თავის კომენტარებში მოკლედ იმეორებს სტრაბონის ნაამბობს, თუმცა ოქროს შეგროვების ხერხზე საუბრისას მხოლოდ ცხვრის ტყავს ახსენებს (Eust. Thess. Comm. Hom. II., 1, 19)¹.

ცნობილი გერმანელი სამთო მეტალურგი და გეოლოგი გეორგიუს აგრიკოლა 1546 წ გამოცემულ ნაშრომში: De veteribus et novis metallum აღნიშნავდა, რომ ზოგიერთი ძველი ავტორის თანახმად სპილენძის გამოჭედვა და რკინის აღმოჩენა ხალიბებს მიეწერება. აპიანეს და სტრაბონის თანახმად, პატარა და დიდ მდინარეებს ჩამოჰქონდათ ოქროს წვრილი ქვიშა და იქ მცხოვრებნი აგროვებდნენ მათ ტყავების მეშვეობით (Агрикола, 1979: 29, 33). ის ციტირებს მარკუს ტერენციუს ვარონსაც, რომლის მიხედვით ლიდიამი, ტმოლუსის მთებიდან მოედინებოდა მდ.პაკტოლუსი (თანამ.სართჩაი), რომელსაც ქრიზოროა, ოქროს მომტანი დაარქვეს. ამ სახელის მდინარე ბითვინიაში, თერმოდონტის ქვეყანაში² და დეკაპოლისში, ისავრიაშიც იყო. სვანები (მათ იბერიელებს ეძახდნენ) ოქროს მცირე და დიდ მდინარეებში დახვრეტილი ფიცრების, რომლის ქვეშ ცხვრის ტყავებს აფენდნენ, მეშვეობით აგროვებდნენ. იქვე ვკითხულობთ: „კოლხეთი ძალზედ მდიდარი იყო ვერცხლით. ალიბა, როგორც ამბობს ჰომეროსი, „ვერცხლის საბადო“ იყო. სტრაბონი თვლიდა, რომ ჰომეროსს ხალიბების ქვეყანა ჰქონდა მხედველობაში“ (Агрикола, 1979: 46).

XVII ს ავტორები: არქანჯელო ლამბერტი (1938: 189), იაკობ რაინგესი (Reineggs, 1796: 138) და ჟან ბატისტ ტავერნიე (1974: 45) კავკასიის მთებში, განსაკუთრებით სამეგრელოსა და სვანეთში ოქროს, ვერცხლის და სხვა ლითონის არსებობაზე მიუთითებდნენ. ჟაკ-ფრანსუა გამბას თქმით, ოქროს მოპოვება სოხუმის მიდამოებშიც ხდებოდა (1987: 85). ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე აღნიშნავდა, რომ ცხენისწყალის და აბაშის ქვიშები ოქროს შემცველნი არიან (Dubois de Montpéreux, 1839: 18).

სვანურ ხალხურ გადმოცემებში ხშირად გვხვდება ოქროვანი მდინარეების სახელები, იქ ხშირია ძვირფასი ლითონების მოპოვების ხერხების აღწერები ან ეკლესიებში თუ ჭალებში განძების, ოქროს ნატეხების და სხვ. პოვნის ისტორიები. ოქროს თემა გვხვდება, აგრეთვე, სხვადასხვა თქმულებებში ამირანზე, დალიზე, ლეგენდარულ ქალაქ ნაკდერასა და სხვ. (იხ. ბოჭორიშვილი, 1946: 285-287; ბოჭორიშვილი, 2011: 194-195).

XX ს 30-იან წწ დასაწყისში სამთო საქმის ცნობილმა სპეციალისტმა ბორის დეგენ-კოვალევსკიმ ჭუბერის თემში მხატვრულად დამუშავებული ერთი გადმოცემა მოისმინა, რომლის მიხედვითაც

1. სწორედ მასთანაა ნახსენები რომ ბერძ. Χαλκός, სპილენძი ეთონიმ ხალიბის გენეტიკში ჩასმული ფორმიდან - ხალიბადანაა ნაწარმოები (1, 236) და რომ ალიბე ვერცხლის და რკინის სამშობლოა (2, 856).

2. აქ თერმოდონტი კავადოკიაშია დასახელებული, თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ ამ შემთხვევაშიც ხალიბების მიწა უნდა იგულისხმებოდეს.

წარსულში იქ წიაღისეული მადნით გამდიდრებული ხალხი ცხოვრობდა. სპილენძსა და რკინასთან ერთად ისინი ოქროსაც მოიპოვებდნენ და შორეულ თუ მახლობელ მეზობლებს სხვა საქონელში უცვლიდნენ. საშიშროების დროს ჭუბერელები ოქროსა და ოქროს ნაკეთობებს, მათ შორის ვერძის ნატურალური ზომის გამოსახულებას, ეკლესიაში მალავდნენ (Деген-Ковалевский, 1935: 319-320). მას სვანეთშივე ჩაწერილი აქვს სხვა გადმოცემა იმის შესახებ, რომ თითქოს ლაჟყვარას მთაზე ქვის სალოცავი იდგა მიწისქვეშა საწყობით, რომელშიც ოქრო ინახებოდა, მასში ოქროს ჯაჭვით ოქროს ვერძი ყოფილა დაბმული (იხ. Иессен, 1935: 189). სვანეთში მართლაც არის ნაპოვნი ჩამოსხმული ოქროს ვერძები (გაბლიანი, 1930). ოქროსაგან გამომერწილი ხარის ქანდაკება სვანეთიდან დღესაც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხარის ოქრომჭედლობის და, ზოგადად, მეტალურგიის განვითარების არქეოლოგიური მტკიცებულებები ბოლო დროს ფართოდ ჩაეშვა სამეცნიერო მიმოქცევაში (კვიციანი, 2011: 23-27; 2013: 45; 2016: 24).

განძეულობისა და ჩანქერებისა თუ გოლების თემა პოპულარულია ზედა მაჭახელშიც, რაც 2023 წ. 29-30 აგვისტოს სამეცნიერო მივლინებისას, ადგილობრივი მკვიდრისაგან, ნური მალაყმადისაგან პირადად მოვისმინეთ. ის საუბრობდა შანყაიას ჩანქერში თამარის მიერ გადამალულ განძზე, მარსკვლავის თუ საკისრიას გოლებზე და სხვ.

უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ სამთამადნო საქმიანობის კვალდაკვალ ფერადი ლითონების მეტალურგია აყვანილ იქნა ინდუსტრიულ დონემდე. 2014-2022 წწ აღმოჩენებით სახეზეა ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული მეგალითური კულტურის უნიკალური სახეობა. დასავლეთ საქართველოსა და თანამედროვე ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ოდესღაც მობინადრე მელითონეებს მდიდარი ჰიდროგრაფიული ქსელის თითქმის ვერტიკალურად დაქანებულ კლდე-ფლატეებში სხვადასხვა სიფართისა და სიღრმის ხელოვნური არხ-ჩანჩქერები ამოუკვეთიათ, რითაც წყლის ნაკადის კონცენტრირება და დარტყმის ძალის მკვეთრი გაზრდა ხდებოდა. როგორც წესი, ყველა მათგანს შედარებით სწორ ადგილებში ნაკვეთი გოლ-რეზერვუარები მოსდევდა. სწორედ ამ რეზერვუარებში ფლოტაციის მიზნით განუთავსებიათ მალარობიდან გამოტანილი ფუჭმინარევიანი მადნის ნატეხები. ადრეული საფეხურისთვის ლითონსადნობ ღუმელებში ღებობის პროცესის დაჩქარების მიზნით ამგვარად გასუფთავებული მეტალების დაქუცმაცება სპეციალურად დამზადებულ ქვის სანაყ-გობებში ხდებოდა. მას შემდეგ რაც აღმოსავლურ სამყაროში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება პოლიმეტალებზე, ნოვატორმა მელითონეებმა კვლავაც წყლის ენერგიის გამოყენებით დანერგეს სრულიად ახალი მეთოდები. ადრინდელი კუსტარული ქვის გობების კვალდაკვალ ფლოტაციაქმნილი მეტალის ქურაში ჩამოსასხმელად მომზადების მიზნით აღმართეს ხის სვეტი, რომლის თავზე ჰორიზონტალურად მაგრდებოდა ქანდარისებრი მოძრავი ძელი. მის ერთ ბოლოზე წყალგაუმტარი ჭურჭელი, მეორეზე კი ქვის ურო იკიდებოდა. მუშაობის პროცესის დაწყებისას წყლის გარკვეულ ნაკადს საგანგებოდ გამოთლილი ხის ღარით მიუშვებდნენ ჭურჭლის პირისკენ. დოზირებული ნაკადით ნელნელა ივსებოდა, ქვემოთკენ ეშვებოდა, შესაბამისად ქვის ურო ზემოთკენ მიემართებოდა. ჭურჭელი გავსებისა და კრიტიკულ ზღვართან მიახლოებისთანავე იღვრებოდა, ქვის ურო კი მოწყვეტით ეხეთქებოდა ქვის გობში ფლოტაციაქმნილ მადნის გორბ-ნატეხებს³. ამგვარად შრომის ნაყოფიერება თითქმის ინდუსტრიულ დონემდე ავიდა (კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016: 26-29, კატ. 21-27; კახიძე, 2019ა: 90-117; 2019ბ: 5-43; 2019გ: 17-58; 2021: 25-37, ტაბ. III/1-3,5, XVI/1-8, XXXIV/6,7, LVI/3-5, LIII/5; Kakhidze, Kakhidze, Chkhatarashvili, 2023: 115-118).

მეტალურგია კოლხეთში იმდენად განვითარდა რომ შუაბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. III ათასწ. ბოლო - II ათასწ. პირველი ნახევარი) ანატოლიელი მეზობლების - ხათების, ანუ პროტოხეთების დაინტერესება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებული მონაპოვრები მახვილაურიდანაა. აქ აღმოჩნდა ხათური კერამიკით გადავსებული ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულით უძრავი კულტურული ფენა⁴, რაც იქ ხათური კოლონიის სავარაუდო არსებობის მტკიცებულება უნდა იყოს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს უნიკალური მოვლენაა ახლო აღმოსავლეთის და, შეიძლება ითქვას, მსოფლიო არქეოლოგიაში, ვინაიდან

3. სარფის მეტალურგიული კერის ერთ-ერთ გობში სიგანეზე, in situ ბაზალტის ურო იდო

4. ძირითადად, შედგებოდა წითელი წერნაქით დაფარული სამეთუნეო ნაკეთობებით, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იანი წწ გამოჩნდა. ერთეული ნატეხები ამავე საუკუნის 80-იან წწ სოფ.ქობულეთის ნეოლითური ხანის ნამოსახლარზეცაა (იხ. გოგიტიძე, 1978: ტაბ. LVIII; 1987: 9-10, ტაბ. VII; 2008: 143, 267, 297, ტაბ. 46, 75-76). ბოლო პერიოდში ამ ტიპის კერამიკის რიცხვი მკვეთრად გაიზარდა (კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016: 45-49, ტაბ. 51-59; კახიძე, სურმანიძე, 2019: 48, ტაბ. III/2, 12, 15, 21-22, IV/19). მახვილაურის მსგავსი პროტოხეთური კერამიკა მრავლადაა ანატოლიაში, პირველ რიგში ბოლახოიში

ხათური ექსპორტი ასე შორს სხვაგან ჯერ არსადაა დაფიქსირებული.

როგორც ჩანს, ახალი მეგაკულტურა დასავლეთი საქართველოს ყველა რეგიონს, ასევე სამხრეთ შავი ზღვისპირეთს (მურღულ-ბორჩხადან დაწყებული სამსუნ-ამასია-თოქათამდე განლაგებული ზღვისპირა და გორაკ-ბორცვოვანი ზოლი) მოიცავდა. უფრო მეტიც, წინასწარეული კვლევებიდან ირკვევა, რომ ამ მეგაკულტურის არეალში ექცევა აღმოსავლური ცივილიზაციების ისეთი უძველესი კერა, როგორიც იყო ინდოეთი (კახიძე, 2021: 128-142, ტაბ. LXIII-LXIX). თვალთახედვაში არის სხვა რეგიონებიც (ესპანეთი, ავსტრია, კვიპროსი).

დავუბრუნდეთ ისევ ძვირფასი ლითონების მოპოვების საკითხს. ზემოთ განხილულ მეგალითურ ძეგლებზე ხშირად ჩნდება მინიატურული გობები და მათთან დაკავშირებული წვრილი არხები. იკვეთება პოლიმეტალების მეტალურგიის ისეთი კერებიც (ჭარნალის მურვანეთი, მახლავეთი), სადაც წამყვან ადგილს ამ სახის კონსტრუქციები იკავებენ. სავარაუდოდ, ძველი მელითონეები ვრცელ ტერიტორიაზე მსხვილი ინდუსტრიის პარალელურად უსისტემოდ განლაგებულ მინიატურულ გობებსა და წვრილ არხებში ალუვიურ ქანების შემადგენლობაში შემავალ ოქროსა თუ სხვა სახის ფერადი ლითონის წვრილ კრისტალებსაც აგროვებდნენ. ამ მიზნით უკვე ნახსენები არხ-ჩანჩქერები, გოლ-რეზერვუარები და კლდეში ნაკვეთი ქვის გობებიც გამოიყენებოდა⁵. მეტალურგებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ მთელი წლის განმავლობაში ჩამდინარე წყლის ნაკადი ღრმა გოლ-გობებსა და გობებში კიდევ უფრო მეტ პოლიმეტალების მარაგს დაუტოვებდა და სწორედ ამიტომაც ქვის გობებს ზოგჯერ თვით კალაპოტშიც აშანდაკებდნენ⁶. ყურადღების გარეშე არ რჩებოდა შედარებით სწორი, მდორე დინებათა ადგილებიც, სადაც საგანგებოდ წყობოდა დიდი ზომის თხელი გოლები, მაგალითად ქობულეთის მუნიციპალიტეტში დეხვა-კინკიშას ხეობა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. აბასთუმანი და სხვ. (იხ. კახიძე, 2021: 81-91, ტაბ. XXV-XXXI; Kakhidze, 2021: 66-68; 2022: 467-470).

საინტერესოა, რომ სულ ახლახანს ჩვენმა ავსტრიელმა კოლეგებმა პორტატული აპარატების ლაზერული სხივების გამოყენებით ჰაინრიხ შლიმანის მიერ ტროაში (ე.წ. პრიამოსის განძი), ურის მდიდრულ სამარხებსა და კუნძულ ლემნოსზე აღმოჩენილი საუველირო ხელოვნების შედეგების ლაბორატორიული კვლევები ჩაატარეს. გაკეთებულია დასკვნა, რომ ამ ძეგლების ოქრო, სავარაუდოდ, საქართველოში, მდინარეთა ხეობების მთა-ფერდობებიდან ალუვიური ქანების ჩამორეცხვის შედეგადაა მოპოვებული (Numrich და სხვ., 2023: 10-13).

ექსპორტისთვის განკუთვნილი ბრინჯაოს ზოდები, რომელიც მჭიდრო კავშირშია ოქროს მოპოვებასთან, საზღვაო, სამდინარო თუ სახმელეთო გზებით ტრანსპორტირდებოდა როგორც ევროპაში, ისე ძველ აღმოსავლეთში. ამის დამადასტურებელია შუმერულ და ხეთურ ლურსმულ ტექსტებში ბლომად მიმოხეული ძვირფასი ლითონების წარმოებასთან დაკავშირებული მითიურ-ალქიმიური თუ მეცნიერული ცოდნა-ჩვევები.

დგინდება, რომ საწმისის ფენომენი ცივილიზირებულმა სამყარომ ანტიკურობამდე გაცილებით ადრე გაიცნო. ამ საკითხზე მომუშავე გერმანელი ასირიოლოგისა და ხეთოლოგის ფოლკერტ ჰაასის ნაშრომს „მაგია და მითები ხეთების სახელმწიფოში“ (Haas, 1977) რეცენზია უძღვნა გამოჩენილმა ხეთოლოგმა გრიგოლ გიორგაძემ (1982: 210-216). განიხილავს რა თელიფინუს⁷ და ილუიანქას⁸ მითებს, გ. გიორგაძე ხაზს უსვამს იმ მომენტს, რომ ოქროს საწმისის კულტი ხათებით დასახლებულ არეალში, ანატოლიის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში იყო გავრცელებული (1982: 212). ის ასევე აკრიტიკებს ფ. ჰაასს (1982: 215-216), რომლის მიხედვითაც წმინდა, სამეფოს მფარველი ცხვრის ტყავის იდეა ანატოლიურია და კოლხეთში ის მიღებულიდან გავრცელდა (Haas, 1977: 114 და შმდ.).

ქართველმა ხეთოლოგებმა ძველი სამეფოს (ძვ.წ. 1650-1500 წწ) დროინდელ kuš - ტყავის აღმნიშვნელ დეტერმინატივით გამოსახულ ტერმინ kuraš-საც მიაქციეს ყურადღება. ეს, სამეფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ნივთი, თხის, ცხვრის ან ხარის ტყავისგან მზადდებოდა და მზის დისკოს სახით

5. მთავარი დანიშნულებით გაზაფხულ-ზაფხულის შედარებით თბილ დღეებში კავდებოდა, დანარჩენ დროს კი მინიატურული გობებისა და წვრილი არხებისათვის მიკუთვნებული ფუნქციის მატარებელი ხდებოდა.

6. ქვის გობების დასაწყისში და მოპირდაპირე მხარეს წვრილი არხები იყო ჩაჭრილი. ნათელია, რომ წიაღისეულის შემცველი უფრო მძიმე მასები გოლში საიმედოდ იძირებოდა, ფუჭი ქანები კი ბოლო არხით გაედინებოდა.

7. აქ საუბარია მუხაზე (ხეთ. ეია) და საკურთხეველზე ჩამოკიდებულ საწმისებზე, წმინდა მინდორზე ამოსულ ხესთან მჯდომ განაყოფიერების ურჩხულოზე.

8. აქ განვითარებული ერთ-ერთი სიუჟეტის თანახმად, ურჩხულის, ილუიანქას მიერ დამარცხებული ამინდის ღვთაება დახმარებას ითხოვს. ქალღმერთი ინარა აწყობს ზეიმს და მოკვდავი ხუფასიას დახმარებით ამარცხებს ურჩხულს.

ოქროთი იყო შემკული. უფრო მეტიც, ის თავად იყო თაყვანისცემის ობიექტი, გვხვდება ღვთაების დეტერმინატივით, მას მსხვერპლს სწირავენ, უსრულებენ რიტუალს. kurša-ს ტაძარში ჩატარებული ასეთი კულტმსახურების შემცველი ტექსტი შეიცავს ხათურენოვან ფრაგმენტსაც, რაც მის პროტოხეთურ წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს. არის ვარაუდი, რომ kurša-სთან დაკავშირებული განახლების სადღესასწაულო რიტუალი თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ სცენებთან იქნეს მსგავსებას (დაწვ.იხ. ტატიშვილი, გელაშვილი, 2009: 13-15; ტატიშვილი, გორდეზიანი, 2011: 171-172; გელაშვილი, 2012: 12-47). ოქროს საწმისის ხეთურ იკონოგრაფიას პარალელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც ეძებნება⁹.

ოქროს საწმისთან დაკავშირებული ხეთური ცნობების კვალდაკვალ, კიდევ ერთმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ ნინო სამსონიამ გაშიფრა შუმერულიც, სადაც, შესაძლოა, ასევე ნახსენები იყოს ოქროს საწმისი.

II ადრედინასტიური ხანის (ძვ.წ. XXVIII-XXVI სს) რეალიების ამსახველ ეპოსში „ენმერქარი და არათას ბატონი“¹⁰ ერთბუნდოვან პასაჟში (420-434-ესტრიქონები) საუბარია ალქიმის უცნობ რიტუალზე, რომელიც ოქროს საწმისს უნდა შეეხებოდეს: როდესაც მეფე ოქროს მტვერს ჩამოხერტყავს - „მუნშუბ-ბეწვიდან“ (munšub) გადაგრებით, ნაყავს გოზში ქვასანაყით, როგორც მცენარეს, ადუღებს და აცივებს, მასას ასხამს ყალიბში, ხსნის (გაჩეხავს) ყალიბს და ასხამს ზეთს (აპრიანებს). ნ. სამსონიას აზრით, აქ აშკარაა მსგავსება ენგურის ოქროს მოპოვებისა და დამუშავების წესთან. ზოგადად, არათას ციკლის ყველა ეპოსში ნახსენებია ოქროს მტვერი, რომელიც იქ უხვადაა. საბოლოოდ, როდესაც ენმერქარი არათას ქვეყანაზე იწინას დახმარებით იმარჯვებს, ურუქში ძვირფას ქვებთან და წიაღისეულთან ერთად ოსტატებიც გადმოყავს (დაწვ.იხ. Kakhidze, Samsonia, Kakhidze, 2023).

ტერმინი „ტყავი ოქროთი“ სხვა შუმერულ ტექსტშიც გვხვდება. მაგალითად, ძვ.წ. III ათასწლ. შუახანებში ჩამოყალიბებული ერთ-ერთი მითოლოგიური სიუჟეტის „ნანშე და ჩიტების“¹¹ 52-ე სტრიქონში საუბარია ძვირფასი ქვებისგან დამზადებულ ჩიტებზე, რომლებიც ტყავი ოქროთია გაწყობილი. ნ. სამსონიამ მიაქცია ყურადღება რომ, ხეთური შუმეროგრამა kuš (ტყავი) ემთხვევა munšub კომპოზიციის ლურსმულ ნიშანს. აქედან დამომდინარე, შესაძლებელია, რომ ის ცხვრის ტყავად, საწმისად მივიჩნიოთ, რომელიც ოქროსთან კონტექსტშია და ალქიმის რიტუალში გამოიყენებოდა (დაწვ.იხ. Kakhidze, Samsonia, Kakhidze, 2023).

საგულისხმოა, რომ მეტალურგიის ძველ ეტაპს და მასთან დაკავშირებულ ოქროს მოპოვების ტექნოლოგიები მდგრადობით და განგრძობითობით ხასიათდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ქართველური სამყაროს მიმართებაში ეს ნამდვილად ასე შეიძლება ითქვას. არქეოლოგიური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, უძველესი რკინის წარმოება ისევ ჩვენთვის საინტერესო რეგიონში - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია დაწინაურებული (იხ. გდელიშვილი, 1964: 29-42; გდელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964: 62-93; ხახუტაიშვილი, 1964: 45-58; Хахутаишвили, 1987: 41-163; Khakhutaishvili, 2009: 19-94; კახიძე, მამულაძე, 2000: 53-92; Gilmour და სხვ., 2020: 18-32; Papuashvili, Khakhutaishvili, Kakhidze, 2021: 127-131).

ურარ-ტულ ეპიგრაფიკაში რკინა მხოლოდ ერთხელ, სარდური II (დაახლ. ძვ.წ. 764-735 წწ) კულ-ხაში ძვ.წ. VIII ს 40-იან წწ ლაშქრობასთან კავშირში მოიხსენიება (მელიქიშვილი, 1970: 387). დაახლ. ამავე პერიოდში შექმნილი „შე-საქ-მე-თა“, იგივე „დაბადების“ - ხუთწიგნეულის, ძველი აღთქმის პირველ თავში (IV, 22) ნახსენებია ასურულ თაბალებთან და ბერძნულ ტიბარენებთან გაიგივებული თუბალ-კაენი (იხ. Латышев, 1947: 11-12 და იქ მით.ლიტ.), რომელიც, „იყო კვერით ხუროი მჭედელი რვალისა და რკინისა“¹².

ძველბერძნული წერილობითი წყაროები მელითონეობაში პრიორიტეტს მაინც ხალიბების ქვეყანას

9. ერთი ხეთური სარიტუალო ტექსტის ფრაგმენტიდან ვგებულობთ, რომ სადღესასწაულოდ „მალ-კაცები“ ცხვრებს რეკავენ kurša-ს ტაძარში, ხოლო სხვანაირი იკვეთება საწმისის და ირმის კავშირით (იხ. გელაშვილი, 2012: 46-47). აჭარის ძვ.წ. VIII-VII სს დიუნურ დასახლებში, მილეთელების გამოჩენამდე, ასევე დასტურდება მსგავსი მოტივები. ფიჭვნარში, რქისებრი სადგრების, ფალოსების და გველებით მოხატულ თიხის ფილებთან ერთად, მესვეფების (ზღვის ადამიანები) კულტთან დაკავშირებული მალის თავის ტერაკოტა აღმოჩნდა (კახიძე, მამულაძე, 2016: 25; ხალვაში, კახიძე, 2023: 179). ციხისძირის თვითმყოფადი გრაფიკით გრაფირებული ირმისგამოსახულებიანი თიხის ჭურჭელი ცხოველთა ნაყოფიერების მფარველი ღვთაების სიმბოლოა (თავამაიშვილი, 2002: 22-25; ხალვაში, კახიძე, 2023: 180).

10. შემორჩენილია ნეოშუმერულ ასლებში (დაახლ. ძვ.წ. XXI ს).

11. ჩვენამდე მოღწეული 6 დაზიანებული დაფა ძველბაბილონური პერიოდით (ძვ.წ. XIX-XVI სს) თარიღდება.

12. საინტერესოა, რომ ძვ.წ. VI ს-ში მოღვაწე წინასწარმეტყველ ეზეკიელთან, ხუთწიგნეულის მე-40 თავში, თუბალი ყოველთვის მეშხთან (ასურ.მუშქები, ბერძ. მოსხები) ერთადაა ნახსენები (XXVII, 13; XXXVIII, 2-3; XXXIX, 2). ცნობილი ანტიკოსი ვასილი ლატიშევი ფიქრობს, რომ აქ დაახლ. ძვ.წ. VIII ს ამბობია აღწერილი, როდესაც კიმერიელების ზეწოლის გამო ორივე ტომი იძულებული გახდა მცირე აზიის შიდა რაიონებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, კოლხეთისკენ გადანაცვლებულიყო (იხ. Латышев, 1947: 11-12, 22).

ანიჭებს¹³. რკინა-ფოლადის დამზადების ხალიბური წესის შესახებ ყველაზე საინტერესო ცნობა ფსევდო-არისტოტელეს (ძვ.წ. IV ს) მოეპოვება. ის თავის ნაშრომში “საოცარ ხმათა შესახებ” აღნიშნავს: “ამბობენ, რომ განსაკუთრებულია ხალიბური და ამისოური რკინის წარმოება. იგი, მონათხრობთა მიხედვით, მიიღება მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვიშისაგან. ამ ქვიშას, გადმოგვცემენ ერთი, უბრალოდ რეცხავენ და ადნობენ, ხოლო მეორეთა მიხედვით, გარეცხვის შემდეგ დანალექს კიდევ რამდენჯერმე რეცხავენ და შემდეგ, უმატებენ რა ცეცხლგამძლე ქვას, რომელიც ბევრია ამ ქვეყანაში, ადნობენ; რკინის ეს სახეობა სხვებზე გაცილებით უკეთესია და არცერთ ქურაში რომ არ გამოიღნოს, სავარაუდოდ, ვერცხლისგან არაფრით იქნებოდა განსხვავებული. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს რკინა არ იჟანგება, თუმცა მცირე რაოდენობით მოიპოვება (ΠΕΡΙ ΘΑΥΜΑΣΙΩΝ ΑΚΟΥΣΜΑΤΩΝ, 267, 48).

ხალიბთა განსახლების ტერიტორიაზე რკინის წარმოების კვალი გვიანდელ პერიოდშიც ნათლად ჩანდა. ფრანგ მხატვარსა და კერამიკოსს თეოფილე დეილორს ლაზისტანში 1869 წ მოგზაურობის დროს მთიანი ჭანეთიდან ზღვისპირეთისკენ, კერასუნტ-ტრიპოლისისკენ მიმავალ გზაზე, მდ.ხარშიტის ხეობაში, რომელსაც ტრიპოლი-ჩაისაც ეძახდნენ, სოფ. ყარაჩქურთან უჩვენეს მრავალი უმოქმედო მადარო, სადაც, ისევე როგორც ახლომდებარე მთებში, რკინის მადნის ნამტვრევები და სამადნე უროები შეაგროვა (Deyrolle, 1871: 18-26). ამ რაიონში რკინის წარმოების ნაშთებზე სხვა გვიანდელი ავტორებიც მოგვითხრობენ¹⁴.

ამგვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, მთლიანად კავკასია ჯერ ნეოლითური რევოლუციის, შემდეგ კი ქვის ხანიდან ლითონის საუკუნეზე გარდამავალ ეპოქაში ერთ-ერთ მოწინავე რეგიონს წარმოადგენდა. უახლოესი არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ საერთაშორისო ბაზარზე ლითონზე მოთხოვნილების მკვეთრი ზრდის შესაბამისად მიღებულია საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის წყლის ენერგიის გამოყენებით ფლოტაციის, მეტალურგიულ ქურებში ლღობის, სითხედ ქცევის პროცესების ნოვაციური გზები, რომელიც ძვირფასი ლითონების მოპოვება-დამუშავებაშიც გამოიყენებოდა. აქედან გამომდინარე, უკვე მითოლოგიურად აღარ გვეჩვენება ძველადმოსავლურ და განსაკუთრებით ანტიკურ წყაროებში უხვად დაცული ცნობები ოქროს საწმისზე, რომელიც, როგორც წესი, ძველი კოლხეთის კონტექსტში განიხილება.

13. საინტერესოა, რომ ძვ.წ. VI ს-ში მოღვაწე წინასწარმეტყველ ეზეკიელთან, ხუთწიგნეულის მე-40 თავში, თუბალი ყოველთვის მეშუბთან (ასურ.მუშქები, ბერძ.მოსხები) ერთადაა ნახსენები (XXVII, 13; XXXVIII, 2-3; XXXIX, 2). ცნობილი ანტიკოსი ვასილი ლატიშევი ფიქრობს, რომ აქ დაახლ. ძვ.წ. VIII ს ამბებია აღწერილი, როდესაც კიმერიელების ზეწოლის გამო ორივე ტომი იძულებული გახდა მცირე აზიის შიდა რაიონებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, კოლხეთისკენ გადანაცვლებულიყო (იხ.Латышев, 1947: 11-12, 22).

ქსენოფონტე (ძვ.წ. V ს) „ანაბასისში“ მოიხსენიებს მოსინიკების ქვეშევრდომ ხალიბებს, რომლებიც თავს რკინის დამუშავებით ირჩენდნენ (V, 5, 1); ევრიპიდეს (ძვ.წ. V ს) ტრაგედია „ალკესტიდაში“ მითითებული აქვს „რკინა ხალიბთა ქვეყანაში“ (ΑΛΚΗΣΤΙΣ, 980), ხოლო მისი სქოლიასტი განმარტავს, რომ „ხალიბები ხალხია პონტოში, სადაც არის რკინის მადაროები“; სტრაბონიც (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს), რომელიც ხალიბებს პალიმონებთან და ქალდეელებთან აიგივებს, საუბრობს იქ რკინის საბადოებზე, თუმცა, მისი თქმით, უწინ იქ ვერცხლსაც მოიპოვებდნენ (XII, 3, 19-24). ძვ.წ. III ს მოღვაწე აპოლონიოს როდოსელი (II, 373-387, 1000-1008), ისევე როგორც მისი სქოლიასტი (Comm. Apoll. Rhod. I, 1323, II, 373, 1005) და ნიკიფორე ბლემიდი (ახ.წ. XIII ს) ხალიბი მეტალურგების მძიმე შრომას საკმაოდ მუქ ფერებში ხატავენ; ხალიბური რკინის ფხიანობასა და კარგ საწრთობ თვისებებზე მითითებებს ზემოთ ხსენებული ფსევდო-არისტოტელე, ევდოქსე როდოსელი (ძვ.წ. III ს), ესქილეს (ძვ.წ. IV ს) და ლიკიფრონეს (ძვ.წ. IV- III სს) სქოლიასტები, ჰესიქიოს ალექსანდრიელი (ახ.წ. V ს), სტეფანე ბიზანტიელი (ახ.წ. VI ს), ევსტათი თესალონიკელი (ახ.წ. XII ს) და სხვ. (უფრო დაწვ. ამ ავტორებზე იხ. Латышев, 1947: 29-1009).

14. იხ. <https://www.dogankent.bel.tr/tarihce>.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოჭორიშვილი ლევან, ოქრომჭედლობა სვანეთში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII/5, რედ. მუსხელიშვილი ნიკოლოზ, თბილისი, 1946, გვ. 283-289.
2. ბოჭორიშვილი ლუბა, ოქრომჭედლობა სვანეთში. სვანეთის ისტორიის ფურცლები, რედაქტორი გუჯეჯიანი როზეტა, გამომც. „შპს 2000“, თბილისი, 2011, გვ. 190-196.
3. გაბლიანი ეგნატე, არქეოლოგიური გათხრები სვანეთში. ჟურნ. „დროშა“, № 19, 1930 (<http://www.saunje.ge/index.php?id=2001>).
4. გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში: მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიაში, რომელიც განახორციელა 1820-1824 წწ შვეალიე გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში, ტ. 1, ფრანგ. თარგ. მზია მაგლობლიშვილმა, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1987.
5. გიორგაძე გრიგოლ, „საწმისი“ ხეთურ წყაროებში და მისი ანტიკური პარალელები. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 227, თბილისი, 1982, გვ. 210-216.
6. გელაშვილი ნინო, kurša-ს განახლების ხეთური სადღესასწაულო რიტუალი, ასიროლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.
7. გოგიტიძე სერგო, ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1984 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, რედაქტორი ხახუტაიშვილი დავით, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1987, გვ. 3-13.
8. გოგიტიძე სერგო, კინტრიშის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ნამოსახლარი), გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2008.
9. გგელიშვილი იოსებ, აჭარაში 1960-1961 წწ აღმოჩენილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების გათხრების ძირითადი შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, რედაქტორი ბერძენიშვილი ნიკო, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964, გვ. 29-44.
10. გგელიშვილი იოსებ, ხახუტაიშვილი დავით, რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, რედაქტორი ბერძენიშვილი ნიკო, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964, გვ. 59-96.
11. ზუხუბაია ვალერიან, ქართული ოქრო, გამომც. „საქართველო“, თბილისი, 1985.
12. თავამაიშვილი გიორგი, რიტუალური ჭურჭლები ციხისძირიდან. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, რედ. კახიძე ამირან, ბათუმი, 2002, გვ. 22-27.
13. კახიძე ამირან, უძველესი მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი კერები აჭარაში. მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სერია), 1, თბილისი, 2019, გვ. 90-117.
14. კახიძე ამირან, უძველესი მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი კერები აჭარაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა). უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები (ბათუმი, 2018 წ 25-28 ივნისი)“ მასალები, რედაქტორები ტატიშვილი ირინე, კახიძე ამირან, ბათუმი, 2019, გვ. 5-43.
15. კახიძე ამირან, საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა, უახლესი აღმოჩენები, 2014-2019 წწ). ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, VIII, რედაქტორი კახიძე ამირან, ბათუმი, 2019, გვ. 17-58.
16. კახიძე ამირან, ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლადაღმოჩენილი კულტურა (ნოვაციები, გავრცელების არეალი, ძირითადი მახასიათებლები, პერსპექტივები. ძვ.წ. V- II), გამომც. „სამშობლო“, ბათუმი, 2021.
17. კახიძე ამირან, მამულაძე შოთა „ჭოროხის აუზი - კოლხური კულტურის უძველესი კერა, გამომც. „აჭარა“, ბათუმი, 2000.
18. კახიძე ამირან, მამულაძე შოთა, აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, გამომც. „სეზანი“, თბილისი,

2016.

19. კახიძე ამირან, სურმანიძე ნარგიზ, ნაგერვაძე მალხაზ, აჭარა ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის კატალოგი, გამომც. „კოლორი“, ბათუმი, 2016.
20. კახიძე ამირან, სურმანიძე ნარგიზ, მახვილაურის გორა-სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი პროტოხეთური კერამიკა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა). უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები (ბათუმი, 2018 წ 25-28 ივნისი)“ მასალები, რედაქტორები ტატიშვილი ირინე, კახიძე ამირან, ბათუმი, 2019, გვ. 44-55.
21. კვიციანი ზვიად, სვანეთი - ოქრომჭედლობის უძველესი კერა (არქეოლოგიური, გეოლოგიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემები). ივანე ჯავახიშვილის თბილისის სამელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, რედაქტორები დუნდუა თედო, ჩხარტიშვილი მარიამ, ბოშიშვილი ალექსანდრე, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 19-32.
22. კვიციანი ზვიად, საიუველირო (საოქრომჭედლო) საქმე ძველ სვანეთში. თსუ-ს დაარსებიდან 95 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული: „ინტერდისციპლინარული არქეოლოგია“, 2, თბილისი, 2013, გვ. 41-45.
23. კვიციანი ზვიად, ძველი ჭუბერი. სასწავლო და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (30 აგვისტო - 1 სექტემბერი, მესტია): „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“ მასალები, თბილისი, 2016, გვ. 23-24.
24. ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, გამომც. „ფედერაცია“, თბილისი, 1938.
25. მელიქიშვილი გიორგი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, რედაქტორი მელიქიშვილი გიორგი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 358-391.
26. ტავერნიე ჟან ბატისტ, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო გურულმა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.
27. ტატიშვილი ირინე, გელაშვილი ნინო, კიდეც ერთხელ საწმისის კულტის შესახებ ხეთურ სამყაროში. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სამელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის და ეთნოლოგიის შრომები, IX, რედაქტორი კიკნაძე ვაჟა, თბილისი, 2009, გვ. 13-17.
28. ტატიშვილი ირინე, გორდეზიანი ლევან, კიდეც ერთხელ ხეთურ-ქართული პარალელების შესახებ. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIV, რედაქტორები ტატიშვილი ირინე, ხვედელიძე მანანა, გორდეზიანი ლევან, გამომც. „ლოგოსი“, თბილისი, 2011, გვ. 167-180.
29. ხალვაში მერაბ, კახიძე ემზარი, 2024: - აჭარის ისტორიულ-არქეოლოგიური დახასიათება უძველესი დროიდან ახ.წ. IV საუკუნემდე. აჭარა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, რედაქტორი მალაყმაძე როინ, გამომც. „ფავორიტი“, ბათუმი, 2024.
30. ხახუტაიშვილი, 1964: - ხახუტაიშვილი დავით, კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, რედაქტორი ბერძენიშვილი ნიკო, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964, გვ. 45-58.
31. Deyrolle Théophile, Voyage dans le Lazistan et l'Arménie // Le Tour du Monde: Nouveau Journal des Voyages, ed. by Eduard Charton, vol. 29, pp. 1-32.
32. Dubois de Montpéroux Frédéric, Voyage Autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, vol. I, Paris: Librairie de Gide, 1839 (http://apsnyteka.org/file/Dubua_de_Monpere_Voyage_autour_du_Caucase_I.pdf).
33. Gilmour Brian, Cox Marc, Erb-Satullo Nathaniel, Khakhutaishvili Nana, Pollard Mark, Ancient Colchis and the origins of iron: Interim results from recent field survey work in Guria, western Georgia // Wonders Lost and Found: A Celebration of the Archaeological Work of Professor Michael Vickers, ed. Nicholas Secunda, Archaeopress, Summertown, Oxford, 2020, pp.18-32.
34. Haas Volkert, Magie und Mythen im Reich der Hethiter: Vegetationskulte und Pflanzenmagie, Merlin

Verlag, Hamburg, 1977.

35. Kakhidze Amiran, Earliest bronze metallurgy on the territory of southwestern Georgia. *Caucasia Antiqua et Cristiana*, ed. by David Kolbaia, Warsaw, 2021, pp. 59-76.

36. Kakhidze Amiran, The earliest bronze metallurgy on the Georgian side of the south-eastern Black Sea littoral. *Connecting the Ancient West and East: Studies Presented to Prof. Gocha R. Tsetskhladze*, ed. by John Boardman, James Hargrave, Alexandru Avram, Alexander Podossinov, Leuven/Paris/Bristol, CT, 2022, pp. 463-490.

37. Kakhidze Amiran, Kakhidze Emzar, Chkhatarashvili Guram, Newly discovered culture centers related to the non-ferrous metals in Eurasia // *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences Tbilisi*, vol. 17, no. 3, 2023, pp. 115-121.

38. Kakhidze Amiran, Samsonia Nino, Kakhidze Emzar, Innovations in the history of metallurgy of precious metals: legendary Colchis – the cradle of the Golden Fleece. *Proceedings of the International Conference: Perception of Caucasus in Myths and Literature from Antiquity till Contemporaneity*, 20-22 September, 2023, Tbilisi.

39. Khakhutaishvili David, *The manufacture of iron in ancient Colchis*, Archaeopress, Oxford, 2009.

40. Numrich Moritz, Schwall Christoph, Lockhoff Nicole, Nikolentzos Kostas, Konstantinidi-Syvridi Eleni, Cultraro Massimo, Horejs Barbara, Pernicka Ernst, Portable laser ablation sheds light on Early Bronze Age gold treasures in the old world: New insights from Troy, Poliochni, and related finds // *Journal of Archaeological Science*, vol. 149, Elsevier, 2023, pp. 1-13.

41. Papuashvili Revaz, Khakhutaishvili Nana, Kakhidze Amiran, To the origins of iron production in Colchis (2nd half of the 2nd millennium BC - 1st half of the 1st millennium BC). *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 15/3, Tbilisi, 2021, pp. 127-132.

42. Агрикола Георгий, О месторождениях и рудниках в старое и новое время, перевод с немецкого Л.В. Кургановой, вступительная статья, послесловие и общая редакция Михаила Максимова, издательство „Недра“, Москва, 1972.

43. Деген-Ковалевский Борис, Из истории древней металлургии Кавказа. *Известия Государственной академии истории материальной культуры*, 120, Москва/Ленинград, 1935, сс. 238-420.

44. Иессен Александр, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. *Известия Государственной академии истории материальной культуры*, 120, Москва/Ленинград, 1935, сс. 7-237.

45. Латышев Василий, Известия древних писателей о Скифии и Кавказе. *Вестник древней истории*, 1-4, Москва, 1947, сс. 8-1028.

46. Максимов Михаил, *Очерк о золоте*, издательство „Недра“, Москва, 1988.

47. Хахутайшвили Давид, *Производство железа в древней Колхиде*, издательство «Мецниереба», Тбилиси, 1987.

სადეხვირო და არქეოლოგია
Dekhviro and Archaeology

ნინო სულავა

*საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის
არქეოლოგიის ინსტიტუტის, არქეოლოგიისა და ისტორიის
სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

NINO SULAVA

*Head of the scientific department of Archaeology and History at
Otar Lortkipanidze Archaeological Institute - Georgian National
Museum, PhD in Historical Sciences*

აბსტრაქტი: ლეჩხუმი, სადაც მდებარეობს მისი ისტორიული მხარე - სადეხვირო, კოლხური ბრინჯაოს კულტურის წარმოშობის ერთ-ერთი კერაა, ხოლო შემდგომ, ანტიკური ხანიდან, საქართველოს ისტორიული პროვინცია, რომელიც ქართული წყაროების გარდა მოხსენიებულია ბერძნულ, ბიზანტიურ და სომხურ წყაროებში.

დეხვირის ციხე თავისი ციხეთა კომპლექსით, სადეხვიროს თავი, ლეჩხუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე იყო. დეხვირის ციხის მფლობელი აკონტროლებდა სამეგრელოსკენ, სვანეთისა და რაჭისაკენ მიმავალი გზებს. ამას ადასტურებს დეხვირის ციხის ვახუშტი ბაგრატიონისეული აღწერაც - „ლეჩხუმის საშუალოსა, ცხენისწყლის ზეით კლდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თავუერისა, რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად“. ხოლო იოჰან გიულდენშტედტი დეხვირის ციხეს მოიხსენიებს იმ პუნქტებს შორის, რომლებიც ქალაქს ედრებიან.

დეხვირი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს. II ნახევარში. ისტორიული „სადეხვიროს“ მიდამოები წარმოადგენს მდინარეების ცხენისწყალსა და ლაჯანურს შორის მოქცეულ კონცხს, რომელსაც მდ. რიონის მხრიდან ყვავიქედას ბორცვი საზღვრავს და წარმოდგენილია შემდეგი არქეოლოგიური ძეგლებით:

- შუასაუკუნეების არქეოლოგიურად ნაწილობრივ შესწავლილი დეხვირის დედაციხის ტერიტორია, იქვე 2016 წელს გამოვლენი აკლდამის საძირკველით; ხალხური გადმოცემის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად წმ. მაქსიმე აღმსარებელი თავდაპირველად დეხვირის ციხეში მოსულა;

- ყვავიქედას ფერდობზე განლაგებული ე.წ. ცხეთის ანტიკური ხანის (ძვ.წ. IV - ახ.წ. IV სს.) სამაროვანი, რომელიც პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში გაითხარა, მეორედ კი სამაროვანი ითხრებოდა 2015-2018 წლებში;

- ძვ.წ. VIII-V სს-ის კოლხური ნასახლარის ტერიტორია, სადაც თანადროული კოლხური კერამიკის გარდა, რომელიც ათარილებს ამ ნასახლარს, აღმოჩნდა ქვის უნიკალური ყალიბიც (გასული საუკუნის 70-იან წწ-ში), რომლის ანალოგიურიც უცნობია. ყალიბში ჩამოისხმებოდა საინკრუსტაციო მეანდრისებური ფირფიტები, რომლებსაც იყენებდნენ ცნობილი კოლხური აბზინდების შესამკობად. ნასახლარის სიახლოვეს გაითხარა თანადროული სამაროვნის (ადგილი გვარინა) ფრაგმენტი.

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში წლების განმავლობაში შედიოდა შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები სადეხვიროს ტერიტორიიდან - ბრინჯაოს ზოდი, გრავირებული კოლხური ცული, ლაგამი, ბოთლისებური საკინძი, ანტიკური ხანის სამარხეული მასალები - ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, ბრინჯაოს მცირე ზომის ფიგურები, მძივები.

სადეხვიროს როგორც ნასახლარზე, ასევე სამაროვანზე გათხრებით თუ შემთხვევით გამოვლენილი მასალა - საინკრუსტაციო ფირფიტის ჩამოსახმელი ყალიბი, ფიბულები, სამკაული, მძივსამკაული, მონეტები, კერამიკა, მნიშვნელოვანია არამართო ქართული არქეოლოგიისათვის, არამედ მთელი კავკასიის, შავიზღვისპირეთისა და მედიტერანული არქეოლოგიისათვის.

საკვანძო სიტყვები: ლეჩხუმი, სადებვირო, კოლხური ცული, ყალიბი, კოლხური ნასახლარი, ანტიკური ხანის სამაროვანი.

Abstract: Lechkhumi, where the historical region of Sadekhviro is located, is one of the key centers of origin of the Colchian Bronze Culture. Subsequently, from the Classical period onward, it became a historical province of Georgia. According to Georgian sources, Dekhviri Fortress, with its complex of fortifications, was the main stronghold of Sadekhviro and one of Lechkhumi's most important fortresses. The lord of Dekhviri controlled the routes leading to Samegrelo, Svaneti, and Racha. This is confirmed by the description of Dekhviri Fortress in the writings of Vakhushti Bagrationi:

“In the middle of Lechkhumi, above the Tskhenistskali River, on a rocky cliff stands the fortress of Dekhviri, the capital of Takveri; whoever holds it commands complete allegiance from the entire region.”

Johann Güldenstädt also mentions Dekhviri Fortress among the settlements comparable to towns. Dekhviri is first mentioned in historical sources in the second half of the 17th century. The historical lands of Sadekhviro encompass the peninsula between the Tskhenistskali and Lajanuri rivers, bordered on the Rioni River side by the Kvavikeda Hill, and are represented by the following archaeological sites:

- The medieval fortress area of Dekhviri's main citadel, which has been partially archaeologically investigated. In 2016, the foundation of a crypt was uncovered there. According to one version of local oral tradition, Saint Maximus the Confessor initially arrived at Dekhviri Fortress.

- The so-called Tskheti necropolis, dating from the Ancient period (4th century BCE – 4th century CE), located on the slope of Kvavikeda Hill. It was first excavated in the 1960s and underwent further excavation between 2015 and 2018.

- The site of a Colchian settlement from the 8th–5th centuries BCE, where, in addition to contemporaneous Colchian ceramics that date the settlement, a unique stone casting mold was discovered in the 1970s. No analogues of this mold are currently known. The mold was used for casting inlaid meander-patterned plates, which decorated the famous Colchian belts. Near this settlement, fragments of a contemporaneous necropolis (site known as Gvarina) were also excavated.

Keywords: Ethnocentrism, research, identity, museum. Lechkhumi, Sadekhviro, Colchian axe, mold, Colchian settlement, ancient burial ground.

შესავალი

ლეჩხუმი, სადაც მდებარეობს სადებვირო, კოლხური ბრინჯაოს კულტურის წარმოშობის ერთ-ერთ კერადაა მიჩნეული, რასაც არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს სპილენძის მეტალურგიის ძეგლებიდან დაწყებული კოლხური ნასახლარებითა და ანტიკური ხანის სამაროვნით დამთავრებული (Сaxapoba, 1966; სახაროვა, 1966; სახაროვა, 1967; სახაროვა, 1976; სულავა 1996; ქსახაროვა, სულავა, 2014; სულავა, და სხვ. 2020); ანტიკურ ხანაში ლეჩხუმი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია - „სკვიმია/სკვიმნია“ სახით (ყაუხჩიშვილი, 1934: 96-97; ყაუხჩიშვილი, 1965: 126), ქართული წყაროების გარდა მოხსენიებულია ბერძნულ, ბიზანტიურ და სომხურ წყაროებში (ბერძენიშვილი, და სხვ. 1983. სულავა, 1996).

სადებვირო ლეჩხუმის ერთ-ერთი ისტორიული მხარე, მისი შემადგენელი ნაწილია.

მასალა და მეთოდები

სადებვიროს ისტორიულ-არქეოლოგიური კონტექსტის მიმოხილვა რეტროსპექტულად (შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ძვ.წ. VIII-V სს-ით დამთავრებული) წარმოდგენას გვიქმნის ამ კუთხის მნიშვნელოვნებაზე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

დებვირი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს. II ნახევარში (თუმცა ტოპონიმი, სავარაუდოდ - სვანური, უფრო ძველი უნდა იყოს). ისტორიული „სადებვიროს“ მიდამოები წარმოადგენს

მდინარეების ცხენისწყალსა და ლაჯანურს შორის მოქცეულ კონცხს, რომელსაც მდ. რიონის მხრიდან ყვავიქედას ბორცვი საზღვრავს (სურ. 1).

დეხვირის ციხე, სადეხვიროს თავი, ლეჩხუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე იყო. დეხვირის ციხის მფლობელი აკონტროლებდა სამეგრელოსკენ, სვანეთისა და რაჭისაკენ მიმავალი გზებს. ამას ადასტურებს დეხვირის ციხის ვახუშტი ბაგრატიონისეული აღწერაც - „ლეჩხუმის საშუალოსა, ცხენისწყლის ზეით კლდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თავუერისა, რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად“. ვახუშტი ბატონიშვილი რადგან დეხვირს თავკერს უკავშირებდა, თვლიდა, რომ დეხვირის ციხე შუა ფეოდალური ხანით შეიძლება დათარიღდეს. მისივე აზრით, დეხვირის ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მისი მდებარეობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რადგან იგი მდ. ცხენისწყლის ხეობიდან მდ. ლაჯანას ხეობაში მიმავალ გზებს აკონტროლებდა. აქედან კარგად ჩანს ცაგერის ქვაბული და ლაჯანას ხეობა, ანუ ლეჩხუმის ორი პროვინციის („ქუეყნის“), ორი ხეობის, „გადაღმა ლეჩხუმისა“ და „გადმოღმა ლეჩხუმის“ უდიდესი ნაწილი. დეხვირის ციხის მფლობელის თვალსაწიერში ექცეოდა სამეგრელოსკენ, სვანეთისა და რაჭისაკენ მიმავალი გზებიც. გვიანშუასაუკუნეებში დეხვირის ფლობის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს ისიც თუ დეხვირის ციხის გამო როგორ ეცილებოდნენ ერთმანეთს იმერეთისა და სამეგრელოს სამთავროები (ქც, 4: 749,4-5-6; 878,23; 882,22).

დეხვირის გეგმა დასავლეთ საქართველოს სხვა მნიშვნელოვან ციხეებთან ერთად აღნიშნულია უცნობი ავტორის დასავლეთ საქართველოს რუკაზე (იმერეთის სამეფოს რუკა), რომელიც 1737 წლით თარიღდება. გეგმის მიხედვით, იგი ორი სხვადასხვა ზომის ერთმანეთისაგან დაშორებული რამდენიმესართულიანი კოშკისაგან შედგებოდა და შემოსაზღვრული იყო მაღალი გალავნით (ბერაძე, 2012: 388).

იოჰან გიულდენშტედტი დეხვირის ციხეს მოიხსენიებს იმ პუნქტებს შორის, რომლებიც ქალაქს ედრებიან (გიულდენშტედტი ი. 1962: 309, 327).

მ. ალავეძისა და დ. ბერძენიშვილის მიხედვით, „სადეხვირო“ ეწოდებოდა რიონ-ცხენისწყლის წყალგამყოფ ქედზე აღმართულ დეხვირის ციხეს ექვსი სოფლით: ცხეთა, ლასხანა, თხიზურგა, ლესინდი, ლაშატა, წილამიერი (ზოგიერთი ცნობით ჩვალბეჩიც); XIX საუკუნის საბუთების მიხედვით სადეხვირო 9 სოფლისაგან შედგებოდა. დ. ბერძენიშვილისვე აღწერით, დეხვირში შემორჩენილი ციხის ნანგრევებს და აზიდულ ბორცვებზე ნაგებ მასიურ კოშკებს, რომლებიც დაჰყურებს მთელ სადეხვიროს, გალავანი აქვს შემოვლებული და მოგვიანებით დამატებით ტერასულად განლაგებული ზღუდეები უჩნდებათ, დეხვირის ირგვლივ მთლიანი სისტემა უნდა შეექმნათ. დეხვირი გვიან შუა საუკუნეებში ლეჩხუმის ცენტრი უნდა ყოფილიყო, „ლეჩხუმის თავის“, „ლეჩხუმის ბატონის“ ძირითადი საყრდენი (ალავიძე 1951: 27, 128; ბერძენიშვილი 1983: 37, 66).

ერთ-ერთი ხალხური გადმოცემის თანახმად წმ. მაქსიმე აღმსარებელი (VII ს.) თავდაპირველად დეხვირის ციხეში მოსულა, ხოლო მეზობელ სოფ. ჩხუტელში მისი სახელობის მამათა მონასტერი იყო, რაც აქ, დეხვირში, ადრექრისტიანული სამშენებლო ფენის არსებობის ვარაუდის საშუალებას იძლევა¹. საინტერესოა ნ. მარის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ - თავკერის ციხე - დეხვირია (Кекелидзе 1961: 49-51). თუმცა, ს. ყაუხჩიშვილს ცაგერი მიაჩნია თავკერად (ყაუხჩიშვილი 1941). ზ. კიკნაძის კვლევის თანახმად, რომელიც თვლის, რომ მაქსიმეს მითოსი ადგილობრივი ლეჩხუმური წარმოშობისაა, მისტერია, მაქსიმეს მითის საფუძველზე იმართებოდა დეხვირის სოფლების მონაწილეობით (კიკნაძე, 1996).

როგორც აღნიშნული გვექონდა, ტოპონიმი - „დეხვირი“ უფრო ძველი უნდა იყოს და სავარაუდოდ სვანური წარმოშობისაა, რასაც, როგორც თვლიან, ადასტურებს დეხვირის ძველი სახელწოდება - ჩვალ ბეჩი თუ ჩვალბერი. მაგრამ ტოპონიმის სემანტიკა დამატებით კვლევა-ძიებას ითხოვს (ბედოშვილი 2013: დეხ.). ტოპონიმის სიძველე, რადგან სვანური წარმოშობისაა და, ჩვენის აზრით, სვანური ტომების გადაადგილებას უნდა ასახედეს, შესაძლოა, სადეხვიროს ტერიტორიაზე აღმოჩენილ კოლხური მასალების ქრონოლოგიას ემთხვევა, მისი შესაბამისია და ამ ტერიტორიის მნიშვნელოვნებას ადასტურებს ძვ.წ. I ათასწლეულიდან მოყოლებული ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების ჩათვლით.

1. ამას დეხვირში, დედაციხის ძირში გამოვლენილი აკლდამის საძირკვლის სავარაუდო თარიღიც უწყობს ხელს და ამ ტერიტორიის განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს (სულავა, მამიაშვილი 2022).

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში წლების განმავლობაში სწორედ სადებვიროს ტერიტორიიდან შედიოდა შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები - ბრინჯაოს ზოდი, კოლხური ცული (სურ. 2), ლაგამი და ბოთლისებური საკინძი, ანტიკური ხანის სამარხეული მასალები - ალექსანდრე მაკედონელის სტატერი და მისი მინაბამები, ბრინჯაოს მცირე ზომის ფიგურები, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მრავალფეროვანი მძივები და სხვ.

სადებვიროს ტერიტორიაზე, ყვავიქედას ფერდზე გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ორი არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრების შედეგად (ხელმძღვ. არქეოლოგი ლამარა სახაროვა) გამოვლინდა - ანტიკური ხანის ცხეთის სამაროვანი (1962 წელს, ეხლა ნასოფლარია), რომელიც თარიღდება ძვ.წ. IV - ახ.წ. IV სს-ით და კოლხური ნასახლარი (1970-71 წწ), რომელიც თარიღდება ძვ.წ. VIII-V საუკუნეებით (სახაროვა, 1967; სულავა, 1996; სახაროვა, სულავა, 2014).

მართალია, უფრო ადრე ცხეთის სამაროვანი აღმოჩნდა და გაითხარა, მაგრამ არ დავარღვევთ თხრობის რეტროსპექტულ პრინციპს და ნასახლარზე შევჩერდებით.

ცხეთის ნასახლარი კოლხური ნასახლარების რიგს განეკუთვნება აქ აღმოჩენილი არტეფაქტებით - დიდი რაოდენობით ტიპური კოლხური კერამიკა (დერგები, ქოთნები, თევზები, სასმისები), ორი საცხოობი ღუმელი და მარცვულის დანახშირებული გროვები, კაჟის ნამგლის ჩასართები; იატაკის დონეზე (ძვ.წ. VIII ს) აღმოჩენილი ქვის მცირე ზომის უნიკალური ყალიბი (სურ. 3), რომელიც განკუთვნილი იყო კოლხური მართკუთხა ბრინჯაოს აბზინდების შესამკობელი სვასტიკისებური საინკრუსტაციო ფირფიტების ჩამოსახმელად; ყალიბი უნიკალურია, რადგან ანალოგიური ყალიბი არამართ კავკასიაში, არამედ სხვაგანაც უცნობია (სულავა 2003; Sulava 2008; Sulawa N. 2001). აღმოჩნდა წიდებიც, რაც ადგილობრივ სახელოსნოს არსებობაზეც მიუთითებს. თუ გავიხსენებთ ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ბრინჯაოს ზოდს (სურ. 4), რომელიც თითქმის იმავე ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი, ჩვენი ვარაუდი, რომ აქ ბრინჯაოს ნივთების საწარმო-სახელოსნო იყო, კიდევ უფრო გამტკიცდება. ამ ვარაუდს ხელს უწყობს ისიც, რომ დებვირიდან დაახლოებით 10 კმ-ის დაშორებით ჩვენს მიერ აღმოჩენილია და შესწავლილია სპილენძის მეტალურგიული სახელოსნო (დოღურაში - სურ. 5) წარმოების სრული ციკლით - მადნის მოპოვება იქვე და დნობა ამისათვის საჭირო თანამზღებები ატრიბუტებით - დამტვრეული მადანშემცველი ქანების ნამტვრევები, მადნის წინასწარი გამოწვის მოედნები და წყლის რეზერვუარები გასაგრილებლად, წიდების, ტექნიკური კერამიკის (მილები, ქურის შელესილობისა და სადნობი ქვაბების ფრაგმენტები) დიდი რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე არ არის აღმოჩენილი ზოდები, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიღებული ცნობით, იქვე, რამდენიმე წლის წინ, ტყეში ნაპოვნი ყოფილა 9 ცალი ზოდი, რომელიც ჯართში ჩაუბარებიათ (სულავა, და სხვ. 2020).

ცხეთის სამაროვანი, სადაც 15 ორმოსამარხი გაითხარა, შეიცავდა ანტიკური ეპოქისთვის დამახასიათებელ არტეფაქტებს, როგორიცაა - ბრინჯაოს სხვადასხვა ტიპის სამაჯურები და საყურე რგოლები, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები (აბზინდები, 4 ტიპის 10 ცალი ფიბულა), მძივსამკაული (სარდიონის, მინის სხვადასხვა ფერისა და ტიპის), რკინის იარაღი (შუბისპირები, დანები), კერამიკული ჭურჭელი (ქოთნები, დოქები) (სახაროვა, 1967; სულავა 1996).

2012 წლამდე სადებვიროს ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები არ ჩატარებულა. ამ წელს შემთხვევითმა აღმოჩენამ - ბრინჯაოს ხარი (სურ. 6), საფუძველი დაუდო არქეოლოგიური სამუშაოების განახლებას²:

დაიწყო დებვირის ციხეების შესწავლა (არქეოლოგები რ. ისაკაძე, შ. ბუაძე) - გაიწმინდა საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაწილი და გამოვლინდა მარანი (სურ. 7); გაკეთდა სადაზვერვო თხრილები დებვირის დედაციხის ირგვლივ და მიმდებარე ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ხარის სავარაუდო წარმომავლობის (სამარხისეული?) დასადგენად (არქეოლოგი ნ. სულავა).

2014 წელს გაგრძელდა სამუშაოები კოლხური ნასახლარის არეალში, დაფიქსირდა ნაგებობის ნაშთები და კვლავ დიდი რაოდენობით კოლხური კერამიკა (არქეოლოგი ნ. სულავა).

2015 წელს იმ ადგილას, სადაც 1962 წელს გამოვლინდა ცხეთის სამაროვანი, გაითხარა ანტიკური ხანის 5 სამარხი (არქეოლოგი ნ. სულავა). აქ 2018 წლის ჩათვლით შესწავლილია 18 ანტიკური ხანის

2. არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ ინფორმაცია იხილეთ საქართველოს ეროვნული ძეგლთა დაცვის სააგენტოს კრებულებში წლების მიხედვით.

სამარხი (სურ. 8/1, 2).

2016 წელს სადაზვერვო თხრილის გავლებისას ადგილ გვარინაზე, დეხვირის დედაციხის სიახლოვეს, გამოვლინდა ახალი სამაროვანი, სადაც შესწავლილია ქალის სამარხი (# 1) ძვ.წ. IV-III სს-თ დათარიღებული მრავალფეროვანი ინვენტარით - ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, რგოლები, ფიბულა, ზარაკები და მძივები (არქეოლოგი ნ. სულავა) (სურ. 9).

ცხეთის სამაროვანზე 2016 წელს ახ.წ. I საუკუნის სამარხის (სურ. 10) სააღაპო ჭურჭელში პალინოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურდა ღვინის ნაშთები (პალინოლოგი მ. ჭიჭინაძე, არქეოლოგი ნ. სულავა). ეს აღმოჩენა უნიკალურია, რადგან ავსებს საქართველოში ღვინის კულტურის ათასწლეულების ტრადიციის ჯაჭვის ერთ რგოლს დეხვირში 2000 წლის წინანდელი ღვინის ნაშთის აღმოჩენით. ეს პირველი და ერთადერთი შემთხვევაა ლეჩხუმში უძველესი 2000 წლის წინანდელი, ღვინის დადასტურებისა (სულავა ნ., ჭიჭინაძე მ. 2022).

2017 წელს, გვარინაზე, რამდენიმე მეტრის მოშორებით ქალის სამარხიდან (# 1), იქვე, თანამედროვე გზის პირას, გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხის ნაშთი (# 2) ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ინვენტარის ნარჩენებით - თმის სპირალური ხვიების, ქინძისთავებისა და რაღაც ფოთლისებური ნივთის ფრაგმენტები. როგორც ჩანს, სამარხის ძირითადი ნაწილი გზის გაყვანისას დაზიანდა. ეს პირველი შემთხვევაა ლეჩხუმში ამ ხანის სამარხის აღმოჩენისა (არქეოლოგი ნ. სულავა).

2019 წელს ამავე ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების შედეგად მხოლოდ ერთი სამარხი აღმოჩნდა შუასაუკუნეებისა, რომელიც დაზიანებული იყო ჩაშვებული ორი ქვევრით (არქეოლოგი ნ. სულავა).

2016 წელს „დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ღია ცის ქვეშ მუზეუმის“ ტერიტორიაზე, დეხვირის გორაზე, არქეოლოგებმა (რ. ისაკაძემ და შ. ბუაძემ)³ გამოავლინეს საინტერესო ნაგებობა, რომელიც იდენტიფიცირებული იყო როგორც განვითარებული შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია – „საყდარი“ (ბუაძე, ისაკაძე 2018). შემდგომში ნ. სულავასა და ვ. მამიაშვილს დეხვირში სამუშაო ვიზიტით ყოფნისას, როცა კიდევ ერთხელ მოხდა „საყდარის“ მონახულება, ჩამოუყალიბდათ აზრი, რომ საქმე გვაქვს აკლდამის ტიპის ნაგებობასთან (სურ. 11), რაც ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩენაა, ვინაიდან აკლდამებში იკრძალებოდნენ მაღალი რანგის (საზოგადოების მაღალი ფენის) წარმომადგენლები (სულავა, მამიაშვილი 2022).

ასეთია სადეხვიროს ტერიტორიის არქეოლოგიური კონტექსტი.

დასკვნა

სადეხვიროს ისტორიაზე წერილობითი წყაროების სიმცირეს ავსებს არქეოლოგიური მასალა, რომელიც მდიდარ ინფორმაციას იძლევა, რაც იმ დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ სადეხვიროს ტერიტორია მოსახლეობის მიერ უკვე ათვისებული იყო ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან და ლეჩხუმის წარსულში მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ როლს ასრულებდა, რაზეც მეტყველებს:

- კოლხური ნასახლარის მოსახლეობა, როგორც ჩანს, საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული; ამაზე მიუთითებს დიდი რაოდენობით სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭლის და ნამგლის ჩასართების აღმოჩენა. ეს მოსახლეობა, სეზონურ მეტალურგიულ სამუშაოებსაც (მადნის მოპოვება, დნობა, ზოდებათ ჩამოსხმა) ეწეოდა დოღურაშის არქეომეტალურგიულ ძეგლზე, ხოლო თვით ნასახლარზე უკვე ნივთების ჩამოსხმა ხდებოდა, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი ზოდი, ყალიბი და წიდეები. ამავე ხანისაა სამარხი ბრინჯაოს ინვენტარის ნარჩენებით (თმის სპირალური ხვიები, ქინძისთავები და რაღაც ფოთლისებური ნივთის ფრაგმენტები), რომლის ძირითადი ნაწილი გზის გაყვანისას დაზიანდა.

- ანტიკური ხანის სამარხების აღმოჩენა (ცხეთის სამაროვანი, გვარინა) ერთგვარად ამტკიცებს იოჰან გიულდენშტედტის აზრს, რომ აქ სავარაუდოა ქალაქური ტიპის დასახლების არსებობა. მოსახლეობისათვის, რომელიც გარკვეულ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა, ხელმისაწვდომი იყო სამარხებში მოპოვებული იმპორტული ნივთიერი მასალა - ფიბულები, მძივები, სელის ქსოვილი. ისინი

3. „ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიური ექსპედიციის“ (ხელმძღვ. ნ. სულავა) შუა საუკუნეთა რაზმის წევრები.

მისდევდნენ სოფლის მეურნეობას (ნამგლის ჩასართები), ხელოსნობას (კერამიკული ნაწარმი, რკინისა და ბრინჯაოს იარაღი), ღვინის დამზადებას, რომლის ნაშთებიც 2000 წლის წინანდელია.

• დეხვირში, დედაციხის ძირში გამოვლენილი აკლდამის საძირკვლის სავარაუდო თარიღიც და ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აქ საზოგადოების წარჩინებული ფენის, ინსიგნიის მატარებელი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, მიუთითებს ამ ტერიტორიის განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებაზე. ამ აკლდამის აღმოჩენით დასტურდება თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი ქართული საისტორიო წყაროების გარდა ბერძნულ-ბიზანტიური (პროკოფი კესარიელი, იუსტინიანე, თეოდოსი განგრელი) და სომხური წყაროებისათვის ლეჩხუმი, საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია; დასტურდება ჩვენი დიდი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის აღწერის რეალური სურათი: „ლეჩხუმის საშუალოსა, ცხენისწყლის ზეით კლდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკუერისა (ანუ ლეჩხუმისა – ნ. ს.), რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად“ / „ლეჩხუმის საშუალოს, ცხენისწყლის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკუერისა, რამეთუ, რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად“; აიხსნება ხალხური გადმოცემის თანახმად წმ. მაქსიმე აღმსარებელი თავდაპირველად თუ რატომ მოვიდა დეხვირის ციხეში; აიხსნება დეხვირის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კონტექსტი - ანტიკური ხანის მასალები.

ლიტერატურა:

1. ქც = ვახუშტი ბაგრატიონი 1973. ქართლის ცხოვრება, ტომი IV. თბილისი.
2. ალავიძე მ. 1951. ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა. თბ.
3. ბედოშვილი გ. 2013. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით -ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. II. თბ.
4. ბერაძე თ. 2012. ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 2. თბ.
5. ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურულია ლ. 1983. ლეჩხუმი. თბ.
6. ბუაძე შ., ისაკაძე რ. 2018. ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) ექსპედიციის შუა საუკუნეების რაზმის მიერ 2017 წელს დეხვირის ციხეზე ჩატარებულის არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. კრებ.: 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. თბ.
7. გიულდენშტედტი იოჰან 1962. მოგზაურობა საქართველოში. თბ.
8. კიკნაძე ზ. 1996. ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო. ქუთაისი.
9. სახაროვა ლ. 1966. გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურა ცხენისწყლის ხეობაში (ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია). თბ.
10. სახაროვა ლ. 1967. ანტიკური ხანის სამარხები. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, # 9. თბ.
11. სახაროვა ლ. 1976. ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბ.
12. სახაროვა ლ., სულავა ნ. 2014. ცხეთის ნასახლარი (ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები). ციმშ I. თბ.
13. სულავა ნ. 1996. მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი). თბ.
14. სულავა ნ. 2003. ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ, ძიებანი, # 10. თბ.
15. სულავა ნ., გილმორი ბრ., რეზესიძე ნ., ჩაგელიშვილი რ., ბერიძე თ. 2020. მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი). თბილისი/ Sulava N., Gilmour Br., Rezesidze N., Chagelishvili R., Beridze T. 2020. The Origin and Development of Prehistoric Copper Metallurgy in Mountainous Colchis (Lechkhumi). Tbilisi. https://issuu.com/gnmuseum/docs/the_origin_and_development_of_prehistoric_copper_m
16. სულავა ნ., მამიაშვილი ვ. 2022. დეხვირის აკლდამის შესახებ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, X (55-ბ): 16-26. თბ.
17. სულავა ნ., ჭიჭინაძე მ. 2022. პალინოლოგიური კვლევის შედეგები ანტიკური ხანის ცხეთის სამაროვანზე (ლეჩხუმი, საქართველო). „მუზეუმი და გლობალიზაცია, სამეცნიერო ჟურნალი, საერთაშორისო კონფერენციის მასალები I (ბათუმი 14-15 დეკემბერი 2022). ბათუმი.
18. ყაუხჩიშვილი ს. 1941. გეორგიკა IV. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.

თბილისი. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ.


19. Кекелидзе К.С. 1961.Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII. თბ.

20. Сахарова Л.С. 1966. Позднебронзовая культура ущелья реки Цхенисцкали. Автореф. диссерт. к.и.н. Тбилиси.

21. Сулава Н. 2022. Мала ливарна форма колхидської бронзової культури з Лечхумі (Грузія). Міжнародний науковий конференції «Україна-Грузія: діалог культур та цивілізацій», 25-26 травня 2022 р. Київ.




22. Sulava N. 2008. On a small mould discovered in mountainous Colchis. Ancient mining in Turkey and the Eastern Mediterranean (AMITEM). - U. Jalcin (Ed.), Ankara.

23. Sulawa N. 2001. Gussform. - GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies”. Bochum.





Our "factory" products!



აღმოსავლური კულტები გონიო-აფსაროსის ციხიდან Oriental Cults from Gonio-Apsarus Fort

კახაბერ ქამადაძე

*ბსუ, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის სააგენტო, პროფესორი*

თათული მოწყობილი

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

KAKHABER KAMADADZE

Batumi Shota Rustaveli State University, Cultural Heritage

Protection Agency of Ajara, professor

TATULI MOTSKOBILI

Cultural Heritage Protection Agency of Ajara, professor

აბსტრაქტი: ძვ.წ. I საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ იწყება რომის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურება, რომელმაც გავლენა საქართველოზეც მოახდინა. მცირე აზია რომაელთა ინტერესების სფეროდ გამოცხადდა და დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა მისი დაუფლებისათვის. ამიერიდან რომი ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში თანმიმდევრულად ახორციელებს სამხედრო ექსპანსიას და ცდილობს აქ მყარად დამკვიდრებას [ჭუმბურიძე, 2009: 30; გამყრელიძე..., 2005: 58]. რომაელი ჯარისკაცები დგებიან კოლხეთის ზღვისპირა ციხეებში გონიო-აფსაროსში, ფაზისსა და პიტუნტში. რომის იმპერიის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ პუნქტს საქართველოს შავიზღვისპირეთში გონიო-აფსაროსის ციხე წარმოადგენდა. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით რომაელები აქ უკვე ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში მკვიდრდებიან. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია რომაული პერიოდის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა. რომაელებმა თან მოიტანეს აღმოსავლური კულტებიც, რომელთაც ისინი ეთაყვანებოდნენ. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღმოსავლური ღვთაებები: სერაპისი და იუპიტერ დოლიქენუსი. როგორც თანმხლები და პარალელური მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, ისინი პოპულარული ახ.წ. II-III საუკუნეებში ყოფილა. მათი თანდათანობითი დაკნინება კი ახ.წ. III საუკუნის ბოლოს ხდება.

საკვანძო სიტყვები: რომის იპერია, კოლხეთი, ლეგიონი, გონიო-აფსაროსი, კულტი

Abstract. In the 1st century BC, significant political changes took place in the Middle East, in particular, the activation of Rome's eastern policy began, which also affected Georgia. Asia Minor was declared a sphere of Roman interests and a long struggle began for its mastery. From now on, Rome consistently carried out military expansion in the Middle East and the Caucasus and tried to establish itself there.

Roman soldiers were also stationed in the coastal fortresses of Colchis in Gonio-Apsaros, Phasis and Pitunt. The fortress of Gonio-Apsaros was one of the main strongholds of the Roman Empire on the Black Sea coast of Georgia. According to written sources and archaeological materials, the Romans settled here already in the second half of the 1st century AD. As a result of archaeological excavations, a diverse and numerous archaeological material from the Roman period has been discovered on the territory of the fortress, the absolute majority of which is related to Roman soldiers.

The Romans also brought with them Eastern cults, which they worshiped. The presented work discusses the Eastern Roman cults discovered on the territory of the fortress: Serapis and Jupiter Dolichenus.

As it turns out based on the study of accompanying and parallel materials, they were quite popular in the 2nd-3rd centuries AD. Their gradual decline occurs at the end of the 3rd century AD.

Keywords: Roman Empire, Colchis, Legion, Gonio-Apsaros, Cult

ძირითადი ტექსტი. აღმოსავლური კულტების გავრცელება რომში ელინისტური პერიოდიდან იწყება. თავდაპირველად მათი უპირველესი გამავრცელებლები რომაული ლეგიონები იყვნენ. ამის მიზეზი კი ის სამხედრო გაწვევა იყო, რომელსაც რომი დაკავებულ ტერიტორიაზე ახორციელებდა. იმპერიის არსებობის პირველ პერიოდში მმართველი პირები ებრძოდნენ აღმოსავლურ ღვთაებებს და რიტუალებს, მაგრამ მოგვიანებით მათი რომის რელიგიურ ტრადიციებთან დაახლოება და შერწყმა მოხდა. უკვე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული აღმოსავლური კულტებისადმი მიღწილი ცერემონიები რომის იმპერიის დედაქალაქშიც კი ტარდებოდა [მშვილდაძე, 2005: 30-31].

რომაული ლეგიონების საშუალებით აღმოსავლური კულტები გავცელდა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის კოლხეთშიც. აღმოსავლური კულტები სერაპისი და იუპიტერ დოლიქენუსი აღმოჩენილია გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზეც. ჯერ კიდევ 2000 წელს აფსაროსის ციხის სამხრეთ კარიბჭესთან წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად რომაული პერიოდის სხვადასხვა მასალებთან ერთად აღმოჩნდა სერაპისის ქანდაკება, რომელსაც მკვლევარები ახ.წ II საუკუნის ბოლოთი და III საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ [ვრცლ. იხ. კახიძე, მამულაძე, 2004: 4-73; მამულაძე, 2009:131-142]. ღვთაებას აქვს გრძელი წვერი, თავზე ადგას კალათოსი. აქვს ღრმა ფოსო გაურკვეველი ფორმის ნივთზე თუ სადგარზე მორგების მიზნით (ტაბ.I/1). გონიო-აფსაროსის სერაპისის ქანდაკებას სამი ტრადიციული ჟანრისგან: არწივი, ლოტოსი და გლობუსი გააჩნია ორი გლობუსი და ლოტოსი [მამულაძე, 2009:131-132]. აფსაროსში აღმოჩენილი სერაპისი, როგორც გლობუსზე მჯდომი ღვთაება, განასახიერებს სამყაროს, კოსმოსს და ზოგადად ძალაუფლებისა და ბატონობის სიმბოლოს. ყველაფრის მბრძანებელი, ყოვლისშემძლე, სერაპისი სიუხვის, ნაყოფიერების თუ ყოველგვარი წარმატებების ღვთაებასაც განასახიერებდა.

როგორც ცნობილია, II საუკუნიდან სერაპისი იქცა რომაული არმიის მფარველ ღმერთადაც. იგი, როგორც მათი მფარველი ღვთაება, სწორედ აფსაროსში მდგომი ლეგიონერების მიერ უნდა იყოს შემოტანილი. გონიო-აფსაროსში რომაელთა ყოფნის პერიოდი სწორედ სერაპისის ღვთაების აღზევების ეპოქას ემთხვევა და, შესაძლოა, იგი აქ მდგომი რომაული საჯარისო შენაერთებისათვისაც ერთ-ერთ მთავარ ღვთაებას წარმოადგენდა [მამულაძე, 2009:143]. აფსაროსის სერაპისის ბრინჯაოს ქანდაკება ჯერჯერობით ერთადერთია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომელიც კულტურული ფენებისა (ახ.წ. II-III სს) და თვით სერაპისის მიხედვით, ახ.წ. III საუკუნით თარიღდება. აღნიშნული ქანდაკების წარმოშობის ცენტრად მცირე აზიაა მიჩნეული [მშვილდაძე, 2009: 69; თოდუა: 2005: 178-179].

გარდა ქანდაკებისა ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სერაპისის გამოსახულებიანი მონეტებიც. ერთ-ერთ ტრაპეზუნტში მოჭრილ სპილენძის მონეტაზე, რომელიც ციხის სამხრეთი კარიბჭის შიდა ტერიტორიაზე აღმოჩნდა სერაპისი მთლიანადაა გამოსახული ტანით. მას მარცხენა ხელში სკიპტრა უჭირავს, მარჯვენა კი ზევით აქვს - აწეული [ვარშალომიძე, 2004: 141-148]. მეორე - ციხის დასავლეთ კედლის გარეთ აღმოჩენილ მონეტის ზურგზე, ნავში მჯდომი სერაპისია გამოსახული, რომელსაც მარჯვენა ხელში კვერთხი უჭირავს, ხოლო მარცხენაში - სფერო [ვარშალომიძე, 2001].

გონიო-აფსაროსის ციხის გარდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ღვთაება სერაპისთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა აღმოჩენილია ე.წ. ურეკის განძში. კერძოდ 1942 წელს სერაპისის გამოსახულებიანი ბეჭედი არმოჩნდა მდ. სუფსისა და შავი ზღვის შესართავთან - ურეკის ყოფილ საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე „კუჩხის აბანოსთან“ ქვისაზვინულში, მიწის ზედაპირიდან 1,3 მეტრის სირღმეზე რკინის ჩაკეცილ სარეცელზე ვერტიკალურად მდგარ ამფორაში. მკვლევარები მას ახ.წ.III-IV სს ათარიღებენ [მშვილდაძე, 2009: 66; აფაქიძე, 1947: 90-91].

რაც შეეხება სერაპისის კულტის წარმოშობას, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ეს ღვთაება პირველად ეგვიპტეში პტოლემეოს I (ძვ.წ. 305-285) სოტერის მმართველობის დროს გაჩნდა. გადმოცემის თანახმად, დიდმა მხედართმთავარმა ეგვიპტის დაკავების შემდეგ ააშენა რა ახალი დედაქალაქი ალექსანდრია და მსხვერპლი შესწირა ტაძრებს, სიზმარში ერთი ახალგაზრდა, მშვენიერი გარეგნობის კაცი ნახა, რის შემდეგაც ბრძანება გასცა სინოპიდან (მცირე აზია) გადმოეტანათ ზევსის საკულტო გამოსახულება, რომელიც შემდგომში ახალი ღვთაების პროტოტიპად იქცა. დიდმა ბერძენმა მოქანდაკემ

ბრიაქისმა ოდნავ შეცვალა ღვთაების ძველი სახე, მისცა რა მას დასავლური პლასტიკა, რომელიც საბოლოოდ კანონიკურ სახეს იღებს. იგი უკვე ბერძნულ-ეგვიპტური კულტურის ნაერთს წარმოადგენდა [მშვილდაძე, 2005: 43; მშვილდაძე, მამულაძე, 2009:62]. ბრიაქისის მიერ სერაპისის ქანდაკების შექმნის ზედა საზღვრად მიჩნეულია ძვ.წ. 350 წელი, ხოლო ქვედა საზღვრად - ძვ.წ. 250 წელი [იხ. მამულაძე, 2009: 133].

სერაპისის სახელის წარმოშობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინტერპრეტაცია და მოსაზრებები არსებობს. თუმცა, დღეს სარაპისის სახელის ეგვიპტური განსაზღვრაა სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული. ამ მოსაზრების მიხედვით ღვთაების სახელი მიღებულია ოსარაპისისაგან - ხარი აპისისა და მიცვალეულთა ღმერთის ოსირისისაგან. ეგვიპტელი ქურუმების უმრავლესობას სურდა, რომ ეს სახელი (სარაპისი) შედგენილი ყოფილიყო ორი სახელისაგან - ოსირისისა და აპისისაგან, რითაც მათ სურდათ დაენახებინათ აპისის ხატში ოსირისის სულის სილამაზე. ლათინურ წარწერებში ეს ღვთაება თითქმის ყოველთვის იწოდება სერაპისად. გონიო-აფსაროსის ციხეში აღმოჩენილი ღვთაება სერაპისი ფორმით ალექსანდრიაში შექმნილ ნიმუშებთან ავლენს მსგავსებას [მშვილდაძე, 2005: 44; მშვილდაძე, მამულაძე, 2009: 63; მამულაძე, 2009: 134-135].

სერაპისი - ნაყოფიერების, ზღვისა და ჯამრთელობის ღვთაება გვიანეგვიპტურ-ელინური პერიოდის რელიგიურ პანთეონში გამოისახებოდა წვეროსანი მამაკაცის სახით, რომელსაც თავზე ხთონური ძალის გამომხატველი კალაფი ედგა, რაც იმავდროულად სიუხვისა და ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდა [მშვილდაძე, 2005: 43; მშვილდაძე, მამულაძე, 2009:63]. სერაპისი ცნობილი იყო როგორც უნივერსალური ღმერთი. იგი განასახიერებდა მიცვალეულთა და ნაყოფიერების ღვთაებას. ცნობილი იყო, ასევე, როგორც მკურნალი ღვთაება. ხშირად სარაპისი გაიგივებული იყო ზევსთან, ჰადესთან, ჰელიოსთან, ყველაზე მეტად კი დიონისესთან. იგი ზოგჯერ „ზევს-სარაპისად“ ან კიდევ „დიდ სარაპისად“ იწოდებოდა [მშვილდაძე, 2005: 44; მშვილდაძე, მამულაძე, 2009: 63; მამულაძე, 2009:135].

სერაპისის თავყვანისცემა და მისი არსებობა, როგორც სათაყვანებელი კულტის, ცნობილია რომის რესპუბლიკის ხანის ბოლო პერიოდიდან. სხვადასხვა წერილობითი, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მასალებით კარგად ჩანს, რომ სერაპისის კულტი მეტად გავრცელებულია რომის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, იგი რომის იმპერიის ერთ-ერთ მთავარ კულტად იქცა [მშვილდაძე, 2002: 60; მშვილდაძე, 2005: 44].

თავდაპირველად სერაპისის კულტისადმი დამოკიდებულება საკმაოდ სკეპტიკური იყო, თუმცა. ახ.წ. I საუკუნიდან მოყოლებული ვითარება თანდათან იცვლება. პირველად სერაპისისადმი კეთილგანწყობა იმპერატორმა კალიგულამ (37-41 წწ), გამოხატა. სერაპისის კულტს პატივს სცემდნენ ნერონი (54-68 წწ) და ვესპასიანე (69-79 წწ). ტრაიანემ (98-117 წწ) უკვე მონეტის რევერსზე (111-112) გამოახატინა სერაპეუმი ღვთაებასთან ერთად. ადრიანე (117-138 წწ) ეგვიპტური კულტების თავყვანისცემელთა რიგს განეკუთვნებოდა. არც მარკუს ავრელიუსს (161-180 წწ) სძულდა სერაპისი. კომუდუსი (176-192 წწ) კი მონეტებზე გამოსახული იყო ისისადა და სერაპისთან ერთად. სეპტიმუს სევერუსი (193-211 წწ) ეგვიპტეში მოგზაურობისას სხვა კულტებთან შედარებით ყველაზე მეტად განცვიფრებული იყო სწორედ სერაპისით. კარაკალას (198-217 წწ) იმპერატორობის პერიოდი კი ეგვიპტური ღვთაებების აპოგეის ხანას წარმოადგენდა. არქეოლოგიური და ეპიგრაფიული მონაცემების მიხედვით, მის დროს იმპერიაში მთავარ ღვთაებებად ისიდა და სერაპისი იქცნენ [მშვილდაძე, 2009: 64].

ამგვარად სერაპისის კულტი რომის იმპერიაში განსაკუთრებით პოპულარული ახ.წ. II-III სს-შია, მისი პოპულარობა ახ. IV საუკუნიდან ეცემა, რაშიც გადამწყვეტი როლი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ითამაშა. ქრისტიანობასთან ბრძოლაში ალექსანდრიულმა ღვთაებამ პოზიციები თანდათან დათმო. უკვე პირველი ქრისტიანი იმპერატორების დროს სერაპისის კულტი მწვალებლობის კონდიციამდე იქნა დაყვანილი, რაც საბოლოოდ ამ ღვთაების სრული განადგურებით დასრულდა [მშვილდაძე, 2005: 49; მშვილდაძე, მამულაძე, 2009: 65].

მომდევნო აღმოსავლური კულტი რომელიც გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი იუპიტერ დოლიქენუსია. დოლიხენუსის ღვთაება განიხილებოდა, როგორც სამყაროს, წვიმისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი. ასევე მას მიენიჭა ჯარისკაცთა მფარველის ტიტულიც. მისი ფესვები


მომდინარეობს ძველი სირიული ქალაქ დოლიჩენიდან [Mamuladze..., 2021:122]. იუპიტერ დოლიხენუსი გამოისახებოდა ხარზე მჯდომი ახალგაზრდა მებრძოლის, ან წვერიანი მამაკაცის სახით, რომელსაც თავზე მზის სხივები დაუყვებოდა, ორლესული ცულითა და ელვის ემბლემით ხელში, ნიშანდობრივია, რომ რომის იმპერიაში ზევსი და იუპიტერ დოლიხენუსი ერთი და იგივე ღვთაებას წარმოადგენდნენ [მშვილდაძე, 2005: 49]. რაც შეეხება მის ატრიბუტებს: იუპიტერ დოლიხენუსი თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია თავისი სამი ატრიბუტით: ელვა, ბიპენისი და ხარი. ელვა განასახიერებს ღმერთის ძალაუფლებას ამინდზე და მის დამანგრეველ ძალაზე და ის უჭირავს ყოველთვის მარცხენა ხელში. ბიპენისი ყოველთვის მარჯვენა ხელში უჭირავს, რომელიც ჩვეულებრივ აწეულია; ხარი ითვლებოდა ქარიშხლებისა და ქარის მრისხანების სიმბოლოდ [Mamuladze..., 2021:122-128]. იუპიტერ დოლიხენუსის ატრიბუტები იყო აგეტვე არწივი როგორც ძალაუფლების სიმბოლო და ირემი. გონიოში აღმოჩენილი იუპიტერ დოლიქენუსის ატრიბუტები ორივე ფორმითაა წარმოდგენილი. არწივი ზის ირემის (ტაბ. II/2) ან ხარის რქებზე. ბოლო პერიოდში ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებში მომრავლდა არწივის ფიგურების ცალკეული ფრაგმენტები და კულტმსახურებასთან დაკავშირებული სარიტუალო ნივთები.

იუპიტერ დოლიქენუსის კულტს რომაელები პირველად ახ.წ. 72 წ. გაეცნენ, მათ მიერ კომაგენის ანექსიის შემდეგ. ღვთაების გავრცელების მიზეზი კი ამ რეგიონიდან ახალგაზრდების ჯარში გაწვევა გახდა, რომლებმაც ეს კულტი გაავრცელეს. ეს მოვლენა ადრიანეს (117-138 წწ) იმპერატორობის პერიოდით თარიღდება. იუპიტერ დოლიხენუსის კულტი აპოგეას ახ.წ. 200 წლისათვის აღწევს. იგი სეპტიმუს სევერუსის (193-211 წწ) დროს აღიარებული იქნა სახელმწიფოს ოფიციალურ კულტად [მშვილდაძე, 2005: 49]. ამგვარად იუპიტერ დოლიხენუსის კულტიც პოპულარული იყო ახ.წ. II საუკუნის განმავლობაში, პიკს კი მიაღწია III საუკუნის პირველ ათწლეულში, მაგრამ უკვე III საუკუნის ბოლოს კარგავს პოპულარობას და თანდათან ქვეითდება [Mamuladze..., 2021:121].

ამგვარად გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ აღმოსავლურ ღვთაებებზე თუ საკულტო საგნებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აქ მდგომი რომაული კოჰორტები ძირითადად მცირე აზიიდან კომპლექტებოდნენ, რომელ ჯარისკაცებს თან მოჰქონდათ როგორც საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის კერამიკული ტარა, ასევე თავიანთი ღვთაებებიც, რომელთა თაყვანისცემასაც ისინი აფსაროსის ციხეშიც აგრძელებდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., 1947. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან// საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XIV, თბილისი
2. გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., 2005. ძველი სამხედრო ისტორიის საკითხები, თბილისი
3. თოდუა თ., 2005. სერაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან// ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, N 15-16
4. მამულაძე შ., 2009. სერაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან //გონიო-აფსაროსი VIII, ბათუმი , 131-146
5. მშვილდაძე მ., 2002. ზოგიერთი საკითხი სერაპისის კულტის გავრცელების შესახებ რომის იმპერიაში// კავკასიის მაცნე N 5, თბილისი
6. მშვილდაძე მ., 2005. რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ.წ. I-III სს, თბილისი
7. მშვილდაძე მ., მამულაძე შ., 2009. სერაპისი აღმოსავლეთ შავიზღვის-პირთში (გვიან ანტიკური პერიოდი)// ისტორიანი, თბილისი, 62-72
8. ვარშალომიძე ი., 2001. სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ.წ. I ს-დან 1453 წლამდე, ბათუმი
9. ვარშალომიძე ი., 2004. სამხრეთ-კარიბჭესთან აღმოჩენილი მონეტები// გონიო-აფსაროსი IV, 141-148, ბათუმი
10. კახიძე ა., მამულაძე შ., 2004. სამხრეთ-კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წწ წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები// გონიო-აფსაროსი IV, 4-107, ბათუმი
11. ჭუმბურიძე მ., 2009. ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემა (ახ.წ. I-VIII სს), ქუთაისი
12. Mamuladze Sh, Kakhidze E, Mamuladze S., 2021. Roman cult items discovered at the fort of Apsarus// გონიო-აფსაროსი (შრომების კრებული) XI, ბათუმი, 115-14



სერაპისის ქანდაკება



იუპიტერ დოლიქენუსი

უსასრულობის სიმბოლოები: დამალული ცოდნის ამოსაცნობი ფილოსოფია Infinity Symbols: Puzzling Philosophy of Hidden Knowledge

ელისო ბაღათურია-კნერი

ფილ. დოქტორი კულტურულ მეცნიერებებში.

მოწვეული პროფესორი, ზუგდიდის შოთა მესხიას

სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიუნხენის უნივერსიტეტების საზოგადოების წევრი გერმანიაში

ELISO BAGHATURIA-KNER

Dr. Phil. in Cultural Studies, Visiting Professor at Shota Meskhia

University of Zugdidi, Member of Munich

Universities Society in Germany (MUG)

აბსტრაქტი: ნაშრომი განიხილავს თუ როგორ აისახება დროისა და სხვა კოსმოლოგიურ სიმბოლოთა იდეა ქართულ არქეოლოგიურ მემკვიდრეობასა და საერთო ისტორიულ პრაქტიკაში. ეს მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ის კოსმოლოგიური და სიმბოლური მცნებები, რომელიც ამავდროულად წყაროების თემატიკასაც წარმოადგენს. რაც, თავისთავად აჩენს კითხვებს თუ რა ხერხებითა და მიზნებით შემოტანეს კოლხებმა კოსმოლოგიური ცოდნა თავიანთი ცხოვრების რიტმში? - და როგორ წარმოიქმნა ეს კონცეფციები შემეცნებითი, მეტაფორული და სიმბოლური ხელოვნების სხვადასხვა დარგში ისე, რომ მათი ისტორიულად გამოყენებადი მნიშვნელობა მარტივად ხელმისაწვდომი ყოფილიყო საზოგადოებისთვის? ვინაიდან, საქართველოს არქეოლოგიურ მეცნიერებას ამ თვალსაზრისით ძალიან შეზღუდული თემატური სპექტრი აქვს, ეს ნაშრომი ახალ შეხედულებებს შემოიტანს ცოდნის ხარვეზის დასაფარად. შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ნივთების ტიპოლოგიურ-ფუნქციონალური ასპექტიდან დანახული განსხვავებების წარმოდგენას, რამაც შეიძლება კონცეფციების სრულიად განსხვავებული შიგთავსი მოგვცეს. რაც, კიდევ უფრო გაზდრის მნიშვნელოვან საკითხებს იმის შესახებ თუ როგორ ურთიერთქმედებდნენ კულტურები, საზრიანობა და რეალობა ისე, რომ ყველასათვის გასაგებად აეხსნათ დროის, ვიბრაციისა და კოსმოსის ციკლური წესრიგის გაგება. ეს, ასევე წარმოაჩენს კულტურებს ამოფარებული იდეების წარმომავლობას, მოცემული სიმბოლური და სააზროვნო ტექნიკების გამოყენებით. ამდენად, წარმოდგენილი კონცეფციური ჩარჩო ასახავს კოსმოლოგიურ სემანტიკასა და ადამიანის ქცევებს შორის ისეთ კავშირს, რაც ყველაზე ძნელად ამოსაცნობ ხასიათს ატარებს, მაგრამ ამასთანავე უჩვენებს, თუ რამდენად მარტივად შეიჭრა ის ხელოვნებასა და ნივთიერ კულტურაში.

საკვანძო სიტყვები: დრო, სვასტიკა, ბორჯღალი, სპირალი, კოსმოლოგიური სემანტიკა, უსასრულობის სიმბოლო, ჰერმეტიკული პრინციპები, კვანტური ფიზიკა.

Abstract: This paper examines how the images of Time and other cosmic symbols are reflected in Georgian archaeological heritage and shared historical practices. It aims to illustrate concepts that are cosmological, symbolic, and literary in nature and raises the questions: How did the Colchians incorporate cosmological concepts into the rhythm of life? How are these ideas expressed within different branches of cognitive, metaphorical, and symbolic art that may contribute to our understanding of historical aging and its meaning? Since Georgian archaeological science has a very limited thematic field, this paper adds new insights to bridge the gap in knowledge. Paper aims to provide typological and functional distinction of objects that may raise different insights to concepts. This further brings up important issues about how cultures, mind and reality interact to give sense of Time, vibration and cyclical order of cosmos. Additionally, this study seeks to analyze the origins of idea behind cultures, using symbolic and meaning techniques. The proposed framework outlines the connection between cosmological semantics and human behaviors emphasizing their intriguing presence in architecture, art and material objects.

Key Words: Time, Swastika, Borjghali, Spiral, Cosmological semantic, infinity symbol, Hermetic principles, quantic physics.

Many years ago, when I first attempted to examine the enigmatic symbols of the swastika, borjghali, and spiral, I found them somewhat puzzling. This was partly because Caucasian archaeological science had missed the opportunity to explore and connect these symbols with broader cultural and historical contexts. This omission has limited our ability to differentiate the unique aspects of Caucasian material culture.

The ideas embedded in these symbols, which span various branches of cognitive, metaphorical, symbolic, and other ancient sciences, present an opportunity to embark on a fascinating intellectual journey. They allow us to glimpse the wisdom of the ancient knowledge bearers who lived before the advent of the alphabet. My goal in revisiting these symbols from a cognitive and metaphorical perspective is to offer a new interpretation of the materials they were applied to in Colchis.

The journey of these symbols likely began in prehistoric Mesopotamia, but it was in Colchis that they emerged from their Late Bronze Age ancestral heritage into early Byzantine material culture. Colchian jewelers and potters in the Classical, Roman, and Byzantine periods drew inspiration from these symbols, and their artistic applications may contribute to our understanding of historical aging and its meaning. While we may never fully uncover the precise origins or meanings of these symbols throughout their millennia-long history, their evolving role—particularly that of the swastika and spiral—offers a compelling entry point into different conceptual frameworks within Colchian material culture.

Swastika

30. Wilson, Thomas, 1894, The Swastika, the earliest known symbol and its migration. Annual Report, US National Museum, pages 757-1011. Washington, DC. Govt. <http://www.gutenberg.org/files/40812/40812-h/40812-h.htm> See also:

მთიანი კოლხეთი-სპილენძის მეტალურგია
(აღმოჩენები, მულტიდისციპლინარული კვლევები, წყაროები და ეთნოლოგია)
Hilly Colchis-copper metallurgy
(discoveries, multi-disciplinary researches and ethnology)

ნინო სულავა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ღორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის
არქეოლოგიისა და ისტორიის სამეცნიერო მიმართულების
ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რუსუდან ჩაგელიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
გეოლოგია პალეონტო-ლოგიის ფონდის მთავარი კურატორი

ნანა რეზესიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
მეცნიერ-თანამშრომელი, არქეოლოგიის დოქტორი

გონერი არახამია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
სამეცნიერო-საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი მამარდაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიისა
და ეთნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომელი ეთნოლოგიის დოქტორი

NINO SULAVA

Head of the scientific department of Archaeology
and History at Otar Lortkipanidze Archaeological
Institute - National Museum of Georgia, PhD in historical sciences

RUSUDAN CHAGELISHVILI

Georgian National Museum, Chief Curator of Geology Paleontology Found

NANA REZESIDZE

Georgian National Museum, Ph.D, Researcher

GONERI ARAKHAMIA

Head of the Scientific and Organizational Department of the National
Sciences Academy of Georgia, PhD in History

GIORGI MAMARDASHVILI

Researcher of the Scientific Researching Institute of History and
Ethnology of Georgian National museum, PhD in Ethnology

აბსტრაქტი: კოლხური ბრინჯაოს კულტურა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კავკასიის, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს და მისი მიმდებარე რეგიონების უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური კულტურაა. მთიანი კოლხეთი, თანამედროვე ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორია, კოლხური ბრინჯაოს კულტურის ნაწილია, მისი წარმოშობის ერთ-ერთი კერაა.

უძველესი მეტალურგიის ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა ისტორიული კოლხეთის კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში XX ს-ის 60-იანი წლებიდან დაიწყო შემთხვევითი აღმოჩენებისა და გეოლოგების მიერ შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. არქეომეტალურგიული ძეგლების დადასტურების და გათხრის პიონერები იყვნენ ი. გპელიშვილი და დ. ხახუტაიშვილი, რომელთაც უმნიშვნელოვანესი სამუშაოები ჩაატარეს უძველესი არქეომეტალურგიის დნობის ძეგლების კვლევის თვალსაზრისით. აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა პრეისტორიული კოლხეთის 400-ზე მეტი ლითონის დნობის ძეგლი. ისინი მიჩნეული იყო რკინის მეტალურგიის ძეგლებად.

2010 წლიდან კოლხეთში კვლავ გაგრძელდა არქეომეტალურგიული კვლევები - აღმოჩნდა ახალი და გადამოწმდა ადრე გათხრილი ძეგლების მონაცემები; გაირკვა, რომ ამ ძეგლების

უმრავლესობაზე, ზოგი გამონაკლისის გარდა, სპილენძის დნობა ხდებოდა.

ამ კვლევებს გარკვეულწილად ავსებს მთიან კოლხეთში, ახლად აღმოჩენილი არქეო-მეტალურგიის შეუსწავლელი და ამდენად ახალი ინფორმაციის შემცველი ძეგლების მონაცემები, რომელთა შესწავლაც 2016 წლიდან დაიწყო. მთიანი კოლხეთის არქეომეტალურგიული აღმოჩენებით სპილენძის მეტალურგიის დადასტურებამ, მულტიდისციპლინურმა კვლევებმა, წყაროების ახლებურად გადაფასებამ და ახალი ეთნოლოგიური მონაცემების მოძიებამ შეავსო და გაამყარა კოლხური ბრინჯაოს კულტურის საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: კოლხური ბრინჯაოს კულტურა, მთიანი კოლხეთი, არქეომეტალურგია.

Abstract: The Colchian Bronze Culture is a significant archaeological culture of the Late Bronze to Early Iron Age in the Caucasus region, specifically in western Georgia and its surrounding areas. Mountainous Colchis, corresponding to the modern territories of Lechkhumi and Lower Svaneti, is an integral part of the Colchian Bronze Culture and represents one of its primary centers of origin.

Archaeological investigations of the oldest metallurgical sites within the historical Colchis and the Colchian Bronze Culture area began in the 1960s, following accidental discoveries and data collected by geologists. The pioneers in confirming and excavating archaeometallurgical sites were I. Gdzlishvili and D. Khakhutaishvili, who conducted essential research on ancient metallurgical smelting remains. More than 400 prehistoric metal-smelting sites in Colchis were discovered and studied, initially believed to represent iron metallurgy remains.

Since 2010, archaeometallurgical research in Colchis has resumed, leading to the discovery of new sites and the re-examination of previously excavated monuments. It was revealed that on the majority of these sites—except for some exceptions—copper smelting was practiced.

These studies are complemented by data from newly discovered, previously unexplored archaeometallurgical sites in mountainous Colchis, whose investigation began in 2016. The confirmation of copper metallurgy through these discoveries, combined with multidisciplinary research, a re-evaluation of sources, and the acquisition of new ethnological data, has enriched and firmly established the foundation of the Colchian Bronze Culture.

Keywords: Colchian Bronze Culture, Mountainous Colchis, Archaeometallurgy.

კოლხური ბრინჯაოს კულტურა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კავკასიის, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს და მისი მიმდებარე რეგიონების უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური კულტურაა. კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალი მოიცავს ტერიტორიას - დასავლეთ საქართველო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ჩათვლით, აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 133; შდრ. სულავა, 2014, გვ. 55; სულავა, 2020, გვ. 5).

მთიანი კოლხეთი - ისტორიული მნიშვნელობის ტერმინია, რომელიც გეოგრაფიულად მოიცავს: სამეგრელოს მთიან ნაწილს, იმერეთის მთიან ნაწილს, ლეჩხუმს, რაჭას, სვანეთს. მთიანი კოლხეთი, თანამედროვე ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორია, კოლხური ბრინჯაოს კულტურის ნაწილია, მისი წარმოშობის ერთ-ერთი კერაა. მთიანი კოლხეთი, შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს განძებისა და სხვა ბრინჯაო-რკინის არტეფაქტების საფუძველზე კოლხური ბრინჯაოს კულტურის მეტალურგიის ერთ-ერთ ცენტრად ითვლებოდა, სადაც უძველესი მეტალურგია ჩამოყალიბდა და განვითარდა, და სადაც დიდი რაოდენობით იყო აღმოჩენილი მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული არტეფაქტები: ბრინჯაოს ზოდები, წიდეები, ქურის შელესილობის ფრაგმენტები, ქვისა და თიხის საბერველები, მეტალურგიული საწარმოო გადანაყარი (სოფლებიდან - ოფიტარა, ოყურეში, ლაჭეპიტა, მექვენა, დღნორისა, თეთრი ღელე, ზუბი, კინჩხა, კადარი, დოღურაში, ლაშკილი) (Сaxapoba 1966; სახაროვა 1976;

სულავა და სხვ. 2020).

მასალა და მეთოდები

უძველესი მეტალურგიის არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელი რეგიონები უფრო მეტი ინფორმაციის შემცველია და იძლევა ძეგლების თანამედროვე არქეოლოგიური, საბუნებისმეტყველო მეთოდებით შესწავლის საშუალებას.

მთიან კოლხეთში, თანამედროვე ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე, მიმდინარე არქეოლოგიური და გეოლოგიური სადაზვერვო/კვლევითი სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა 25-ზე მეტი აქამდე უცნობი ადრეული ლითონის სადნობი სახელოსნო, დნობასთან დაკავშირებული კერები და მეტალურგიული ნარჩენები (სულავა და სხვ. 2020; ჩაგელიშვილი და სხვ. 2023).

2016–2019 წლებში პირველად გაითხარა ლეჩხუმის არქეომეტალურგიული ძეგლები - დოღურაში I და II. სტრატეგიცირებული ფენებიდან მოპოვებული ლითონის დნობის ნარჩენებზე ჩატარდა ინტერდისციპლინური კვლევები - მინერალიზირებული ქანების და არტეფაქტების რენტგენოფლუორესცენტულმა (XRF), ატომურ აბსორციულმა (AAS) და პეტროგრაფიულმა ანალიზებმა აჩვენა, რომ საკვლევ ძეგლებზე (დოღურაში I, II, III; ოყურეში I, II; ჭიქელაში; ლუხვანო) მადნის პირველადი გადამუშავება და სპილენძის დნობა ხდებოდა. სპილენძის ძირითადი მინერალიზაცია რეგიონში, და საკვლევ ტერიტორიაზე, უკავშირდება ინტრუზიული სხეულებისა და იურული ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი და ვულკანური ქანების კონტაქტის ზონებს (ჩაგელიშვილი და სხვ. 2023).

დადგინდა, რომ ნედლი მასალის მოპოვება, მადნის დამუშავება და სპილენძის სადნობი სახელოსნოები ერთმანეთთან ახლოს - დაახლოებით 1-3 კმ მანძილზე იყო. მადნებსა და წიდებზე მიღებული კვლევის შედეგები ერთ გენეტიკურ წარმომავლობაზე მიუთითებს და ადასტურებს, რომ კოლხი მეტალურგები იყენებდნენ ადგილობრივ მადანს.

წიდების ტიპოლოგიურმა და პეტროგრაფიულმა კვლევის შედეგებმა ლითონის დნობის სხვადასხვა ფაზა გვიჩვენა (ჩაგელიშვილი და სხვ. 2023).

კულტურული ფენებიდან მოპოვებული არტეფაქტების - წიდებისა და ტექნიკური კერამიკის, ფორებში დალექილი ორგანული ნაშთების პალინოლოგიური კვლევით დასტურდება, რომ მთიან კოლხეთში, გვიანბრინჯაოს ხანაში, დღევანდელთან შედარებით, თბილი კლიმატი იყო. პალინოლოგიურმა და ნახშირების კვლევამ აჩვენა, რომ იმდროინდელი მეტალურგები საწვავად იყენებდნენ წაბლს (*Castanea*), წიფელს (*Fagus*), რცხილას (*Carpinus*) და მურყანს (*Alnus*) (ჩაგელიშვილი და სხვ. 2023; Kvavadze და სხვ., 2024).

რადიოკარბონული (14 C) ანალიზების მიხედვით სახელოსნოები - დოღურაში I და II, გვერდისთავი და ლუხვანო ძვ.წ. 13-8 სს-ში საქმიანობდა (სულავა და სხვ. 2020; ჩაგელიშვილი და სხვ. 2023).

როგორც აღვნიშნეთ, XX საუკუნის 60-70-იან წლებში, მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეომეტალურგიული ძეგლები - ქურა-სახელოსნოები. ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო რკინის მეტალურგიის ძეგლებად. შესაბამისად, წყაროებში, ლიტერატურულ ცნობებსა და მითებში მოდიებული იყო რკინასთან დაკავშირებული ცნობები (ხახუტაიშვილი, 1978; Хакхуთაишвили, 1987; Khakhutaishvili, 2009; ინანიშვილი და სხვ. 2010; ინანიშვილი 2014).

ამავე ხანის კოლხეთში სპილენძის არტეფაქტების დიდი რაოდენობა იყო აღმოჩენილი - სპილენძ/ბრინჯაოს განძები, ცალკეული არტეფაქტები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, სამკაული, მცირე პლასტიკის ნიმუშები.

უმუალოდ სპილენძის მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტებიც დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა - სპილენძ/ბრინჯაოს ზოდები, ძირითადად დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს განძებიდან, ყალიბები, თიხის მილები და ტიგელები (ქორიძე, 1965; სულავა, ოქრუაშვილი, გილმორი, 2022, გვ. 88-95; სულავა, ჭსახაროვა, 2012, გვ. 88-104; Сулава, 2022, გვ. 56-64).

თვით არქეომეტალურგიული ძეგლები კი, სადაც სპილენძის დნობა-ჩამოსხმა ხდებოდა,

არ ჩანდა.

რადგან XXI საუკუნის დასაწყისიდან შესაძლებელი გახდა თანამედროვე საბუნებისმეტყველო კვლევებზე დაყრდნობით წინა საუკუნეში კოლხეთში გამოვლენილი და შესწავლილი არქეომეტალურგიის ძეგლების მონაცემების გადამოწმება, რის შედეგადაც რკინის მეტალურგიის ძეგლებად მიჩნეული ქურა-სახელოსნოების დიდი უმრავლესობა სპილენძის მეტალურგიას მიეკუთვნა, რასაც მთიან კოლხეთში წარმოებული კვლევა-ძიებაც ეხმიანება (Erb-Satullo და სხვ., 2018, გვ. 167. ხახუტაიშვილი და სხვ., 2024, გვ. 252). ამიტომ შესაბამისად, დადგა საკითხი წყაროებში, ლიტერატურულ ცნობებსა და მითებში მოდიებულიყო სპილენძთან დაკავშირებული ცნობები (სულავა და სხვ. 2024; სულავა და სხვ. 2025).

კოლხურ ტომებში სპილენძის მოპოვებისა და დამუშავების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ძველადმოსავლური, ანტიკური, ბიზანტიური, ძველსომხური და ა. შ. დოკუმენტური, ნარატიული თუ ლიტერატურული ძეგლები (სულავა და სხვ. 2025).

სპილენძის მეტალურგიის შესახებ ცნობებს გვაწვდის და რეტროსპექტულად სურათის აღდგენის სწაშუალებას იძლევა ეთნოლოგიური მასალებიც (სულავა და სხვ. 2025).

დასკვნა

კოლხეთში სპილენძის მეტალურგიის ძეგლების დადასტურებამ შეავსო და გაამყარა კოლხური ბრინჯაოს კულტურის საფუძველი და ის, რომ დანარჩენი კავკასიისაგან განსხვავებით „[კოლხეთის] სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაზს“ - (სტრაბონი. გეოგრაფია. I, 2, 39).

მადლიერება. ნაშრომი შეიქმნა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის პროექტის (№ FR-21-3697 - „ძველი კოლხეთი - სპილენძის მეტალურგია (წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითები)“ ფარგლებში, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ ფონდს.

ლიტერატურა

1. სტრაბონი [I, 2, 39] = ყაუხჩიშვილი თ. (1957). სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი.
2. ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. (2010). საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III-I ათასწლეულები). თბილისი.
3. ინანიშვილი გ. (2014). ქართული მეტალურგიის სათავეებთან (ძვ. წ. IV-I ათასწლეულები). თბილისი.
4. ლორთქიფანიძე ოთ., 2002. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი. სახაროვა ლ., 1976. უძველესი ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.
5. ქსახაროვა ლ., სულავა ნ. (2012). საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბების ისტორიისთვის, ონლაინ არქეოლოგია # 3. თბილისი.
6. სულავა ნ. 2014. ცაგერის ისტორიული მუზეუმის პრეისტორიული მეტალურგიის ექსპონატები. ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I. თბილისი.
7. სულავა ნ., გილმორი ბრ., რეზესიძე ნ., ჩაგელიშვილი რ., ბერიძე თ. (2020). მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი). თბილისი. / Sulava, N., Gilmour, B., Rezesidze, N., Chagelishvili, R., Beridze, T. (2020). The Origin and Development of Prehistoric Copper Metallurgy in Mountainous Colchis (Lechkhumi).Tb. from:https://issuu.com/gnmuseum/docs/the_origin_and_development_of_prehistoric_copper_m
8. სულავა ნ., ოქრუაშვილი ნ., გილმორი ბრ. (2022). კოლხური ბრინჯაოს კულტურის მეტალურგია: ბრინჯაოს ზოდების ტიპოლოგია (მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ცაგერის ისტორიული მუზეუმის მასალების მიხედვით). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია # 1. თბილისი.

9. სულავა ნ., არახამია გ., რეზესიძე ნ. 2024. სპილენძის მეტალურგია ძველ კოლხეთში და წერილობითი წყაროები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), # 2. თბილისი.
10. სულავა ნ., არახამია გ., რეზესიძე ნ., მამარდაშვილი გ., 2025. ძველი კოლხეთი - სპილენძის მეტალურგია (წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითები). https://museum.ge/uploads/___-___1.pdf
11. სულავა ნ., არახამია გ., რეზესიძე ნ. 2024. სპილენძის მეტალურგია ძველ კოლხეთში და წერილობითი წყაროები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), # 2. თბილისი.
12. ქორიძე დ. 1965. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
13. ჩაგელიშვილი რ., სულავა ნ., რეზესიძე ნ., ბერიძე თ., გილმორი ბრ., ტატუაშვილი ნ. (2023). სპილენძის არქეომეტალურგია მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი): მადნიდან ლითონამდე. თბილისი. / Chagelishvili R., Sulava N., Rezesidze N., Beridze T., Gilmour Br., Tatuashvili N. (2023). THE ARCHAEOLOGICAL METALLURGY OF COPPER IN THE MOUNTAIN REGIONS OF COLCHIS (LECHKHEUMI-KVEMO SVANETI), GEORGIA: FROM ORE TO METAL. <http://macne.org.ge/index.php/macne/article/download/172/275/735>
14. ხახუტაიშვილი დ., 1978. მასალები ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის. სდსმ. ტ. VII. თბილისი.
15. ხახუტაიშვილი ნ., პაპუაშვილი რ., ჩხატარაშვილი გ., კახიძე ე., ინანიშვილი გ., ფოფორაძე ნ., ერბ-სატულო ნ., გილმორი ბრ. (2024). კოლხეთი - რკინის მეტალურგიის უძველესი ცენტრი (ისტორიულ-ინტერდისციპლინური კვლევა). ბათუმი. / Khakhutaishvili N., Papuashvili R., Chkhatarashvili G., Kakhidze E., Inanishvili G., Foforadze N., Erb-Satullo N., Gilmour Br. (2024). Colchis – the ancient center of iron metallurgy (historical-interdisciplinary research). Batumi.
16. Сулава Н. 2022. Мала ливарна форма колхідської бронзової культури з Лечхумі (Грузія). Сб.: Міжнародній науковій конференції „Україна-Грузія: діалог культур та цивілізацій”. Київ.
17. Erb-Satullo N., Gilmour B., Khakhutaishvili N. (2018). The ebb and flow of copper and iron smelting in the South Caucasus, Radiocarbon, 60.
18. Khakhutaishvili D. 2009. The Manufacture of Iron in Ancient Colchis. Oxford.
19. Kvavadze E., Chagelishvili R., Rezesidze N., Gilmour B., Beridze T., Tatuashvili N., Sulava N. (2023). Palynological Study of Archaeometallurgical Artefacts from the Late Bronze Age Copper Smelting Sites (Georgia): First Results. Journal of Archaeological Science: Reports. Volume 53, February 2024, 104300. <https://doi.org/10.1016/j.jasrep.2023.104300> <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S2352409X23004753?via%3Dihub>. doi.org
20. Сахарова Л.С. 1966. Позднебронзовая культура ущелья реки Цхенисцкали. Автореф. диссерт. к.и.н. Тбилиси.
21. Хахутаишвили Д. 1987. Производство железа в древней Колхиде. Тб.

ციფრული ტრანსფორმაციები თანამედროვე მუზეუმის მენეჯმენტისთვის
Digital transformations for contemporary Museum management

ანასტასია (ნანა) ნელსონი
ბიზნეს ადმინისტრაციის დოქტორი
ANASTASIA (NANA) NELSON
Doctor of Business Administration

აბსტრაქტი: ციფრული ინოვაციები მნიშვნელოვანი როლს თამაშობენ მუზეუმების მენეჯმენტში, ოპერაციების გაუმჯობესებასა და საზოგადოებრივი ინტერესის შენარჩუნებაში. ციფრული ტექნოლოგიების, როგორცაა ვირტუალური რეალობა (VR), გაფართოებული რეალობა (AR), ხელოვნური ინტელექტი (AI) და მობილური აპლიკაციები, ინტეგრაცია მუზეუმებში აუმჯობესებს შიდა პროცესებს, უწყობს ხელს ვიზიტორთა ჩართულობას და განავრცობს მუზეუმის რესურსების გამოყენებას. ეს ნაშრომი მიმოიხილავს მუზეუმების მენეჯმენტის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის ვირტუალურ გამოფენებს, AR ტექნოლოგიებს და AI-ს კურატორულ პროცესებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოს მუზეუმებმა უნდა განახორციელონ ციფრული ინფრასტრუქტურის შექმნით, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ხელშეწყობით, გლობალური ჩართულობით და მდგრადი განვითარების ციფრული დაგეგმვით. ციფრული ტექნოლოგიების წარმატებით დანერგვით საქართველოში, მუზეუმები შეძლებენ ახალი მოთხოვნებისადმი ადაპტირებას, გლობალურ მასშტაბებზე გაფართოებას და ახალი თაობის ვიზიტორებთან მყარ ურთიერთობების ჩამოყალიბებას. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები დაეხმარება საქართველოს მუზეუმებს ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდაში, ინტერაქტიულობისა და გლობალური აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში.

საკვანძო სიტყვები: მუზეუმები, მენეჯმენტი, ციფრული, ინოვაციები, ტექნოლოგია

Abstract: Digital innovations are crucial in museum management, improving operations, and maintaining public interest. The integration of digital technologies in museums, such as Virtual Reality (VR), Augmented Reality (AR), Artificial Intelligence (AI), and mobile applications, enhances internal processes, facilitates visitor engagement, and broadens the use of museum resources.

This paper covers different aspects of museum management, including virtual displays, AR technologies, and AI in curatorial processes. It highlights the steps that Georgian museums can adopt by creating digital infrastructure, promoting technological capability, global engagement, and digital planning for sustainable development.

Through the successful adoption of digital technologies in Georgia, museums can be flexible to new demands, scale globally, and form solid relationships with the new generation of visitors. Modern digital technologies will help museums in Georgia to increase visitor numbers and improve their interactivity and accessibility to a global audience.

Keywords: Museums, management, digital, innovations, technology

Introduction

The acceleration of digital transformation has revolutionized traditional museum roles, expanding beyond mere preservation to encompass interactive education and dynamic visitor engagement. According to industry analysis, museums have been compelled to adapt and integrate digital technologies to maintain relevance in contemporary times. This transformation is particularly evident in how museums approach visitor engagement, with new technologies enabling personalized experiences and deeper interaction with cultural artifacts.

Recent studies show that museums supported by Information and Communication Technology (ICT) tools have significantly improved access to existing and new digital content. These advancements establish

interactive environments for active engagement with museum collections, fostering improved collaboration among museum educators, and developing visual culture as a cornerstone of individual creativity (Agarwal, 2024). The transformation includes creating frameworks for narrative and educational tools that explain the context of displayed objects while interacting with users through personalization based on their experience and understanding levels.

The Evolution of Museum Digital Transformation

The acceleration of digital transformation has revolutionized traditional museum roles, expanding beyond mere preservation to encompass interactive education and dynamic visitor engagement. According to industry analysis, museums have been compelled to adapt and integrate digital technologies to maintain relevance in contemporary times. This transformation is particularly evident in how museums approach visitor engagement, with new technologies enabling personalized experiences and deeper interaction with cultural artifacts.

Recent studies show that museums supported by Information and Communication Technology (ICT) tools have significantly improved access to existing and new digital content. These advancements establish interactive environments for active engagement with museum collections, fostering improved collaboration among museum educators, and developing visual culture as a cornerstone of individual creativity (D'Auria, 2022).

The transformation creates frameworks for narrative and educational tools that explain the context of displayed objects while interacting with users through personalization based on their experience and understanding levels. The SYNTHESIS platform represents a significant advancement in museum digital transformation, offering a comprehensive solution for managing and presenting cultural heritage. As documented in recent implementations, SYNTHESIS functions as a platform of platforms (PoP) specifically designed for the management, curation, and creation of digital cultural experiences.

How SYNTHESIS Works: From Artifacts to Immersive Experiences

SYNTHESIS simplifies the process of transforming traditional museum exhibits into engaging digital experiences. The platform achieves this through four key steps:

- 1) Artifacts to Digital Assets: Physical exhibits are digitized into high-quality digital formats.
- 2) Digital Assets to Digital Exhibits: These assets are enhanced with multimedia content, such as historical context, interactive elements, or animations.
- 3) Digital Exhibits to Digital Narratives: Curators arrange the exhibits into cohesive narratives that tell a story.
- 4) Narratives to Immersive Experiences: These narratives are visualized using VR/AR or mobile apps, enabling visitors to interact with the content engagingly.

The Building Blocks of SYNTHESIS

SYNTHESIS integrates three platforms into a seamless environment: iGuide which provides tools for creating guided tours and interactive experiences. AFIGISSI (Narration) focuses on organizing and presenting cultural content through narratives and WayGoo that supports navigation and location-based content delivery, enabling on-site and remote users to explore exhibits effectively. These platforms form an ecosystem for digitally managing, curating, and experiencing cultural heritage.

Advanced Features: Blockchain and Smart Contracts

SYNTHESIS incorporates blockchain technology and smart contracts to address intellectual property rights (IPR) and content distribution. The tools ensure the following: Protection of Content where creators retain complete control over their digital content, safeguarding it against unauthorized use (Koibddj, 2023). Fair Compensation as the revenue streams is managed transparently, ensuring creators and distributors are paid according to their agreements and Encouragement of Innovation. By protecting creators' rights, the platform motivates the creation of new digital content and experiences.

A Decade of Research in Digital Cultural Heritage

SYNTHESIS results from over ten years of research and development by the Integrated Research Laboratory at NCSR Demokritos, Greece. It embodies the vision of the Digital Immersive Cultural Environment (DICE) concept, which aims to transform cultural heritage into engaging digital experiences. SYNTHESIS has been

used to showcase capabilities to create three distinct immersive applications, each demonstrating how digital technologies can elevate cultural storytelling (Kasemsarn, 2023).

Opening New Opportunities in the Global Market

SYNTHESIS is not just a tool for museums and cultural institutions; it also opens doors to new markets. The platform attracts national and international audiences, including tourists, educators, and researchers, by providing innovative ways to highlight and reuse places of cultural interest. It allows museums, art galleries, archaeological sites, and industrial heritage locations to present their material in ways that resonate with modern visitors. SYNTHESIS redefines how cultural heritage is managed, curated, and experienced in the digital age. Combining advanced technologies like VR/AR with intuitive tools for creating personalized narratives empowers cultural institutions to engage with audiences meaningfully; its use of blockchain ensures fair practices and supports sustainable innovation. With SYNTHESIS, the future of cultural heritage is interactive, accessible, and inspiring. The SYNTHESIS platform and its integrated systems, such as AFIGISSI, iGuide, and WayGoo, can significantly benefit Georgian museums by addressing key challenges and opportunities in the cultural heritage sector. Here is how these systems can help:

1. Enhancing Accessibility and Engagement

Georgian museums, especially in regions, may face limited visibility and accessibility challenges. SYNTHESIS provides tools to create virtual tours. Museums could offer virtual tours, enabling visitors worldwide to explore exhibits without being physically present. Multilingual platforms can empower museums to deliver information in ways that maximize their appeal to international tourists.

2. Modernizing Content Presentation

Using VR/AR and mobile applications, SYNTHESIS transforms how museum artifacts and exhibits are presented. The Museums can use digital narratives and create immersive experiences, allowing visitors to «walk» through historical sites or «interact» with ancient dynamic displays (Thomopoulos, 2021).

3. Supporting Education and Research

SYNTHESIS enables the creation of educational tools that benefit students, researchers, and visitors as narratives and explanations are compelling and bring an understanding of the past and its relationship with the present. Museums develop tailored narratives for schools or academic institutions, focusing on themes such as art, archaeology, or ethnography. By digitizing and curating collections, platforms like AFIGISSI can help researchers access and analyze artifacts more efficiently, even remotely.

4. Promoting Regional Museums

Many Georgian museums, particularly in regions, lack the resources to compete with larger institutions. SYNTHESIS can expand visibility. Smaller museums can reach a global audience by digitizing exhibits and offering online access through mobile apps and social media to enhance the experience before visiting. According to Gece's 2024 barometer, 72% of respondents indicate they learn about cultural activities through digital means, including 47% via websites and 44% via social media (Jimenez, 2024).

5. Addressing Financial Sustainability

Diversifying income, digital initiatives, partnerships with tech companies, schools, universities, and airports, and exploring innovations can help museums create new revenue streams. Museums can sell access to virtual tours or exclusive digital exhibits, even in airplanes, enabling people to monetize the collections beyond physical visits (Kamariotou, 2021). Georgian museums could collaborate with technology firms to create VR/AR content.

6. Preserving Cultural Heritage

Platforms such as AFIGISSI securely store and manage digital versions of physical exhibits by reducing the risk of loss or damage. VR/AR can reconstruct destroyed or deteriorated historical sites, such as monasteries or fortresses.

7. Promoting on the Global Stage is possible by adopting SYNTHESIS, which will help Georgian museums attract International Audiences.

8. Safeguarding Intellectual Property

Blockchain technology within SYNTHESIS protects the intellectual property rights (IPR) of digital content

creators. Museums retain control over their digital assets, ensuring they are not misused, and smart contracts ensure that museums and creators are compensated for using digital content. Research indicates that SYNTHESIS combines entertainment and education in an accessible and engaging format for broad audiences while developing innovative detailed browsing tools (Taormina, 2023). This dual focus on engagement and accessibility has proven crucial for museums seeking to expand their reach while maintaining the integrity of their cultural preservation mission.

The DART Model

DART stands for Data collection, Analytics, Reporting and Technology Integration. DART Analytics empowers museums to design audience-centric strategies based on visitor behavior. Dynamic Exhibits, including real-time analytics on visitor movement within a museum and content updates to enhance engagement. Targeted Marketing with insights from data enables personalized outreach campaigns, increasing attendance and fostering loyalty. DART Analytics simplifies this process by digitizing collections, meaning analytics tools integrated with digital asset management systems provide detailed metadata and search capabilities for online access. Also, preservation insights related to data on environmental conditions, such as temperature and humidity, ensure artifact safety (Najda-Janoszka, 2023).

1. Data Collection

Data is the foundation of DART Analytics. The information is usually formatted in a particular way. It is measured, collected, and reported to museums to gather critical insights about the audiences, collections, and operations. Museum visitors can now use mobile apps to buy tickets online and interact with digital displays, which helps staff collect data about their ages, tastes, and activities. Data from entrance logs, website visits, and social media interactions provide insights into visitor demographics, peak visiting times, and popular exhibits. Surveys and sentiment analysis from online reviews offer qualitative data to understand visitor satisfaction and define areas for improvement.

2. Analytics

After data acquisition, experts study these results for practical and actionable insights. It includes AI and machine learning and helps museums identify patterns and trends. Forecasts depend on visitors from the past and external conditions like weather and public events. By studying visitors' records, the tech team proposes individualized activity options, forecasting visitor attendance based on historical data and external factors as weather or holidays. Analyzing visitor data to recommend tailored exhibits, events, or tours.

3. Reporting

Reporting transforms complex data into accessible formats for museum stakeholders. As a result, interactive dashboards, visualizations, and automated reports enable management to monitor KPIs such as ticket sales, exhibit popularity, visitor retention rates to share insights with board members, donors, and policymakers to support funding and strategic planning.

4. Technology Integration

The «T» in DART emphasizes the role of cutting-edge technologies in enhancing data collection, analysis, and reporting. Technologies like IoT (Internet of Things), RFID (Radio-Frequency Identification), and AR/VR (Augmented and Virtual Reality) expand the possibilities for Interactive Exhibits, which indicates that AR/VR experiences powered by analytics deliver immersive storytelling tailored to visitor interests and collection tracking. IoT-enabled sensors and RFID tags streamline inventory management and environmental monitoring for artifacts.

Aspects of DART Analytics in Museum Management

Operational efficiency is critical for museums to allocate resources effectively. DART Analytics aids in staff optimization, enabling predictive analytics to suggest optimal staffing levels based on expected visitor volume. Energy management includes IoT-enabled systems monitoring energy usage, reducing costs, and supporting sustainability. Collecting and analyzing visitor data raises privacy concerns. Context, relevance, and purpose are given to the data. It gives knowledge, understanding, and insights that can be used for decision-making, problem-solving, communication, and various other purposes. To build trust with visitors, museums must implement

robust data protection policies and comply with regulations such as GDPR. Smaller museums lack the budget or expertise to adopt DART Analytics. On a tighter budget with fewer resources, small museums face the challenges. Partnerships with tech companies and grant opportunities can bridge this gap, making advanced tools accessible (Heras-Pedrosa,2023).

The implementation of DART Analytics requires a cultural shift for museum staff. The potential of DART Analytics in museum management is vast and immense. Emerging technologies such as AI-powered chatbots, blockchain for provenance tracking, and real-time data streaming will further enhance its capabilities. Being in sync with changing visitor expectations and needs, technological advancement and global accessibility norms have become imperative in the modern era, with the integration of digital innovations in museum administration. The DART model (Data Collection, Analysis, Recommendations, and Testing) provides a phased and strategic approach to successfully implementing these innovations. Integrating DART Analytics requires a cultural shift within museum staff. The DART model ensures sustainable and meaningful digital transformation by guiding museums through identifying needs, analyzing opportunities, formulating actionable strategies, and testing their impact (Najda-Janoszka, 2023).

SYNTHESIS further amplifies this transformation as a comprehensive platform for creating, curating, and visualizing digital cultural experiences. Its ability to centralize content management, personalize narratives, and facilitate immersive experiences through VR/AR technologies positions SYNTHESIS as a game-changer for museum management. By integrating blockchain integration safeguards intellectual property rights and ensures fair revenue distribution, encouraging content creation and collaboration.

The combination of DART model and SYNTHESIS for contemporary museums delivers significant benefits, including enhanced visitor engagement:

- Interactive storytelling and immersive experiences captivate diverse audiences and offer unique ways to explore cultural heritage.
- Increased accessibility enables digital platforms to overcome geographical and physical barriers reaching global audiences and making exhibits accessible to all, including individuals with disabilities.
- Operational efficiency streamlines content curation and management processes to reduce operational burdens and improve resource utilization.
- Financial sustainability for new revenue streams from virtual tours, online exhibits, and digital content partnerships to help museums diversify their income sources.
- Cultural preservation that digitizes artifacts and ensures their preservation for future generations while facilitating research and education.

These tools represent a transformative opportunity for Georgian small regional museums as they can expand their visibility and attract international and local audiences.

Summary

With SYNTHESIS and the DART model, museums can reconcile the gap between tradition and modernity, preserving cultural heritage while ensuring relevance in a digitally driven world.

Integrating the DART model and SYNTHESIS into museum management modernizes operations and redefines how cultural heritage is experienced and appreciated, marking a significant step forward in the evolution of museums worldwide. DART Analytics shows exciting possibilities for running museums effectively. New technologies, including AI chatbots and blockchain tracks, improve DART Analytics functions.

The DART model guides organizations through digital transformation using a structured data collection and analysis approach followed by recommendation development and testing. It helps museums find their needs, then studies option and develops plans that are tested to achieve successful digital changes. Through SYNTHESIS, museums can develop and display digital cultural content on a large scale. Through centralized content control and VR/AR support, SYNTHESIS lets museums deliver personalized, immersive digital experiences. Through blockchain integration, SYNTHESIS secures intellectual property rights and distributes revenue moderately to boost content creation and collaboration. Therefore, museums need to follow the modern standards and use digital solutions to meet visitor demands while keeping up with new technology and international access.

References

1. Agarwal, P., Swami, S., Iqbal, M. I., Rawat, D., Joshi, L. M., & Aluvala, S. (2024). AI Technological advancements in designing intangible cultural products and preserving Cultural Heritage Sites. 2023 International Conference on Smart Devices (ICSD), 1–5. doi.org/10.1109/icsd60021.2024.10751395
2. D'Auria, A. (2022). New Approaches in Carrying On and Monitoring Museum Performance. In Handbook of Research on Museum Management in the Digital Era (pp. 56–73). IGI Global.
3. Jimenez, S (2024) Digital transformation of museums: improving engagement and visits
4. Kasemsarn, K., Harrison, D., & Nickpour, F. (2023). Applying Inclusive Design and Digital Storytelling to Facilitate Cultural Tourism: A Review and Initial Framework. *Heritage*, 6(2), 1411–1428.
5. Najda-Janoszka, M. and Sawczuk, M. (2023). «Exploring the barriers of multi-stakeholder value co-creation – the museum context», *Journal of Organizational Change Management*, Vol. 36 No. 4, pp. 603-620. <https://doi.org/10.1108/JOCM-04-2023-0126>.
6. de las Heras-Pedrosa, C., Iglesias-Sánchez, P. P., Jambrino-Maldonado, C., López-Delgado, P., & Galarza-Fernández, E. (2023). Museum communication management in digital ecosystems. Impact of COVID-19 on digital strategy. *Museum Management and Curatorship*, 38(5), 548– 570.
7. Taormina, F., & Baraldi, S. B. (2023). Museums and digital technology: a literature review on organizational issues. *Rethinking Culture and Creativity in the Digital Transformation*, 69-87 Thomopoulos, S. C. (2021). SYNTHESIS: A Platform of Platforms for Integrated Management, Curation, and Visualization of Digital Cultural Experiences through VR and AR Technologies. In *Heritage-New Paradigm*.

ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა მახუნცეთის მარანის შემსწავლელი
არქეოლოგიური ექსპედიციის მოკლე ანგარიში (2024 წელი)
Brief Report of the Archaeological Expedition Studying the Wine Cellar in the Village of Upper
Makhuntseti, Keda Municipality (2024)

თამარ შალიკაძე

სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო
საქმის კურატორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

იზოლდა დუმბაძე

სსიპ აჭარის მუზეუმი, ამირან კახიძის სახელობის
აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციის სამსახურის
უფროსი, არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი

TAMAR SHALIKADZE

Curator of scientific and publishing work at
LEPL Ajara Museum, PhD in History

IZOLDA DUMBADZE

LEPL Ajara Museum, Head of Exposition Service at
Amiran Kakhidze Ajara Archaeological Museum
PhD in Archaeology

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2024.01.009>

აბსტრაქტი: ნაშრომში გაწარმოდგენილია 2023, 2024 წლებში, ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა მახუნცეთში გამოვლენილ მარანზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები. აღსანიშნავია მარანის ტერიტორიაზე ჩადგმული ორრიგად განლაგებული ტრადიციული, ადგილობრივი ფორმისა და ე.წ. რელიეფურორნამენტიანი სხვადასხვა ზომის ქვევრები, ასევე მარანის ტერიტორიასა და თითქმის ქვევრებში გამოვლენილი სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტები. მათგან გამორჩეულია წითელკეციანი ჩიბუხის ფრაგმენტი. დაცულია კორპუსის მომრგვალებული, ორნამენტირებული ნატეხი. მსგავსი ჩიბუხები დიდი რაოდენობით გვხვდება გონიოსა და პეტრას არქეოლოგიურ მონაპოვრებს შორის, რომლებიც XVIII საუკუნის სხვადასხვა პერიოდებით თარიღდება. მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ქვევრიდან მოხერხდა პალინოლოგიური მასალის-წიპწების შეგროვებაც. ისრაელში რადიოკარბონული გზით ჩატარებული კვლევის შედეგად მათი თარიღი XVII-XVIII სს განისაზღვრა.

საბოლოოდ კი, მეთოდური არქეოლოგიური მუშაობის, წერილობით და ეთნოგრაფიული ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა ვთქვათ, რომ აჭარის არქეოლოგიურ ძეგლებს შეემატა დასვლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი მსუბუქად გადახურული მარანი, რომელიც ფუნქციონირებდა XVIII ს-მდე.

საკვანძო სიტყვები: მარანი, ქედის მუნიციპალიტეტი, ქვევრი, მევენახეობა-მელვინეობა

Abstract: This research presents the results of archaeological investigations conducted in 2023 and 2024 at a wine cellar discovered in the village of Upper Makhuntseti, Keda Municipality, Adjara. The site features two rows of traditionally arranged clay pitchers (qvevris) of various sizes, several of which bear characteristic relief decorations. In addition to these vessels, fragments of kitchen and household pottery were uncovered both within the cellar area and inside individual pitchers. Of particular note is a fragment of a red clay tobacco pipe with a preserved section of its rounded, ornamented bowl. Similar pipes have been found in abundance at the archaeological sites of Gonio and Petra, typically dated to various phases of the 18th century. Significantly, palynological material—specifically grape seeds—was recovered from several qvevris. Radiocarbon analysis conducted in Israel has dated these samples to the 17th–18th centuries. Through methodical archaeological research and the integration of written and ethnographic sources, this site has been identified as a significant addition to the archaeological heritage of Adjara. The wine cellar exemplifies a lightly roofed structure characteristic of western Georgia, which

remained in use until the 18th century.

Keywords: wine cellar, Keda Municipality, pitcher, viticulture, winemaking.

ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელი ზედა მახუნცეთი მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის ხეობაში. ზღვის დონიდან 343 მ. სიმაღლეზე. GPS კოორდინატები: N 41°34.931. E 41° 51.643. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით არქეოლოგიური სამუშაოები 2024 წელს დავასრულეთ მერაბ ირემადის საკარმიდამო ნაკვეთში, შემთხვევით გამოვლენილ მარანზე.

ძეგლზე არქეოლოგიური კვლევის ჩატარება განაპირობა სადაზვერვო სამუშაოებისას გამოვლენილმა სურათმა. კერძოდ: გზის გაყვანის დროს შემთხვევით გამოჩნდა რამდენიმე დაზიანებული ქვევრი. როგორც მეპატრონე გვიყვება, აღნიშნულ ტერიტორიაზე ქვევრების აღმოჩენის შემთხვევა ხშირი ყოფილა მეღვინეობის დარგის შეწყვეტის შემდეგაც. ოღონდ მოზრდილ ქვევრებს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ. ქედისთვის დამახასიათებელი ვაზის ჯიშებიდან გვისახელებს ჩხავერსა და მეკრენჩხს. ყურადღებას იქცევს ადგილის ტოპონიმი დობილათი-წიფნარა, ნაყურძნალი, ჯვარქეთი.

2023 წელს, 112 კვ. მ. ფართობზე აიგეგმა თხრილი. ზომები: 16X7 მ. იგი ექცევა NO სექტორის 1-2 და NW სექტორის 1-4 და ნაწილობრივ 11-14 კვადრატებში (ზომა 4X4 მ.), დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. როგორც წესი, პირველ რიგში NO სექტორის 1-2 კვადრატებში დავიწყეთ ზედა ჰუმუსოვანი ფენის მოხსნა. სიმაღლე 40 -80 სმ. აქვე ჩნდებოდა სხვადასხვა ჭურჭლის უსახური ნატეხები. NO სექტორის 1 და 2 კვადრატებში რამდენიმე ღარიანი კრამიტის ფრაგმენტიც დაფიქსირდა. გადმონაყარი მიწის ფენის მოხსნის შემდეგ დავედით მკვრივ გრუნტამდე. სწორედ ასეთ მკვრივ გრუნტშია ამოჭრილი ქვევრებისათვის განკუთვნილი ორმოები. ყურადღებას იქცევს გრუნტის დონეზე, NO სექტორის 1 კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, NW სექტორის 11 კვადრატის აღმოსავლეთ მონაკვეთზე და NW სექტორის IV კვადრატის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა ოვალური ფორმის ქვის ფილები, რომლებიც მარნის გადახურვას უკავშირდება და საგანგებოდ ჩანს ჩალაგებული. გაიწმინდა ასევე უსისტემოდ განლაგებული პატარა ზომის ქვის წყობა, რომელიც ჩრდილოეთით მიემართება და აღმოსავლეთის მიმართულებით გაუთხრელ ფართობში შედის. აქვე ყურადღებას იქცევს ღარიანი კრამიტის ფრაგმენტები (10ცალი) ერთ-ერთზე დატანილია ტალღისებური ორნამენტიც. NW სექტორის მე- 2 კვადრატის დასავლეთით, ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია მოზრდილი, კირქვით გამაგრებული ქვევრი. მისგან აღმოსავლეთით გაიწმინდა თითქოს საგანგებოდ ამოჭრილი წრიული ორმოები. ჯერჯერობით ვერაფერს ვამბობთ მათი დანიშნულების შესახებ. მე- 2 კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაიწმინდა ძლიერ დაზიანებული, შედარებით პატარა ზომის ქვევრის ტანის კონტურები. მისგან მოშორებით მე-3 და მე-13 კვადრატებში ჩადგმულია კვლავ დიდი ზომის ქვევრი. დასავლეთის ხაზზე განლაგებული დიდი ზომის ქვევრები მასიური, მოწითალო ფერის, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგანაა დამზადებული, განეკუთვნება რელიეფურ ორნამენტის ქვევრების ტიპს. ყველა მათგანი კირქვითაა გამაგრებული. NW სექტორის მე- 2, 3 და 4 კვადრატების ჩრდილოეთ მონაკვეთზეც გამოჩნდა ქვევრის კონტურები. გაიწმინდა 5 ქვევრი, ოღონდაც ესენი შედარებით პატარა ზომის არიან და მიეკუთვნება წრიული ზოლებით შემკული ქვევრების ტიპს. საინტერესო სურათი გამოჩნდა თხრილის აღმოსავლეთი მიმართულებით, NW სექტორის მე- 3 კვადრატის აღმოსავლეთ კედელთან ახლოს გაიწმინდა რიგით მესამე წრიული ფორმის ბრტყელი ქვა. მასზე მიდგმულია მართკუთხა ფორმის ქვა, რომელზეც გრძელდება პატარა ზომის ქვებისაგან გამართული წყობა. ესეც აღმოსავლეთის მიმართულებით გაუთხრელ ფართობში შედის. ჩანს, რომ საქმე უნდა გვქონდეს მარანთან დაკავშირებულ კედლის წყობასთან, თუმცა წინასწარ ულად, მის შესწავლამდე, ფუნქციისა და დანიშნულების შესახებ ვერაფერს ვიტყვით. აქვე გაიწმინდა დერგის ძირის ფრაგმენტები, ფიქსირდება ნახშირი და ჭურჭლების უსახური ნატეხები. NW სექტორის მე-4 კვადრატის დასავლეთით კიდევ ერთი მოზრდილი ქვევრი გამოჩნდა. სულ გვაქვს მკვრივ გრუნტში, ორ რიგად ჩალაგებული 10 სხვადასხვა ტიპის ქვევრი. მათგან მთლიანად დაშლილი პირველი ქვევრის ჩახატვა ფიქსაციის შემდეგ მოხდა მთლიანად ალაგება. ამოიწმინდა მეორე და მესამე ქვევრები. ავიღეთ ანალიზისთვის საჭირო მასალა და წიპწები. აღსანიშნავია, რომ მათში დიდი რაოდენობით იყო ჩაყრილი მისი განადგურების მიზნით

გამოყენებული რიყის ქვები. დანარჩენი 7 ქვევრის კი მხოლოდ გამოჩენა პრეპარაცია მოვასწარით. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილმა სიტუაციამ გვიჩვენა, რომ საქმე უნდა გვქონდეს დასვლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ მსუბუქად გადახურული მარანის ტიპთან.

ძეგლზე საბოლოო სურათის აღდგენისათვის მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთით, გაუთხრელ ფართობში მოქცეული ქვის წყობის ნაშთების შესწავლა. სწორედ ამიტომ, მიმდინარე წელს, მარნის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, არქეოლოგიური სამუშაოები გავაგრძელებთ თხრილის აღმოსავლეთი მიმართულებით.

ძირითადი სამუშაოები ვაწარმოეთ NO სექტორის 1-4 კვადრატებში (კვ.ზომები: 3,60X4მ.). პარალელურად NW სექტორის I, II და III კვადრატებში, ქვევრების მოედანზე ძირითადი სამუშაოები დაეთმო ქვევრების ბოლომდე გაწმენდას. ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის შემდეგ (სიმძლავრე - 50 სმ.), კვადრატების მიხედვით ასეთი სურათი გამოიკვეთა.

NO სექტორის I, კვადრატის აღმოსავლეთ კუთხეში, თანამედროვე ზედაპირიდან 1,4 მ. სიღრმეზე, წინა წელს გამოვლენილი გრუნტის დონეზე, გაიწმინდა ერთმანეთზე შედგმული ქვები. ასეთივე სიტუაცია გამოიკვეთა კვადრატის ჩრდილოეთ მონაკვეთზეც. მიუხედავად იმისა, რომ ქვების დიდი ნაწილი მოშლილია კარგად იკითხება კერიისთვის განკუთვნილი წყობის წრიული მოყვანილობა. ყურადღებას იქცევს მისი ცენტრალური მონაკვეთი, სადაც ფიქსირდება დამწვარ-დანახშირებული ფენა. აქვე აღმოჩნდა ცეცხლისგან გაშავებული დოქის ძირ-კედლის უსახური ფრაგმენტები, ასევე კრამიტის ნატეხები და ორი ცალი ლურსმანი.

NO სექტორის II- III კვადრატებშიც სამუშაოები გრუნტის დონეზე ვაწარმოეთ. გაიწმინდა ქვის წყობის მორღვეული, ერთი რიგი, რომელიც ჩრდილოეთით მომდევნო კვადრატშიც გრძელდებოდა, აშკარაა, რომ ყორისთვის განკუთვნილი ქვები საგანგებოდაა მონგრეული და შემდეგ ქვევრებში ჩაყრილი მისი ამოქოვლის მიზნით. ამ კვადრატის დასავლეთ ნაწილში გაიწმინდა ჯამის ნატეხები და პატარა ზომის ქვევრი-ქოცო, მკვეთრად გამოყოფილი რელიეფური ზოლებით შემკული. გამოყვ-ანილქუსლიანი. ყავისფერი თიხა განლეპილია და კარგადაა გამომწვარი. მსგავსი პატარა ზომის ქვევრები მარანში სარწყოდ გამოიყენებოდა ან კიდე ნაკლული ღვინოს შესანახად. ალაგ-ალაგ ჩნდებოდა კერამიკის უსახური ნატეხები. კვლავაც მოვიპოვეთ ჩიბუხის ერთი ფრაგმენტი.

თხრილის ჩრდილოეთით გამოჩნდა ახალი რიგით მე 12-ე ქვევრი. საკმაოდ დიდი ზომის. მას ბოლომდე, ქვის დისკოსებური ფორმის სარქველის ჩათვლით შემოწყობილი ქონდა პატარა ზომის ქვები. ქვევრისთვის განკუთვნილი ორმო გრუნტშია ჩაჭრილი. მეპატრონის თხოვნით იგი ბოლომდე არ გაგვიწმენდია (სურ. 1).

ძეგლზე მოპოვებული მასალის დახასიათება ასეთია:

ქვევრი №1. NW სექტორის I კვადრატის აღმოსავლეთი ნაწილი, ნაწილობრივ გადადის NO სექტორის I კვადრატში. სქელკედლიანი. მოწითალო თიხის, მსხვილმარცვლოვანი-კირქვისა და პიროქსენის მინარევებით. განკუთვნილია რელიეფურ ორნამენტთან ქვევრების ტიპს. პირი დაკარგულია, ტანის ზედა ნაწილზე დატანილი ქონია რელიეფური ზოლები. აქვს ასევე მასიური, რგოლისებრქუსლიანი, ბრტყელი ძირი. მთლიანად დაშლილი. გამაგრებული ყოფილა კირქვისა და ბათქაშის საკმაოდ სქელი ფენით. ზომები: ორმოს ზომა 1X1,20 სმ. კედლის სისქე 2,5 სმ.

ქვევრი №2. რელიეფურ ორნამენტის. NW სექტორის II კვადრატის ცენტრალური მონაკვეთი. მოწითალო, გადარეცხილ-განლეული თიხის. პირი მასიური, სამკუთხა-განიკვეთიანი. გამოყვანილ ყელზე რელიეფურად დატანილი აქვს მასიური რგოლებისაგან შედგენილი ორნამენტი. ტანის დასაწყისს კი - რელიეფური ქედები შემოუყვება. ტანი მსხლისებრი მოყვანილობის. ქვევრისთვის განკუთვნილ ორმოში ფიქსირდება სადრენაჟე დანიშნულების წვრილი კენჭები და გამაგრებისთვის განკუთვნილი კირქვის დეტალები. ზომები: ორმოს ზომა 1,6 მ, ქვევრის დმ. -1,1 მ., რელიეფური რგოლების დმ. 4,5 სმ, რელიეფურ ქედებს შორის დაშორება 2 სმ.

ქვევრი №3. რელიეფურ ორნამენტის. NW სექტორის III და XIII კვადრატების მიჯნაზე. მოჩალისფრო მინარევით თიხის. პირი სამკუთხაგანიკვეთიანი. გამოყვანილ ყელზე რელიეფურად დატანილი აქვს მასიური რგოლებისაგან შედგენილი ორნამენტი. აღსანიშნავია, რომ სამკაულის რგოლები ამ შემთხვევაში სწორი ქედებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მსხლისებრი

მოყვანილობის ტანის ზედა ნახევარი რელიეფური ქედებითაა შემკული. ძირი კონუსური ფორმის. ქვევრისთვის განკუთვნილ ორმოში აქაც ფიქსირდება სადრენაჟე დანიშნულების წვრილი კენჭები და გამაგრებისთვის განკუთვნილი კირქვის დეტალები. ქვევრი თითქმის მხრიდან მოყოლებული, კირქვაში მთლიანადაა ჩასმული. ზომები: ქვევრის დმ. -1,15 მ., რელიეფური რგოლების დმ. 4 სმ, რგოლებს შორის დაშორება 1-1,5 სმ, რელიეფურ ქედებს შორის დაშორება 1,5 სმ.

ქვევრი № 4. NW სექტორის II კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. მოწითალო კეცის შიგა ზედაპირი მონაცრისფრო. გაიწმინდა მხოლოდ ძირ-კედლის კონტურები. პირი და ტანი დაკარგულია. პრეპარაციის დროს გამოჩნდა მეორე, წითელკეციანი ქვევრის კონტურებიც, როგორც ჩანს გამაგრება-შეკეთების მიზნით მასში პირველი ქვევრი იყო ჩადგმული. შევაროვეთ მისი ყელისა და მხრის ფრაგმენტები. ყელზე დატანილი ქონია თითისებრი ნაჭდევებით გამოყვანილი სადა ორნამენტი. ფიქსირდება კირქვის ნაშთები. ზომები: ქვევრის დმ. 60X70 სმ.

ქვევრი № 5. NW სექტორის II და III კვადრატების მიჯნაზე, აღმოსავლეთით. წითელკეციანი. საშუალო ზომის. გაიწმინდა მხოლოდ გადარჩენილი ძირ-კედლის კონტურები. პირი და ტანის დიდი ნაწილი დაკარგულია. ფრაგმენტებს ატყვია ცეცხლის კვალი. აქაც ფიქსირდება კირქვის ნაშთები. ზომები: ქვევრის- დმ. 60 სმ.

ქვევრი № 6. NW სექტორის III კვადრატის სამხრეთით. ჩალისფერკეციანი. საშუალო ზომის. პირის მხრისა და ტანის ნაწილი მომტვრეულია. ქვევრი ბოლომდე არაა გაწმენდილი (რადგან მარანში სამუშაოები ბოლომდე ვერ მივიყვანეთ, ქვევრების დაცულობის მიზნით, მათი ბოლომდე გაწმენდა არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად). ამოვსებულია პატარა ზომის ქვებითა და კედლის ფრაგმენტებით. ყურადღებას იქცევს თიხით ამოგოზილი ადგილი ჩანს, რომ ქვევრი თავის დროზეც ყოფილა შეკეთებული. ზომები: ქვევრის- დმ. 60 სმ. ქვევრისთვის განკუთვნილ ორმოში ფიქსირდება სადრენაჟე დანიშნულების კენჭნარი .

ქვევრი № 7. NW სექტორის III კვადრატის ცენტრალურ ნაწილი. საშუალო ზომის, ყავისფერკეციანი (თიხა გამომშრალია და იოლად შლადი), დაფარულია წრიული ზოლებით. გადარჩენილია ტანის ქვედა ნახევარი. არც ეს ქვევრია ბოლომდე გაწმენდილი. ამოვსებულია ქვებითა და სავარაუდოდ პირ-კედლის ფრაგმენტებით. წრიულ ზოლებს შორის დაშორება 7 სმ. ქვევრისთვის განკუთვნილ ორმოში ფიქსირდება სადრენაჟე დანიშნულების კენჭნარი. ზომები: ქვევრის- დმ. 60 სმ.

ქვევრი № 8. NW სექტორის III კვადრატის ჩრდილო-დასავლეთით. ყავისფერკეციანი. შედარებით მოზრდილი. დაფარულია წრიული ზოლებით. წრიულ ზოლებს შორის დაშორება 13 სმ. არაა ბოლომდე გაწმენდილი. ქვევრისთვის განკუთვნილ ორმოში ფიქსირდება სადრენაჟე დანიშნულების კენჭნარი. ზომები: ქვევრის- დმ. 95 სმ.

ქვევრი № 9. NW სექტორის XIII და XIV კვადრატების მიჯნაზე. მსგავსია ზემოთ აღწერილი ნიმუშის. ზომები: ქვევრის- დმ. 60 სმ.

ქვევრი №10. NW სექტორის IV კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთი. მსგავსია ზემოთ აღწერილი ნიმუშის. ზომები: ქვევრის- დმ. 1,15მ.

ქვევრი № 11. NO სექტორის III კვადრატის დასავლეთი მონაკვეთი. დაშლილი. ყავისფერკეციანი , წრიული ქედებით შემკული, ბრყტელმირიანი. პატარა ზომის.

ქვევრი №12. NO სექტორის IV კვადრატის ჩრდილოეთ მონაკვეთი. ყავისფერკეციანი. რელიერორნამენტისანი შემკულობით. პირის დმ. 37 სმ; სიღრმე 1,80 სმ.

ქვევრის ფრაგმენტები -პატარა ზომის ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი. თიხა ყავისფერკეციანი, მსხვილმარცვლოვანი, განატეხში რუხი, პირი სამკუთხაგანივკვეთიანი, გარეთკენ გადაშლილი, გარეთა მხარეს პირზე ამოკვეთილი აქვს ირიბი ნაჭდევი. ზომები: დაცული ფრაგმენტის სიმაღლის -6,5 სმ. პირ-ქობის სიფართე - 3 სმ.

ქვევრის კედლის ფრაგმენტი. ჩალისფერკეციანი, განატეხში წითელი ფერის, წვრილმარცვლოვანი, ზედაპირზე დატანილი აქვს ოვალური ფორმის რგოლები.

პატარა ზომის ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი. თიხა ღია ყავისფერი, მსხვილმარცვლოვანი, განატეხში რუხი, პირი სამკუთხაგანივკვეთიანი, ზედაპირდაბრტყელებული. ყელი გამოყვანილი. ზომები: დაცული ფრაგმენტის სიმაღლის -6 სმ. პირ-ქობის სიფართე - 2,3 სმ.

დერგის ფრაგმენტები - დერგის პირ-ყელის ფრაგმენტი. თიხა მოწითალო-მოვარდისფრო, წვრილმარცვლოვანი. აქვს სამკუთხაგანივკვეთიანი პირი, დაბრტყელებულ ზედაპირს აქვს სუსტი ღარი. შიგა მხარეს აქვს ჯამისებური ჩაღრმავება, სავარაუდოდ ხუფის მორგების მიზნით. კედლის გარე ზედაპირზე შეინიშნება ჩარხის კვალი. ყელი ფართო. ზომები: პირის დმ:13,5 სმ, დაცული ფრაგმენტის სიმაღლის -6 სმ. პირ-ქობის სიფართო - 1 სმ. კედლის სისქე-0,5 სმ.

ქოთნის ფრაგმენტები - ქოთანის პირ-ყელისა და მხარის ფრაგმენტი. ყავისფერკეციანი, წვრილმინარევიანი, პირი მომრგვალებული, გარეთკენ გადაშლილი, განატეხში აქვს ოთხკუთხა მოყვანილობის ბაკო. ყელი დაბალი, ზედაპირზე შინიშნება ზოლები და ცეცხლის კვალი. ზომები: დაცული ფრაგმენტის სიმაღლის -6,5 სმ. კედლის სისქე-0,7 სმ.

ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი. ყავისფერკეციანი, წვრილმინარევიანი, პირი მომრგვალებული, გარეთკენ გადაშლილი, განატეხში აქვს ოთხკუთხა მოყვანილობის ბაკო. ყელი დაბალი, ზედაპირზე შინიშნება ზოლები და ცეცხლის კვალი. ზომები: დაცული ფრაგმენტის სიმაღლის -4,5 სმ. კედლის სისქე-0,5 სმ.

ქილისებური ჭურჭელი - ქილისებური ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი. ყავისფერკეციანი. წვრილმარცვლოვანი, აქვს სადა მომადლო პირი, გარე ზედაპირზე ატყვია ჩარხის კვალი. ზომები: პირის დმ:9,2 სმ, დაცული ფრაგმენტის სიმაღლის -6,5 სმ. კედლის სისქე-0,7 სმ.


ქილისებური ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი. ყავისფერკეციანი. წვრილმარცვლოვანი, აქვს სადა მომადლო პირი, გარე ზედაპირზე ატყვია ჩარხის კვალი. ცეცხლისგან გაშავებული/ზომები: დაცული ფრაგმენტის სიმაღლის -9,5 სმ. კედლის სისქე-0,3 სმ.

სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტები - ჭურჭლის პირის ფრაგმენტი, ჩალისფერკეციანი, წვრილმინარევიანი, მომრგვალებული პირი გარეთკენ გადაკეცილი. ზომები: დაცული ფრაგმენტის სიმაღლე 3,5 სმ. კედლის სისქე: 0,6 სმ. არის კიდევ ერთი ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი. წითელკეციანი, წვრილმინარევიანი, შემკულია ირიბი ჭდეებით. სხვა მასალიდან ყურადღებას იქცევს წითელკეციანი და მოყავისფრო თიხის ჩიბუხის ფრაგმენტები. მსგავსი ჩიბუხები დიდი რაოდენობით გვხვდება გონიოსა და პეტრას არქეოლოგიურ მონაპოვრებს შორის, რომლებიც XVIII საუკუნის სხვადასხვა პერიოდებით თარიღდება.

გასული საუკუნიდან მოყოლებული რეგიონში მიმდინარე შემთხვევითი თუ გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევების შედეგად დაგროვდა მდიდარი, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები [კახიძე, მამულაძე, 2016:181-190]. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლების სადაზვერვო სამუშაოებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად განსაკუთრებით მოიმატა ცალკეული ქვევრების, მარნებისა და საწნახლების გამოვლენის შემთხვევებმა. მხედველობაში გვაქვს ჩაისუბნის, კაპნისთავის, სინდიეთის, ილიას მარანი, ორცვას, ზესოფლის და ა.შ. [კახიძე, სურმანიძე, 2013: 222-231., კახიძე, შალიკაძე: 2015: 104-116., კახიძე, შალიკაძე..., 2017: 25-32., კახიძე, მამულაძე, 2018: 130-139., მამულაძე, შალიკაძე....., 2013., მინდორაშვილი, 2015: 323-334]. მეთოდური არქეოლოგიური მუშაობის, წერილობით და ეთნოგრაფიული ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე [ბოხოჩაძე:1963:165-176; ბერიძე:1975:13-27; შაშიკაძე, მახარაძე:2011:34-50; 91-92]. შესაძლებლობა გვძლევს ვთქვათ, რომ აჭარის არქეოლოგიურ ძეგლებს შეემატა დასვლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი მსუბუქად გადახურული მარანი, რომელიც ფუნქციონირებდა XVIII ს-მდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე კ., 1975: მევენახეობა და მისი პერსპექტივები აჭარაში. ბათუმი
2. ბოხოჩაძე ა., 1963: მევენახეობა-მელვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბილისი
3. კახიძე ა. სურმანიძე ნ., 2013. სოფელ ჩაისუბნის „შუამთის“ გორანამოსახლარის არქეოლოგიური დაზვერვის შედეგები. – აჭარა წარსული და თანამედროვეობა, I ბათუმი. გვ. 222–231.
4. კახიძე ა. შალიკაძე თ., 2015. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მახოს 2013 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. – აჭარა წარსული და თანამედროვეობა, II ბათუმი, გვ. 104–116.
5. კახიძე ა., მამულაძე შ., 2016: აჭარის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
6. კახიძე ა. შალიკაძე თ. ნაგერვაძე მ., 2017 ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ კაპნისთავში. – აჭარა წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, გვ. 25–32.
7. კახიძე ა. მამულაძე შ., 2018 - ქვევრის ერთი სახეობის გავრცელების საკითხისათვის პონტოს პირეთში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე #1. თბილისი. გვ. 130-139.
8. მამულაძე შ. შალიკაძე თ. ასლანიშვილი ლ., 2013. გონიოს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში 2012 წელს წარმოებული გათხრების მოკლე ანგარიში. - აჭარა წარსული და თანამედროვეობა, I ბათუმი.
9. მინდორაშვილი დ., 2015. ხიხანის ციხეზე 2013 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. აჭარა წარსული და თანამედროვეობა. II. ბათუმი, გვ. 323-334.
10. შაშიკაძე ზ, მახარაძე მ., 2011: აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბილისი
11. შაშიკაძე ზ, მახარაძე მ., 2021: ლალამუსტაფა ფაშას ვაყუფ- ნამეები საქართველოს შესახებ, თბილისი



ლონისძიებების როლი მუზეუმების განვითარებაში The Role of events in the development of museums

თეონა ზოიძე

სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორი

ბსუ, ასისტენტ პროფესორი

TEONA ZOIDZE

Director of LEPL Ajara Museum

Assistant Professor of BSU

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2024.01.003>

აბსტრაქტი: ნაშრომი განიხილავს ლონისძიებების როლს მუზეუმების განვითარებაში, მათი გავლენის მექანიზმებსა და პოტენციალს ტურიზმისა და რეგიონული ცნობადობის ამაღლების პროცესში. მუზეუმების ძირითადი მისია: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სამეცნიერო კვლევა, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და პოპულარიზაცია — მჭიდროდ არის დაკავშირებული ლონისძიებების ორგანიზებასთან, რომელიც თანამედროვე კულტურისა და ტურიზმის ინდუსტრიაში ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად ითვლება. კვლევის მიზანია მუზეუმებში ლონისძიებების თანამედროვე დინამიკის ანალიზი, მათი ეფექტიანობის შეფასება და სამომავლო განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემების ანალიზს, მათ შორის მეორადი წყაროების შესწავლას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას (ICOM, NEMO), ასევე სიღრმისეულ ინტერვიუებს მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან. განხილულია ლონისძიებების ტიპოლოგია (ლოკალური, საყოველთაო, განმასხვავებელი ნიშნით გამორჩეული, მეგა ლონისძიებები) და მათი ორგანიზაციული წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები — სტრატეგიული დაგეგმვა, რესურსების ეფექტიანი გამოყენება, რისკების შეფასება და მარკეტინგული მხარდაჭერა.

ანალიზმა აჩვენა, რომ ლონისძიებები მნიშვნელოვანწილად ზრდის მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობას, ხელს უწყობს ქვეყნისა და რეგიონის პოზიტიური იმიჯის, ავითარებს ადგილობრივ ეკონომიკას და ქმნის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობებს. წარმატებული ლონისძიებების ძლიერი მხარეებია მრავალფეროვანი კულტურული რესურსები, პროფესიონალი კადრები, სახელმწიფოს მხარდაჭერა და ხელმისაწვდომი ბილეთების პოლიტიკა. ამავდროულად, გამოვლენილია სუსტი მხარეები და რისკები, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა სისტემური მენეჯმენტი და მუდმივი ინოვაცია.

ამრიგად, მუზეუმებში ლონისძიებები არა მხოლოდ ვიზიტორთა მოზიდვის ინსტრუმენტია, არამედ კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და მუზეუმის კონკურენტული უპირატესობის ჩამოყალიბების სტრატეგიული ბერკეტი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის იმიჯსა და ტურისტული ნაკადების ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: მუზეუმი, ლონისძიება, კულტურული მემკვიდრეობა, ტურიზმი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ლონისძიებების ტიპოლოგია.

Abstract: The paper examines the role of events in museum development, focusing on their mechanisms of influence and potential in enhancing tourism and regional visibility. The core mission of museums—preserving cultural heritage, conducting scientific research, implementing educational programs, and promoting heritage—is closely connected to event organization, which is considered one of the leading fields in today's culture and tourism industry. The aim of the study is to analyze the current dynamics of events in museums, assess their effectiveness, and outline perspectives for future development.

The research methodology combines quantitative and qualitative data analysis, including the study of secondary sources, processing of statistical data (ICOM, NEMO), and in-depth interviews with target group representatives. The study discusses the typology of events (local, universal, distinctive, and mega-events) and the key factors determining organizational success—strategic planning, efficient use of resources, risk assessment,

and marketing support.

The analysis revealed that events significantly increase museum attendance, contribute to the positive image of the country and the region, foster local economic development, and create opportunities for social integration. The strengths of successful events include diverse cultural resources, professional staff, governmental support, and affordable ticket policies. At the same time, weaknesses and risks have been identified, the elimination of which requires systematic management and continuous innovation.

The findings conclude that events in museums are not only a tool for attracting visitors but also a strategic lever for promoting cultural heritage and establishing the museum's competitive advantage, which has a significant impact on the country's image and the growth of tourist flows.

Keywords: museum, event, cultural heritage, tourism, management, marketing, event typology.

მუზეუმების უმთავრესი ფუნქცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენახვა, სამეცნიერო კვლევა-ძიება, საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაზე შეთავაზება, არსებული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. ჩვენი თითოეული ნაბიჯი სწორედ ამ მისიას ემსახურება. მუზეუმი საოცარი ძალის მქონე დაწესებულებაა, მას შეუძლია მოქალაქეს ბავშვობიდანვე ჩაუნერგოს საკუთარი ქვეყნის იდენტობისა და თითმყოფადობისადმი პატივისცემა, სიყვარული, გადასცეს მომავალ თაობებს ყველაზე ძვირფასი ქვეყნის ისტორია და მასთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობა, პოპულარიზაცია გაუწიოს ქვეყანას, რომელიც თავისი არსებობით საუკუნეებს ითვლის და განუმეორებელია ტრადიციებითა და კულტურით, გააფართოოს მოქალაქეების თვალსაწიერი და უზრუნველყოს პატრიოტიზმის გრძნობის გაღვივება. აღმოაჩინოს და გამოიკვლიოს ცივილიზაციათა მონაპოვრები.

ჩემი ნაშრომის „ღონისძიებების როლი მუზეუმების განვითარებაში“ მიზანია მუზეუმებში ღონისძიებების თანამედროვე დინამიკის მიმოხილვა სამომავლო პოტენციალისა და პერსპექტივების განსაზღვრა. ის, თუ რა შედეგები მოაქვს ღონისძიებების განვითარებას მუზეუმსა და აჭარის რეგიონში, რამდენად იზრდება ქვეყნის პოპულარობა და რა არის ძირითადი მიზეზი, რაც უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტორებს იზიდავთ, ღონისძიების საერთაშორისოდ აღიარებული ერთი განმარტება არ არსებობს. ავტორები სხვადასხვა ნიშან-თვისებით და მიდგომით აღწერენ მას, თუმცა მათი უმრავლესობა თანხმდება, რომ ღონისძიებები მომსახურების სფეროს ნაწილია. მრავალფეროვანი მიდგომები არის შედეგი იმ გარემოს სპეციფიური ნიშან-თვისებებისა, სადაც ავტორები მუშაობენ. ასევე, ღონისძიებები არის მრავალმხრივი და მათი განმარტებები სხვადასხვა სიტუაციებს შეიძლება მოერგოს. ერთ-ერთი განმარტებით, ღონისძიება არის „ორგანიზებული შემთხვევა, როგორიცაა: შეხვედრა, კონფერენცია, გამოფენა, სპეციალური ღონისძიებები და ა.შ. ღონისძიება იქმნება სხვადასხვა, თუმცა ურთიერთდაკავშირებული ფუნქციებით. ცნობილი მკვლევარი კულტურის დარგში მარკ გოლდბლატი (2005) სპეციალურ ღონისძიებებს განმარტავს, როგორც „დროის უნიკალური მომენტს, რომელიც აღინიშნება რიტუალითა და ცერემონიით, რათა დაკმაყოფილდეს ადამიანთა საჭიროება“.

ნაშრომში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ღონისძიებს მსოფლიო კულტურისა და ტურიზმის ინდუსტრიაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. ამ მოსაზრების აქტუალობას ხაზი გაუსვა იმანაც, რომ ხშირად ტურისტები მხოლოდ რომელიმე ღონისძიებაზე დასასწრებად სტუმრობენ რომელიმე ქვეყანას. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღონისძიებები როგორც კულტურის სფეროს, ასევე ტურიზმის მნიშვნელოვანი მოტივატორია. ნაშრომში დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. მოცემულია ღონისძიებების არსი და სახეები სხვადასხვა ავტორის მიხედვით. ნაჩვენებია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ღონისძიებების ორგანიზატორმა ამ შემთხვევაში მუზეუმებმა შეიმუშაონ სტრატეგიული გეგმა და განახორციელოს ეფექტური მენეჯმენტი, რაც შემდგომში უზრუნველყოფს რაიმე მოვლენის წარმატებას და ცნობადობის ამაღლებას. ასევე წარმოდგენილია დაგეგმილი ღონისძიებების ტიპოლოგია, მთავარი ძალები, ტენდენციები და პრობლემები.

თვით ღონისძიება, როგორც მოვლენა სათავეს უძველესი დროიდან იღებს. ძველი ეპოქის

ისტორიკოსებს ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავთ ოლიმპიური თამაშები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფესტივალები და ღონისძიებები, შუა საუკუნეებიდან დაიწყო და მათ აფინანსებდა ეკლესია. ისინი საზოგადოებასთან ერთად თანაარსებობდნენ, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ხოლო ახალი ეპოქის, კაპიტალიზმის პირობებში, ახალი პროდუქტების, ახალი სოციალური ურთიერთობების გაჩენამ, ასევე თანამედროვე ცხოვრების წესის დამკვიდრებამ საფუძველი ჩაუყარა უფრო მრავალფეროვან ღონისძიებებსა და გამოფენებს.

უნდა აღინიშნოს, რომ რადგან მუზეუმი მუდმივად განვითარებადი ინსტიტუციაა მისი სამომავლო ვიზიტორთა ზრდის პოტენციური განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მინდა მაგალითად მოვიყვანო სხვადასხვა ოფიციალური წყაროები, სადაც საუბარია მუზეუმის სარგებელზე ქვეყნების ბიუჯეტში. რაც მაგალითად განვითარებად ქვეყნებს აქვთ. ICOM- ის(მსოფლიო მუზეუმების საბჭო) სტატისტიკის მიხედვით, 2023 წელთან შედარებით 2024 წელს საერთაშორისო ვიზიტორთა რიცხვი მსოფლიო მუზეუმებში 16%-ით გაიზარდა, ხოლო მისი წილი ბიუჯეტში 2 % შეადგენს, ვიზიტორთა რაოდენობა მუზეუმებში 1.1 მლრდ ადამიანია. ხოლო NEMO (ევროპის მუზეუმების საერთაშორისო ქსელი) სტატისტიკის მიხედვით, განვითარებადი ქვეყნების მუზეუმების წილი ბიუჯეტებში გადახდილ გადასახადებში 0,1%-მდეა. ICOM (International Council of Museums) (2024). Annual Report and Global Museum Statistics. www.icom.museum.

ღონისძიებებს აქვს 5 თვისება. ესენია: 1. ვიზიტორთა მოზიდვა მუზეუმში; 2. მისი ჩატარება დროის გარკვეულ პერიოდში; 3. ერთჯერადი ბუნება; 4. ცნობადობის გაზრდა; 5. სოციალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.

ამ განმარტებების შეჯამებით, ვიღებთ ერთ, შეთანხმებულ ახსნას: „ერთჯერადი, დროის გარკვეულ პერიოდში გამართული ღონისძიება, რომელიც ადამიანებს სთავაზობს მათი ცხოვრების სტილისგან განსხვავებულ დასვენება-გართობისა და სოციალიზაციის შესაძლებლობებს არის ღონისძიება რომელიც იზიდავს ვიზიტორს, მუზეუმის, რეგიონის, ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად და კარგი იმიჯის შესაქმნელად.

აკადემიკოს ვახტანგ ჯაოშვილის მიხედვით, სხვადასხვა ღონისძიებას სხვადასხვა მიზანი, შინაარსი და ფორმა აქვს. ეს შეიძლება იყოს ეროვნული დღესასწაულები, ფესტივალები, ჩემპიონატები, კორპორატიული საღამოები და ა.შ. [ჯაოშვილი, 2015: 7]. ღონისძიებათა ინდუსტრია იყოფა შემდეგ ნაწილებად: 1. მასპინძელი ორგანიზაციები - ღონისძიებების მასპინძლები; 2. ღონისძიებაში მონაწილე - ჯგუფები რომელიც ემსახურება ვიზიტორებს და უზრუნველყოფს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. 3. პერსონალი, რომლებიც ღონისძიებებს სხვადასხვა სახის აღჭურვილობით ამარაგებენ; 4. ადამიანები, რომლებიც ღონისძიებას ახორციელებენ. აღსანიშნავია, რომ „ღონისძიების სახეები მუზეუმებში განისაზღვრება მასშტაბის, ფორმისა და შინაარსის მიხედვით. მასშტაბის მიხედვით ღონისძიებები არის ლოკალური, საყოველთაო, განმასხვავებელი ნიშნით გამორჩეული და გლობალური.

1. ლოკალური ღონისძიება - განსაზღვრულია საზოგადოების კონკრეტული ჯგუფისათვის და ემსახურება მათ შორის სოციალური ურთიერთობების დამყარებას. ასეთ ღონისძიებებზე წარმოითქმება ახალი იდეები, ხდება გამოცდილებების გაზიარება. ამსახის ღონისძიებებია-გამოფენები, პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის შეჯიბრება. საგანმანათლებლო პროგრამები. ისინი შეიძლება ჩატარდეს როგორც მუზეუმების საექსპოზიციო დარბაზებში, ასევე, სპეციალურად განკუთვნილ ადგილებში (კერამიკის მასტერკლასი) ბიბლიოთეკა, წყალქვეშა არქეოლოგია, იმიტირებული არქეოლოგიური გათხრები.

2. საყოველთაო ღონისძიება არის საერთაშორისო ხასიათის და იზიდავს ვიზიტორებს სხვადასხვა ქვეყნიდან, აქტიურად შეუქდება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მედიაში და უდიდესი როლი აქვს ქვეყნის პოპულარიზაციის საქმეში, ძირითადად ამ სახის ღონისძიებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონე საკმაოდ მაღალია. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება საყოველთაო რომ იყოს, აუცილებელია ჯანსაღი კონკურენციის არსებობა, საერთაშორისო დაინტერესება და სამომავლო მიზნების ჩამოყალიბება.

3. განმასხვავებელი ნიშნით გამორჩეული ღონისძიები ასახავს ქვეყნისა და ადგილობრივების ტრადიციებსა და კულტურას, მათ ნიშან-თვისებებს. მათი დახმარებით იზრდება მუზეუმების, ქალაქის, რეგიონის საერთაშორისო ცნობადობა.

4. მეგა ღონისძიება არის ერთჯერადი და საერთაშორისო, აერთიანებს სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის მქონე ადამიანებს, შუქდება მსოფლიო მასშტაბით, მასში ჩართულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, პრესტიჟულია და უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია სტუმარი ქვეყნის იმიჯზე. ასეთი ტიპის ღონისძიებები არის ფართომასშტაბიანი და მისი ჩატარებისთვის ყველა დეტალი სათანადოდ უნდა იყოს ორგანიზებული [ჯაოშვილი, 2015:10-13].

თუ ღონისძიებას ფუნქციურად შევხედავთ ღონისძიებების წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებია: 1. მთავარი მიზნისა და ძირითადი ამოცანების ჩამოყალიბება - ამაზე დამოკიდებულია ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება და მისი სავარაუდო შედეგების გამოვლენა; 2. კონცეფციის შექმნა - განსხვავებული იდეების ჩამოყალიბება და მათგან საუკეთესოს არჩევა, რომლის განხორციელების შემდეგ ღონისძიება უნიკალური გახდება; 3. დეტალებზე კოორდინირება და რესურსების დადგენა - სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ნებისმიერ დეტალზე. რაც შეეხება რესურსებს, მათში იგულისხმება ღონისძიებისთვის საჭირო როგორც ადამიანური, ისე ფინანსური და ტექნიკური რესურსები [ჯაოშვილი, 2015: 35]. ასევე აუცილებელია მომზადდეს სიტუაციური შესწავლის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა (ჯაოშვილი, 2015: 37). სიტუაციური შესწავლით შეიძლება იმის დადგენა, თუ რა არის ღონისძიების მიზანი და ამოცანები, რა საფრთხეები შეიძლება არსებობდეს და როგორ შეიძლება მათი თავიდან აცილება. აუცილებელია სიტუაციის ანალიზიც, რომელიც ადგენს რამ შეიძლება იმუშაოს ყველაზე კარგად კონკრეტული გეგმის შესასრულებლად, მის საფუძველზე კი ადვილად მიიღება საჭირო გადაწყვეტილება. ღონისძიების სამოქმედო გეგმა მოიცავს ყველა გასაკეთებელ საქმეთა ჩამონათვალს, ყველა შეთავაზებას, პოტენციურ ხარჯებს, დაგეგმილი აქტივობების გრაფიკს, პასუხისმგებლობათა განაწილებას. მასში აღწერილია ყველა პროცედურა, რაც ღონისძიების მოსამზადებლად და შემდგომ მისი რეალიზებისთვისაა საჭირო.

დაგეგმვის შემდეგ იწყება სამზადისი, რომლის ფარგლებშიც დგება სპეციალური გუნდი და უნაწილდება შესასრულებელი სამუშაოები. დავალებების შესრულებისას მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობა, მონიტორინგი იმისა, თუ როგორ სრულდება ისინი, გუნდის წევრების კოორდინირებული მუშაობა, დავალებების ვადებში დასრულება.

აუცილებელია განისაზღვროს, რა რესურსებია საჭირო ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სავარაუდო რისკების შეფასება და სწორი ბიუჯეტის შედგენა, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილის შემდეგ ხდება პრეზენტაცია, რომელიც უნდა იყოს მარტივად აღსაქმელი, ნათლად უნდა წარმოადგენდეს მიზანს, ამოცანებს და მოსალოდნელ შედეგებს. ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით ღონისძიება იქნება წარმატებული. წარმატებით რეალიზებული ღონისძიება კი ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი: 1. ცნობადობის ასამაღლებლად; 2. ნდობის მოსაპოვებლად და რეპუტაციის გასამყარებლად; 3. არსებული კონტაქტების გასაფართოებლად და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად; 4. გამოცდილების გაზიარებისათვის; 5. შემოსავლების გასაზრდელად, მოგების ასამაღლებლად და განსავითარებლად.

ღონისძიებები მუზეუმებში დინამიურად განვითარებადი მიმართულებაა, იგი უზრუნველყოფს რეგიონისა თუ ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლების დონეს. დღესდღეობით, საქართველოს მუზეუმებში იზრდება ღონისძიებებისა და გამოფენების რაოდენობა და შესაბამისად, იზრდება მათზე დასასწრებად მოსული ვიზიტორთა რიცხვიც, რადგან ადამიანებს სურთ მიიღონ ახალი და უნიკალური გამოცდილება. უნდა აღინიშნოს ის რომ ნებისმიერი სახის ღონისძიება მუზეუმში მჭიდროდ არის დაკავშირებული მარკეტინგთან და პიართან. იგი სხვადასხვა ეტაპს მოიცავს მაგალითად, აუდიტორიის ინფორმირებას ღონისძიების შესახებ, საინფორმაციო კამპანიებს, კონკრეტული ღონისძიების წარმატებით გამართვისათვის. ღონისძიებას, რომელზეც იხარჯება დრო და თანხები, სჭირდება შესაბამისი გაშუქება და წარდგენა საზოგადოებისათვის.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

1. მუზეუმში არსებული ღონისძიებების ტურიზმის სპეციფიკური მახასიათებლების წარმოჩენა, ღონისძიებების დაგეგმვისა და მართვის მნიშვნელობის განსაზღვრა, დადგენა იმისა, თუ რა არის მნიშვნელოვანი სტრატეგიული დაგეგმვის დროს და როგორ უნდა შეუწყოს ხელი მენეჯმენტმა ღონისძიების წარმატებას.

2. დადგენა იმისა, თუ რა შედეგები მოაქვს ღონისძიებებს მუზეუმის განვითარების საქმეში.

3. რამდენად გაიზარდა მუზეუმების ცნობადობა ღონისძიებების საშუალებით როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

4. გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები ბოლო 4 წლის განმავლობაში. იმატა თუ არა ვიზიტორებისა და დაინტერესებული ადამიანების რიცხვმა, რამდენად მასშტაბური გახდა ესა თუ ის ღონისძიება, რა სტიმულირების მეთოდებს მიმართა სსიპ აჭარის მუზეუმის ადმინისტრაციამ რომ მოიზიდოს უფრო მეტი ვიზიტორი.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, ნაშრომში ჩამოყალიბებული მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალებამისი კვლევაა. გამოყენებულია მეორადი წყაროების ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველზე შესწავლილია სხვადასხვა ლიტერატურა ასევე გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუები, რომელიც ნახევრად სტრუქტურირებული სახისაა და აჭარის მუზეუმის მაგალითზე გაერთიანებაში არსებულ მდგომარეობას უსვამს ხაზს რაშიც მოშველიებულია როგორც პასუხისმგებელი პირების ანგარიშები ასევე ფაქტობრივი სტატისტიკა.

თვისიბრივი კვლევის მეთოდების ხასიათიდან გამომდინარე, ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები არატარებს რეპრეზენტატიულ ხასიათს. იგი წარმოადგენს რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფის შეხედულებას კოეფიციენტით 1/30-ზე, როგორც სასკოლო საზოგადოებიდან ასევე საუნივერსიტეტო წრეებიდან, google კომენტარებიდან და ვიზიტორების შეფასებებიდან (ჩანაწერთა წიგნში დატოვებული კომენტარებიდან). მსგავსმა მიდგომამ კი კარგად წარმოაჩინა ღონისძიებების გავლენა მუზეუმებზე და ხაზი გაუსვა სისტემატიზაციის აუცილებლობას. კერძოდ შედეგებში ასახულია ის, თუ რას ფიქრობენ გამოკითხული ადამიანები ღონისძიებების შესახებ მუზეუმებში და აქვს თუ არა განვითარების პოტენციალი, რა შეიძლება გააკეთოს მენეჯმენტმა მის ხელშესაწყობად, რა ხელისშემშლელი ფაქტორები იჩენს თავს და რა უნდა გაკეთდეს მათ აღმოსაფხვრელად.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ღონისძიებების მუზეუმის განვითარების პოტენციალის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია თუმცა მისი წარმატებისთვის საჭიროა რისკ ფაქტორების გაანალიზება, ასევე, სამომავლო შესაძლებლობების წარმოჩენა და იმ სუსტი მხარეების განსაზღვრა, რომლებიც ღონისძიების წარმატებლობას შეუშლის ხელს. ამაში კი SWOT ანალიზს დიდი წვლილი მიუძღვის. ეს გახლავთ ტექნიკა, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის კონკურენტული პოზიციის, შიდა და გარე ფაქტორების, რისკისა და პოტენციალის შესაფასებლად. SWOT ანალიზის ფარგლებში გამოიყოფა ოთხი სეგმენტი, ესენია: სიძლიერეები, სისუსტეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. მის საფუძველზე დგინდება, რომ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი ინსტიტუციის განვითარებისათვის. ღონისძიებების ძლიერ მხარეებში მოიაზრება - მუზეუმების მრავალფეროვანი კულტურული რესურსი, ექსპოზიციები, პროგრამები, კვლევები, სამეცნიერო მიღწევები, ფონდები, პროფესიონალი ადამიანური რესურსი, სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობა, ბიუჯეტირება და სხვა. მაგალითად სსიპ აჭარის მუზეუმის ვიზიტორს შეუძლია ღონისძიების პარალელურად დაათვალიეროს ექსპოზიცია, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა აქტივობაში, ეწვიოს ბიბლიოთეკას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც შეიძლება განაპირობოს ღონისძიებების წარმატება არის ბიუჯეტური ფასი ბილეთზე ან სულაც უფასო დასწრება.

ამრიგად ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სხვადასხვა მოქმედება ისეთი როგორიცაა კვლევა-ძიება, საგანმანათლებლო პროგრამა, ღონისძიების ჩატარება (მაგალითად კონფერენცია), მუზეუმების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუზეუმის, როგორც ბრენდის იდენტობის შექმნა და მსოფლიო მასშტაბით პოზიციონირება კონკურენტული უპირატესობის ჩამოყალიბება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის განვითარება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის იმიჯის შესაქმნელად. მისი, როგორც ინსტიტუციის პრიორიტეტი უნდა იყოს. მრავალ მიმართულებასთან ერთად, კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და მეცნიერების განვითარება და მათთან დაკავშირებული საკვანძო აქტივობები.

მუზეუმებში განხორციელებული ღონისძიებები, გამოფენები ხელს შეუწყობს, ღონისძიებას გახდეს მთავარი მოტივატორი ვიზიტორისთვის და იგი უდიდეს როლს შეასრულებს მუზეუმის როგორც ერთადერთი და უნიკალური ინსტიტუციის განვითარებაში.

ბიბლიოგრაფია

1. ჯაოშვილი ვ. 2015. ღონისძიებების მენეჯმენტი. თბილისი
2. APEX (2005). Accepted Practices Exchange: Industry Glossary. Convention Industry Council.
3. Goldblatt, J. (2005). Special Events: Event Leadership for a New World. 4th ed. John Wiley & Sons.
4. Jago, L., & Shaw, R. (1998). Special events: A conceptual and definitional framework. *Festival Management and Event Tourism*, 5(1/2), 21-32.
5. Quinn, B. (2009). Festivals, Events and Tourism. In: Jamal, T., & Robinson, M. (eds). *The SAGE Handbook of Tourism Studies*. London: SAGE Publications.
6. Oklobdžija, S. (2015). The Role of Events in Tourism Development. *BizInfo (Blace)*, 6(2), 83-97.
7. ICOM (International Council of Museums) (2024). Annual Report and Global Museum Statistics. www.icom.museum
8. NEMO (Network of European Museum Organisations) (2024). Survey on the Impact of Museums in Developing Countries. www.ne-mo.org

გლობალიზაცია და მუზეუმები Globalization and museums

იაშა თანდილავა
სარგის ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელი
ტბელ აბუსერძის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი
ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი
IASHA TANDILAVA
Head of the Laz Ethnographic Museum of Sarpi
Professor at Tbil Abuserdze University
Doctor of Philology
Academician of the Ecological Academy of Georgia

აბსტრაქტი: ნაშრომში საუბარი იქნება: თანამედროვე ისტორიოგრაფიის არეალიდან ამოგდებული წინარე ქართული ანუ წინარე იბერიული კულტურათა შესახებ რომელნიც არა მარტო სამეცნიერო სფეროდ მიიჩნევა არამედ იგი პოლიტიკურ რანგშიც მოიაზრება ანუ “კულტურათა შეჯახება”.

საკვანძო სიტყვები: ეთნოსი, კვლევა, იდენტობა, მუზეუმი.

Abstract: The present paper discusses the Iberian-pre-Georgian civilization of the 4th–2nd millennia BC, noting that this civilization, which existed on the territory of Georgia, had cultural predecessors in the 7th–5th millennia BC, rooted in certain branches of civilization. It also addresses the fact that, in order to preserve the identity of this cultural civilization in relation to the Georgian ethnos under the conditions of 21st-century globalization, museums play a crucial role.

The paper aims to define the place of Georgian culture in the context of the history of world culture.

Keywords: Ethnos, research, identity, museum.

ყველაზე დამაჯერებელი არტეფაქტი, თემის ნივთიერი და მისგან გამომდინარე ლოგიკური დაბოლოებაა ამიტომაც, მუზეუმებს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ეთნოსის კვლევისას.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ლინგვისტიკის მეტრი-საზომია და დასტურია რა თქმა უნდა ლოგიკური დაბოლოებით.

1) „XXI საუკუნის მსოფლიო ცივილიზაციის პროცესები უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც საქართველოა. ძველი იბერების მემკვიდრე ქართველი ადამიანი თავისი არსებობის ყველა პერიოდში გლობალიზაციის აქტიური წევრი იყო და მედიატორის როლსაც კი ასრულებდა ევრაზიაში. როგორ გადავრჩით? როგორ არ გავითქვიფეთ? მხოლოდ მაღალი კულტურის წყალობით და იდენტობის შენარჩუნებით. აი ეს არის ის საჯილდაო ქვა, რომლის საფუძველზეც XXI საუკუნეშიც გვეთქმის სიტყვა და საკუთარი სახის შენარჩუნების აუცილებლობა.

ამ საკითხზე ჯეროვანი ყურადღება და გამართული საინფორმაციო მეთოდები დიდ წვლილს შეიტანს გლობალური მსოფლიოს პირობებში იდენტობის გადასარჩენად. სწორედ მუზეუმები მოგვხსენებთ რა პატივში არიან დღეს ევროპულ (და არა მარტო) მუზეუმები!

„განსაკუთრებით მგარემოში, როდესაც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა მიზანმიმართული მცდელობა ჩვენი იდენტობის წაშლისა. მაგრამ ნაკვალევით ძიებამ მიგვიყვანა იმ უხილავ მხარეებთან. რომელთა მიხედვით ქართული ეთნოსის კვალის არსებობა დასტურდება ძვ.წ. VII–V ათასწლეულებში შუამდინარეთის (თანამედროვე, ერაყი) და მცირე აზიის (თან. თურქეთი), ძვ.წ. III–II ათასწლეულებში კი ხმელთაშუა ზღვის კულტურებში“. მათ შორის არსებობს წინარე ქართველი ხალხის მიერ შექმნილი კულტურული ღირებულებები“ რომლებიც მრავლად მოიპოვება ევროპა-აზიის ძვირფას მუზეუმებში. მოგვხსენებთ საკითხს ვიხილავთ: არქეოლოგიური მონაცემებისა და ანთროპოლოგიური დასკვნების

გათვალისწინებით.

ჩვენ დავისავე საბჭოთა პერიოდში, რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცეული ეთნოსების კულტურის ისტორია საბჭოური მეთოდებითა და დასკვნებით საზრდოობდა „სამწუხაროდ, ქართველი მეცნიერების შრომებსა თუ მოხსენებებში გამოთქმული თვალსაზრისები ზოგჯერ მთლიანად ეწინააღმდეგება ქართულ ეთნოსის ეთნოგენეზის, მისი ტერიტორიული მთლიანობის და კუთვნილებისა და თავისთავადობის საკითხებს.

ლოგიკური ცივილიზაციის ფუნქციონირება და მისი არსებობის დროის შემოსაზღვრაც: (ძვ.წ. IV ათასწლეულის ნახევრიდან ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევრის ფარგლებში). „საქართველო“ ქართველთა სამყოფელი და ჩვენი სამშობლოა, ამიტომ სახელწოდებაც ჩვენივე წიაღში უნდა დაბადებულიყო კერძოდ, იგი „ქართი“-დან, იგივე „ქალდი“-დან მომდინარე სახელწოდებაა. ქალდი ერთიანი იბერიული ოჯახის, წინარექართული მოდგმის ერთ-ერთი ტომია. განათლებით ისტორიკოსის-კათალიკოს კირიონ II-ის თანახმად, ქალდეები ჯერ კიდევ VII-V-ათასწლეულებში ცხოვრობდნენ შუამდინარეთში.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II, თავის 2012 წლის საშობაო ეპისტოლეში განმარტავს: „საყურადღებოა, რომ ქალდი დღესაც ქვია უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპზონის მთებში, სადაც ცხოვრობდნენ ლაზები.“ ამ ტოპონიმთან დაკავშირებით კი პირველი ინფორმაცია ჩვენს წერილობით წყაროებში ლეონტი მროველთან (XI-ს) გვხვდება. „ქართლის ცხოვრებაში“, ვკითხულობთ: „კულად გამოვდინენ სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაშთეს იგინიცა ქალდეად“.

თ. გამყრელიძესთან ვკითხულობთ: „ქართულ-ზანური ერთიანობის (ენობრივი ერთანობის) ეპოქაში არსებობა და „ქართველთა“ აღმნიშვნელი სახელი „ქართუ“, რომელიც მეგრულისა და ლაზურიში გარდაიქმნა კანონზომიერად „ქორთუ“ ფორმად, „ქართველის მნიშვნელობით, ხოლო საკუთრივ ქართულში „ელ“ სუფიქსის დართვით მოგვცა ისტორიულად დადასტურებული „ქართუ-ელ-ლი“ ეთნონიმი“ აქედან გამომდინარე სარფის ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმის არსებობით იმითაც არის გამართლებული, რომ ის გახლავთ უმნიშვნელოვანესი ადგილი საიდანაც შეიძლება აუხსნა სხვადასხვა ქვეყნებიდან მობრზანებულ ვიზიტორებს ლაზეთის არსებობის შესახებ, რომელიც სამწუხაროდ დღევანდელი საქართველოს კუთხეების ჩამონათვალში რატომღაც იგნორირებულია და ამოღებულია ერთიანი ეროვნული ისტორიიდან, ხოლო თუ კი არის ისეთ პრეისტორიული პერიოდებიდან - გვხვდება, დღეს ის რეალურად არ არსებობს მიზეზი ნათელია სოფელი სარფი და მისი ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმი ცოტათი ავსებს ამ სიცარიელეს.

ლაზები კომპაქტურად სახლობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, საქართველოს საზღვრის პირა სოფელ სარფში და თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ვილაეთის ხოფის, ბომჩხისა და არჰავის ილჩებსა და რიზეს ვილაეთის ფინდიკლის (ვიწე) არდაშენის, ჩამპლიჰემშონისა და ფაზარის /ათინა ილჩეებში. ამასთან ერთად მრავალი ლაზი ცხოვრობს თურქეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში, ლაზთა ცალკეული ოჯახები გაბნეულია დასავლეთ საქართველოს რიგ რეგიონებში/აწარაში, აფხაზეთსა, გურიასა და სამეგრელოში.

თავად ლაზური ენა დიალექტურია: როფური, ვიწურ-არქაული და ათინურ-ართაშენური როგორც ენებს ახასიათებს, აქაც სოფურში ჩხალურ კილოს გამოყოფენ ათინურში-ართაშენურს-ვიწურს-არქაულს კი ვიწური და არქაული კილოკავების ნაერთად მიიჩნევენ.

რაც უფრო ღრმად მივდივართ ამ ენათა ისტორიულ წარსულში, მით უფრო ცხადი ხდება მათი წარმომავლობა ერთი საერთო ფუძიე, ნიდან (ჩიქობავა 1938, 446, 1948) რაც შეეხება ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისს ქართული ცივილიზაციის არსებობასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი ქართული ცივილიზაციის არსებობას ძვ.წ. V-II საუკუნეებით ათარიღებს. ო.ლორთქიფანიძე ახ.წ. X საუკუნით ამავე დროს ის არ გამორიცხავს ქართული ცივილიზაციის საწყისებს ძვ.წ. II ათასწლეულში.

„ამრიგად, ქართული ცივილიზაცია ხანგრძლივი განვითარების პროდუქტია. მისი ცალკეული ელემენტები ისახებოდა ჯერ კიდევ საერთო-ქართველურ დონეზე. მისი დიფერენციაციის შემდგომ ძირითადი ქართული ტომების (სვანები, მეგრელები-ჭანები, ქართველები, მესხები) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების წიაღში ქმნებოდა სტრუქტურები, რომელთა ერთ ორგანიზმად გაერთიანებამ შექმნა ქართული ცივილიზაცია. (ო. ლორთქიფანიძე, ქარო-ცივილიზაცია, სადან იწყება მისი ისტ.თბ. 1986, გვ.15).

XX საუკუნის უცხოელ და ქართველ კულტურის ისტორიის სემსწავლელ მეცნიერთა-კულტუროლოგთა გამოკვლევების თანახმად, დღესდღეობით არსებობს ქართულ ცივილიზაციასთან დაკავშირებით შემდეგი განმარტებები:

1. საქართველო-ხმელთაშუა-ზღვისპირული ცივილიზაციური ერთობის ბალკანურ,კავკასიური ტიპია;

2. საქართველო და მთლიანი კავკასია არის მეზობელ ცივილიზაციათა შორის მარგონალური სივრცე, ანუ ცივილიზაციათა გამყოფი; მათი საკონტაქტო სივრცე;

3. საქართველო აღმოსავლურ ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილია;

4. საქართველო, როგორც დასავლური ცივილიზაციის ნაწილი;

5. საქართველო კავკასიურისუბლივიზაციის ნაწილი.

ამათ გარდა არის მოსაზრებაც და ფაქტობრივი მასალაც არსებობს, რომ ქართველი ადამიანი არის ძველადმოსავლური და მსოფლიოში არსებული ცივილიზაციური დარგების შექმნის თანამონაწილე. სარფის მუზეუმი თუმცა ეთნოლოგიურია, მაგრამ აქვე გვაქვს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ მუდმივი გამოყენებისთვის გადმოცემული არქეოლოგიური ნაპოვნები, რომლებიც განეკუთვნება ფიჭვნარში მოპოვებულ მასალებს, სწორედ ვიზიტორებს აქიდან ვესაუბრებით და ვიწყებთ ათასწლეულებს მიღმა იბერიულ-წინარექართული ცივილიზაციის საკითხებზე თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი VII-IV ათასწლეულების უძველეს ცივილიზაციურ დარგებზე ასევე ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში ერთიანი ენობრივ-კულტურულ არეალში (ანატოლია-კავკასია-შუამდინარეთი) წინარექართველი ტომების მონაწილობაზე. სწორედ ამგვარი იდენტობის დაცვითა და შენარჩუნებით შეგვიძლია უმნიშვნელოვანესი როლის შენარჩუნება, რათა არ გავითქიფოთ და არ ვიყოთ ამოდგებული XXI საუკუნიდან დაიწყო და მიმდინარეობს, ამ ტრიალში თუ ჩვენი იდენტობა არ დავიცავით და შევინარცუნეთ, ულმობლად გავქრებით ისე ვითარცა ის ძველადმოსავლური, ანატოლური ცივილიზაციების შემქმნელი ჩვენი მონათესავე დიდი კულტურები.

XXI საუკუნის ქართველები მომსწრენი ვართ საქართველოს არეალში უნიკალური არქეოლოგიური სიახლეებისა 2001 წ. დმანისში აღმოჩენილი იქნა პირველყოფილი ადამიანის არსებობის ნაშთები დათარიღებული მილიონ 80 000 წლით. გარდა ამისა საჩხერის რაიონში მოკლეულ იქნა 3500 წლის წინანდელი მსოფლიოში უძველესი ძაფის ნართი. ასევე ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრით დათარიღებული მსოფლიოში უძველესი ოქროს სადნობი საამქროს ნიმუშის არსებობა 2012 წელს იმერეთში, სოფელ საწურბლიას მღვიმეში მიაგენს 15 000 წ. წინანდელი პალეოლითის ხანის ადამიანის საცხოვრისს. ამდენად აშკარაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე პირველყოფილმა ადამიანმა გააჩინა თავისი სამკვიდრებელი, სადაც დაიწყო გამრავლება და კულტურული სრულყოფა.

XXI საუკუნეში საქართველოს არეალში განხორციელებულმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, ასევე ქართველ მეცნიერთა ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ქართულ კულტურაში დევს ბევრი გაუხსნელი საიდუმლო, რომელთა ამოცნობა სრულიად ახალი ინფორმაციის შესაძლებლობებს გვპირდება. არა მარტო ქართული კულტურისა, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიის შესამეცნებლად.

დღეს, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა განვითარებად ქვეყანათა რანგშია მოაზრებული და კვლავ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ძალაშია, ქართველ მეცნიერთა უმთავრესი ამოცანაა კულტურული მსოფლიოს წინაშე გამოავლინონ ქართველთა წინაპრების - ძველი იბერების ინტელექტუალური ღირებულებები, რათა ჩვენი თავი წარმოვიდგინოთ ცივილიზებული მსოფლიო საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლანიშვილი ვ., 2009. ახალი პალეონტოლოგია შიდა ქართლის მასალები. გვ: 25-23
2. მუსხელაშვილი დ., 2002. ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემატიკისათვის კრებული; ქართველი ხალხის ეთნოგენეზისი.
3. საქართველოს ისტორია თბ. 2008წ. (ოთხტომეულია).
4. ქურდიანი მ., 2002. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი თბილისი.
5. ცინცაბაძე მ., 2015. აღმოაჩინე ათასწლეულის საქართველო - თბილისი.

სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასპექტები და
ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები
Transport logistics aspects and modern challenges of tourism

რომან მამულაძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო უნივერსიტეტის პროფესორი

ლედი ძნელაძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო უნივერსიტეტის პროფესორი

მერი გაბაიძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო უნივერსიტეტის პროფესორი

გიორგი მამულაძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ROMAN MAMULADZE

Professor at Batumi State Maritime University

LEDI DZNELADZE

Professor at Batumi State Maritime University

MERI GABAIDZE

Assistant Professor at Batumi State Maritime University

GIORGI MAMULADZE

PhD Student at Batumi State Maritime University

აბსტრაქტი: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოცემულ ეტაპზე ტურიზმის სექტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ტურიზმის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 6-8%-ის ფარგლებში მერყეობს. გარდა ამისა, ტურიზმის სფეროზე მოდის მომსახურების ექსპორტის თითქმის ნახევარი. საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გათვალისწინებით ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდოს და ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, რისთვისაც აუცილებელია ტურიზმში არსებული ყველა გამოწვევის სათანადოდ შეფასება და მათ აღმოსაფხვრელად ქმედითი ღონისძიებების გატარება.

საქართველოს რეალობაში ტურიზმის ერთ-ერთ გამოწვევას არასათანადო დონის სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურება წარმოადგენს. ნაშრომში შეფასებულია საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემის არსებული მდგომარეობა, გამოვლენილია აღნიშნული სისტემის სუსტი მხარეები, ტურიზმზე მისი ნეგატიური გავლენის ეფექტები და შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისა და ტურიზმის სექტორის შემდგომი მხარდაჭერის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ეკონომიკა, ტრანსპორტი, ლოგისტიკა, კლასტერი

Abstract: At the present stage of Georgia's economic development, the tourism sector plays a crucial role. According to the National Statistics Service of Georgia, tourism contributes between 6–8% of the country's gross domestic product and accounts for nearly half of its service exports. Given Georgia's abundant tourism and recreational resources, there is significant potential for growth in this sector. However, to fully capitalize on these opportunities, it is essential to accurately assess the challenges facing tourism and implement effective measures to overcome them. One key challenge is the inadequate level of transport and logistics services.

This paper evaluates the current state of Georgia's transport and logistics system, identifies its weaknesses and the negative impacts on tourism, and offers targeted recommendations to enhance the efficiency of the system and further support the tourism sector.

Keywords: tourism, economy, transport, logistics, cluster

ძირითადი ტექსტი. ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი სექტორია. ტურიზმის პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები დადებითად აისახება როგორც ეკონომიკის ზრდაზე, ისე დასაქმებისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე. საქართველოს შემთხვევაში, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და კულტურული რესურსები და უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობა ქმნის მნიშვნელოვან პოტენციალს ტურიზმის დარგის განვითარებისთვის. თუმცა, ამ პოტენციალის რეალიზებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მოცემულ ეტაპზე, ტურიზმი სწრაფი ეკონომიკური განვითარების, შემოსავლების ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველია. მართლაც, ტურიზმისა და მოგზაურობის მსოფლიო საბჭოს¹ მონაცემებით 2023 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის წილმა გლობალურ მშპ-ში შეადგინა 9,1%. აღნიშნული მაჩვენებლის ზრდამ 2022 წელთან შედარებით შეადგინა 23,2%, მაშინ, როცა 2023 წელს გლობალური მშპ 2022 წელთან შედარებით მხოლოდ 2,2%-ით გაიზარდა (2023 წელს მსოფლიო მშპ შეადგენდა 105,4 ტრილიონ აშშ დოლარს, ხოლო 2022 წელს - 101,2 ტრილიონ აშშ დოლარს)². 2019 წელს, ანუ პანდემიამდე, მოგზაურობასა და ტურიზმში დასაქმებული იყო 334 მლნ ადამიანი, რაც შეადგენდა მსოფლიო ეკონომიკაში არსებული სამუშაო ადგილების 10,5%-ს. გარდა ამისა, 2023 წელს აღნიშნულ სფეროში დაფიქსირდა 27 მლნ ახალი სამუშაო ადგილი, რაც 9,1%-ით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს. საპროგნოზო მაჩვენებლებით, 2034 წელს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა მიაღწევს 449 მლნ ადამიანს, საშუალო წლიური ზრდა 10 მლნ სამუშაო ადგილი³.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2023 წელს შიდა ვიზიტორების ხარჯების ზრდამ შეადგინა 18,1% და მისმა მნიშვნელობამ გადააჭარბა 2019 წლის დონეს, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორების ხარჯები 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 33,1%-ით, თუმცა მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ 14,4%-ით ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებელს.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმის როლის შესახებ საუბარია არაერთ სამეცნიერო ნაშრომში. მაგ. ნაშრომში „ტურიზმის როლი მდგრად განვითარებაში“⁴ აღნიშნულია, რომ „1990-იანი წლებიდან ტურიზმი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც გლობალური ეკონომიკის, ისე ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში“.

ნაშრომში „ტურიზმის როლი მდგრად განვითარებაში“⁵ აღნიშნულია, რომ „ტურიზმს პირდაპირი და ირიბი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. კერძოდ, ტურიზმი განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, და ამგვარად, მის განვითარებას“.

ტურიზმის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოცემულ ეტაპზე. მართლაც, საქართველოს უმთავრესი მისწრაფება - ევროკავშირში სრული ინტეგრაცია, - მოითხოვს მნიშვნელოვანი პირობების, მათ შორის, ეკონომიკური კრიტერიუმების, ე. წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ დაკმაყოფილებას⁶. ცხრილში (იხ. ცხრ. 1.) წარმოდგენილია საქართველოს, ევროკავშირისა და მსოფლიო მშპ-ს მაჩვენებლები და ზრდის ტემპი (2018-2023 წ.წ.)

ცხრილი 1.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი - მშპ

მაჩვენებელი 2018 2019 2020 2021 2022 2023

1.		საქართველოს რეალური მშპ - მუდმივ 2015 წლის ფასებში, (მილიარდი დოლარი)	17,6	18,5	17,4	19,2	21,3	22,9
	ზრდა, %	6,1	5,4	-6,3	10,6	11,0	7,5	
2.		ევროკავშირის რეალური მშპ - მუდმივ 2015 წლის ფასებში, (ტრილიონი დოლარი)	14,5	14,8	13,9	14,8	15,3	15,4
	ზრდა, %	2,1	1,8	-5,7	6,0	3,5	0,5	
3.		მსოფლიო რეალური მშპ - მუდმივ 2015 წლის ფასებში, (ტრილიონი დოლარი)	82,8	85,0	82,5	87,7	90,4	92,8
	ზრდა, %	3,3	2,6	-2,9	6,3	3,1	2,7	

წყარო: მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD?locations=GE-EU-1W>; <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=GE-EU-1W>

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი საქართველოში სტაბილურად აღემატება როგორც ევროკავშირის, ისე მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს. მართლაც, 2021 წელს საქართველოში მაჩვენებლის მნიშვნელობამ 10,6% შეადგინა, მაშინ როცა იმავე წელს ევროკავშირში მაჩვენებელი შეადგენდა 6,0%-ს, მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი კი - 6,3%-ს. 2022 წლისათვის საქართველოში მაჩვენებელმა შეადგინა 11,0%, ხოლო ევროკავშირსა და მსოფლიოში, შესაბამისად 3,5 და 3,1%. ტენდენციები შენარჩუნებულ იქნა 2023 წელსაც. კერძოდ, საქართველოში მაჩვენებელმა შეადგინა 7,5%, ხოლო ევროკავშირსა და მსოფლიოში, შესაბამისად 0,5 და 2,7%.

ამგვარად, 2021-2023 წლების ტენდენციები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ზრდის ტემპი სტაბილურად მაღალია, რაც არის დადებითი სიგნალი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივისთვის.

ცხრილში (იხ. ცხრ.2) წარმოდგენილია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის - მშპ ერთ სულზე, PPP (მიმდინარე საერთაშორისო დოლარი) საქართველოს, ევროკავშირის და მსოფლიო საშუალო სტატისტიკური მონაცემები.

ცხრილი 2.

მაკროეკონომიკური მაჩვენებელი - მშპ- ერთ სულ მოსახლეზე

1.		მაჩვენებელი	2018	2019	2020	2021	2022	2023
2.		მშპ ერთ სულზე, PPP (მიმდინარე საერთ. დოლარი) - საქართველო ⁷ , ათასი დოლარი	15,02	16,77	16,79	18,92	22,44	24,68
	ზრდა, %	-	11,6	0,1	12,7	18,6	10,0	
3.		მშპ ერთ სულზე, PPP (მიმდინარე საერთ. დოლარი) - მსოფლიო ⁸ , ათასი დოლარი	17,19	18,01	17,77	19,72	21,66	23,01
	ზრდა, %	-	4,7	-1,3	11	9,8	6,2	
4.		მშპ ერთ სულზე, PPP (მიმდინარე საერთ. დოლარი) -ევროკავშირი ⁹ , 1000 დოლარი	44,65	48,20	47,10	51,92	57,339	60,35
	ზრდა, %	-	7,9	-2,2	10,2	10,4	5,2	

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ წყაროს მონაცემებზე დაყრდნობით - WORLD BANK GROUP, https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=GE-EU-1W&most_recent_year_desc=false; <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD?locations=GE-1W-EU>; <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=GE-1W-EU>

წარმოდგენილი მასალებითაც ანალოგიურად ირკვევა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე, PPP (მიმდინარე საერთაშორისო დოლარებში) საქართველოს შემთხვევაში 2023 წელს შეადგენდა 24 680 დოლარს, რაც აღემატება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს (2024 წელს მსოფლიო საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 23 010 აშშ დოლარი), თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს (2024 წელს ევროკავშირში მაჩვენებელმა შეადგინა 60350 აშშ დოლარი). მაგრამ, თუ განვიხილავთ მაჩვენებლის ზრდის ტემპს, აღმოჩნდება, რომ მაჩვენებელი საქართველოში სტაბილურად აღემატება როგორც ევროკავშირის, ისე მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს. მართლაც, 2021 წელს საქართველოში აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობამ 12,7% შეადგინა, მაშინ როცა იგივე წელს ევროკავშირში მაჩვენებელი შეადგენდა 10,2%-ს, მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი კი 11%-ს. 2022 წლისათვის საქართველოში მაჩვენებელმა შეადგინა 18,6%, ხოლო ევროკავშირსა და მსოფლიოში, შესაბამისად 10,4 და 9,8%. ტენდენციები შენარჩუნებული იქნა 2023 წელსაც. კერძოდ, საქართველოში მაჩვენებელმა შეადგინა 10,0%, ხოლო ევროკავშირსა და მსოფლიოში, შესაბამისად 5,2 და 6,2%.

ამგვარად, 2021-2023 წლებში, საქართველოში ერთ სულზე მშპ-ის ზრდის ტემპი სტაბილურად აჭარბებს ევროკავშირის და მსოფლიო მაჩვენებლებს, რაც მიუთითებს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და ქვეყანაში არსებულ პოტენციალზე. მაჩვენებლების ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპები და PPP-ის ზრდა საქართველოში არა მხოლოდ მაღალია, არამედ სტაბილური, რაც ქმნის კარგ პერსპექტივებს გრძელვადიანი განვითარებისათვის.

ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში,

7. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=GE>

8. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=GE>

9. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=GE-1W-EU>

რაც აისახება როგორც მშპ-ს ზრდაში, ასევე სერვისების ექსპორტის მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დოკუმენტში „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ ნათქვამია, რომ დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპირი წილი უნდა შეადგენდეს 7.9%-ს¹⁰.

ცხრილში(იხ.ცხრ.№3)წარმოდგენილიმონაცემებიასახავსსაქართველოსმთლიანშიდაპროდუქტში ტურიზმის წილის დინამიკას, რომელიც მცირედ, მაგრამ მაინც ზრდადი ტენდენციის მატარებელია. თუმცა 2020 წელს აღინიშნა 3,4%-ით ვარდნა 2019 წელთან შედარებით, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით (კერძოდ, კოვიდ-19 გავლენით). 2021 წლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ შეინიშნება ერთგვარი სტაბილურობა.

ცხრილი №3

ტურიზმის წილი საქართველოს მშპ-ში (2016-2024 წ.წ.)

	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
I კვ									
ტურიზმის წილი მშპ-ში, %	6.2	7.3	7.8	8.4	5.9	6.7	7.0	7.1	6.6

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ეკონომიკური მიმოხილვა, ტურიზმი, <https://www.economy.ge/?page=ecoreview&s=22>

საქართველოს ტურიზმის უნიკალური რესურსები (ბუნებრივი, კულტურული, ისტორიული) ქმნის დამატებით შესაძლებლობებს ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვისთვის.

ინფრასტრუქტურის განვითარება, ლოგისტიკის გაუმჯობესება და თანამედროვე სერვისების დანერგვა ტურიზმის სექტორში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას და კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს.

თუ განვიხილავთ ცხრილი №4-ში წარმოდგენილ მონაცემებს საქართველოს 2023 წლის მშპ-ს სექტორების მიხედვით, ნათლად დავინახავთ, რომ „განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“, აგრეთვე, „ხელოვნება გართობა და დასვენება“, მშპ-ში წარმოგვიდგება შესაბამისად 3.4% და 4.1%-ის ოდენობით. ეს მაჩვენებლები კიდევ ერთხელ ადასტურებს, ქვეყანაში არსებული ტურისტული პოტენციალი არასაკმარისად არის რეალიზებული და სამომავლოდ, გაცილებით მეტი ხვედრითი წილით შეიძლება წარმოგვიდგეს ტურიზმის სექტორი მთლიან შიდა პროდუქტში.

ცხრილი №4

საქართველოს 2023 წლის მშპ სექტორების მიხედვით, %-ში

წელი	განთავს. საშუალ. უზრ. და საკვებ. მიწოდების საქმ-ბი	ხელოვნება გართობა და დასვენება	საფინ. და სადაზღვევო საქმიანობა	განათლება	ჯანდაცვა	პროფ-ლი და სამეც-ო საქმიანობები	ინფორმაცია და კომუნიკაცია	ტრანსპორტი და დასაწყობება	სახელმწიფო მმართველობა	სატყეო და თევზის მეურნეობა	მშენებლობა	უძრავ ქონებასთან დაკავ. საქმ-ბა	მრეწველობა	ვაჭრობა
2023	3.4	4.1	5.2	5.1	3.4	2.2	5.9	6.2	6.9	6.9	7.9	10.2	14.5	15.6

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, <https://www.economy.ge/index.php?page=ecoreview&s=22>,

საქართველოს ეკონომიკაში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2011-2024 წლებში მერყევი დინამიკით გამოირჩევა, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია (იხ. ცხრ. №5).

10. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, chrome-extension://efaidnbmninnibpcapjpcglefindmkaj/https://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi-/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pdf

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ტურიზმის სექტორი ძალზე მგრძნობიარეა ნებისმიერი შიდა თუ გარე პოლიტიკური პროცესების მიმართ. სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები ასტაბილურებს აღნიშნულ შემოსავლებს (2021 წელს ზრდის ტემპი გახლდათ 129,5%, 2022 წელს 182,5%), მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ 2023 წლისთვის შემოსავლების ზრდა 17.3%-მდე შეამცირა და 2024 წლის მონაცემებიც არასახარბიელოა (7.3%). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რიგი კურორტები ტურისტული დესტინაციის ობიექტებში საკმაოდ მოთხოვნადია, საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები მაინც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არსებულ შიდა თუ გარე პოლიტიკურ პროცესებზე.

ცხრილი №5

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან, (მლნ. აშშ დოლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან აბსოლუტურ მაჩვენებლებში	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	1244.9	3516.6	4125.3	4425,4
ზრდის ტემპი %-ში	9.0	28.1	19.1	1.4	-53.4	129.5	182.5	17.3	7.3

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, <https://www.economy.ge/index.php?page=news&nw=2653&lang=ge>

ამგვარად, ტურიზმის სექტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. უფრო მეტიც, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეფექტიან გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს სწრაფ ეკონომიკურ და რეგიონულ განვითარებაში¹¹. შესაბამისად მნიშვნელოვანია შეფასდეს ტურიზმის სფეროს ცალკეული კომპონენტის არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და შესაძლებლობები.

საქართველოში ტურიზმის სექტორის მდგომარეობისა და მისი განვითარების პოტენციალის შესაფასებლად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები. ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ერთ-ერთი ასეთი ანგარიშია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) მიერ გამოქვეყნებული „მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების ინდექსი» (Travel and Tourism Development Index)¹². აღნიშნული ანგარიშის მიხედვით 2019 წელს მსოფლიოს 117 ქვეყანას შორის საქართველო იკავებდა 47-ე ადგილს, 2021 წელს საქართველო სამი პოზიციით დაწინაურდა და იკავებდა 44-ე ადგილს. 2023 წელს საქართველომ ერთი პოზიციით დაიწია უკან, დაიკავა 45-ე ადგილი და იგივე პოზიციები შეინარჩუნა 2024 წლის ანგარიშის მიხედვით¹³.

ცხრილში (იხ. ცხრ. 6) წარმოდგენილია საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის შეფასებები „მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების ინდექსის» მიხედვით.

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ:

ხელშემწყობი გარემოს ინდიკატორში საქართველოს პოზიციები 2024 წელს ოდნავ გაუმჯო-ბესდა 2021 წელთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი რეიტინგი არც თუ ისე დაბალია, მაინც საჭიროა ადამიანის რესურსებისა და შრომის ბაზრის, ასევე ბიზნეს გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესება, რათა საქართველო უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს;

ტურიზმის პოლიტიკა და ხელშემწყობი პირობების ინდიკატორში საქართველოს სუსტი პოზიციები ფიქსირდება საერთაშორისო ღიაობის კუთხით. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ფასების კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და საერთაშორისო პოლიტიკის კიდევ უფრო აქტიურ მხარდაჭერაზე მუშაობა;

ინფრასტრუქტურა და სერვისების ინდიკატორში, კერძოდ, ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით კი, საჰაერო ტრანსპორტისა და ტურისტული სერვისების ქვეინდიკატორები საქართველოს პოზიციების გამოკვეთილი სუსტი წერტილია. როგორც ჩანს, 2024 წელს საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მაჩვენებელი გაუმჯობესდა, მაგრამ შიდა ტრანსპორტი და მომსახურების ინფრასტრუქტურა რჩება ერთ-

ერთ ყველაზე კრიტიკულ ასპექტად, რომელიც განვითარებისათვის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს; ცხრილი №6

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის შეფასებები „მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების ინდექსის“ მიხედვით

ინდიკატორი	ქვეინდიკატორი	ქულა	
		2021	2024
ხელშემწყობი გარემო	ბიზნეს გარემო	4.9	4.94
	უსაფრთხოება და დაცვა	6.0	6.17
	ჯანმრთელობა და ჰიგიენა	5.4	5.49
	ადამიანური რესურსები და შრომის ბაზარი	4.8	4.85
	IT მზადყოფნა	5.5	5.51
ტურიზმის პოლიტიკა და ხელშემწყობი პირობები	მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორცია	4.2	4.68
	საერთაშორისო ღიაობა	4.9	4.50
	ფასების კონკურენტუნარიანობა	6.0	5.57
ინფრასტრუქტურა და სერვისები	საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	3.0	3.35
	სახმელეთო და საჰაერო ინფრასტრუქტურა	4.0	3.92
	ტურისტული სერვისის ინფრასტრუქტურა	5.1	3.53
ტურიზმის რესურსები	ბუნებრივი რესურსები	1.9	2.05
	კულტურული რესურსები	2.2	1.81
	არაგასართობი სერვისები	1.7	1.56
ტურიზმის მდგრადობა	გარემოს მდგრადობა	4.3	4.50
	სოციალურ-ეკონომიკური პირობები	4.5	4.03
	მოთხოვნის ზეწოლა და ზემოქმედება	3.9	3.99

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ წყაროს მონაცემებზე დაყრდნობით - https://www3.weforum.org/docs/WEF_Travel_and_Tourism_Development_Index_2024.pdf

ტურიზმის რესურსების ინდიკატორის მიხედვით საქართველოს ბუნებრივი რესურსები საკმაოდ მდიდრია, მაგრამ კულტურული და არაგასართობი სერვისების კუთხით ქულები შემცირებულია. ეს მიმართულებები საჭიროებს უფრო აქტიურ განვითარებას, რათა შეიქმნას ვიზიტორებისათვის უფრო მეტად მიმზიდველი გარემო;

ტურიზმის მდგრადობის ინდიკატორის მიხედვით მდგრადობის მიმართულებით გაუმჯობესება ფიქსირდება, თუმცა სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება საჭიროებს მეტ ყურადღებას. ეს არის სფერო, სადაც უნდა განხორციელდეს უფრო მეტი ინვესტიცია და შესაბამისი განვითარება.

ამგვარად, ინფრასტრუქტურისა და სერვისების, ასევე ტურიზმის რესურსების გაუმჯობესება აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველომ შეძლოს ტურიზმის სექტორის ზრდის შენარჩუნება და მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოს ინფრასტრუქტურისა და სერვისების ინდიკატორში დაფიქსირებული დაბალი შეფასებები, განსაკუთრებით საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები, მკაფიოდ აჩვენებს, რომ აღნიშნული სექტორი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება.

საერთაშორისო ღიაობის დაბალი მაჩვენებელი ტურიზმის პოლიტიკისა და ხელშემწყობი პირობების ინდიკატორში მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი საერთაშორისო ტურისტების მოსაზიდად. და ეს მაშინ, როცა საქართველოს უმდიდრესი ტურისტული პოტენციალი, უზრუნველყოფს უამრავი ტურისტული პროდუქტის შეთავაზებას. ისე, როგორც სხვა სფეროში, ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნას მათი კონკურენტუნარიანობა

განსაზღვრავს. რამდენადაც ეკონომიკურ თეორიაში არის ცნობილი პროდუქტებზე მოთხოვნა, ეს არის პროდუქტების რაოდენობა, რომლის შეძენაც შეუძლია საოჯახო მეურნეობებს, ფირმებს და სახელმწიფოს ფასების მოცემული დონის პირობებში. ამგვარად, ქართულ ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნაც, ანუ ტურისტული პროდუქტების გაყიდვების მოცულობაც ფასებზე არის დამოკიდებული. კერძოდ, ეს დამოკიდებულება უარყოფითია, ანუ ფასების მაღალი დონის პირობებში, მოთხოვნა მცირეა, თუმცა ფასების დონის შემცირებასთან ერთად მოთხოვნა იზრდება.

ამგვარად, ტურისტული პოტენციალის გამოყენების ხარისხი ტურისტული სერვისების ცალკეული მდგენელის ფასზე, მათ შორის, მგზავრთა გადაყვანის ფასებზე არის დამოკიდებული. ანგარიშში შეფასებული „საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის“ ქვეინდიკატორის დაბალ მაჩვენებელს სწორედ საქართველოს აეროპორტებში დაფიქსირებული მგზავრობის მაღალი ფასები და ფრენების დაბალი სიხშირე განაპირობებს, ვინაიდან მომხმარებლისთვის ასევე მნიშვნელოვანია სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი. ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს აეროპორტებიდან სხვადასხვა მიმართულებით მგზავრობის ფასები (იხ. ცხრ.№7) და საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული ფრენების საშუალო სიხშირე და მიმართულებები (იხ. ცხრ. №8).

ცხრილი №7

საქართველოს აეროპორტებიდან სხვადასხვა მიმართულებით მგზავრობის ფასი
(1 მგზავრი ორივე მიმართულებით მგზავრობის ოპტიმალური ფასი, ლარი,
2024 წლის 25-30 დეკემბერი)

აეროპორტი	სტამბული	ვენა
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი	629	1057
ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი	624	749
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი	350	700
ტრაზონის აეროპორტი	223	1104
რიზე-ართვინის აეროპორტი	445	1090

წყარო. ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, <https://gcaa.ge/statistics/>

ფასების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს აეროპორტებიდან ფრენები ძალიან ძვირია, რაც ხელს უშლის ქვეყნის, როგორც ტურისტული მიმართულების ხელმისაწვდომობას.

სატრანსპორტო მომსახურების დაბალი ხარისხი და შეზღუდული შეთავაზებები ტურისტებს ალტერნატიულ მარშრუტებსა და სხვა ქვეყნებზე გადაანაწილებს.

ცხრილი №8

საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული ფრენების საშუალო სიხშირე და მიმართულებები (დეკემბერი, 2024)

აეროპორტი	ფრენების საშუალო სიხშირე, დეკემბერი, 2024	ფრენის მიმართულება, რაოდენობა
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი	10-15	5-8
ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი	20-25	20-25
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი	65-70	30-35

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, <https://gcaa.ge/statistics/>

მონაცემები ცხადყოფს, რომ ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებიდან ფრენების რაოდენობა შეზღუდულია და არაპროპორციულია მოთხოვნასთან შედარებით. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, როგორც მთავარ ჰაბში, ფრენების სიხშირე გაცილებით მაღალია, თუმცა ფასები მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მსგავსი გამოწვევები არსებობს საქართველოს სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის სხვა მდგენელებშიც, რაც მოითხოვს სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების შემდგომ განვითარებას, რამაც უნდა უზრუნველყოს:

- მისაწვდომობის გაუმჯობესება – ტურისტებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გადაადგილება ხშირად მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. შიდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის საავტომობილო გზების, რკინიგზისა და საჰაერო კავშირების გაფართოება გაზრდის ქვეყნის ტურისტულ მიმზიდველობას;

- სერვისების ხარისხის ზრდა – ტურიზმის ინდექსში ტურისტული სერვისების შეფასების მაჩვენებელი შემცირებულია. განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა დადებითად აისახება სასტუმროებზე, გიდის მომსახურებასა და სხვა ტურისტულ სერვისებზე;

- რეგიონული ტურიზმის მხარდაჭერა – საქართველოს ტურისტული პოტენციალი არ შემოიფარგლება მხოლოდ დედაქალაქით. თუმცა, ტურისტებისთვის რთულია რეგიონებში მოხვედრა სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების არასაკმარისი ხარისხის გამო;

- ფასების კონკურენტუნარიანობა – სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად შეამცირებს მგზავრობის ხარჯებს, რაც გაზრდის საქართველოს ტურიზმის სექტორის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

ტურიზმის და სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის ცალკეულ სექტორში არსებული სუსტი წერტილების გამოსწორების ერთ-ერთი საუკეთესო სტრატეგია რეგიონული და ეროვნული ტურისტული კლასტერების ჩამოყალიბებაა. კლასტერები არის ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისა და ინსტიტუტების გეოგრაფიული კონცენტრაცია კონკრეტულ სფეროში. კლასტერები მოიცავს დაკავშირებულ ინდუსტრიებს და სხვა ერთეულებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკურენციისთვის¹⁴. ტურიზმის განვითარების სტრატეგიაში რეგიონული კლასტერიზაციის სისტემების გამოყენება უზრუნველყოფს დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას¹⁵. კლასტერი არის ყველაზე შესაფერისი ფორმა მცირე და საშუალო ბიზნესის აქტიური ჩართვისთვის პროდუქტებისა და ტურისტული მიმართულებების განვითარებაში¹⁶.

ნაშრომში „ტურისტული კლასტერების როლი რეგიონულ განვითარებაში: კონკურენტუნარიანობის კონცეპტუალური მოდელის პრეზენტაცია“¹⁷ აღნიშნულია, რომ „ტურისტული კლასტერი არის კომპანიებისა და ინსტიტუტების გეოგრაფიული კონცენტრაცია, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია ტურისტულ საქმიანობაში“. იგივე ნაშრომში ასევე აღნიშნულია, რომ „მიუხედავად იმისა, რომ პორტერმა (1998) შეიმუშავა კვლევები, განსაკუთრებით ტრადიციული ინდუსტრიების კონტექსტში, ეს ავტორი აღნიშნავს ტურიზმის კლასტერს მიკუთვნებული ელემენტების მნიშვნელობას და ამბობს, რომ ტურისტების კმაყოფილება დამოკიდებულია არა მხოლოდ ადგილის პირველად მიმზიდველობაზე, არამედ დაკავშირებული ბიზნესის ხარისხსა და ეფექტურობაზე - სასტუმროები, რესტორნები, სავაჭრო ცენტრები და ტრანსპორტი.“

ტურისტული კლასტერები მიზანშეწონილია დაიყოს ორ დონედ:

- რეგიონული კლასტერები, რომელიც მოიცავს ცალკეულ რეგიონებს და ფოკუსირებულია ადგილობრივ ტურისტულ პროდუქტებზე (მაგალითად, სვანეთი, კახეთი, აჭარა);

- ეროვნული კლასტერები, რომლებიც აერთიანებს რეგიონებს საერთო სტრატეგიით და ქმნის ინტეგრირებულ სატრანსპორტო და ტურისტულ ქსელებს.

სურათზე (იხ სურ. 1.) წარმოდგენილია რეგიონული და ეროვნული ტურისტული კლასტერის ზოგადი სქემა. რეგიონული და ეროვნული ტურისტული კლასტერების ფორმირება განაპირობებს:

- ინფრასტრუქტურის განვითარებას - კლასტერების შექმნა ხელს შეუწყობს ლოკალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც დადებითად აისახება მთლიან სექტორზე.

- ლოგისტიკური ეფექტიანობის ზრდას - კლასტერები ხელს შეუწყობს ტურიზმისთვის საჭირო ტრანსპორტისა და ლოგისტიკის უკეთეს კოორდინაციას, რაც ტურისტებისთვის გადაადგილებას გაამარტივებს;

14. Michael E. Porter, Clusters and the New Economics of Competition, <https://hbr.org/1998/11/clusters-and-the-new-economics-of-competition>


15. Tanik Yalçinkaya, Tülay Güzel, Journal of Tourism Theory and Research, A general overview of tourism clusters, <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/618007>

16. Daniela Doina Fundeanu, Innovative Regional Cluster, Model of Tourism Development, https://www.researchgate.net/publication/282554978_Innovative_Regional_Cluster_Model_of_Tourism_Development

17. Cristina Maria Santos Estêvão and João J. Ferreira, THE TOURISM CLUSTERS ROLE IN REGIONAL DEVELOPMENT: PRESENTING A COMPETITIVENESS CONCEPTUAL MODEL.

- კულტურული და ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებულ გამოყენებას – საქართველოს აქვს უნიკალური ტურისტული რესურსები, რომელთა განვითარება და ერთიან კონცეფციაში მოქცევა კლასტერების მეშვეობით შესაძლებელი გახდება;

- სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობა – ტურისტული კლასტერები გააძლიერებს ადგილობრივი ბიზნესების კოოპერაციას, შრომის ბაზარსა და რეგიონული ეკონომიკის განვითარებას.



სურ. 1. რეგიონული და ეროვნული ტურისტული კლასტერის ზოგადი მოდელი

წარმოდგენილი კვლევები გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

- საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებები ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ტურიზმის განვითარებაში;
- არასაკმარისი ფრენების რაოდენობა, მაღალი ბილეთების ფასები და არასათანადო მომსახურება პირდაპირ აისახება ტურიზმის ზრდის დინამიკაზე;
- რეგიონული და ეროვნული ტურისტული კლასტერების შექმნა წარმოდგენს საუკეთესო გამოსავალს, რომელიც ხელს შეუწყობს ტრანსპორტის, ტურიზმისა და ადგილობრივი ბიზნესების კოორდინირებულ ფუნქციონირებას;
- კლასტერების მოდელი უზრუნველყოფს ეფექტიან ტრანსპორტირებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვას, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. The World Travel & Tourism Council, <https://www.oecd.org/en/topics/policy-issues/tourism.html>
2. <https://hbs.unctad.org/gross-domestic-product/>
3. <https://www.statista.com/statistics/1268465/number-of-travel-and-tourism-jobs-worldwide/>
4. Robert B. Richardson, The Role of Tourism in Sustainable Development, <https://doi.org/10.1093/acrefore/9780199389414.013.387>
5. A. Ntibanyurwa, Tourism as a factor of development, Department of Economics, University of the Western Cape, chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/<https://www.witpress.com/Secure/elibrary/papers/ST06/ST06007FU1.pdf>
6. Roman Mamuladze, Meri Gabaidze, 28Prospects of Georgia becoming EU member in context of economic development trends, <https://ojs.bsma.edu.ge/index.php/gmsj/article/view/2819/2966>
7. WORLD BANK GROUP, https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=GE-EU-1W&most_recent_year_desc=false; <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD?locations=GE-1W-EU>; <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=GE-1W-EU>, <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=GE>
<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=GE>
<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=GE-1W-EU>
8. Michael E. Porter, Clusters and the New Economics of Competition, <https://hbr.org/1998/11/clusters-and-the-new-economics-of-competition>
9. Cristina Maria Santos Estêvão and João J. Ferreira, THE TOURISM CLUSTERS ROLE IN REGIONAL DEVELOPMENT: PRESENTING A COMPETITIVENESS CONCEPTUAL MODEL,
10. https://www.weforum.org/publications/travel-tourism-development-index-2024/in-full/6-regional-results/?utm_source=chatgpt.com
11. Travel & Tourism Development Index 2024, https://www3.weforum.org/docs/WEF_Travel_and_Tourism_Development_Index_2024.pdf, https://www3.weforum.org/docs/WEF_Travel_and_Tourism_Development_Index_2024.pdf
12. Tarık Yalçınkaya , Tülay Güzel, Journal of Tourism Theory and Research, A general overview of tourism clusters, <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/618007>
13. Daniela Doina Fundeanu, Innovative Regional Cluster, Model of Tourism Development, https://www.researchgate.net/publication/282554978_Innovative_Regional_Cluster_Model_of_Tourism_Development
14. მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD?locations=GE-EU-1W>; <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=GE-EU-1W>
15. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/<https://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi-/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pdf>
16. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, <https://www.economy.ge/index.php?page=ecoreview&s=22>, <https://www.economy.ge/index.php?page=news&nw=2653&lang=ge>
17. რ. მამულაძე, ლ. ძნელაძე, მ. გაბაიძე, სამუზეუმო ტურიზმის როლი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში (აჭარის მაგალითზე), https://www.researchgate.net/publication/375128487_The_role_of_museum_tourism_in_the_economic_development_of_the_region_on_the_example_of_Adjara
18. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ეკონომიკური მიმოხილვა, ტურიზმი, <https://www.economy.ge/?page=ecoreview&s=22>
19. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, <https://gcaa.ge/statistics/>

აკვანი-ქართულ-აფხაზური პარალელები
The Cradle - Georgian-Abkhazian parallels

ნინო ხარჩილავა

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

NINO KHARCHILAVA

LEPL Batumi Art Teaching University

PhD in Historical Sciences

აბსტრაქტი: ნაშრომში განხილულია აკვანი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც დაფიქსირებულია ქართულ-აფხაზურ ცხოვრებაში. ეთნოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხალხური ტრადიციების შესწავლა და მათი არსებობის მიზეზების ახსნა. ტრადიციულ კულტურებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ აკვნის მიმართ. უძველესი დროიდან სხვადასხვა ხალხში შემუშავდა ჩვილების მოვლისა და ზოგადად მომავალი თაობის აღზრდის გარკვეული ტრადიციული სისტემები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხალხურ წესებს. თუ მათ თანამედროვე პერსპექტივიდან შევაფასებთ, ბევრი რამ შეიძლება ჩვენთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ ყველა ხალხური წესი და ტრადიცია, რომელიც მოქმედებდა გარკვეულ გეოგრაფიულ ან სოციალურ გარემოში, ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე მცხოვრებ საზოგადოებებში, მათი ცხოვრების პირობებისა და დონის გათვალისწინებით, მისაღები და ოპტიმალური ჩანს ამ საზოგადოებებისთვის. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ეს წესები დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა. ახალშობილი ბავშვი სამი დღე დედის მუცელში ატარებდა, როგორც ჩანს, თანდათანობით შეეგუებოდა სრულიად უცნობ გარემოს. ერთი ან ორი კვირის შემდეგ ბავშვს აკვანში ათავსებდნენ. ბებიქალი ან ოჯახის უფროსი სავსემთვარეობის შერჩეულ დღეს ასრულებდა აკვნის რიტუალს და აკურთხებდა ბავშვს. ახალშობილის მოვლასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები რელიგიურად სპეციფიკურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს როგორც არქაულ რელიგიურ ტრადიციებს, ასევე ქრისტიანულ წესებს. აფხაზეთში ქალი მშობიარობიდან რამდენიმე დღის შემდეგ ხუთშაბათს იზრდებოდა და ნაყოფიერების ღვთაების სახელზე ტარდებოდა რიტუალი „აგილარა“ (ასევე ცნობილი როგორც „აგლახა“). იგივე წეს-ჩვეულება შეცვლილი სახით შეინიშნება საქართველოს სხვა რეგიონებშიც. აღზრდის ხალხური ტრადიცია, ზოგიერთ შემთხვევაში, მედიცინის თვალსაზრისით გაუმართლებელი იყო და მტკიცედ დამკვიდრდა მოსახლეობის ცხოვრებაში, რადგან ის აკმაყოფილებდა მაცხოვრებლების გარკვეულ მოთხოვნებს, შეესაბამებოდა მათ ცხოვრების პირობებს. რა თქმა უნდა, დროის სვლასთან და გარემოს ცვლილებებთან ერთად, ეს ტრადიციები შეიცვალა, ზოგიერთ შემთხვევაში კი გაქრა კიდევ. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ თანამედროვე აფხაზეთში, XXI საუკუნის დასაწყისიდან, აკვანში ბავშვის აღზრდის წეს-ჩვეულება თითქმის გაქრა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ შვილების აღზრდის სისტემის საერთო წარმოშობა ქართულ-აფხაზურ ტრადიციაში და თანაცხოვრების ისტორია საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა.

საკვანძო სიტყვები: აკვანი, წეს-ჩვეულება, აფხაზეთი, ტრადიცია

Abstract: The paper discusses the cradle and the customs associated with it, as observed in Georgian-Abkhazian life. One of the primary goals of ethnological research is to study folk traditions and explain the reasons behind their existence. Traditional cultures had different attitudes towards the cradle. Since ancient times, certain traditional systems of caring for infants and raising the future generation in general have been developed among different peoples, which include various folk rules. If we evaluate them from a modern perspective, many things may be unacceptable to us, but all folk rules and traditions that were in force in societies living in a certain geographical or social environment, at a certain stage of historical development, taking into account their living conditions and level, seem to have been acceptable and optimal for these societies. With the development of society, these rules were refined and became more perfect.

The newborn baby would spend three days in the mother's womb, apparently to gradually acclimate to the completely unfamiliar environment. After a week or two, the baby would be placed in a cradle. The midwife or the head of the family would perform the cradle ritual on a selected day during the full moon and bless the baby.

The customs related to the care of a newborn are a religiously specific system, combining both archaic religious traditions and Christian rules. In Abkhazia, a woman was brought up on Thursday a few days after giving birth and the ritual „Agilara” (also known as „Aglakha”) was held in the name of the fertility deity, in which only women participated. The same custom is observed in other regions of Georgia in a modified form.

The folk tradition of upbringing, in some cases, was unjustified from the point of view of medicine, and firmly established itself in the life of the population, since it met certain requirements of residents, corresponded to their living conditions. Of course, with the progress of time and changes in the environment, these traditions were modified, and in some cases even disappeared. A clear example of this is the fact that in modern Abkhazia, since the beginning of the 21st century, the custom of raising a baby in a cradle has almost disappeared. Based on the above, it is clear that the common origin of the system of raising children in the Georgian-Abkhazian tradition and the history of coexistence have been formed over the centuries.

Keywords: Cradle, Custom, Abkhazia, tradition

ნაშრომის მიზანია ეთნოგრაფიული მასალისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე წარმოვადგინოთ ქართველი და აფხაზი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე, აკვნისა და ჩვილი ბავშვის მოვლის ძირითადი თავისებურებები. ამ მიმართულებით საკითხისადმი ინტერესი, არა მარტო კულტურულ-ისტორიული ხასიათისაა, არამედ მას პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება. დაგროვილი დიდი ემპირიული ცოდნა - გამოცდილება, რომელიც მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი თანამედროვე აფხაზეთში, სადაც ორი ეთნოსის თანაცხოვრების შედეგად მოხდა სხვადასხვა კულტურის ურთიერთ შერწყმა და გამოიხატა ლოკალური თავისებურებანიც.

აფხაზები აკვანს - აგარას უწოდებენ (Бигвава, 1983:81; Инал-Ипа, 2016:259). წერილობითი წყაროებით და ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ აფხაზური აკვანი ქართული აკვნის იდენტურია. ამაზე მეტყველებს აკვნის მოსართავი ნივთების სახელწოდებებიც: აკვნის აუცილებელი ატრიბუტია შიბაქი, რომელსაც ბავშვის სქესის მიხედვით განასხვავებდნენ და აფხაზურად „ака-лам“ ეწოდება (Днар, 1985:40), რომელიც თანამედროვე ყოფაშიც ბამბუკის ღეროსგან მზადდება და მეგრულად მას კალამი ეწოდება. აკვნის ლეიბს აფხაზურად А-габан - ა-გუბან ეწოდება, რაც მეგრული გვაბანი - აკვნის ლეიბია (ქარჩავა, 2009).

ჩვილს სანამ აკვანში გადაიყვანდნენ მანამდე ახლშობილისთვის სპეციალურად მომზადებულ უსახელო საწოლში აწვენდნენ, რომელსაც ძირი ბრტყელი ჰქონდა და არ ირწეოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მას სხვადასხვა სახელი ეწოდებოდა. ბავშვს საწოლში თავი აღმოსავლეთისაკენ უნდა ჰქონოდა, თვალებით დასავლეთისაკენ უნდა ეყურებინა. დედა ბავშვს ტირილისთანავე ძუძუს აჭმევდა. თუ რძეს ბავშვი კარგად ვერ მოწოვდა, დედა თვითონვე გამოიწველიდა და მიწაზე დაღვრიდა. ეს შეხედულება, როგორც ჩანს მიწის ნაყოფიერების უძველეს რწმენას ემყარებოდა. თუ დედას რძე გაუშვებოდა ბოთლზე საწოვარას წამოაცმევდნენ და ბავშვს რძეს ამ ბოთლით ასმევდნენ. დედა ბავშვს ძუძუს სხვების თანდასწრებით არ აწოვებდა.

ბავშვის აკვანში ჩაწვევის რიტუალს პირველად ბებიაცალი ან ოჯახის უფროსი ასაკოვანი ქალი ასრულებდა, რომელსაც აუცილებლად სავსე მთვარეზე ჩააწვენდნენ. დღესაც საგანგებოდ შეარჩევდნენ, კარგ დღეებად ითვლებოდა - სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი, თუმცა ზოგჯერ შაბათ დღეს ერიდებოდნენ. აფხაზები აკვანს ბავშვთან ერთად ათავსებდნენ ახალდაქორწინებულთათვის გამოყოფილ საცხოვრებელ სახლ - ამხარაში. აკვანს ჩვილი ბავშვით ოთახის კუთხეში მოათავსებდნენ და ნაჭერს გადააფარებდნენ.

მშობიარობის შემდეგ ქალს უფლება არ ჰქონდა წყალზე გასულიყო, სანამ არ ჩაატარებდა რიტუალს წყლის სტიქიის უფალის, ძიძლანის სახელზე (ანთელავა, 2006:170). ამ რიტუალის შესასრულებლად კლავდნენ თეთრ დედალს და მამალს, თან მიჰქონდათ კვერცხი, რომელსაც ლოცვის დროს დედა თავზე

სამჯერ შეოივლებდა, წყალში ჩააგდებდა და დაილოცებოდა (Драб, 2000:38).

მშობიარობიდან ორი კვირის შემდეგ ხდებოდა ქალის წამოყენება და ნაყოფიერ-ების ღვთაების სახელზე იმართებოდა რიტუალი „აგილარა“ იგივე აგლახა, რომელ-შიც მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ (Драб, 1985:103-104). ამ დრომდე ნამშობიარე-ვი ქალი საწოლიდან არ დგებოდა. ბებიაქალი ხელში აკვავკვარით ოჯახის მფარველს („ა-ჟაჰარა“) მიმართავდა ლოცვით. ბზიფის აფხაზებში ბავშვის დაბადებიდან მესამე კვირას, სადაც ბავშვი დაიბადა პარასკევს ილოცებდნენ „ა-ჟაჰარას“, დაპატიჟებდნენ რძლის მშობლებს და ამ დღეს მათ მოჰყავდათ აკვანი ყველა სხვა ნივთებთან ერთად (Драб, 2000:39). ა-ჟაჰარა ფუძის ანგელოზია, ოჯახისა და მისი გამრავლების მფარველი სული, რომლის სახელზე რამდენიმე შემთხვევაში ლოცულობდნენ. მშობიარობის შემდეგ ქალი თავისი მშობლების ოჯახში მიდიოდა და იქ ლოცულობდა ა-ჟაჰარას სახელზე, მსხვერპლად სწირავდა დაკოდილ თხას და კვერებს. უშვილობის ან ბავშვის სიკვდილიანობის შემთხვევაშიც აჟაჰარას სახელზე კვლავ მშობლების ოჯახში ლოცულობდნენ. მსხვერპლშეწირვა ხდებოდა „სახლსგარეთ მყოფთა“ („ა-დვინიქოუ“), ე. ი. მიცვალებულთა სახელზე, რისთვისაც ხარშავდნენ ყვერულს, დედალს, რამდენიმე აკვავკვარს და ბებიაქალი ილოცებდა. ა-დვინიქოუ – „სახლს გარეთ მყოფნი“ ასე უწოდებენ აფხაზები გარდაცვლილ ნათესავთა სულებს, რომლებსაც, მათი აზრით, შეუძლიათ ოჯახისათვის როგორც კეთილდღეობის ისე ზიანის მიყენებაც. მშობიარობის დაწყების წინ და მოლოგინების შემდეგ, ადვინიქოუს აუცილებლად ყვერულსა და დედალს შესწირავდნენ. აფხაზურ ა-დვინიქოუსთან ტიპოლოგიურად ახლოს დგას მეგრული „გალენიში ორთა“ - „გარეთ მყოფთა ორთა“ (ასედ, 2024; ანთელავა, 2006:49; Джанашиви, 1894; Джанашия, 1960; Чурсин, 1957; Инал-Ипа, 1954).

გარე სამყარო ქართველთა რწმენა-წარმოდგენების მიხედვით მიცვალებულთა სულის სამყოფია (აბაკელია, 1983:148; მაკალათია, 1979:74-75; სურგულაძე, 2003:44-45). გალენიშ ხვამა არაცოცხალთა სალოცავია, მიღმიერი სამყაროს მბრძანებლის, მიცვა-ლებულთა და მათი მეუფის გალენიშ ორთას მოსამადლიერებლად. გალენიშს ლოცულობდნენ მიცვალებულთა სულების მოსამადლიერებლად, ოჯახის გარდაცვლილ წევრთათვის. მშობიარობიდან ერთი თვის თავზე გალენიში მელოგინესაც უნდა გადა-ეხადა ვაჟისთვის - მამალი ციკნით, გოგონასთვის - მდედრით. თანამედროვე ყოფაში არაერთხელ დავაფიქსირეთ ჩვილი ბავშვის ბებიის მიერ გალენიშ ორთას ლოცვა. ეს რიტუალი დღემდე სრულდება, რასაც ოჯახის უფროსი დედაკაცი ან გვარის უფროსი ქვრივი ქალბატონი ასრულებს (ასედ, 2024). რიტუალის შესრულების დროს თანამედროვე ყოფაში სამსხვერპლოს გოჭი წარმოადგენს.

საინტერესოა აფხაზების მიერ შესრულებული სპეციალურ რიტუალი ადგილის დედოფლის სახელზე, ბზიფის აფხაზები „ადგილ-ჩჩა“, ხოლო აბჟუის - აფხაზები „ადგილ დადუფალ“ უწოდებდნენ. ლოცვის დროს ბავშვი აკვანში იწვა, თავით აღმოსავლეთით და დედა კი აკვნის მარჯვნივ მუხლებზე იყო დაჩოქილი, მლოცველს ხელში ეჭირა ვარია და ლოცვით მიმართავდა ადგილის დედოფალს, რომ ის ყოფილიყო ჩვილის მფარველი. მლოცველი ამ ვარიას შემოავლებდა სამჯერ დედას და ბავშვს, რომელიც აკვანში იწვა. შემდეგ დაკლავდა ვარიას, ხოლო სუფრის გამართვის შემდეგ ერთხელ კიდევ დალოცავ და დედა-შვილს. ამ დროს კი დედას გულზე დაადებდა ორ აკვავკვარს, ხოლო ჩვილს - ჭიპზე. მსხვერპლად შეწირული ვარიის მირთმევა მხოლოდ ჩვილის მშობლებს შეეძლოთ. თუმცა დღეს ამ რიტუალისთვის მომზადებული საკვების მირთმევა შეუუძლია ყველას (Драб, 2000:40). მსხვერპლშეწირვა და ლოცვა სრულ-დებოდა მიწის უფალის („ა-დგილ დედოფალი“) სახელზე. ბებიაქალი კლავდა მა-მალს და დედალს (მათი ჭამა მხოლოდ ცოლ-ქმარს შეუძლია) და აშვიმგაღალის (ჭვიშტარს) რამდენიმე ნაჭერთან ერთად სწირავდა ადგილის დედას ლოცვით და შესთხოვდა დედა-შვილი ჯანმრთელობას.

ა-დგილ დედოფალი, ა-დგილ დედოფალი - კონკრეტული ადგილისა და ზოგა-დად მიწის მფარველი ქალღვთაებაა. იგი სრულ შესაბამისობაშია ქართულ „ადგილის დედასთან“, რომელიც კერიის მფარველ სულთან და ფუძის ანგელოზთან ერთად ქმნის მდედრობითი სქესის ხოთნურ არსებათა იერარქიულ სისტემას, რომელშიც წარმმართველი ძალა „ადგილ დედოფალი“ ანუ „დედა მიწა“ (ანთელავა, 2006:48) ქართუ-ლი წინარექრისტიანული ღვთაებაა, რომელიც დიდხანს შემოინახა აღმოსავლეთ საქა-რთველოს მთიანეთმა, სადაც იგი ითვლებოდა ქალების, მონადირეების, ბავშვებისა და ხარ-ძროხის მფარველად. წარსულში ადგილის დედა ნაყოფიერების ქალღმერთიც იყო და მისი კულტი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ქრისტიანობის გავრცე-ლებასთან ერთად მისი

კულტი ღვთისმშობლის კულტს შეერწყა, აქედანაა მისი სახე-ლებიც - ადგილის ღვთისმშობელი ან ღვთისმშობელი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები თაყვანს სცემდნენ, როგორც ქალების, ბავშვების, მონადირეთა და საქონლის მფარველს (ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონი, 2009). ეთნოგრაფიული მასა-ლების, საარქივო თუ ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, საქართველოს სხვადა-სხვა კუთხეებში ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალის ელემენტები წარმოადგენენ სხვადასხვა სახით და სახელწოდებთ დაცული ღვთაება „დედამიწის“ მსახურების ფრაგმენტებს (ბარდაველიძე-ლომია, 1928:227).

აფხაზები თვლიდნენ, რომ დაავადებები გამოწვეული იყო ღმერთების და სულე-ბის მიერ. ამიტომ სხვადასხვა დაავადებების გამოვლენისა ადანაშაულებდნენ ღმერთებს და გარდაცვლილთა სულებს (Джанашия, 1960:76) და მიმართავდნენ ხალხურ მკურნალობას. ამზადებდნენ ამულეტებს სხვადასხვა ხის ჯიშის ტოტებისგან, ყურანი-დან ამოწერილი წერილით და სხვა. სჯეროდათ, რომ ადამიანის თვალს ჰქონდა იდუ-მალე მაგიური ძალა და ჩვილ ბავშვს არათუ უცხო ადამიანის თვალი, არამედ შეიძლე-ბოდა ოჯახის წევრის ან დედის თვალიც კი სცემდა. თუ დედა ოჯახში მოსაღამოვებულზე, მზის ჩასვლის შემდეგ მობრუნდებოდა ოჯახში, ჯერ უნდა დაესვენა და შემდეგ ნახავდა ბავშვს. თვლიდნენ, რომ მას შემოყვევოდა მიცვლაბულთა სულები. სულები შეიძლება ოჯახის წევრს შემოყოლოდა დაკრძალვიდან ან სასაფლაოდან მობრუნებუ-ლსაც, ამიტომ ჯერ კერასთან უნდა მისულიყო, შეხებოდა კერის ჯაჭვს და შემდეგ ნა-ხავდა ჩვილს (Джанашия, 1960:76). ამ რიტუალების შესრულების შემდეგ, ავი სული ან მიცვალეზულის სული ტოვებდა ჩვილს. აფხაზური ლეგენდის თანახმად, ასევე ცის-ფეთვალეზა ადამიანს შეეძლო, როგორც ადამიანი, ისე საქონელიც გაეთვალა (Гарцкия, 1892:34), ამიტომ თუ ცისფერთალეზა უცხო ადამიანს შეხვდებოდნენ, მიმართავდნენ გაწმენდის რიტუალებს.

აბჟუის აფხაზებში ფიქსირდება დაავადება „აჟამრა (ажамра). ამ დაავადების დროს ბავშვს ჰქონდა მაღალი სიცხე და ოჯახში მოჰყავდათ მცლოცველი (Смирнова, 1949:134). ყველაზე საშიშ დაავადებად აფხაზები თვლიდნენ ბატონებს (ჩუთყავილას). ამ დროს არ შეიძლებოდა ავადმყოფს წამლები მიეღო. ბატონების გულის მოსაგებად მსხვერპლთმეწირვები ხდებოდა. არ შეიძლებოდა ტირილი, ხმაური (Драб, 2000:76). თანამედროვე ყოფაში ძალიან ხშირად ფიქსირდება აფხაზეთში მცხოვრები, როგორც ქართველების ისე აფხაზების ყოფაში აჟამრა - ნაჟამა (მეგრული) და ბატონები (ასედ, 2024) და ვფიქრობ სიტყვა აჟამრა მეგრული სიტყვა ნაჟამა-დანაა აფხაზურში გავრცელებული.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად აფხაზებშიც ფიქსირდებოდა აკვანში დანიშვნის წესი, რომელსაც აგარაჰყავრა (აგარაჰიყიყარა - აკვნის დაჭდევა, აკვანზე ჭდის დადება) ეწოდება (ზახია-ოქრუაშვილი, 2020:47). ერთმანეთის მიმართ კეთილ-განწყობილი ოჯახების ორსული ქალები მოილაპარაკებდნენ, რომ თუ ერთს ვაჟი, ხო-ლო მეორეს ქალი გაუჩნდებოდა, მათ დააქორწინებდნენ. მოლაპარაკების ნიშნად ბავ-შვების დაბადების შემდეგ ახალშობილების აკვანს ნაჭდევებს უკეთებდნენ. ვაჟის მშო-ბლები ზოგჯერ ახალშობილ გოგონას ბალიშის ქვეშ ტყვიას უტოვებდნენ. ეს იმის მი-მანიშნებელი იყო, რადგან ამ ორ ოჯახს შორის შესაძლო სასხლმესისხლეობის ჩვეულება ჩადგებოდა

სცოდნიათ აკვანზე ბადის ჩამოფარება, რომელიც დროთა განმავლობაში დოლ-ბანდმა შეცვალა. რესპოდენტთა გადმოცემით, მწერებისგან დამცავი საშუალება იყო (ასედ, 2024; Драб, 1985:60). დოლბანდი თხელი ქსოვილია (ქართული კულტურის ეთ-ნოლინგვისტური ენციკლოპედია, 2023:137), რომელშიც ჰაერი თავისუფლად მოძრა-ობდა და ბავშვი არ წუხდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით მწერები ვერ შეაწუხებ-დნენ მძინარე ბავშვს აკვანში. დოლბანდი ბადეს ნაირსახეობას წარმოადგენს. ძველად საქართველოში ხშირად გამოიყენებოდა ბადე, როგორც ავადმყოფობის დროს, ისე მელოგინე ქალის საწოლზე ჩამოსაფარებლად (ბატონიშვილი, 1914:18; ლამბერტი, 1938:138). პრევენციული მიზნით ბადის გამოყენება დამცავ საშუალებათა შორის პოპულარობით სარგებლობდა, რომლის გამოყენება ეთნოლოგების მიერ შემდეგნაირა-დააა ახსნილი: „სამრგვალე ანუ წრე თავისთავად აღიქმებოდა, როგორც ისეთი ძალა, ან საზღვარი, რომლის შიგნით ავი სული ვერ შეაღწევდა, რადგან სათევზაო ბადის დანი-შნულება დამჭერია და ამავე დროს მრგვა-ლი, წრიულად ნაქსოვი, ალბათ ამანაც განაპირობა სხვა ბადეებისგან განსხვავებით, მისი ავი თვალის საწინააღმდეგოდ გამოყე-ნება“ (მირიანაშვილი, 1987:232). ამგვარად, აქ ბადის გამოყენება არა მხოლოდ მაგიის პრინციპით ხდებოდა, არამედ გარკვეული მნიშვნელობა წრესაც ენიჭებოდა. წრის, ამ უძველესი ასტრალური სიმბოლოს შემომსახვრელი და

დამცავი დანიშნულება ცნობილია. თანამედროვე ყოფაში, ჩვილი ბავშვის საწოლზე (აკვანი თუ მზა ევროპული საწოლი) ჰაერგამტარი ნაჭრის (დოლბანდი) ჩამოფარება თანამედროვე ყოფაშიც ფიქსირდება (ასედ. 2024). როგორც აფხაზები ისე ქართველები მძინარე ბავშვს აუცილებლად გადააფარებენ ნაჭერს - დოლბანს.

საინტერესოა აფხაზეთში ბავშვის დაბადება-მოვლასთან დაკავშირებული პრე-ვენციული მაგიურ-რელიგიური საშუალებები, რომელიც ზოგადად დაავადებათა თავიდან აცილებას, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვას ემსახურებოდა. ოჯახის წევრები შესთხოვდნენ ზეციურ ძალებს სხვა სათხოვართან ერთად, ჯანმრთელობის შენარჩუნებას. დაავადებათა აცილებას ძირითადად ვედრების, შესაწირავის შეწირვასა და თავშემოვლის რიტუალების ჩატარებით ცდილობდნენ. რიტუალები ხშირად ქრისტიანული კალენდარული დღეობების დროს ტარდებოდა, მაგრამ იმავდროულად მაგიურ-რელიგიურ ქმედებათა მთელ კომპლექსს მოიცავდა, რომელშიც არეკლილი იყო კერის, მარნის, ხის (მაკალათია, 1941:321-323) თუ სხვა უძველესი საკრალური ობიექტების თაყვანისცემის კვალი. უნივერსალურ განმწმენდ საშუალებად - ცეცხლი, ცეცხლ-ის სიმბოლო (ნახშირი, ნაცარი) და წყალი (უმეტესად ნაკურთხი) იყო მიჩნეული. ცეცხლ-ი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა უმჯურის თავიდან აცილების რიტუალებში.

ხალხური წარმოდგენების მიხედვით, აფხაზები აკვნის კამარაზე ჩამოკიდებდნენ ხოლმე ალის კბილს (ალიშ კბირს), ძვალს, გახვრეტილ ქვას, ზღვის ნიჟარას, ჯვარს, სამკუთხედად შეკერილ ნაჭერს - ავგაროზს. ავგაროზს ჯვართან ერთად საკმაოდ დიდ ხანს ატარებდა ბავშვი. უმეტეს შემთხვევაში ამ სამკუთხედ ნაჭერს ძაფზე შებმულს ბავშვს კისერზე ან ილიაზეც ჩამოკიდებდნენ.

აბჟუის აფხაზები აკვნის ქვეშაკვნის თავთან დებდნენ გარეული ვაშლის, ალუჩის, თხილის ტოტს, შავტარიან დანას, მაკრტელს ან საწერ დანას, რომელიც ითვლებოდა ძლიერ დამცავ საშუალებად. ჩვილის საწოლ ოთახში ისე ვერავინ ვერ შევიდოდა თუ ცეცხლზე არ გადაივლიდა და კარებში დაგდებულ რკინას არ დაადგამდა ფეხს. ცდილობდნენ აკვნის ბავშვი მარტო არ დაეტოვებინათ, რომ ავთვალს ბავშვი არ შეეშინებინა. ბავშვს ღამე გარეთ არ გაიყვანდნენ, რადგან ამ დროს ძლიერდებოდნენ ავი სულები. თუ გაიყვანდნენ ბავშვს შუბლზე ნახშირს ან ჭვარტლს წაუსვამდნენ. ოთახის კარის ზღურბლზე რკინის ნალს მიაჭედებდნენ. დედა თუ გარეთ გავიდოდა, აკვანზე ჯოხს მიაყუდებდნენ, აკვნის ქვეშ ცოცხს დადებდნენ. ავგაროზს, მისი უნარის გასაძლიერებლად ხშირად სოფლის მლოცავს შეალოცვინებდნენ. ავგაროზი მოსახლე-ობაში პოპულარობით სარგებლობდა. მათ თვით სასულიერო პირებიც ავრცელებდნენ. ქრისტიანობამ, როგორც ჩანს, ვერ შეძლო ავგაროზების ტარების უძველესი ტრადიციის, ასევე ბევრი სხვა მაგიური წესისა და ქმედების აღმოფხვრა, რაზედაც საეკლესიო თუ სახელმწიფო კოდექსებში მათი აკრძალვის სიუხვე მეტყველებს. ამიტომ ზოგიერთი მათგანი მიიღო და გაითავისა. ადგილობრივ მკვიდრთა წარმოდგენით ავ სულებს რკინა ეჯავრებოდათ, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც. რკინა და რკინისაგან დამზადებული საგნები ავი სულების საწინააღმდეგო ერთ-ერთ უნივერსალურ წარმოდგენას. მოსახლეობა ჩვილი ბავშვისა და მელოგინე ქალის დაავადებათა პრევენციის მიზნით ატარებდა სპეციალურ რიტუალებს, მიმართავდნენ უძველეს მაგიურ ქმედებებს და იყენებდნენ სხვადასხვა სახის როგორც მაგიურ, ისე ქრისტიანულ ნიშან-სიმბოლოებს. დამცავ საშუალებებს ადამიანის მონათვლამდე, ახალშობილის დასაცავად იყენებდნენ, რადგან ისინი, ხალხური წარმოდგენით, ანგე-ლოზის მფარველობას იყვნიენ მოკლებულნი. მონათვლის შემდეგ კი ადამიანს მფარვე-ლი ანგელოზი და ნათლობის ჯვარი იცავდა, ამიტომ დამცველი მაგიური ნიშან-სიმბოლოები უკვე ფუნქციას კარგავდა. საზოგადოების რელიგიური აზროვნების ცვალებადობასთან ერთად, პრევენციული საშუალებების ნაწილი ახალ, სათანადო გააზრებას იძენდა და ძველი ფუნქციური დატვირთვით გამოიყენებოდა. იმავდროულად, მათ ძალიან მცირე, მაგრამ გარკვეული დადებითი მოქმედება მაინც ჰქონდა. ამრიგად, ახალშობილის მოვლასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები სარწმუნოებრივად გარკვეულ სისტემას წარმოადგენს, სადაც შერწყმულია, როგორც არქაული რელიგიური პლასტები, ისე ქრისტიანული წესები. ყოველივე ზემოაღწერილი ჩვეულებები განსაკუთრებით ეფექტური იყო ადგილობრივ მოსახლეობაში (როგორც აფხაზებში, ისე ქართველებში), საკმაოდ ღრმად გამჯდარი რწმენა-წარმოდგენების ფონზე.

ამრიგად, უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა აკვნის, ჩვილი ბავშვის მოვლის და მომავალი თაობის

აღზრდის გარკვეული ტრადიციული სისტემები, რომლებიც სხვა-დასხვა ხალხურ წესებს მოიცავენ. მათ თუ თანამედროვე პოზიციიდან შევაფასებთ, შესაძლებელია ჩვენთვის ბევრი რამე მიუღებელი იყოს, მაგრამ გარკვეულ გეოგრაფიულ თუ სოციალურ გარემოში, ისტორიის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე მცხოვრებ სა-ზოგადოებებში მოქმედი ყველა ხალხური წესი თუ ტრადიცია მათი ცხოვრების პირობებისა და დონის გათვალისწინების შემთხვევაში, როგორც ჩანს, ამ საზოგადოებები-სათვის მისაღები და ოპტიმალური იყო. თანამედროვე აფხაზეთში აკვანი და ჩვილი ბავშვის მოვლის წეს-ჩვეულებები მოსახლეობის ყოფამ (მეხსიერებამ) დღემდე შემოი-ნახა. საინტერესოა აფხაზეთში მცხოვრები ქართველი და აფხაზი მოსახლეობის ყო-ფაში აკვნისა და ჩვილი ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულმა რწმენა-წაროდგენების შესწავლა, რომლის მიხედვით აშკარად გამოჩნდა, რომ ისინი ხშირად იყენებდნენ აკვანთან და ჩვილი ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ მსგავს რწმენა-წარმოდგენებს. როგორც ჩანს, მათ შორის ეფექტურად მიჩნეული საშუალებების ურთიერთგაცვლა და გამოყენება ხდებოდა. ქართველი და აფხაზი მოსახლეობა დასახმარებლად ხშირად მი-მართავდნენ ერთმანეთს, რაც მათი კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთგავლე-ნის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა. წერილობით ცნობებისა და ენოგრაფიუ-ლი მასალებით დასტურდება, რომ აფხაზური აკვანი იდენტურია ქართული აკვნის, რასაც აკვნის მოსაწყობი ნივთების ქართულიდან (მეგრული) შესული ტერმინებიც ადასტურებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასედი (ავტორის სავსელი ეთნოგრაფიული დღიური), 2024
2. აბაკელია ნ., ცის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, II, თბ., 1983
3. ანთელავა ნ., აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. ენციკლოპედია, თბ., 2006
4. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938
5. ბარდაველიძე-ლომია, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, თბ., 1928
6. ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2020
7. ვახუშტი ბატონიშვილი, ისტორიები აღწერა, ტფილისი, 1914
8. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია თბ., 1941
9. მაკალათია მ., მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში, კრ: სამეგრელო, თბ., 1979
10. მირიანაშვილი ქ., სათევზაო ბადეების რელიგიური მნიშვნელობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XXIII, თბ., 1987
11. სურგულაძე ი., სივრცე ქართველთა მითოსსა და ტირუალში, I, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003
12. ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი, რედაქტორი სოსო ჭანტურიშვილი, თბ., 2009
13. ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია, თბილისი, 2023
14. ქარჩავა გ., ქართულ-მეგრული ნასესხობები აფხაზურში, 2009
15. Бигвава, В. Л., Современная сельская семья у абхазов. Тбилиси. 1983
16. Гарцкия В., Из Абхазских преданий и поверий, СМОМПК, вып. 13, Тифлис, 1892
17. Дбар С. А., Традиционные родильные обычаи и обряды абхазов и их трансформация в советские годы, Советская Этнография, №1, М, 1985
18. Дбар С. А., Обычаи и обряды детского цикла у Абхазов (вторая половина XIX-начало XX вв), Сух., 2000
19. Джанашия Н. С., Статьи по этнографии Абхазии, Сух., 1960
20. Джанашвили М., Абхазия и абхазцы (этнографический очерк), ЗКОИРГО, Т. XVI, Тф, 1894.
21. Инал-Ипа Ш. Д., Очерки по истории брака и семьи у абхазов. Сух., 1954
22. Инал-Ипа Ш. Д., Этнография брачно-семейных и социальных отношений абхазов, Т. I, Сух., 2016
23. Смирнова Я. С., Абхазская женщина в дореволюционном прошлом и в советскую в эпоху, М, 1949
24. Чурсин Г. Ф., Материалы по этнографии Абхазии. Сух., 1957

ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარება 1879-1885 წწ
The Social-political and Cultural-Educational Situation in Batumi in 1879-1885

მეგი ტეტემაძე

სსიპ აჭარის მუზეუმი, საერთაშორისო და საზოგადოებასთან
ურთიერთობების კოორდინატორი. ისტორიის დოქტორანტი

MEGI TETEMADZE

LEPL Ajara Museum, Coordinator of international and Public affairs

Phd student in History

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2024.01.007>

აბსტრაქტი: კვლევა განიხილავს ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარებას 1879-1885 წლებში - პერიოდში, რომელიც ქალაქის სწრაფი გარდაქმნით გამოირჩეოდა რუსეთის იმპერიაში 1878 წელს გაერთიანების შემდეგ. სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებზე, იმდროისათვის დამახასიათებელ პრესაზე დაყრდნობით, ნაშრომი აანალიზებს იმპერიული ადმინისტრაციული რეფორმებით ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ გარემოს, ადგილობრივი და უცხოელი საზოგადოებების საქმიანობას, ასევე ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურ ცვლილებებს შორის ურთიერთკავშირს, ბათუმის ეთნიკურ და კონფესიურ მრავალფეროვნებას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბებას, წიგნიერების გავრცელებას და რელიგიური თუ ეთნიკური მრავალფეროვნების როლს ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კვლევა ეფუძნება ისტორიულ-აღწერით ანალიზს და შედარებითი ისტორიის ელემენტებს, რაც შესაძლებელს ხდის ბათუმის გააზრებას, როგორც სტრატეგიული პორტისა და მრავალკულტურული ურბანული ცენტრის. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ 1879-1885 წლები ბათუმის ინტეგრაციის ფორმირების ეტაპი იყო იმპერიულ სისტემაში, რასაც თან ახლდა ახალი სამოქალაქო აქტივობების წარმოშობა და ტრადიციულ სოციალურ სტრუქტურებსა და მოდერნიზაციის ტალღას შორის დაძაბულობა. აღნიშნულმა პერიოდმა საფუძველი დაუდო იმ დინამიკურ სოციალურ-კულტურულ პროცესებს, რომლებიც ბათუმის განვითარებას XX საუკუნის მიჯნაზე დაახასიათებდა.

საკვანძო სიტყვები: ბათუმის ისტორია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ეთნიკური მრავალფეროვნება, კულტურა, რუსეთის იმპერია.

Abstract: This research examines the socio-political and cultural-educational landscape of Batumi between 1879 and 1885, a period marked by the city's rapid transformation under the Russian Empire following its incorporation in 1878. Drawing on literature sources, periodical press dedicated to this period, the study analyzes the political climate shaped by imperial administrative reforms, the activities of local and foreign communities, and the interplay between economic development and social change, Batumi ethnic and confessional diversity and etc. Important attention is given to the emergence of cultural and educational institutions, the spread of literacy, and the role of religious and ethnic diversity in shaping Batumi's public life. The methodological approach combines historical-descriptive analysis with elements of comparative history, enabling a nuanced understanding of Batumi's position as both a strategic port and a multicultural urban center. The findings reveal that the years 1879-1885 constituted a formative stage in the city's integration into the imperial system, fostering new forms of civic engagement while also exposing tensions between traditional social structures and modernizing influences. This period laid the groundwork for the more dynamic socio-cultural processes that would characterize Batumi's development at the turn of the twentieth century.

Key words: History of Batumi, Socio-political situation, ethnic diversity, culture, Russian Empire;

ბათუმის 2000-იანი წლების დასაწყისის საზოგადოებრივი წყობა გვაძლევს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ საზოგადოების ფორმირებებზე, როგორც ნათელი მაგალითი იმპერიალიზმის კვალის.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბათუმი თანდათანობით იქცა საქალაქო ტიპის დასახლებად. სტრატეგიულმა მდებარეობამ, სავაჭრო, ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა ფუნქციებმა გაზარდა მისი, როგორც საპორტო ქალაქის, მნიშვნელობა. ამან, თავის მხრივ, დააჩქარა მოსახლეობის ზრდა და სხვადასხვა ეთნიკური ელემენტის მოზიდვა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეთნიკური პროცესები სპეციფიკური ნიშნით წარიმართა. ადრე სამცხე, ჯავახეთი, აჭარა და მესხეთის სხვა თემები მაწყვერელის, მტბევარის, ქუთათელის, იშხნელის, ანჩელის, ერუშნელის, ფანასკერტელის, ანელის, კარელის, ბანელის, დადაშნელის, წურწყბალის, წყაროსთაველის სამწყსო ყოფილა. საეკლესიო ცხოვრების ამგვარი სურათი იმ პერიოდის ანარეკლია, როცა ქრისტიანული სამხრეთ საქართველო მესხეთის ანუ ზემოქართლის სახელწოდებას ატარებდა. ამ დროისათვის ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა და სხვა იდეოლოგიური სისტემები მასზე ზეგავლენას ვერ ახდენდა. სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არც გვარობრივ-ეთნიკური შემადგენლობა იყო ისე ჭრელი, როგორც გვიან შუასაუკუნეებსა და საბჭოთა პერიოდში. ამაზე მეტყველებს წერილობით წყაროებში ასახული და ეროვნული ცნობიერების გამომხატველი ქართულ გვარეულობათა სახელწოდებანი: ბალასძე, ხინკილაძე, ვაშანისძე, ხუცისძე, დიასამიძე, შალიკაშვილი, უზნასძე, გათენაძე, ფანასკერტელი, კოპასძენი და სხვ. რაფიელ ერისთავი შავშეთში ადასტურებდა გვარებს: ერისთავი, ხიმშიაშვილი, თევთიძე, კოპაძე, ბასილაძე, წიქარიძე, ავარიშვილი, გუჯაბიძე, ლოთაძე, პანჩიძე, ყომაშიძე, სალარიძე, ბერიძე, შალიკაშვილი, თურმანიძე და ა.შ. აქ წარმოდგენილ გვარეულობათა ერთი ნაწილი აჭარაში კიდევ გვხვდებოდა - ხიმშიაშვილი, ავალიშვილი, ავალიანი, ბერიძე, თურმანიძე, ათაბაგი, ირემაძე, რაც მესხეთის თემებს შორის მჭიდრო კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობას მოწმობს. ეს გვარეულობანი ქართულ ფეოდალური საზოგადოების ფარგლებში იყო წარმოდგენილი და ტრადიციული სუფიქსებით გაფორმებული, რაც ასევე ეროვნული ცნობიერების სიმტკიცის მაჩვენებელია.

გვარსახელთა წამოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ონომასტიკაც. მაგალითად, ოსმალთა ბატონობის ხანაში აჭარის მოსახლეობის ერთ ნაწილში გავრცელდა თურქული სამყაროსათვის დამახასიათებელი სახელები (ხასანა, აბდულა, მუხამედი, ფერათი, ახმედი, ალი...), მაგრამ პატრონიმიული სახელწოდებები ტრადიციულ კანონზომიერებათა საფუძველზე იწარმოებოდა, ე.ი. წინაპრის სახელებზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული სუფიქსების (ძე, შვილი, ენ ან იენთ) დართვით. ამდენად, ადამიანთა უცხო სახელებისგან წარმომდგარმა გვარსახელებმა თუ ზუდე-ნათესაობებმა მაინც შეინარჩუნეს გენეალოგიური წარმოების ძირძველი ქართული პრინციპები (მაგალითად: შაქირდედიენთი, ისკენდერდედიენთი, მურადაშვილი...) შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ნაწილობრივ შეცვლილი ონომასტიკის საფუძველზე გაჩენილ გვარსახელებს, რომლებსაც ხშირად თურქული „ოღლი“-ს ან სპარსული „ზადე“-ს სახით ქართული „შვილი“-ს შესატყვისი ფორმა ერთვოდა, მხოლოდ გარეგანი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბათუმის ოლქი, რომელიც ძრითადად წარმოდგენილი იყო საკუთრებივ ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სახით, გამოირჩეოდა ეთნიკური ერთფეროვნებით, თუმცა, მათში, ისტორიული ბედუკულმართობის გავლენით, შეიმჩნეობა უცხოეთნიკური ელემენტების (თურქები, სომხები...). ბათუმის მიდამოებში კი - აფხაზების დამკვიდრების შემთხვევები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთიდან ოსმალეთში გადასახლდა 10 ათასი კაცი. მათი ნაწილი დამკვიდრდა ბათუმის რეგიონში, რომელიც მაშინ ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული. აფხაზთა ძირითადი მასა კი აქ 60-იან წლებში ჩამოსახლდა. თვით მუჰაჯირების განცხადებით, აფხაზების ერთი ჯგუფი ბათუმში 1862 წლისათვის დასახლდებულა. მაშინ დაუკავებიათ „ნურიეს“ ტბის (დღევანდელი ახალგაზრდობის პარკის) ტერიტორია. რუსეთის გენერალური კონსულის ა.მაშნინის ცნობებზე დაყრდნობით, გ. ძიძარია ლტოლვილთა რაოდენობას დაახლოებით 6 ათასი კაცით განსაზღვრავს. ცალკეული ავტორი კი 1872 წლისათვის ბათუმის ოლქში მიუთითებდა ემიგრანტთა 300 ოჯახს, რომლებიც 1864-1867 წლებში აფხაზეთიდან გადმოსახლდა.

ბათუმის ოლქში უცხოეთნიკური ელემენტის მოძალეობა, ძირითადად, განაპირობა, ერთი მხრივ,

ბათუმის საპორტო და სამრეწველო ქალაქად გადაქცევამ, მეორე მხრივ, ცარიზმის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ. რუსეთი ამ მხარის კოლონიზაციას პირველხარისხიდან მნიშვნელობას ანიჭებდა. 1879 წ. გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი ყურადღებას ამახვილებდა თავისუფალი მიწების რაოდენობის შესაბამისად არაქართველთა ფართომასშტაბიანი შემოსახლების აუცილებლობაზე: „ჩვენ თურქეთში გადასახლებაში ხელი არ უნდა შევუშალოთ მუსლიმანებს არც პირდაპირ, არც ირიბად, -ნათქვამია დოკუმენტში, - რუსეთის ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა გადასახლებულ მუჰაჯირთა მიწები მოხვდეს მთავრობის განკარგულებაში. ამიტომაც, უნდა წავახალისოთ ადგილობრივთა წასვლა მუჰაჯირად.“ამის სანაცვლოდ ავტორი მოითხოვდა რუსების ჩამოსახლებად. აქვე აღნიშნულია, რომ მხარის სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს კოლონიზაციის გზით. [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008 :83].

თავდაპირველად ცარიზმი ცდილობდა მკვიდრი მოსახლეობის გასახლებას ან ასიმილაციას და დარწმუნებულად იყო, რომ შეძლებდა აქ რუსების დამკვიდრებას, მაგრამ მალარიის გამო გართულდა დაპტაციის პროცესი [Френкель А. Очерки Чурук-су и Батума, Тиф., 1878, с. 5. გვ. 83]. ამის მიუხედავად, მაინც მიმდინარეობდა არაქართული ელემენტების ჩამოსახლება-დამკვიდრება. უცხოეთნიკური ელემენტები ძირითადად ცხოვრობდნენ ბათუმში, გონიოსა და მის მიდამოებში. ეს მოსახლეობა ჭრელი იყო კონფესიურადაც, რაოდენობრივად ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი რუსები იყვნენ. ბათუმის ოლქში მათი ჩამოსახლების ფართომასშტაბიანი გეგმების ჩაშლის მიუხედავად, ეს პროცესი მაინც გრძელდებოდა. ქალაქის გარდა ისინი სახლდებოდნენ მიმდებარე სოფლებშიც - ორთაბათუმში, მახინჯაურში, მწვანე კონცხის მიდამოებში, მდ. აჭყვასა და ოჩხამურს, შავ ზღვასა და მდ. ჩურუქსუს შორის. 1880 წ. ბათუმის 3500 მცხოვრებიდან 895 იყო არაქართველი., 1893 წ. ბათუმის ოლქში იყო რუსთა ორი კომპაქტური დასახლება - „სმეკალოვკა“ ქობულეთთან და „ხოლოდნაია სლობოდა“ ბათუმთან. ართვინის ოკრუგში ამ პერიოდში რუსები არ ცხოვრობდნენ.

რუსები საცხოვრებლად ძირითადად ქალაქს ირჩევდნენ. 1882-1890 წლებში ბათუმის რუსული მოსახლეობა 4-ჯერ გაიზარდა და 4 ათას კაცს მიაღწია. ქართველობამ კი მოიმატა მხოლოდ 3-ჯერ (3574 სული). 1897 წ. რუსების რაოდენობამ 7 ათას გადააჭარბა (ქართველები - 6 ათასი). ქალაქის სამრეწველო განვითარებამ განაპირობა მოსახლეობის ზრდა. 1917 წლისათვის რუსების რაოდენობა გაიზარდა 10 ათას კაცამდე (ქალაქის მოსახლეობის 30 %), რაც შენარჩუნდა 1926 წლამდე. XX საუკუნის დასაწყისიდან რუსები ჩნდებიან ართვინის ოკრუგშიც. 1902 წ. ართვინში ცხოვრობდა 315;

ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს რუსთა გაქართველების ცალკეული შემთხვევა. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილია ვინმე „აჭარელ ხასანას“ კორესპონდენცია. ავტორის აზრით, აჭარაში მცხოვრები რუსეიშვილების წინაპრები ყოფილან რუსები. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტი აქვს დადასტურებული ეთნოგრაფ ვლ. მგელაძეს. კერძოდ, სოფელ ქაქუთში ცხოვრობდა ვინმე ივანე მართალიშვილი, რომელიც წარმოშობით იყო რუსი. ადრე დაობლებული ივანე შეხიზვნია იუსუფ მართალიშვილს, რომელსაც მისთვის მიუცია სამოსახლო მიწა და დაუცოლშვილებია კიდეც, ივანე იუსუფის გვარზე დაწერილა და მართალიშვილად ქცეულა.

შავი ზღვის სანაპირო სოფლებში (ადღია, სამება, კაპრეშუმი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ჩაქვი და სხვ) გვხვდება გვარსახელური ტოპონიმები: კაგანოვი, სინიგინი, ჩერკასი, გუბანოვი, გოლოვინი, ბიკოვი, სახაროვი და ა.შ. ესენი იყვნენ ამ ადგილების მფლობელები 1920-იან წლებამდე. კოლონისტები დიდი ხანია აქ აღარ სახლობდნენ, მაგრამ ტოპონიმშიც შემოინახა მათი გვარსახელები, როგორც წარსული ცხოვრების უტყუარი საბუთი.

ბათუმის ოლქში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის რიცხოვნობით ყველაზე მეტი იყვნენ სომხები. ბათუმის ოკრუგში მათი დამკვიდრება უკავშირდება 1877-1878 წლების ომსა და ომისშემდგომ პერიოდს, ართვინის ოკრუგში კი ოსმალთა ბატონობის ხანას. სომეხთა მცირე ჯგუფი ბათუმში ადრეც ცხოვრობდა. ავტორთა ერთი ნაწილი 1872 წლისათვის აქ მიუთითებდა 120 სომეხს. ისინი იყვნენ გრიგორიანები, ნაწილი კი კათოლიკეები. ართვინის მოსახლეობის ძირითად ნაწილს სომხები შეადგენდნენ.

სომეხთა რაოდენობა ბათუმის ოლქში მკვეთრად გაიზარდა 1895 წელს ოსმალეთში მათი ე.წ. პირველი გენოციდის შემდეგ. მათ შორის ბევრი იყო გამაჰმადიანებული სომეხი, რომლებსაც ჰემშილებს

ემახდნენ. მ. ლიოზენის მიხედვით, ჰემშილები ცხოვრობდნენ როგორც ზღვის სანაპიროს ზოლში, ისე მთიან ადგილებშიც: სოფ. კვარიათში - 6 ოჯახი (18 სული), კალნიდერეში - 5 ოჯახი (23 სული).

გ. ყაზბეგის ცნობით, ჰემშილები მთის ლაზებს უფრო ჰგავთ, ვიდრე სომხებს, ლაპარაკობენ თურქულად და ლაზურად. ჰემშილები აღწევდნენ ალპურ ზონაშიც. გოდერძის უღელტეხილის ალპურ საძვრებზე დღესაც შეინიშნება მათი ცხოვრების კვალი.

მ. ლიოზენის მიხედვით, ყარადერეში მოსახლე ჰემშილები XX საუკუნის დამდეგამდე ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და ლაპარაკობდნენ სომხურ ენაზე. მათი მთავარი საქმიანობა იყო მესაქონლეობა (მეცხვარეობა). ზოგი ფლობდა მიწის ნაკვეთსაც. სოფელ სარფში შემორჩენილი ტოპონიმი „ჰემშილლული“ (ციტრუსების ბაღი) მათი აქ ცხოვრების მაჩვენებელია.

ბათუმის ოლქის ეროვნულ უმცირესობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ბერძნებს. მათი აქ დამკვიდრება დაიწყო მეცხვარეობა საუკუნის 50-60-იან წლებში. ბერძნებით დასახლებული ე.წ. „ურუმთა უბანი“ მდებარეობდა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ბერძნებმა ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის ხანაში ააგეს მართლმადიდებლური ეკლესია. გამორცხული არაა, რომ კონფესიური წარმომავლობის სახელწოდება „ურუმი“ აერთიანებდა არა მხოლოდ ბერძნებს, არამედ ლაზებსაც. გ. ჩიტაია ურუმებში ვარაუდობდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს: ქართველებს, ბერძნებს და სომხებს.

თავდაპირველად ცარიზმი ცდილობდა მკვიდრი მოსახლეობის გასახლებას ან ასიმილაციას და დარწმუნებულიც იყო, რომ შეძლებდა აქ რუსების დამკვიდრებას, მაგრამ მალარიის გამო გართულდა ადაპტაციის პროცესი. ამის მიუხედავად, მაინც მიმდინარეობდა არაქართული ელემენტების ჩამოსახლება-დამკვიდრება.

ბერძენთა დიდი ნაკადი - 253 ოჯახი (2107 სული) - აჭარაში ჩამოსახლდა 1881 წ. 6 ნოემბერს. ისინი იყვნენ სივასის ვილაიეთის სხვადასხვა სოფლიდან. მიდიოდნენ ყარსის ოლქში დასასახლებლად, მაგრამ დიდთოვლობის გამო მიმართულება შეიცვალეს და ბათუმში შემოვიდნენ. გამოზამთრების შემდეგ სცადეს ყარსისაკენ წასვლა, მაგრამ არ მოხერხდა. მთავრობა მოერიდა საამისო ხარჯებს.

ახალშენი (ხელვაჩაურის რ-ნ) ერთ-ერთი პირველი სოფელია, რომელმაც მიიღო ჩამოსახლებული ბერძნები. პირველი მოსახლე ბერძენთა გვარები იყო: იშხანიდი, ავგოპულო, ასანიდი. ბერძნები სახლდებოდნენ კომპაქტურ ჯგუფებად. მათ შორის იყვნენ შესანიშნავი კალატოზები. 1907 წლისათვის ბათუმის ოკრუგში ბერძნები ცხოვრობდნენ: სარფსა და გონიოში - 33 სული, ბათუმში - 3500, ახალშენში - 582, ყოროლისთავში - 51, და ა.შ.

ქრისტიან ბერძნებს ბათუმში ჰქონდათ სალოცავი - წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. მისი აგება დაიწყო 1865 წ. სამლოცველოები ჰქონდათ სოფლად მცხოვრებ ბერძნებსაც, ახალშენში პირველად ააგეს ხის საყდარი. შემოწირული თანხით იმავე ადგილას 1912 წ. აშენებინათ ქვის ეკლესია, მღვდლად იყვნენ ბერძნები, რომლებიც განათლებას ლეზულობდნენ ტრაპიზონის სასულიერო სემინარიაში.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ ბათუმის ოლქში გაჩნდა ებრაული მოსახლეობაც. ბათუმში მათ ჩამოაყალიბეს ორი სათვისტომო: აშქენაზური (ევროპელი) და ქართველი ებრაელების. უმრავლესობას წარმოადგენდნენ აშქენაზები. 1882 წ. ბათუმში ცხოვრობდა 179, 1890 წ. - 862, 1897 წ. - 1182, 1917 წ. - 1148, 1920 წ. კი 1761 ებრაელი. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი (15-მდე ოჯახი სახლობდა სოფლად (კინტრიშის უბანი). ართვინის ოკრუგში ებრაელები, ფაქტობრივად, არ იყვნენ. 1902 წლის მონაცემებით იქ მხოლოდ 2 ებრაელი ცხოვრობდა.

ებრაელთა რელიგიური და სასულიერო ცენტრი სინაგოგა (შეკრების სახლი) ბათუმში პირველად არაღეგალურად დააარსეს. შემდეგ 10 წლით იჯარით აიღეს ძველი, ერთსართულიანი ხის სახლი, რომელიც 1899 წ. შეისყიდეს და დაიწყეს ქვის სინაგოგის მშენებლობა. 1922 წ. აქვე დაუარსებიათ საკვირაო სკოლაც.

ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ ქურთებიც. ისინი აქ გადმოსახლდნენ მცირე აზიიდან XVI-XVII საუკუნეებში. მათი ახალი ნაკადი ირანიდან ჩამოსახლდა 1918-1919 წლებში, ძირითადად, რელიგიური დევნის საფუძველზე. აჭარაში ქურთებს ჭოროხის სანაპირო ადგილები ეკავათ. ისინი ბარში მხოლოდ წლის ერთ ნაწილს ატარებდნენ. აქ ედგათ მიწით შელესილი ფაცხები, უფანჯრო, ერთი კარით. ოთახის შუაგულში იყო კერა. ზაფხულობით ქურთები მიემართებოდნენ ალპურ საძვრებზე, სადაც ედგათ საკუთარი ჯარგვლები.

გ. ყაზბეგი ბათუმის მიდამოებში, კერძოდ, კახაბერში ასახლებს 100 ქურთულ ოჯახს (600 სული), გონიოში - 20 კომლს (130 სული). აქედან ქურთები 1944 წელს გაასახლეს. მათი ცხოვრების კვალს ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები: ნაქურთალი (კახაბერში), ქურთი მეზრები (ჩირუხში), ქურთლული და ა.შ. ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ ევროპელებიც. 1882 წ. 19 მარტის აღწერით ბათუმში იყვნენ: 145 გერმანელი, 24 ფრანგი, 19 იტალიელი, 10 ინგლისელი და ა.შ. 1922 წ. ქ. ბათუმში სულ ცხოვრობდა 60810 კაცი. მათგან, ქართველი - 18252;

ბათუმის ოლქის სოფლის მოსახლეობა, მართალია, ძირითადად ქართული იყო, მაგრამ 1900-იანი წლებიდან აქაც ჩნდება უცხოეთნიკური ელემენტების მცირე ჯგუფები. 1917 წ. მონაცემებით კინტრიშის, გონიოს, ქვედა და ზედა აჭარის უბნებში ცხოვრობდა 53848 ქართველი, 1469 რუსი, 246 სომეხი, 2391 ბერძენი, 15 ებრაელი, 3936 - სხვა ეროვნების წარმომადგენელი. მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე განაპირობებდა კონფესიურ მრავალფეროვნებასაც. 1887 წ. ბათუმში მცხოვრებთაგან იყო: 6693 მართლმადიდებელი და სექტანტი; 3886 - ლუთერანი და კათოლიკე; 2271 - სუნიტი, 1020 - შიიტი, 933 - იუდეველი. სოფლის მოსახლეობა კი ძირითადად მაჰმადიანური იყო. ასეთი ჭრელი კონფესიური სტრუქტურა შენარჩუნდა 20-იან წლებში და შემდგომ პერიოდშიც. ოლქის ძირითად მოსახლეობას და ზოგიერთ ეთნიკურ უმცირესობას ჰქონდა საკუთარი სამლოცველო. ბათუმში არსებობდა ქართველ მართლმადიდებელთა (ახლანდელ ზ.გორგილამის ქუჩაზე) და კათოლიკეთა ეკლესიები, მაჰმადიანთათვის მეჩეთები (აზიზიის მოედანზე, რომელიც აშენდა ხანუმ ვალიდეს მიერ სულთნის შვილის აბდულ აზიზის სახელზე), სომხურ-გრიგორიანული და კათოლიკური ეკლესიები (ახლანდელ გამსახურდიას ქუჩაზე), ბერძენთა წმიდა ნიკოლოზის და წმიდა პანტელეიმონის (ახლა წმიდა ბარბარეს) ეკლესიები, ესტონელებისა და გერმანელების ლუთერანული ეკლესია, კათოლიკური ეკლესია და სხვ. აღნიშნულ სამლოცველოთაგან საყურადღებოა ბათუმის კათოლიკური ეკლესია. მისი მშენებლობა ქართველმა მოღვაწეებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა დაიწყეს 1898 წელს და განასრულეს 1902 წელს. მასში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარმოებდა, რაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ამრიგად, XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში ბათუმი იქცა ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად და საპორტო ქალაქად. ამასთან, ცარიზმი ცდილობდა დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიზაციას. ამან გავლენა მოახდინა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე და განსაზღვრა მისი ეთნიკური მრავალფეროვნება. ამის მიუხედავად, ბათუმის ოლქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მაინც ქართული დარჩა. 1877-78 წლების მთელი ომის ისტორიაში სამხრეთ საქართველოს ქართველთაგან ერთ-ერთი მთავრი ფიგურა იყო შერიფ ხიმშიაშვილი. მან დიდი როლი შეასრულა სამხრეთ-საქართველოს ქართველების დედასამშობლო - საქართველოსთან შეერთებისა და მათში საქართველოსადმი სიყვარულის გაღვივების ამ კეთილშობილურ საქმეში. ძმათა შორის ხიდის გადების ხუროთმოძღვარი იყო სწორედ შერიფ ხიმშიაშვილი. იგი თავის დროზე გაზეთ „დროებაში“ წერდა: „მუდამ ვცდილობდი ჩემი თავი და ჩემთა ძმათა გამოხსნას ჩემი ქვეყნითურთ ოსმალთა ხელიდან“. იგი აჭარის ოსმალთა ტყვეობიდან გამოხსნის მეტად მონატრე იყო, „როდესაც ჩვენ ძმებთან, ქართველებთან შევერთდით, ღამის უკუნის ბნელი ბრწყინვალე დღით გადამექცა, სიწუხრე - სიხარულად და ჭირი ღვინად შეიცვალა. ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ჩემს დღეში ქართველთა მოკეთეობას, კაცთმოყვარეობას და მიღებულებას. ღმერთმა ქნას, რომ მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება, შეერთებულებას მტკიცეთ, ძმურათ და დაშორებულ ძმებთან სულით და გულით და ყოველივე კეთილგანწყობითაო“.

შერიფი გრძნობდა, რომ აჭარა საუკუნეობით ოსმალთა მიერ იყო შემორკალული და არ აძლევდა გასაქანს, ხოლო 100 წელზე მეტ დროს უშუალოდ აწამებდა მას, ამიტომ, ქართველობას მონატრებული აჭარლები როცა დაინახავდნენ მოძე ქართველებს, აღტაცებაში მოდიოდნენ [ახვლედიანი, 1978 :169].

სწორედ, ამ მოსაზრებების არგუმენტირებული სიმყარისათვის საინტერესო შეხედულებას გადავაწყდით გიორგი წერეთლის მიერ: „მე ხშირად დავდიოდი ქობულეთში და ბათუმში. იქ ვხედავდი ბეგებს, უფროს კაცებს სიტყვა-პასუხით, ყოფაქცევით, ზრდილობით, კეთილის გულით, პურმარილით ნამდვილ ქართველებს. ჩემს დანახვაზე იმათ მოღრუბლულ სახეს სინათლე გადაჰკრავდა ხოლმე. მე ვიყავი ქრისტიანი, ისინი მაჰმადიანები, მაგრამ ჩვენ მაინც ნათესაობის და ტომობის სისხლს ვგრძნობდით, ერთმანეთის ნახვა თითქოს იმ ღრმა გულის ჭრილობას არჩენდა, მეც რომ მტანჯავდა და იმათაც კიდევ ერთიანად უფრო აწუხებდა, თითქოს იმ ერთ წუთს აუტანელი მწუხარების ცეცხლი

ორთავეს გვიქრებოდა.“ წერდა გიორგი წერეთელი გაზეთ დროებაში [დროება, 1879 :#24].

ამ დროისათვის კერძოდ, ომის წინ, ქართველი საზოგადოება სამხრეთის ძმებთან სისტემატურად გზავნიდა თავის წარმომადგენლებს: დ. ბაქრაძეს, გ.ყაზბეგს, გ.წერეთელს, გ.გურიელს, ს. ბავრელს, ი. კერესელიძეს, პ. უმიკაშვილს, ა.ფრონელს, ლ. მელიქიშვილს, ა.მეფისაშვილს და სხვ., რომლებიც ძმურ კავშირს ამყარებდნენ ქართველ მაჰმადიანებთან და სახავდნენ საერთო ღონისძიებებს. ომის პერიოდში კი შერიგ-ბეგი სიფრთხილეს იჩენდა, მას უშალო კავშირი ჰქონდა მეფისაშვილთან, რომლის საშუალებით იგი უკავშირდებოდა რუსეთის სამხედრო სარდლობას.

1878 წლამდე ბათუმი ძლიერ ჭაობიანი, უსუფთაო და მოუწყობელი იყო. როგორც ისტორიული წყაროები გვაუწყებს „იგი ბუდე იყო ყოველგვარი გადამდები სენისა“(ხ.ახვლედიანი - ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. გვ.205). ქუჩები უწესრიგოდ იყო განლაგებული, უბნები უარესად. მტავარ სანაპირო ქუჩას ეწოდებოდა „ალი-ქიისის“, დანარჩენი ქუჩები შემდეგი სახელწოდებისა იყო: „აჭარა-სოხახი“, „მეზერლუქ-ბაში“, „ჯამე-არასი“, „ჩიხმად-სოხახი“, „თელეგრაფ-სოხახი“, „აზიზიე-სოხახი“, „ბურუნ-ბაში სოხახი“, „ურუმ-(ბერძნის) სოხახი“, „ნურიე სოხახი“. იყო საპოლიციო უბნები და ქუჩები: „აზიზიე-მეჰელე“ (აზიზიეს უბანი), „აჰმედ-ფაშა-მეჰელესი“, „მუფთი-მეჰელე“ „სარისუ-მეჰელე“ და სხვ.

ქალაქის განვითარებისა და ზრდის შედეგად ბათუმის საზოგადოებრიობამ 90 კაცის სახელით 1885 წელს აღძრა საკითხი ბათუმში თვითმმართველობის შემოღების შესახებ. რუსეთში არსებული წესით, 1870 წლის 16 ივნისის დებულების მიხედვით შესაძლო იყო ქალაქებში თვითმმართველობის ხარჯები შეენახა. ამ, და სხვა მიზეზებით საქმე შეაჩერეს, ხოლო 1887 წელს ქუთაისის გუბერნატორმა - გენერალ-მაიორმა გროსმანმა მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით აღძრა შუამდგომლობა ამიერკავკასიის მთავარმართებლის წინაშე ქალაქის თვითმმართველობის ჩამოყალიბების თაობაზე. შემდეგ დონდოკოვ-კორსაკოვის განკარგულებით, იმავე წლის ნოემბერში შეიქმნა კომისია და შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ 1888 წლის მარტში ეს საქმე კვლავ შეჩერდა, რადგანაც უმაღლესი საკანონმდებლო წესით არ ყოფილა შეთანხმებული. კომისიის ყველა საქმე გადაეცა პოლიციის სამმართველოს. ხოლო იმავე წლის 28 აპრილს ახალი შუამდგომლობის შედეგად მოვიდა მისი უმაღლესობის ნებართვა თვითმმართველობის შექმნის შესახებ. ამ საქმის ორგანიზაცია დროებით დაევალა გავრონსკის და შეუდგა მის ჩატარებას. 2 სექტემბერს არჩევნები დაიწყო. 25 აგვისტოს იყო 525 ამომრჩეველი. აღნიშნულ რიცხვში ჩატარდა არჩევნები, ამრიგად, 1888 წელს 4 წლის შეჩერების შემდეგ, ბათუმის ქალაქის საზოგადოება ეღირსა თვითმმართველობის ჩამოყალიბებას და მუშაობის დაწყებას. პირველი არჩევნების საბჭოს სათათბიროში შევიდნენ პირველი თანრიგის: ციბერმანი ა. ფ., კოიანდერი ა.ი., კოვალოვი ვ.ა., მელქონიანცი ო.გ., პასეკი ნ.მ., სევერიანი ა.ი., მამულოვი ი.ა., რელიგიონი ფ.ა., ცეიტლინი გ.ნ; მეორე თანრიგი: ბიკოვი დ.ი., ცოხუმოვი მ.ნ., კარა-ალაზადე ჰუსეინ-ეფენდი, ბოიანი ი.ს., ალავერდოვი ე.რ., მჭედლოვი ლ.ლ., ქეშიშ-ოღლი მ., კოჩხოვეი ი.ი., სტეფანოვი გ.ა., ტერ-ასატუროვი ნ.ბ., ცატუროვი ა.ა., ეფრემიდი ნ.პ.; მესამე თანრიგი: აბაშიძე სანჯაყ-ბეგ-ზადე-იბრაიმ-ბეგი; ოგანეზოვი ხ.ა., ხარაჩოვი დ.ფ., საბაშვილი ს.ს., როსტომ-ალა-ზადე სულეიმან-ალა, ვარშანიძე ი.გ., აბაშიძე, სანჯაყ-ბეგ-ზადე ჰუსეინ-ბეგ, მასუროვი გ.დ., დავითაია პ.ვ., შადინოვი ი.ს., მჭედლოვი გ.ლ., კორჩეტკოვი გ.ე. ეროვნების მიხედვით: რუსი - 8, ქართველი - 11, სომეხი - 10, ბერძენი - 2, ებრაელი - 2, პოლონელი - 2, გერმანელი - 1. წოდებრივი და სოციალური მდგომარეობის მიხედვით: ინჟინერი - 4, იურისტი - 2, მოხელე - 3, ვაჭარი - 14, ქიმი - 1, სამხედრო - 3, აფთიაქარი - 1 და სახლის მფლობელი - 8 [ახვლედიანი, 1978 :207].

სწრაფად ვითარდებოდა ბათუმში საქალაქო სასწავლებელთა რიცხვი. 1880 წლის ბოლოს დაიწყო ზრუნვა საქალაქო სასწავლებლის გასახსნელად. სადაო შეიქმნა სკოლის ტიპისა და სწავლების საკითხი. დავა უნდა გადაეწყვიტათ ქალაქის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გადაწყვეტილებით. ხელისუფლება მოხერხებულად სარგებლობდა ყალბად შედგენილი სტატისტიკით, რომლის თანახმად კუთხური ნიშნით დანაწილებული ქართველობა, მოქალაქეთა უმცირესობას ქმნიდა. ეს საშუალებას აძლევდა რუს მოხელეებს სკოლის თუ სხვა დაწესებულებათა საკითხი მათ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ. ასევე, ქალაქში სხვადასხვა აღმსარებლობის მაღიარებლები მოითხოვდნენ სკოლაში სწავლების წარმართვას თურქულ, რუსულ, ქართულ და სხვა ენაზე. ბოლოს, მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილების შედეგად, დაარსდა რუსული საქალაქო სასწავლებელი, რომელიც გაიხსნა 1881 წლის 1 ივლისს. ეს სასწავლებელი შემდეგ ექვსკლასიანად გადაკეთდა. სკოლაში სწავლობდნენ შვიდიდან

თოთხმეტიწლის ასაკის მოსწავლეები. აღნიშნულ სასწავლებელში რუსებთან ერთად საკმაოდ დიდ ნომრით ჩაირიცხნენ ქართველი მოზარდებიც. 1882 წელს დაარსდა ბათუმის ქალთა სასწავლებელი, რომელსაც 1890 წელს ეწოდა მარინეს ქალთა სასწავლებელი. მარინეს ქალთა სასწავლებელი განსხვავდებოდა სხვა დანარჩენისაგან იმით, რომ სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელი იყო და სასწავლო პროგრამა შეესაბამებოდა გიმნაზიის პროგრამას. სწავლებლის უპირატესობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს შეეძლოთ მუშაობის დაწყება. გოგონებს ძირითადი დისციპლინების გარდა, ასწავლიდნენ ხელსაქმესაც. 1898 წელს ბათუმში გაიხსნა ქალთა პირველი ქართული დაწყებითი სასწავლებელი 50 მოსწავლეზე. გამგედ დაინიშნა წმიდა ნინოს სახელობის ქუთაისის სასწავლებლის კურსდამთავრებული, მასწავლებელი დ. კეჭერაძე. ძალიან საინტერესო ფაქტია ისტორიულ წყაროებში ქალთა გიმნაზიაზე. 1897 წელს, როცა გაიხსნა ვაჟა კლასიკური გიმნაზია, შემდეგ დაიწყო მუშაობა ქალთა გიმნაზიის დასაარსებლად. ასეთი გიმნაზიის გახსნის სასტიკი წინააღმდეგი იყო როგორც ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობა, ასევე კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველი, პირწავარდნილი შოვინისტი იანოვსკი. ბოლოს ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა შეძლეს საქმის მოგვარება. 1897 წელს ქალაქის თვითმმართველობაში, ხმოსანმა, ბათუმში ცნობილმა პოდპოლკოვნიკმა ნ. დუმბაძემ, წერილობითი წინადადება შეიტანა ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნის აუცილებლობის თაობაზე. წინადადება განიხილეს და გადაწყდა, რომ მარინეს სახელობის ქალთა სასწავლებლის ბაზაზე გახსნილიყო ქალთა გიმნაზია, მაგრამ 1899 წელს ქალაქის ხელისფულებამ გამონახა საბიუჯეტო სახსრები და ეს გადაწყვეტილება შეიცვალა - 1900 წელს გაიხსნა ბათუმის ქალთა გიმნაზია, მისთვის სპეციალურად აგებულ შენობაში, სადაც დღეს ბათუმის დავით აღმაშენებლის სახელობის #2 საჯარო სკოლაა).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ხ., 1978. „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, ბათუმი.
„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტომი 3, რედაქტორები: სურგულაძე აბელი, სიორიძე მალხაზი, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახლმეწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი 2008;
2. ფალავანდიშვილი გ., 2001. „ბათუმის კულტურული ცხოვრების ისტორია (XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში)“. ეროვნული ხელნაწერთა ცენტრი.
3. Френкель А. 1878. Очерки Чурук-су и Батума, Тифлис;
4. გაზეთი „დროება“, #24. 1879;

ყალბი ფულის საქმე (ბათუმი - XX საუკუნის დასაწყისი)
Case of fake money (Batumi - beginning of XX century)

ირინე ვარშალომიძე

სსიპ აჭარის მუზეუმი, ამირან კახიძის სახელობის
აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერმუშაკი
აკადემიური დოქტორი

ნინო ძნელაძე

სსიპ აჭარის მუზეუმი, ამირან კახიძის სახელობის
აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის უფროსი მეცნიერმუშაკი
აკადემიური დოქტორი

გიური ქათამაძე

ბსუ - ასოცირებული პროფესორი

IRINE VARSHALOMIDZE

LEPL Ajara Museum, Researcher of Amiran Kakhidze

Ajara Archa-eological Museum, PhD in History

NINO DZNELADZE

LEPL Ajara Museum, Senior Researcher of Amiran Kakhidze

Ajara Archaeological Museum, PhD in History

GIURI QATAMADZE

BSU - Assoc. Professor

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2024.01.005>

აბსტრაქტი: ფულადი ნიშნების დამზადების პროცესი ხარისხისა და ღირებულების უზრუნველყოფისა და ფალსიფიკაციის თავიდან აცილების მიზნით ყოველთვის მკაცრად კონტროლდებოდა. ფულის გაყალბების საკითხი მწვავედ იდგა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში და დიდი გასაქანი ჰქონდა მე-20 საუკუნეში, განსაკუთრებით პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს. თითქმის ყველა ქვეყანა ცდილობდა დაებეჭდა მოწინააღმდეგე ქვეყნის ფულის ნიშნები და მიმოქცევაში გაშვებით ამ ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი ზარალი მიეყენებინა. ზოგი ქვეყანა უფრო შორს მიდიოდა და მოკავშირე ქვეყნების ფულსაც აყალბებდა.

XIX ს-ის II ნახევარში ბათუმის, როგორც სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქის ფუნქციამ გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ნიშნების მრავალფეროვნება. თავისუფალი ვაჭრობის და ფულადი მეურნეობის არნახულად განვითარებამ კი გამოიწვია ფალსიფიცირებული ფულის დაბეჭდვა და ტრიალი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო დოკუმენტები აღმოჩნდა დაცული აჭარის საარქივო სამმართველოში.

საკვანძო სიტყვები: ფული, ყალბი, ბათუმი, ბანკი, ბანკნოტი

Abstract: The production of currency has historically been subject to rigorous control mechanisms aimed at ensuring its quality, maintaining its value, and preventing counterfeiting. The phenomenon of currency falsification dates back to antiquity and gained significant momentum in the 20th century, particularly during the First and Second World Wars. Nearly all nations engaged in the strategic counterfeiting of enemy currencies, seeking to destabilize opposing economies through the introduction of forged banknotes into circulation. In certain instances, countries even extended such operations to include the currencies of their allies.

In the second half of the 19th century, Batumi's role as a trade and transit city led to a diversity of currencies from different countries. The rapid development of free trade and monetary systems also contributed to the print and the circulation of counterfeit money. Documents preserved in the Ajara Archival Department provide valuable information on this issue.

Key words: money, counterfeit, Batumi, bank, banknote

სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024-2025 წწ. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტის ფარგლებში.

ფული ყველაზე უტყუარი დოკუმენტი და ისტორიული ძეგლია, რომელიც მოგვითხრობს მისი მოჭრის დროისათვის ქვეყნის განვითარების, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ფულის ემისია სახელმწიფო კომპეტენციაა. ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა ქვეყნის მმართველები მკაცრად აკონტროლებდნენ მონეტების დამზადების პროცესს, ერთის მხრივ მონეტების ხარისხისა და ღირებულების უზრუნველყოფის, და, მეორეს მხრივ, ფულის გაყალბების (ანუ ფალსიფიკაციის) თავიდან აცილების მიზნით. ფულის გაყალბების საკითხი მწვავედ იდგა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, სადაც მკაცრი კონტროლის არარსებობის პირობებში, ხშირად ხდებოდა მონეტებში ძვირფასი ლითონის შემცველობის შემცირება და ამ გზით მონეტების გაყალბება. ყალბი ფულის დამზადებამ დიდი გასაქანი ჰპოვა მე-20 საუკუნეში. განსაკუთრებით პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს. თითქმის ყველა ქვეყანა ცდილობდა დაებეჭდა მოწინააღმდეგე ქვეყნის ფულის ნიშნები და მიმოქცევაში გაეშვა, რითაც ქვეყნის ეკონომიკას დიდ ზარალს აყენებდა. ამ საქმეში ყველაზე წარმატებული გერმანია იყო, რომელიც მოკავშირე ქვეყნების ფულსაც კი აყალბებდა.

ფულადი მიმოქცევის კვლევა XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისის ბათუმში, აქტუალური საკითხია, რადგან მჭიდროდაა დაკავშირებული აქ მიმდინარე გლობალურ ისტორიულ პროცესებთან და სრული ობიექტურობით ასახავს მას. აღნიშნული საკითხი საგანგებოდ არავის შეუსწავლია. საკითხის შესწავლისათვის ძირითადი ბაზაა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ამავე პერიოდის ნუმისმატიკური მასალა. მონეტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევ პერიოდში სამონეტო მიმოქცევაში დომინანტური იყო რუსული ფული, შემდეგ ოსმალური, ირანული, მიმოქცეოდა ევროპის წამყვანი ქვეყნებისა და მათი კოლონიების მონეტები [ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021:45/46]. XIX ს-ის II ნახევრის რუსეთის და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ნიშნების მრავალფეროვნება დაკავშირებული უნდა იყოს ბათუმის, როგორც სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქის ფუნქციასთან [ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021:45]. აქ გამავალი სავაჭრო გზა ინგლისს ირანთან აკავშირებდა. მისი ხელსაყრელი ნავსადგური ინტენსიურ საქონელბრუნვასა და, შესაბამისად, უცხოური ფულის მიმოქცევას განაპირობებდა, რაც კიდევ უფრო გაიზარდა ბრიტანელთა ინიციატივით ქალაქის ერთი ნაწილის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შემდეგ. 1878-1886 წწ-ში ბათუმში უბაჟო (თავისუფალი) საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეჟიმი ფუნქციონირებდა. იგი გახდა სავაჭრო-სასაწყობო ცენტრი, სადაც ევროპული საქონლით ვაჭრობამხოლოდამზონაში შეიმდებოდა. აქ შემოდიოდა რუსეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, ოსმალეთის, ირანის, ინგლისის, ავსტრია-უნგრეთის, საბერძნეთის, გერმანიის გემები [სურგულაძე, 2008:272]. სავაჭრო ურთიერთობებს მოჰყვებოდა ამ ქვეყნების ფულადი ნიშნების შემოღობვა [ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021:45]. ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის წყალობით, მაშინდელი რუსეთის იმპერიის ამ ნაკლებდასახლებული განაპირა პროვინციით დაინტერესდნენ ცნობილი ნავთობმრეწველი ინვესტორები. გაჩნდა მაშინდელ მსოფლიოში ყველაზე გრძელი - ბაქო-ბათუმის ნავთობსადენიც, რომელმაც ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად გაზარდა. ნავსადგურში შემოსული გემების მომსახურება, საწყობების დაქირავება, ტრანზიტით საქონლის გატანა და ტრანსპორტირებისას მისი დაცვა ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რითაც სოლიდური თანხები შემოდიოდა.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების, კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ და ვაჭრობის გაფართოებამ გაზარდა კრედიტის მნიშვნელობა. დღის წესრიგში დადგა საბანკო სესხების საჭიროება. 1890 წელს ბათუმში ამოქმედდა თბილისის კომერციული ბანკის განყოფილება, რომელიც აქტიურად ჩაება ქალაქისა და ნავსადგურის ფინანსურ საქმიანობაში [ბენდიანიშვილი, 2008:259]. აჭარის არქივში (ფონდი №ი-45) დაცულია ბათუმში ბანკისათვის შენობის და მიწის გამოყოფის, დაარსებისა და ფუნქციონირების შესახებ საინტერესო მასალა.

ბათუმში თავისუფალი ვაჭრობის და ფულადი მეურნეობის არნახულად განვითარებამ გამოიწვია ფალსიფიცირებული ფულის ტრიალიც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტად ინფორმაციულია

აჭარის არქივში დაცული დოკუმენტები.

აჭარის საარქივო სამმართველოს მასალებში დაცულია დოკუმენტები გრიფით: საიდუმლოდ¹, სადაც მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა ღირებულების მქონე (3, 5, 25 რუბლი) ყალბი საკრედიტო ბარათების შესახებ, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ყველა დეტალი. მაგ. მე-19 რიგის გაყალბების მქონე 5 რუბლის ღირებულების ყალბი საკრედიტო ბარათების ქაღალდი სადა საფოსტოა, შიდა ნიშნები გაკეთებულია ჩაწნევის ხერხით. დაბეჭდილია ლითოგრაფიულად, გილიოტინირებული ბადის ორნამენტი და მორთულობა გაკეთებულია უხეშად და არასწორად: ბანკნოტის შუბლზე საგერზე არწივის ორივე მხარეს დეკორაცია შედგება არა წერტილოვანი ორნამენტისაგან, არამედ უწესრიგოდაა გაფანტული. ორთავიანი არწივის მარცხენა თავი უფრო პატარაა, ვიდრე მარჯვენა. შრიფტი არასწორია, განსაკუთრებით ზურგის მხარეს, ორთოგრაფიული შეცდომებით (ტაბ. I,2). საკრედიტო ბარათების აღწერები დანართად ახლავს, მაგალითად, ფოთის პირველი კლასის საკარანტინო-საბაჟო კანტორის მიმართევებს (№2260, 6/08/1866, მიღებულია 1866 წლის 10 აგვისტოს) ნიკოლოზის საკარანტინო-საბაჟო საგუშაგოსადმი, რომელსაც თან ერთვის ზუსტი და დაუყოვნებლივი შესრულებისთვის ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორის აღწერის ასლი, 1866 წლის ივლისის 14 რიცხვით დათარიღებული, №7011, მხარეში ყალბი საკრედიტო ბარათებისა და მონეტების შემოტანის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ (№2263 6/08/1866, მიღებულია 1866 წლის 10 აგვისტოს), რომელსაც თან ერთვის ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ მიმოქცევაში გამოჩენილი ყალბი საკრედიტო ბარათების აღწერილობის თითო ეგზემპლარი. აღწერებში მითითებულია, რომ წყლის ნიშნები ორიგინალისას მიმსგავსებულია პემზის მემკვიდრით და წყლის ნიშნები და ბეჭედი კარგადაა შესრულებული (ტაბ. I, 3).

გარდა უცხოეთიდან შემოსული ბანკნოტებისა, ყალბი ფული იბეჭდებოდა ჩვენს რეგიონშიც. საარქივო დოკუმენტაციამ გამოკვეთა ყალბი ფულის საქმე ბათუმში². საქმესთან დაკავშირებით პირველი დოკუმენტი 16 ივნისის №5749 ტელეგრამაზე პასუხია: სამტრედიაში ქუთაისის ადმინისტრაციის მიერ დაკავებულმა მოქალაქე ხურცილავამ ჩვენებაზე თქვა, რომ დაზგა ყალბი საკრედიტო ბარათების ფაბრიკაციისათვის ინახება ორთაბათუმში, მემედ ფადავას სახლში. 16 ივნისს ჩხრეკის შედეგად ვერაფერი იპოვეს. შეხედნენ მემედ ინან-ოღლის, რომელმაც 25 რუბლის სანაცვლოდ მიუთითა ადგილი, სადაც ინახებოდა დაზგა: ალექსი გაგუას³ სახლი ბარცხანაში.

16/06/1908 №129 სამხედრო სამმართველოს ბათუმის ოლქის უფროსის პატაკიდან ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისა და ქ. ბათუმისა და კინტრიშის უზნის მთავარსარდლისადმი, ჩანს, რომ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოგზავნილი პრისტავის ფაქულისა და მილიციის იუნკერ იუსუფ-ბეგ აზაბ-აღაზადეს მეთაურობით ჩატარდა ჩხრეკა სოფ. ბარცხანასა და ორთაბათუმში შესული ინფორმაციის საფუძველზე (ტაბ. I, 1-2). ჭყონიას კუთვნილი ნაკვეთის არენდატორს, გოგუას (!) აღმოუჩინეს სამხარეულოში, მიწაში ჩაფლული ლითოგრაფიული დაზგა 2 დიდი და 1 პატარა ლითოგრაფიული ქვით, რომელიც, როგორც ჩანს, 100-რუბლიანი ყალბი საკრედიტო ბარათის ფაბრიკაციისთვის იყო გამოყენებული, რომელიც ამ დროისათვის დიდი რაოდენობით იყო მიმოქცევაში ქუთაისის გუბერნიაში (4000 რუბლი ქუთაისში და 16000 - სამტრედიაში). ქუთაისის აგენტურაში არსებული ინფორმაციით, ეს ფული იბეჭდებოდა სამმართველოში დაშლილ მდგომარეობაში მყოფ დაზგასა და ქვებზე. დააკავეს: ჭყონიას ნაკვეთის არენდატორი ალქსანდრე გოგუა, რომელიც მიწაში მაღავდა დაზგას, მისი ცოლისძმა პარმენ ჩიხვაია, ასევე, მეტყევე მიხაკო ყრუაშვილი, რომელმაც ჩამოუტანა გოგუას ურმით დაზგა (ყველა დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ არ არის განსაზღვრული საიდან ჩამოიტანეს დაზგა, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა ყოფილიყო გამოძიებისათვის), რომლებიც გადაიყვანეს ბათუმის მესამე უზნის გამომძიებელთან.

ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის (№3456/22 ივნისი 1908 წ.) ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი მიმართვაში ჩანს, რომ 3 და 100 რუბლის ღირებულების ყალბი ბანკნოტების საქმეში მონაწილეობენ: 1/იოსიფ კიკნაძე, მოვაჭრე ბათუმში, რომელსაც აღმოუჩინეს 15000 რუბლის ოდენობით 3 რუბლიანი ბარათები; 2/ვინმე პავლე, წიგნის მაღაზიის მფლობელი სოფ. ნურიში; 3/ვინმე ივანე, მცხ. ბათუმში პოლიციის მეორე უზნის გვერდით. საბეჭდო მანქანაზე მუშაობდნენ: სამსონ

1. ასსცსა, ფონდი №1-13, აღწერა №2, საქმე №3, ფ. 2, 4, 6; ფონდი №1-13, აღწერა №2, საქმე №4, ფ. 10, 12-13

2. ასსცსა, ფონდი №1-1; აღწერა №1; საქმე №344

3. გვარი „გოგუა“ დოკუმენტაციაში ასევე გვხვდება ფორმით „გოგუა“, რაც ორი სხვადასხვა გვარია, მაგრამ რუსულენოვანი ჩინოვნიკებისათვის ხმოვნების ამ მონაცვლეობას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

მორჟანოვი (მორჟანაშვილი), მცხოვრები თბილისში ოჯახით, ასევე, ვინმე ჩინჩაია⁴, რომელსაც იცნობს პრისტავი ჩხიკვაძე. ქვები, საღებავი და მანქანის ხრახნები ინახება ბარცხანაში (პარცხანა!), ადგილის მითითება შეუძლიათ ქუთაისის ოხრანის მმართველს იუსუფ ბეგ აზამ-მაგომედ-ზადეს და სტრაჟნიკ⁵ აირაპეტ მანუკოს.

1908 წელს 29 ივნისს ქუთაისის გუბერნიის სტრაჟნიკ მამეტ იკაკ-ოღლი ფაღავას მითითებით გაიჩხრიკა ბაკულინის სახლი მისი და მისი მეუღლის ანნა ბაკულინას (პირველი მეუღლის გვარი - ნელსკაია) თანდასწრებით, ყალბი საკრედიტო ბარათების ფაბრიკაციაში მონაწილეობის ბრალდების საფუძველზე. ჩხრეკისას გამოვლინდა დიდი რევოლვერი შენახვის ნებარვის გარეშე სამი ვაზნით, ორი ნასროლი მასრა, 2 ლითოგრაფიული ლილვი, 1 საღებავის შემრევი აპარატი (краскотерка), 3 დანა, 1 დაფა (დაზგის), 2 სქელი მქრქალი (матовое) მინა, 12 ქილა საღებავით, 3 ფანქარი და 1 ფუნჯი, 2 რკინის ქანჩი (როგორც ჩანს, ნაპოვნი ლითოგრაფიული მანქანის), ქაღალდის 1 ტომარა საღებავით, ლითოგრაფიული დაზგის 16 პატარა ზომის და 1 დიდი ზომის ხრახნი, თუჯის 2 გრდემლი და რკინის 11 წვრილი ნაწილი.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის 1908 წლის 7 ივლისით დათარიღებული №827 მინაწერი (რეზოლუცია 30/VI.) 16 ივნისის №129 პატაკის მიხედვით ბარცხანაში იგნატი ივანეს ძე ბაკულინის სახლის ჩხრეკის თანდართული ოქმის ასლით, ოქმში ნახსენები ნივთები გადაგზავნილია განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელ ბოიკოსთან, გარდა რევოლვერისა, რომლის კონფისკაციის ნებართვას ითხოვს და ბრძანებას დაეკისროს ბაკუნინს მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი შესაბამისი მოწმობის გარეშე რევოლვერის შენახვისა და ტარების გამო ბათუმის ოლქის უფროსი, პოდპოლკოვნიკი დიატლოვი.

1908 წ. 14 ივლისის ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-ლეიტენანტი ფონ-პარკაუს დადგენილების თანახმად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბაკულინს მიესაჯა 3 თვე პატიმრობა დაკავების დღიდან, ხოლო რევოლვერი ჩამოერთვა.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისა და ქ. ბათუმისა და კინტრიშის უბნის მთავარსარდლისადმი პატაკიდან (24 ივლისი 1908 წ.) ჩანს, რომ 16 ივნისს ორთაბათუმში, გაგუას სახლში აღმოჩენილი ლითოგრაფიული დაზგის ნაწილი ინახება ყოროლისთავში, აგენტი-მცველის მეშვეობით ინან-ოღლის მამის, შირინ ინან-ოღლის სახლში, ჩხრეკისას აღმოჩენილია ბანკნოტების სამრობი მანქანა მოწყობილობებით, მარტინის ტიპის იარაღი, და ხიშტი №188297. შირინ ინან-ოღლიზე ადმინისტრაციული ჯარიმის მოთხოვნა უსაბუთო იარაღის შენახვისა და ტარებისათვის.

ბოლო ინფორმაცია ყალბი ფულის საქმესთან დაკავშირებით სამხედრო გუბერნატორის №1625/11 აგვისტო 1908 წ. დათარიღებული წერილია ქუთაისის ოლქის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გამომძიებლისადმი, რომელიც ინტერესდება ყალბი ფულის საქმესთან დაკავშირებული პირების იოსებ ანტონის ძე ქინქლაძისა და ფილიპე იესეს ძე გიორგაძის ბედი, არიან თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული, რაზედაც იღებს გამომძიებელ ბოიკოს პასუხს, რომ დასახელებული პირები მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში და არ ექვემდებარებიან ბათუმის ციხიდან გათავისუფლებას.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ბათუმში ყალბი ფულის ბეჭდვის შემთხვევა იყო ორგანიზებული და კარგად მომზადებული ჯგუფური დანაშაული, რომელშიც არაერთი პირი მონაწილეობდა. უნდა ითქვას, რომ მსგავსი სურათი შეიმჩნეოდა რუსეთის იმპერიის ბევრ გუბერნიაში. იყო როგორც ერთეული, ისე მასობრივი გაყალბების შემთხვევები [Lobov, 2017:112]. მეფის მთავრობა XIX ს 60–იან წლებში ქაღალდის ნიშნების დასაცავად მიმართავდა აქტიურ ზომებს: ხშირად იცვლებოდა კუპიურების დიზაინი, დაიწყეს ძვირადღირებული მეტალოგრაფიული ბეჭდვის მეთოდის გამოყენება, რასაც პასუხად მოყვა გაყალბებული ფულის დამზადების ისეთი მაღალი ხარისხი, რომ 1866 წლის 50 რუბლის ღირებულების ბანკნოტების ტირაჟი შეწყდა [Lobov, 2017:112]. სახელმწიფოს მიერ 25 და 50 რუბლიანი ყალბი ბანკნოტების ამოღების შემდეგ სტატისტიკამ აჩვენა, რომ ფინანსურ ნაკადში მოძრაობდა დაახლოებით 70 მლნ მანეთის ღირებულების მქონე ყალბი ბანკნოტები. XIX ს 90–იან წლებში, გამოიყენებოდა საკმაოდ შრომატევადი, მაღალტექნოლოგიური ტიპოგრაფიული მეთოდი. საიმედოდ და გაყალბებისგან დაცულად ითვლებოდა ივან ორლოვის მიერ 1890 წ. გამოგონებული ერთგასვლიანი

4. გვარი „ჩინჩაია“ არ არის ცნობილი. შესაძლოა, იშვიათი გვარია ან ამ შემთხვევაშიც გვარი დაუდევრადაა ჩაწერილი

5. იმპერიული რუსეთის გუბერნიის პოლიციის რიგითი, პატრულის ფუნქციით

მრავალფერიანი ბეჭდვა სახელმწიფო ვალუტის დასამზადებლად, ე. წ. „ორლოვური ბეჭდვა“ [Углева, 2011:413]. ეს განსაკუთრებით იცავდა გაყალბებისაგან 50, 100 და 200 რუბლის ღირებულების კუპიურებს, შესაბამისად, იმატა დაბალი ნომინალების გაყალბების რიცხვმა, რაც კარგად ჩანს ჩვენი მასალიდანაც (კუპიურების ნომინალის ჩამონათვალი საკარანტინო-საბაჟო კანტორის სხვადასხვა საგუშაგოებისადმი მიმართვებიდან). რასაკვირველია, განსაკუთრებით დახელოვნებულმა გამყალბებლებმა ორლოვის მეთოდიკა შეისწავლეს და აითვისეს, მაგრამ ამისათვის ჯგუფებად (!) მუშაობა და ზუსტი მოწყობილობები იყო საჭირო. მექანიზმის ცალკეულ ნაწილებს ისინი უკვეთავდნენ სხვადასხვა ქალაქების (ბერლინი, ლაიპციგი, ჰანოვერი) ქარხნებში, რაც ეჭვს არ ბადებდა ამ ნაწილების გამოყენების საბოლოო მიზანზე.

ბათუმის „ყალბი ფულის საქმე“ სახავს პერსპექტივებს შემდგომი კვლევისათვის აჭარის მუზეუმში რუსეთის იმპერიის ყალბი ბანკნოტებისა და მონეტების იდენტიფიცირების, შესწავლისა და სამეცნიერო მიმოქცევაში დანერგვის კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი (ასსცსა), ფონდები №ი-13, ი-1
2. ბენდიანიშვილი ა. (2008), ვაჭრობა და საბანკო-საკრედიტო ურთიერთობანი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III , ბათუმი
3. ვარშალომიძე ი., ძნელაძე ნ. (2021), ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი, ბათუმი
4. სურგულაძე ა. (2008), პორტო-ფრანკო ბათუმში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, ბათუმი
5. Углева Е.Ю. (2011), Способы подделки и защиты бумажных денежных знаков: история и современность, Вестник Нижегородской академии МВД России, №1(14), с. 411-415
6. Lobov A.V. (2017), On The Issue of Fake Money History And Financial Tools in The Russian Empire (1861-1917) <https://doi.org/10.23670/IRJ.2017.58.033>

В.Н.У.
НАЧАЛЬНИК
БАТУМСКАГО
ОКРУГА
БАТУМСКОЙ ОБЛАСТИ

Воспитному Губернатору Батумской области и главному начальнику гор. Батума и канцелярскому участку.

16. I Юн 1908.

г. Батумь.

Репортъ.

Сего числа явившимся ко мнѣ, командиру по назначению Г. Вр. Кутаисскимъ Генералъ-Губернаторомъ Приказомъ г. Кутаиса Начальникъ и пикетомъ милиціи "Судьба-бокомъ" извѣстно, что съ этими лицами въ то время, по приказу вѣд. Банку отряженными во главѣ двухъ старшихъ и одного младшаго урядниковъ, произведенными въ сел. Вархана и Сра-Батумъ обшлагомъ, на участіи (коніи у арендатора послѣднего Гогуа обнаружены законными въ землѣ литовской станокъ съ двумя большими и однимъ малымъ литовскимъ камнемъ, очевидно предназначеннымъ для обработки стопуловыхъ, а также и прокатныхъ билетовъ, появившихся въ послѣднее время въ большомъ количествѣ въ Кутаисской губерніи (по 4000 руб. въ Кутаисѣ и до 16.000 руб. въ Самтреліи), каковыя деньги, по извѣщанію въ г. Кутаисѣ агентурнымъ сообщеніемъ, дѣлались на найденности и находились въ видѣ възрѣвшихъ на управленіи въ въвозномъ

НОМЪ ВМѢ СТАВКѢ И КАМНЯХЪ.
 Замѣчаніе: арендаторъ участка Чковін-Алѣ-
 сандръ Гогуръ, Кривинскій у себя ставокъ закончи-
 нымъ, и его пудки Парменъ Чихвалъ, а также при-
 вѣнскій этотъ ставокъ къ Гогуръ неизвестно откуди
 на своей ярості подсовываетъ Минако Крушанинъ выст-
 оя самъ препровожденъ черезъ Подлиннаго мастера гор-
 натура савловатомъ 3-го савловскаго участка.
 О чемъ доводу вашему Превосходительству.

Ш О Д О Л О К О В И К *В. Р. М.*

Директоръ извѣститель.
 Коллежскій секретарь *Крушанинъ*

Копия
Секретно 12

Описание
Рамки для кредитных билетов
З рублевой стоимости,
19 года подделки.

Бумага обыкновенная полая,
в которой внутренние знаки
произведены вдавливанием.
Весь билет напечатан много-
цветным способом.
Узоры швейцарской стилистики
и украшенные орнаменты
узоры и неграмотные. Также на
примечания: овальные украшения

//

[illegible]

ევროპის სახელმწიფოების დაინტერესება
ბათუმის ოლქით პირველი მსოფლიო ომის წინ
Interest of European Countries to Batumi district before the First World War

ოთარ გოგოლიშვილი

სსიპ აჭარის მუზეუმი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის
სახელობის მუზეუმის მმართველი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

OTAR GOGOLISHVILI

LEPL Ajara Museum, Head of Khariton Akhleviani Museum
PhD in History, Professor

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2024.01.001>

აბსტრაქტი: 1915 წელს რუსეთის ჯარების წარუმატებლობა დაბრალდა აჭარის ადგილობრივ მოსახლეობას. რუსებმა ადგილობრივი მოსახლეობა მოალაქეებად გამოაცხადეს და მოუწყვეს სამარცხვინო სასამართლო პროცესი. მათ შეძლეს რამდენიმე ადამიანის სიკვდილით დასჯა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის მძლავრი პროიტესტის გამო და გავლენიან ადამიანთა დიდი აქტიურობის შედეგად შოვინისტებმა ვერ შეძლეს მათი ბინძური საქმის ბოლომდე მიყვანა. რუსებმა მაინც მოახერხეს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის აჭარიდან სხვადასხვა ადგილებში გადასახლება, ძირითადად რუსეთის ტერიტორიაზე, ბოლოს ხალხის დიდი ზეწოლის შედეგად მათ უკან დაიხიეს და მოუხსნეს შეთითხნილი ბრალდება მოსახლეობას და „აღიარეს შეცდომა“, მაგრამ ეს სამარცხვინო მოქმედება იმპერიალისტებისა სამუდამოდ დარჩა ხალხის მეხსიერებაში.

საკვანძო სიტყვები: პროტესტანტი, აწარა, ბრალდება, ჯარები.

Abstract: In 1915, the failure of the Russian army was blamed on the local population of Adjara. The Russians declared the locals to be “traitors” and staged a “shameful” trial. They managed to execute several individuals, but due to the strong protests of the Georgian population and the active involvement of influential figures, the chauvinists were unable to carry out their “vile plans” to completion. Nevertheless, the Russian authorities succeeded in deporting a significant portion of the population from Adjara to various locations, primarily within Russian territory. Eventually, under intense public pressure, they withdrew the fabricated charges against the population and “admitted their mistake.” However, this “disgraceful act” by the imperialists remains deeply etched in the memory of the people.

Keywords: protest, Ajara, accusation, military forces.

1914 წელს აგვისტოში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ამ ომში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ერთი მხრივ: გერმანია, ავსტრია, ბულგარეთი და თურქეთი და მეორე მხარეს კი ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი. ამ ომში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კავკასიის რეგიონს, განსაკუთრებით კი ბათუმის ოლქს. 1914 წლის წინა პერიოდის თითქმის ყველა მიმოწერა იმპერიის ცენტრიდან კავკასიაში შეეხებოდა ბათუმის ოლქს და იქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ჩვენ, რუსეთის, კერძოდ პეტერბურგისა და მოსკოვის, თბილისისა და ბათუმის არქივებში ხანგრძლივი მუსაოხის შედეგად გამოვავლინეთ არა ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შეეხება სწორედ ზემოთ თქმულს. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფართო საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა არა ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ააშკარავებს მეფის რუსეთისა და სულტანის თურქეთის მგლურ, ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. ეს საინტერესოა იმდენად რამდენადაც დღეს საქართველო იმყოფება, ცოტა განსხვავებულ მაგრამ მსგავსს სიტუაციაში. ამიტომ სიფრთხილე ყოველთვის იყო ის მთავარი საშუალება, რომელიც იძლეოდა თავის გადარჩენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უდიდეს შანსს. სწორედ რომ ეს სიფრთხილე გვმართებს დღეს.

1913 წლის 27 სექტემბერს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან საიდუმლო წერილები მიუვიდა კავკასიის მეფისნაცვალის კანცელარიას, სადაც ეწერა: „თურქეთში მიმდინარეობს აშკარა საომარი მზადება და სულ არ არის გამორიცხული გაახშირონ პროვოკაციები ჩვენს წინააღმდეგ. იქ ჩამოყალიბდნენ „ახალგაზრდა თურქთა“ ორგანიზაციამ გააძლიერეს პანისლამისტური პროპაგანდა თურქეთის საზღვრებს გარეთ. მათი სურვილია ისლამის აღორძინება სხვა ქვეყნებში. ამ მიზნი მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს რუსეთის იმპერიას, სადაც ცხოვრობს მრავალრიცხოვანი მუსლიმანური მოსახლეობა და მათ შორის ისლამის აღორძინება შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს თურქეთისათვის, მისი ურთიერთობის გასამწვავებლად რუსეთთან. ამ მიზნით თურქების მიერ რუსეთში გაგზავნილ იქნა ვაჭრებისა და ხოჯების სახით „ახალგაზრდა თურქების“ მომხრე ხალხი. ემისრები გაიგზავნა ვოლგაზე, ყირიმში, შუა აზიასა და კავკასიაში. გამომდინარე აქედან მიიღეს გადამჭრელი ზომები, რათა კავკასიაში, ჩვენი სტრატეგიულად ამ მნიშვნელოვან მხარეში, მტრებმა ვერ აწარმოონ ძირგამომთხრელი საქმიანობა. ამის დიდი სურვილი ექნებათ, რადგან ისინი დიდი ხანია ოცნებობენ ჩვენს გამოძევებას კავკასიიდან და იქ გაბატონებას. გეგალებათ; 1) დააწესეთ ემისრებზე განსაკუთრებული ყურადღება 2) ყურადღება გაამხვილეთ პანისლამური იდეების გავრცელებაზე და სასტიკად წინ აღუდგეთ მას ყოველი საშუალებებით, 3) დააწესეთ ტვალთვალი ყველა უცხოელზე, განსაკუთრებით მაჰმადიანებით დასახლებულ ადგილებში, 4) განსაკუთრებით კონტროლზე აიყვანეთ ის ხოჯები, რომლებმაც განათლება მიიღო უცხოეთის სასულიერო ცენტრებში“. [1]. ასეთი წერილები მეტროპოლიიდან არა ერთი გამოიგზავნა. თავის მხრივ კავკასიის მეფისნაცვალი ავალეზდა ბათუმის ოლქის გუბერნატორს, რადგან ეს ოლქი განსაკუთრებით ახლოს მდებარეობდა თურქეთთან და ცენტრიდან გამოგზავნილ ყველა წერილში მოხსენიებულია ეს ოლქი. 1913 წლის 30 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალის კანცელარიიდან წერდნენ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს: „შეისწავლეთ და წარმოადგინეთ ყველა იმ უცხოელის ვინაობა, რომელიც ბათუმში ცხოვრობს“. ქუთაისის ჟარდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში აცნობებდა სამხედრო გუბერნატორს 1913 წლის 2 ოქტომბერს „განსაკუთრების აღსანიშნავია მეჩეთი „აზიზიე“, რომელიც ხდება ბათუმის ოლქის პანისლამისტური იდეების გავრცელების ცენტრი. ისიც აღსანიშნავია, რომ იქ ხშირად დადიან თურქეთიდან ემისრები და იქვე ოტახში აქვთ რაღაც საიდუმლო შეხვედრები. ამ მეჩეთში ხშირად შეიმჩნევიან „ახალგაზრდა თურქთა“ წარმომადგენლები. რაც შეეხება პოლიციას, სადაც უმრავლესობა მაჰმადიანი „ტუზემცები“ არიან, ძნელია მათდამი ნდობა, რადგან ისინი იოლად მოექცევიან პანისლამისტური გავლენის ქვეშ. მიზანშეწონილია პოლიციის გაძლიერება რუსული ელემენტებით“ [2]. მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა. მიუხედავად მეფის რუსეთის მხრიდან გატარებული მკაცრი ღონისძიებებისა, 1913 წლიდან ბათუმის ოლქში თურქეთი, გერმანია დიდი რაოდენობით გზავნიდა აგენტებს მოსახლეობის ასაბუნიტებლად. 1913 წლის 17 ოქტომბერს კავკასიის მეფისნაცვალის კანცელარია შემფოთებით წერდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს: „მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, თქვენ ოლქში შეიმჩნევა ოსმალური სადაზვერვო საქმიანობის გააქტიურება. თქვენ ვერ შეძელით რუსული გავლენის ისე გაძლიერება, რომ მტრების ვერავიტარი პროპაგანდა ვერ შეგვაშინებდა (ხაზგასმა ჩვენი -ო.გ). ამ მიმართულებით თქვენი ადმინისტრაციის საქმიანობა სავსებით არაადამაკმაყოფილებელია“. [3]. ჩვენი აზრით უადრესად საინტერესოა ბათუმის ოლქის გუბერნატორის 1913 20 ოქტომბრის საპასუხო წერილი, სადაც გაშიშვლებულია ის ვერაგული პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი ატარებდა ამ მხარეში: „თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ ვცდილობთ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა გავაძლიეროთ რუსული ელემენტები ბათუმის ოლქში. მაგრამ სანამ ამას გავაკეთებდით ჩვენ ვცდილობდით ერთმანეთისთვის წაგვეკიდებინა ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები. ამ მიზნით ვეცადეთ მოგვესყიდა არა ერთი გავლენიანი ქართველი მაჰმადიანი, შევამდიეთ დიდძალი ტანხა, შევადგინეთ მოქმედების გეგმა. სამწუხაროდ, ყველა მოქმედება წარუმატებელი იყო. პირველად შევეცადეთ აზაშიძეების ამხედრება, ვინ არ მივუგზავნეთ მათ, მაგრამ ისინი რატომღაც ყველაფრისგან შორს იჭერდნენ ტავს. ვცადეთ ხიმშიაშვილების გამოყენება, მაგრამ მიზანი აქაც მიუღწეველი გახდა. მაშინ გადავწყვიტეთ თურქი ეროვნების ხალხის დაპირისპირება ქრისტიანებთან, ამისათვის, მოვაწყეთ ატასი პროვოკაცია, მაგრამ შედეგი არაფერი. რაც შეეხება რუსებს, ამ საქმეში ისინი პირდაპირ ვერ ჩავაბით, რადგან სააგიტაციო მანქანა ამ შემთხვევაში მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. როგორც ჩანს

დაწყველილი მხარეა ამ მიმართულებით. საჭიროა სხვა მეთოდების გამოყენება, შემუშავება ისეთი პროგრამისა, რომელიც ფრთებს შეასხამს ჩვენს შორსმიმავალ ამოცანებს“ [4]. აქ სესანიშნავად არის ანჩვენები ის პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი ატარებდა ამ კუთხეში. ტავის მხრივ არც თურქეთის მხარე უდებდა ტოლს ვერაგულ განზრახვაში მის მოწინააღმდეგეებს. მაგ. 1913 წლის 29 ნოემბერს ერთ-ერთი თურქ ემისარს ჩამოართვეს პროკლამაცია, რომელიც მა გაუვრცელებია ზემო აჭარაში, ართვინში და ცდილობდა მის გავრცელებას ბათუმის მუსულმან მოსახლეობას შორის. პოლიცემისტერის პატაკიდან ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისადმი ვკითხულობთ: „ამა წლის (1913- ო.გ.) 21 ნოემბერს დავაკავეთ თურქეთის ქვეშევრდომი, რომლის სახელია ახმედ ყადი ოღლი. დაკავებისას მან წინააღმდეგობა გავიწია. აღმოაჩნდა პროკლამაციები, სადაც ეწერა: „დღეში ხუთჯერ უნდა ვილოცოთ თურქეთის სასარგებლოდ და რუსეთის საზიანოდ, უნდა შევევედროთ ღმერთს, რატა რუსეთი აღიგავოს პირისაგან მიწისა, შევევედროთ ღმერთს რომ თურქეთმა დაიბრუნოს ყველა ის ტერიტორია რომელიც რუსეთმა წაართვა.... მოერიდეთ ქრისტიანებთან თანამშრომლობას ისინიც გადამწყვეტ მომენტში რუსებს მიუდგებიან... პროკლამაციები აუცილებლად გააცანით ხალხს, გამოაკარით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ.“. [5]. აქაც ჩანს ის პოლიტიკა, რომლის გატარებასაც ცდილობდა ოსმალეთის იმპერია კავკასიაში და მათ შორის ბათუმის ოლქშიც.

რაც უფრო ახლოვდებოდა მსოფლიო ომი მით უფრო იძაბებოდა ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის და 1914 წლის ოქტომბერში დაპირისპირება კიდევაც გადაიზარდა საომარ მოქმედებაში. ასეთია მოკლედ, იმ მიმოწერების შინაარსი, რომელიც თვალნათლივ ააშკარავებს ორი სახელმწიფოს საქმიანობას კავკასიის მხარეში.

გამოყენებული წყაროები

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფ.1, აღწ. 1, საქ. 123, ფურც. 21.
2. იქვე. ფურც. 35.
3. იქვე. ფურც. 48-49.
4. აცსა, საქ. 126, ფურც. 57
5. იქვე, ფურც.69

**სარკინიგზო ტრანსპორტის როლი ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაში
(XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში)**

**The role of railway transport in the economic increase of Batumi
(in the last quarter of the 19th century and the beginning of the 20th century)**

მირიან ფუტკარაძე

მასწავლებელი. ისტორიის დოქტორანტურის სტუდენტი

MIRIAN FUTKARADZE

Tea-cher. PhD student in History

აბსტრაქტი: სამეცნიერო სტატია მიზნად ისახავს სარკინიგზო ტრანსპორტის როლის განსაზღვრას ბათუმის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. 1878 წლიდან ბათუმი პორტო ფრანკოდ გამოცხადდა. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, 1883 წლისათვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო, ხოლო 1888 წლისათვის ბათუმი ხდება თვითმმართველი ქალაქი.

სარკინიგზო ტრანსპორტმა გაზარდა ქალაქში მგზავრობის და ტვირთბრუნვის მაჩვენებელი, რაც ასევე განპირობებული იყო გაცხოველებული ვაჭრობით. სარკინიგზო სექტორი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს ბათუმის ეკონომიკური განვითარების კუთხით. საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს ისიც, რომ სწორედ რკინიგზის საშუალებით იღებდა ბათუმი მნიშვნელოვან და გამოყენებად სამეურნეო პროდუქტებს, რომლებიც შემოდიოდა როგორც ამიერკავკასიიდან, ასევე შუა აზიიდან და ირანიდანაც. ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაზე ასევე დიდი გავლენა იქონია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ბლოკირებამ, რომლის ნათელი დადასტურებაა ის, რომ რკინიგზის საშუალებით შემოსული უცხოური საქონლის რაოდენობამ ნიშნულ ზღვარს გადააჭარბა, მაგრამ XX საუკუნის 10-20-იანი წლების შემდეგ, ბათუმი თანდათანობით კარგავს, როგორც სავაჭრო, ასევე სატრანზიტო ცენტრის ფუნქციასაც.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, სარკინიგზო ტრანსპორტი

Abstract: This scientific article aims to define the role of railway transport in the socio-economic development of Batumi. In 1878, Batumi was declared a Porto-Franco (free port). From a chronological perspective, the implementation of a significant project began in 1883, and by 1888, Batumi had become a self-governing city.

Railway transport increased both passenger and freight turnover in the city, which was also driven by intensified trade. The railway sector represented a major factor in Batumi's economic development. The relevance of this issue is further highlighted by the fact that Batumi received essential and practical economic goods via the railway, which came from the South Caucasus, as well as from Central Asia and Iran. Batumi's economic growth was also significantly influenced by the blockade of the Bosphorus and Dardanelles straits, clearly evidenced by the fact that the volume of foreign goods entering the city by rail exceeded critical thresholds. However, after the 1910s–1920s, Batumi gradually began to lose its role as both a commercial and transit hub.

Keywords: Batumi, socio-economic development, railway transport.

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ სარკინიგზო ტრანსპორტის როლს ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაში. თემის აქტუალობა არის ბათუმის ეკონომიკური განვითარების განსაზღვრა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში. სტატიის მიზანია ფართო სამეცნიერო კუთხით განვიხილოთ სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარება და გავანალიზოთ მისი როლი ბათუმის განვითარებაში. მოცემული სტატია ეხება აქტუალურ საკითხს არამარტო აჭარის ისტორიის, არამედ საქართველოს ისტორიისა. აღნიშნულმა თემმა გამოიწვია ჩვენი დაინტერესება აღნიშნული

პერიოდით და ბათუმის ოლქით, რადგან საკვლევი თემა მეტად სპეციფიკურია, საყურადღებო და აქტუალურია ჩვენს რეგიონში და არ კარგავს აქტუალობას, რამაც განსაზღვრა წარმოდგენილი სტატიის კვლევის მიზნისა და ამოცანის ჩამოყალიბება.

საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში - რა გავლენა იქონია სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით თვალსაზრისით და რაში გამოიხატებოდა ეს?

როგორც მოგეხსენებათ ბათუმის სამრეწველო-ეკონომიკურ განვითარებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებდა ბათუმის ხელსაყრელი გეოგრაფიული, ასევე სტრატეგიული მდებარეობა. ბათუმი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ყალიბდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ღირებულებების მქონე ცენტრად, რამაც ხელი შეუწყო 1878 წელს, როდესაც ბათუმი ოფიციალურად გამოცხადდა პორტო ფრანკოდ. შემდეგ 1883 წლისათვის გაიყვანეს ბათუმი ბაქოს რკინიგზა, ხოლო 1888 წლისათვის ბათუმმა მოიპოვა როგორც თვითმმართველი ქალაქის სტატუსი. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1878 წელს ბათუმი და ნავთობი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, სწორედ ნავთობმა შეასრულა არათუ გადამწყვეტი, არამედ განმსაზღვრელი როლის სამრეწველო მოთხოვნილებების განვითარების თვალსაზრისით ინდუსტრიულ ეპოქაში.

1883 წლისათვის ბათუმი ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელს რკინიგზითაც დაუკავშირდა. სწორედ ჩვენი ქალაქის ეკონომიკური მნიშვნელობა ძალიან კარგად გაიზარეს და შემდგომში შეაფასეს მსოფლიოში ცნობილმა საქმოსნებმა, როგორებიცაა: მემბი ნობელები, როტშილდების საგვარეულო, რომელთა სახელიც განუყოფელ ნაწილად იქცა ბათუმის საქმიან წარსულში.

აღნიშნული სტატიის დასამუშავებლად გამოვიყენე დარგში არსებული რელევანტური ლიტერატურა, ასევე საარქივო მასალები და დოკუმენტები. განსაკუთრებით საყურადღებოა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, სადაც მკაფიოდ წარმოჩენილია სარკინიგზო ტრანსპორტის როლი ქალაქის ეკონომიკური დაწინაურების თვალსაზრისით. დამატებით ინფორმაციას ვიგებთ მალხაზ სიორიძის ნაშრომებიდან „ბათუმი საბაჟო“ და „პორტო ფრანკო ბათუმში“. აღნიშნული საკითხი საინტერესოდ აქვს განხილული ჯემალ კარალიძეს თავის ნაშრომში „აჭარა 1878-1903 წლებში (პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება) და ხათუნა დუმბაძეს „ბათუმის ეკონომიკური განვითარება 1888-1905“ წლებში. გარდა ამისა, ბათუმის ცენტრალური საარქივო სამართველოს დახმარებით მოვიპოვე არაერთი რელევანტური საარქივო დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო ბათუმის სოციალურ- ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

რკინიგზის მშენებლობის ტემპები თავიდან სწრაფი იყო. როგორც მოგეხსენებათ რიონი-ქუთაისის სარკინიგზო ხაზი აშენდა 1877 წელს, 1883 წელს სამტრედია ბათუმის, შემდგომ რიონი ტყიბულის, ზესტაფონი ჭიათურის. სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ განსაკუთრებით ხელი შეუწყო ეკონომიკურ განვითარებას. სხვა ტრანსპორტთან შედარებით სარკინიგზო ხაზებს აქვს განსაზღვრული უპირატესობები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდა XIX-XX საუკუნეებში. მაგალითად, განვიხილოთ რამდენიმე: ა) ამინდზე შედარებით დამოუკიდებლობა; ბ) მაღალი გამშვები უნარი, რომლითაც რკინიგზა ხასიათდება; გ) გადაზიდვის, გადაყვანის უფრო დაბალი თვითღირებულება (პავლიაშვილი, 2014: 68-79). XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებდა მოხერხებული ნავსადგურის

არსებობა. ეს ყველაფერი ნათელი და მკაფიო გახდა 1883 წლიდან, როცა ბათუმი- სამტრედიის რკინიგზის ხაზი შევიდა ექსპულატაციაში. მოვიყვანოთ რელევანტური მაგალითი, ბათუმის პორტის ტვირთბრუნვასთან დაკავშირებით (დუმბაძე, 2020:81-84).

1878 წლისათვის კვლევის მიხედვით შემოვიდა 29.776 ფუთი საქონელი, ხოლო 1883 წლისათვის აღნიშნული ციფრი 922.429 ფუთამდე გაიზარდა, ხოლო 1886 წელს 2.732.736 ფუთამდე (დუმბაძე, 2020:81).

აქედან გამომდინარე, რომ დავასკვნათ სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ გაზარდა ბათუმში პორტის ტვირთბრუნვაც, რაც აისახება მოცემული რიცხვების მკვეთრ ზრდაში წლების მატებასთან ერთად.

სარკინიგზო ტრანსპორტის როლი ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაში ჩანს ჩვენ მიერ მოყვანილ შემდეგ მაგალითშიც:

- 1878 წლის მონაცემებით შემოიტანეს 906.330 მანეთის საქონელი, ხოლო გაიტანეს 367.712 მანეთის.

- 1886 წლისათვის სულ შემოიტანეს 2.732.746 მანეთის საქონელი, ხოლო გაიტანეს 19.667.885 მანეთის (სიჭინავა, 1958: 356-376).

გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა, ბათუმის განვითარება განაპირობა ვაჭრობამაც, რამაც გაზარდა ქალაქის შემოსავალი. ამის შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა: „გუშინ წინ თავისთვის მივარდნილი, მიყურებული ბათუმი „აზიური ქალაქი“ დღეს ევროპის ქალაქად გადაიქცა, გაევროპელდა. ბათუმს აქვს წლიური შემოსავალი 80.000 მანეთზე მეტი. ყოველ წელს მატულობს შემოსავლის რაოდენობაც (ივერია N24, 1886). ასევე ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია ალექსანდრე XI-ის დადგენილება, რომლის მიხედვითაც პორტო ფრანკო ცხადდება გაუქმებულად. ამ ყველაფერმა უარყოფითი გავლენა იქონია ბათუმზე. ამის შესახებ კვლავ „ივერია“ წერდა: „პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ საშინაო საქმე, ვაჭრობა და ხელოსნობა მკვეთრად დაეცა“ (ივერია N24, 1887).

ვფიქრობთ, სწორედ იმჟამინდელ, გეოსტრატეგიულად მდებარე ბათუმს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რადგან სწორედ აქ გადიოდა, როგორც ადგილობრივი, ასევე ევროპული საქონელიც. ბათუმში ფართოვდებოდა ხე-ტყე, რომელიც ევროპაში უნდა გაეტანათ, ასევე ხილი და სხვა მრავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. ამ ყველაფერს უნდა დაეფიქრებინა რუსეთის ხელისუფლება და უნდა ეცადა აღნიშნული პრობლემები აღმოეფხვრა ნაკლებ დროში. მას შემდეგ რაც ბათუმი შეუერთდა რუსეთს, ბათუმის როგორც ეკონომიკური ცენტრის განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორი სწორედ სარკინიგზო გზის უზრუნველყოფა იყო. ვიცით, რომ რუსეთს ბაქოში ნავთობი ბალტიისპირეთიდან და ფოთის პორტიდან გაქონდა, რაც დროში დეფიციტს ქმნიდა, ასევე დიდ ხარჯებთან და ფინანსებთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც დაფიქრდა რუსეთის ხელისუფლება, ზემოთ აღნიშნულთან შედარებით უფრო იაფი ნავსადგურთან დაკავშირებით, ამიტომაც რუსეთმა ყურადღება ბათუმის ნავსადგურზე შეაჩერა, რომელიც საუკეთესო ნავსადგური გახლდათ შავი ზღვის. აქედან გამომდინარე, ბაქოსთან რკინიგზით დაკავშირებით შემდეგ, ნავთობის ექსპორტის მნიშვნელოვანი ცენტრი ბათუმი უნდა გამხდარიყო. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის საკითხიც. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ბათუმს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, ცუდი ამინდის შემთხვევაშიც კი ბათუმის ნავსადგურში 50-მდე გემის განლაგება იყო სრულად შესაძლებელი. ამრიგად, ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის საკითხი მართლაც ღირებული და ფასეული იყო (დუმბაძე, 2020: 82).

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმის ეკონომიკურ დაწინაურებას ხელი სწორად ბათუმის ნავსადგურის მშენებლობამ და სარკინიგზო ხაზის გაყვანამ განაპირობა. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ბაქო ექსპორტირებას სწორედ ბათუმის დახმარებით აწარმოებდა (მგალობლიშვილი, 1938: 120). დღითიდღე იზრდებოდა ბათუმიდან ბაქოს ნავთობის გატანა, რომელსაც სავსებით კარგად შენიშნავს მგალობლიშვილი.

ამრიგად, სატრანსპორტო სექტორი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. სწორედ ისტორიას თვალი რომ გადავავლოთ, შევნიშნავთ, რომ პირველი ქალაქები მდინარეებისა და ტბების ახლოს, ბუნებრივ პორტებთან ახლოს ყალიბდებოდა,

სადაც ტრანსპორტი არსებობდა. როგორც

ზემოთ აღვნიშნეთ, სარკინიგზო ტრანსპორტი, როგორც ტრანსპორტის ერთ-ერთი უნივერსალური სახეობა ნაკლებად არის დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე, არის იაფი გადაზიდვის თვალსაზრისით, ასევე არის საიმედო უსაფრთხოების კუთხითაც (სიდამონიძე, 2018: 23).

ისტორიულად 1878 წლის 25 აგვისტოს, ბათუმში რუსეთის ჯარი შემოვიდა. რამდენიმე თვის შემდეგ დამტკიცდა რკინიგზის გაყვანის გამოკვლევის დებულება სამტრედიიდან ოზურგეთის გავლით, საინტერესო იყო მეორე შემთხვევაც, რომელიც გულისხმობდა ლანჩხუთისა და ნატანების გავლით ბათუმამდე. აღნიშნულის ხელმძღვანელობა დაევალი ინჟინერ სტატკოვსკის, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის ინსპექტორი გახლდათ აღნიშნულ პერიოდში. შემდეგ დაიწყო მოკვლევა ფოთიდან ზღვისპირით ბათუმამდე. სტატკოვსკის აზრით, რკინიგზა ხელს შეუწყობდა აჭარის და გურიის ეკონომიკურ განვითარებას (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008: 225). რკინიგზის მშენებლობისათვის თავიდანვე განისაზღვრა ხარჯი 6,5 მლნ რუბლი, რომელიც მოხმარდებოდა ლიანდაგების დაგებას, საყრდენი ზოლის წინარე მომზადებას, რკინიგზის ტერიტორიისათვის შესაბამისი მიწების შესყიდვას და ა.შ. 1883 წლისათვის დამთავრდა სამტრედია ბათუმის რკინიგზის ხაზის მშენებლობა, რომლის ვარგისიანობაც შეაფასა სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, რომლის მიღების აქტში რკინიგზის რვა სადგური დამტკიცდა, ესენი იყო: სამტრედია, ნიგოთი, საჯავახო, სუფსა, ნატანები, ლანჩხუთი, ქობულეთი და ბათუმი. სწორედ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში რკინიგზა მნიშვნელოვან სატრანზიტო-სავაჭრო გზას წარმოადგენდა (ბენდიანიშვილი, 2008: 226). რკინიგზაზე მოძრავ სახალხო მატარებლებში იყო ოთხი კლასის სხვადასხვა სამგზავრო ვაგონები, რომელთა ღირებულებაც განსხვავებული იყო კლასების მიხედვით, მაგალითად, პირველი კლასის ვაგონის ბილეთი ბათუმიდან თბილისამდე 16 რუბლი, მეორე კლასისა 8 რუბლი, მესამე კლასისა 5 რუბლი. გარდა მგზავრების გადაყვანისა სარკინიგზო ტრანსპორტით გადაჰქონდათ ტვირთიც. ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურს შორის სწორედ ბაქო და ბათუმი გამოირჩეოდა ტვირთბრუნვის მოცულობით. ყველაზე მეტს ბაქო გზავნიდა, ხოლო ბათუმი ყველაზე მეტს იღებდა, ძირითადად, მაინც ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო. სტატისტიკური თვალსაზრისით ბათუმის რკინიგზის სადგურის ტვირთბრუნვა იყო შემდეგი:

- 1883 წელს - 3 761 000
- 1884 წელს - 8 250 000
- 1886 წელს - 26 797 000
- 1887 წელს - 48 400 000
- 1890 წელს - 60 000 000 (Аргчинский-Долгоруков, 1896: 227).

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა ქვეყანაში, რაც მკვეთრად ვლინდებოდა ბათუმშიც. რკინიგზის საშუალებით ბაქოდან გამოგზავნილ ნავთობპროდუქტებს ბათუმი თითქმის მთლიანად იღებდა და შემდეგ გადიოდა ექსპორტში. მაგალითისთვის მოვიყვანოთ XX საუკუნის დასაწყისი, კონკრეტულად 1902 წელი, როდესაც ბათუმიდან უცხოეთის ბაზრებზე 90 მლნ ფუთი ნავთი, ნავთობპროდუქტები და სხვადასხვა ნედლეული გაიგზავნა, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით ქალაქისთვის მოგებას წარმოადგენდა. რუსეთიდან, ასევე უცხოეთიდან შავო ზღვით შემოტანილი საქონლის 93-97%-ს სწორედ ბათუმისა და ფოთის ნავსადგურები იღებდნენ და აქედან რკინიგზის საშუალებით იგზავნებოდა. მოვიყვანოთ მაგალითიც, ბათუმის რკინიგზის სადგურმა მიიღო და გააგზავნა უცხოური საქონელი, რომელთა შორისაც იყო პურის ფქვილი, ჩაი, რკინა და რკინის ნაწარმი, მანქანა-იარაღები, შაქარი და სხვა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008: 228). აღნიშნულ პერიოდში, ტვირთბრუნვის მოცულობით ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებს შორის ბაქო იყო პირველ

ადგილზე, ხოლო მეორეზე ბათუმი (96 მლნ ფუთი), მესამეზე ფოთი და მეოთხეზე ჭიათურა-შორაპანი. 1904 წლისათვის ბათუმის რკინიგზის სადგურმა 92 მლნ ფუთი ტვირთი მიიღო, ხოლო 1905 წლიდან უკვე შეინიშნება ბათუმის კომერციულ საქმიანობაში დაქვეითების ტენდენცია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბათუმი რკინიგზის საშუალებით იღებდა დიდი რაოდენობით ბამბას, ძაფს, ძირტკბილას, სხვა პროდუქტებს, რომლებიც იგზავნებოდა შუა აზიიდან, ირანიდან და ამიერკავკასიიდან.

1911 წლისათვის ვკითხულობთ და ვიგებთ, რომ ბათუმის რკინიგზის სადგურის ბრუნვა 65 მლნ ფუთი იყო, რომლის წილიც ამიერკავკასიის რკინიგზის ტვირთბრუნვაში შეადგენდა 28,6%-ს. ამრიგად, ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია სწორედ რკინიგზის განვითარებამ. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რასაც მოყვა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების სრული ბლოკირება, დიდი გავლენა იქონია ბათუმზეც. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ 1915 წელს რკინიგზის საშუალებით ბათუმში შემოვიდა უცხოეთიდან გამოგზავნილი საქონელი, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 300 ათას რუბლს. XX საუკუნის 10-20-იან წლებში ბათუმი კარგავს თანდათანობით სატრანზიტო-სავაჭრო ცენტრის ფუნქციას, მაგრამ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყებს თანდათანობით აღდგენას (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008: 229).

სავსებით სწორად შენიშნავს პროფესორი ჯემალ კარალიძე, რომ ბათუმის სწრაფი თემით ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის 80-იან წლებში განაპირობა, ერთი მხრივ, ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის მშენებლობამ და მეორე მხრივ, ნავსადგურის არსებობამ (კარალიძე, 2009: 65). ცნობილი ქართველი პუბლიცისტი, მწერალი სერგეი მესხი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული ენის, ქართული თეატრის, კრიტიკისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში, ჟურნალ „დროებაში“ წერდა: „მაშინდელი ბათომი, ახლანდელ გორზე უფრო პატარა და უმწო იყო. დღეს ბათომში, სადაც არ გაიხედავთ, ყველგან ახალი შენობები გაუმშენებიათ ან აშენებენ, აპირებენ ნავსადგურის გაფართოებას, გაჰყავთ რკინიგზა და სხვა.

რკინიგზის განვითარებამ და ნავსადგურის აგებამ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბათუმის ეკონომიკური განვითარების საქმეში. 1886 წელს გამოცემულ N226-ში, ჟურნალ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „გუშინ წინ თავისთვის მივარდნილი, მიყუჩებული ბათუმი, „აზიური ქალაქი“ დღეს ევროპის ქალაქად იქცა, გაევროპელდა. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბათუმი ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებული ქალაქია, რაშიც დიდი როლი სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ იქონია. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტორსაც, რომ ბათუმის ეკონომიკურ დაწინაურებაში რკინიგზის გაყვანამდე და ნავსადგურის მშენებლობამდე მიუძღვის ბათუმის საბაჟოს, რომლის ისტორიაც იწყება სწორედ 1878 წლიდან. აღნიშნულის შესახებ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს მალხაზ სიორიძეს, რომელიც გვაწვდის ზოგიერთ მნიშვნელოვან და საყურადღებო ცნობას ძველი ბათუმის საქალაქო და ეკონომიკური ცხოვრებიდან (სიორიძე, 2003: 10-15).

რკინიგზის მშენებლობამ, ქალაქი ბათუმი უფრო ხელმისაწვდომი გახადა, ასევე გააქტიურდა შიდა ვაჭრობაც, რაც ეკონომიკური ზრდის საფუძველი გახდა. რკინიგზის გავლენით გაიზარდა ქალაქის ეკონომიკური კონიუნქტურა და სავაჭრო როლი, რომელიც ასრულებდა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის ფუნქციას. ნიკოლეიშვილი თავის ნაშრომში „დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან“ სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ბათუმი გახდა მნიშვნელოვანი ქალაქი საქონლის ექსპორტისთვის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის, რომელიც სარკინიგზო ტრანსპორტის საშუალებით მოკლე დროში სწრაფად გადაადგილდებოდა. რკინიგზის განვითარებამ ხელი შეუწყო ბათუმის ინდუსტრიალიზაციას. ქალაქი განვითარდა მრეწველობა, მშენებლობა და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკის დარგები. გაიხსნა ახალი საწარმოები, გაჩნდა სამუშაო ადგილები, მოწესრიგდა

ქალაქის ინფრასტრუქტურა. ბათუმი რუსეთი ერთ-ერთი მთავარი პორტი გახდა შავი ზღვის რეგიონში, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ელემენტი იყო იმპერიის ეკონომიკური და სამხედრო ინტერესებისათვის (ნიკოლეიშვილი, 1994: 28-32). რკინიგზამ გამოიწვია ბათუმის ინტეგრირება რუსეთის ეკონომიკურ ქსელში და კავკასიის რეგიონში, ასევე გამოიწვია სავაჭრო დინამიკისა და ინდუსტრიული ცვლილება, შემცირდა სავაჭრო ბარიერები და მნიშვნელოვნად გაიზარდა ბათუმის სტრატეგიული მნიშვნელობა.

ამრიგად, რკინიგზის შედეგად ბათუმი გახდა საქართველოსა და მთელი კავკასიის მთავარი სავაჭრო კვანძი, ხელი შეუწყო ბათუმში ინდუსტრიული განვითარების პროცესს, ასევე ტურიზმის განვითარებას. ბათუმში რკინიგზის მშენებლობა და მის შედეგად განვითარებული და სრულყოფილი ეკონომიკური პროცესი გახდა საფუძველი შრომითი მიგრაციისა. ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა, რამაც გამოიწვია სოციალური ცვლილებებიც. რკინიგზის გაყვანის ეკონომიკური მნიშვნელობა გამოიხატა ბიზნესის განვითარებაშიც, ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდაში, ასევე პორტის ფუნქციისა და ქალაქის როგორც რეგიონული, ისე მსოფლიო პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდაში. ცხადია, ბათუმში რკინიგზის შეყვანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბაქოს ნავთობთან მიმართებაში, რასაც აზერბაიჯანელებიც მკაფიოდ მიუთითებდნენ. 1918 წელს ბათუმში ოსმალეთთან მიმდინარე მოლაპარაკებებისას აზერბაიჯანელები მხარს უჭერდნენ ბათუმის შენარჩუნებას და აღნიშნავდნენ, რომ ბათუმს იგივე მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, როგორც ბაქოს აზერბაიჯანისთვის (სცსსა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 5, ფურც. 73).¹

ლიტერატურა

1. სცსსა - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 5.
2. გაზეთი ივერია N24, 1886.
3. გაზეთი ივერია N26, 1886.
4. ბენდიანიშვილი ა, „სარკინიგზო ტრანსპორტი“, ბათუმი.2008.
5. დოლბაია თ, „საქართველოს სასპორტო სისტემების ფუნქციონირებისა და განვითარების ისტორია“, თბილისი. 2011.
6. დუმბაძე ხ, „ბათუმის ეკონომიკური განვითარება 1888-1905 წლებში“, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული, ქუთაისი, 2020.
7. კარალიძე ჯ, „აჭარა 1878-1903 წლებში (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება)“, ბათუმი. 2009.
8. მაგლობლიშვილი ს, მოგონებანი, თბილისი. 1938.
9. ნიკოლეიშვილი მ, „დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან, ქუთაისი. 1994.
10. აღნიშნული დოკუმენტი მოწოდებულია ისტორიკოს გიორგი ბაციკაძის მიერ
11. პავლიაშვილი ს, „საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის განვითარების თავისებურებანი“, თბილისი. 2014.
12. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი. 2008.
13. სიორიძე მ, „ბათუმის საბაჟო“, ბათუმი. 2003.
14. სიჭინავა ვ, „ბათუმის ისტორიიდან“, ბათუმი. 1958.
15. სიდამონიძე დ, „საქართველოს რკინიგზა, როგორც სამხრეთ კავკასიური სატრანსპორტო დერეფნის ნაწილი“, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, N27, თბილისი. 2018.
16. სურგულაძე ა, სიორიძე მ, „პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი. 1996.
17. Аргчинский-Долгоруков А. История сооружения и эксплуатации Закавказской железной дороги в Тиф., 1896, с.11.
18. <https://shorturl.at/xITrK> (მოძიებულია 2024 წლის 17 ნოემბერს).

ლაზი ოსტატების მიერ კაცხის ტაძრის აღდგენის ისტორია The history of restoration of Katskhi Pillar by Lazi masters

მაგული მურადიშვილი
ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის სამუშაო
განყოფილების უფროსი
MAGULI MURADISHVILI
Head of museum department of the Khelvachauri
Culture Centre

აბსტრაქტი: ისტორია დურმიშების შესახებ კაცხის ტაძრის უკავშირდება. ეს ისტორია მე-19 საუკუნის შუა წლებში განვითარდა. კაცხის ტაძარი, რომელიც კაცხის სვეტის მახლობლად მდებარეობს, აბაშიძეთა საგვარეულო საძვალე იყო. ერთხელ გიორგობას თავადი აბაშიძე ენახა ქუთათელ ეპისკოპოსს და საყვედური უთქვამს, რომ ეს ტაძარი იყო თამარ მეფის დროინდელი და ამასთანავე ძალიან მოუვლელი. აბაშიძემ პირობა მისცა ეპისკოპოსს, რომ მომავალი წლის გიორგობას ტაძარი შეკეთდებოდა. ამიტომ, ტაძრის აღსადგენად იმერელმა აბაშიძეებმა თხოვნით მიმართეს შავშელ აბაშიძეებს, მათ კი სამი ძმა ლაზი დურმიშიძე გამოაგზავნეს ტაძრის აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად, სწორედ ასე მოხვდნენ ლაზები კაცხში.

აღმოჩნდა, რომ ლაზები არა მარტო ხის მუშაკები და ნაოსნები, არამედ ქვით ხუროებიც იყვნენ. უფროსმა ძმამ, იქაურ ქვის მტვრელებს ასწავლა ქვის დამუშავების თავისებური ტექნიკა, რომელიც გამოადგებოდა მათ მაშინდელ საქმიანობას. ამ პროცესში ჩართული იყო მთელი სოფელი და ეკლესია, ისინი აქტიურად ეხმარებოდნენ ოსტატებს. თავადი აბაშიძე ყოველდღე აკვირდებოდა სამუშაებს და ძალიან კმაყოფილი იყო ლაზი ოსტატების ნამუშევრით, ის ყოველდღე უგზავნიდა მათ თითო ფიჩხაურა ღვინოს. ლაზები აღნიშნავდნენ, რომ ისინი თათრის რჯულის მატარებლები იყვნენ, მაგრამ ქართველები იყვნენ და ქართველობას ვერ დატოვებდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ მაჭახელაში ჰყავდათ ნათესავები, სადაც ტყეში გადარგული ვაზი ჰქონდათ, იქ ღვინოს აყენებდნენ და მათ სწორედ ტყიდან მოჰქონდათ ღვინო. საინტერესოდ განვითარდა სასიყვარულო ისტორია კაცხის ტაძრის მღვდლის პეტრე მოდებამის ქალიშვილ, სალომესა და იოებს. როცა მათი დაფარული სიყვარულის ამბავი გამომჟღავნდა, პეტრე მღვდელმა შეიცხადა, რომ ურჯულოს შვილს არ შერთავდა ცოლად. თავადმა აბაშიძემ აუხსნა პეტრეს, რომ ლაზებიც ქართველები იყვნენ, რომ ისინი ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. გიორგობას დასრულდა ტაძრის აღდგენითი სამუშაოები, იუსუფი მოინათლა, მას დაარქვეს იოსები და იქორწინა სალომეზე. დღეს კაცხის ტაძრის ეზოში არის ორი საფლავის ქვა, რომელიც გვამცნობს რომ იქ განისვენებენ იოსები და სალომე.

ამ გვარში გაიზარდა არაერთი ცნობილი პიროვნება, მათ შორის პროფესორი სერგი დურმიშიძე, პოეტი ირაკლი აბაშიძე, პოეტი ვაჟა ოკუჯავა და პროფესორი კოტე მოდებაძე. დღესდღეობით დურმიშები ცხოვრობენ თურქეთში, დურმიშიძეები კი თბილისში, რომლებიც ასევე ხელოვნების დარგში მოღვაწეობენ. თეა დურმიშიძე იტალიაში აღიარეს ხელოვნების ელჩად და ის ხშირად აწყოებს გამოფენებს.

საკვანძო სიტყვები: კაცხის ტაძარი, ლაზები, ისტორიული ძეგლები, ქვის დამუშავების ტექნიკა, რელიგიური არქიტექტურა, ქართული ხუროთმოძღვრება, დურმიშიძეების ისტორია.

Abstract: A specialist in natural sciences with a guide diploma and a nurse diploma, actively involved in museum activities. I have been leading the museum department since 2012, where I actively organize educational and cultural projects. Currently, I manage the museum activities at the Sarpi Lazur Ethnographic and Machakhela Historical-Ethnographic Museums. My goal and future plan is to promote cultural heritage and historical values in Georgia.

Keywords: Katskhi Temple, Laziness, Historical monuments, Stone processing equipment, Georgian

architecture

კაცხის მაცხოვრის შობის ტაძარი-მონასტერი მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, ზემო იმერეთში, სოფელ კაცხში. სახელწოდებაც კაცხის მონასტერი ამ სოფლის სახელის მიხედვით დამკვიდრდა. მე-11 საუკუნეში ტაძარი წმინდა სამების სახელზე ყოფილა აგებული, ამ ფაქტს ამტკიცებს ლიპარტ ერისთავის მიერ კაცხის ტაძრისთვის შეწირული მათეს სახარების თარგმანი, რომელსაც შემდეგი მინაწერი აქვს შერჩენილი: „მე ანტონ ლიპარტ ყოფილმან შევწირე მათეს სახარების თარგმანი კაცხს სამძალესა ჩვენსა ეკლესიასა სამებასა წმინდასა“ ეს არის კაცხის ტაძრის წმინდა სამების სახელით მოხსენიების პირველი დოკუმენტური ცნობა. კაცხის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1978:656). მსგავსი მოცემული ფორმის არქიტექტურული სტილის ნაგებობა სხვაგან არ გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურაში კაცხის ტაძარი პირველად მოხსენიებულია მე-19 საუკუნის დასაწყისში და ეს ცნობა ეკუთვნის შეიცარიელ პროფესორს მარი ფრედერიკ დიუბა დე მონპერნეს, რომელმაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარსი ჩახატა ტაძრის პირველი ესკიზები. კაცხის ტაძარი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფეოდალურ სახლთა საგვარეულო ეკლესიასა და სამძალეს წარმოადგენდა, იგი აშენებულია ბაღვაშების მიერ. ნაგებობის მთავარ შესასვლელში გვხვდება ბაღვაშთა გერბის შემადგენილი ფიგურები, ლომი და მოხუცი ანგელოზი. კაცხის ტაძრის მშენებლობა დასრულდა ბაგრატ III -ის მეფობის დროს 1010-1014 წწ, რაც დასტურდება ტაძრის წარწერით, „წმინდაო სამებაო ადიდე შენს მიერ დამყარებულ ბარგატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე ტაოსა და რანთა და ყოველსა აღმოსავლეთის დიდი კურაპალატი“. დავით აღმაშენებლის მიერ ბაღვაშთა საგვარეულოს დამარცხებისა და საქართველოდან განდევნის შემდეგ, კაცხი ტაძარი უპატრონოდ დარჩა. მე-16 საუკუნეში მიტოვებული და დაზიანებული ტაძარი, მისმა ახალმა მფლობელმა აბულახარ ამირეჯიბმა აღადგინა. მე-17, მე-18 საუკუნეში კაცხი აბაშიძეთა საგვარეულო კუთვნილება გახდა. 1804 წელს სოლომონ II კაცხი უბოძა იმერეთში გადასულ სოლომონ ლიონიძეს, ერეკლე II ის თანამებრძოლსა და ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს [ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1980:445].

1838 წლამდე კაცხის ტაძრის წინამძღვრად იხსენიებოდა გურიის ეპისკოპოსი ექვთიმე, 50-იან წლებში ტაძრის მოძღვარი იყო პეტრე მოდებაძე. 1853 წელს ქუთათელმა ეპისკოპოსმა ძეგლის აღდგენა დააკისრა კაცხის მფლობელ თავად ივანე დავითის ძე აბაშიძეს. აქედან იწყება დურმიშებთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც მხატვრულად გადმოცემული აქვს ნიკო კეცხოველს წიგნში, „მეცხრე მთაც გადავიარეთ“.

ისტორია იწყება იმით, რომ თავადი აბაშიძე ენახა ქუთათელ ეპისკოპოსს და საყვედური უთვქმს: „ასეთი ძველი ტაძარი, თამარ მეფის დროინდელი კაცს სოფელში ჰქონდეს და ასე მოუვლელიო“ აბაშიძეს პირობა მიუცია, მომავალი წლის გიორგობას ამობრძანდით და აკურთხეთო. სწორედ ამიტომ ჩამოიყვანა თავადმა აბაშიძემ სამი ძმა დურმიში (კეცხოველი, 1976:256). მე-16 საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება ქართული ტერიტორიების ოსმალეთზე დაქვემდებარება, რამაც გამოიწვია ლაზების გაუცხოება საქართველოს დანარჩენი კუთხეებისაგან. ამიტომაც ლაზების ჩამოყვანაში მონაწილეობა მიიღო ახმედ ბედ თავდგირიძემ, მემედ ბეგ აბაშიძის თხოვნით. ეკლესიის არდგენა ძმებმა დაიწყეს იმით, რომ ქვას ეზიდებოდნენ ეკლარიდან, რადგან ეკლარში კარგი ქვის მტვრელები ყოფილამ. უფროსი დურმიში ეკლარში 2-3 კვირა იყო, თავისებური ხერხი ასწავლა ქვის მტვრელებს და ისე ამტვრევინებდა ქვას, როგორც მისი აზრით საქმეს მოუხდებოდა. ორი ძმა დურმიში კი კაცხში ტრიალებდნენ, ქვას ზომავდნენ და თლიდნენ. დილაუთენია ჭოჭინა ურემი ეკლარისაკენ მიდიოდა ქვის ამოსატანად, მეორე დღეს ბრუნდებოდა. კაცხის მოსახლეობას თავადის დავალებით თვეში 6 დღის განავლობაში უნდა ეზიდან ქვები ეკლარიდან. თავადი აბაშიძე ყოველდღე აკვირდებოდა სამუშაებს და ძალიან კმაყოფილი იყო ლაზი ოსტატების ნამუშევრით, ის ყოველდღე უგზავნიდა მათ თითო ფიჩხაურა ღვინოს (კეცხოველი, 1976:260). ლაზები აღნიშნავდნენ, რომ ისინი თათრის რჯულის მატარებლები იყვნენ, მაგრამ ქართველები იყვნენ და ქართველობას ვერ დატოვებდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ მაჭახელაში ჰყავდათ ნათესავები, სადაც ტყეში გადარგული ვაზი ჰქონდათ, იქ ღვინოს აყენებდნენ და მათ სწორედ ტყიდან მოჰქონდათ ღვინო.

ამ პერიოდში კაცხის ტაძრის მღვდელი იყო პეტრე მოდებაძე, რომელსაც 3 ვაჟი და 5 ქალი ჰყავდა. საინტერესოა სიყვარულის ამბავი, პეტრე მოდებაძის ქალიშვილ სალომესა და ერთ-ერთი ძმის

იუსუფის შორის [კეცხოველი, 1976:261]. ერთ დღეს თავადმა შენიშნა რომ იუსუფი არ გავიდა სამუშაოდ, იწვა ხანდახან წამოდგებოდა და მარმარილოზე მუშაობდა. თავადი შეწუხდა ამ ამბით და სოფელი დალიკაურიდან ექიმი თურმანიძე ამოაყვანინა. ექიმმა ის გასინჯა და იუსუფს ავადმყოფობის სიმპტომი არ ჰქონდა. მაშინ, როცა ექიმმა ხელის გაწმენდის მიზნით ტილო გადახადა მაგიდაზე დადებულ საგანს, აღმოაჩინა ქალის უმშვენიერესი ქანდაკება. იქვე, პეტრემ თავადს სთხოვა, რომ ექიმისთვის ნება დაერთო სალომეს მონახულების, რადგან ისიც ცუდად იყო. ქანდაკება შენიშნა თავადმა აბაშიძემ და იუსუფს უთხრა რომ ის იყო ჭეშმარიტი ხელოვანი. მძებმა კი აბაშიძეს იუსუფის დარდის მიზეზი გაუმხილეს. პეტრე მღვდელმა კი შეიცხადა ურჯულოს როგორ მივცემ ქალსო [კეცხოველი, 1976:263]. თავადი აბაშიძე განათლებული და სათნო კაცი იყო და პეტრეს აუხსნა, რომ ლაზებიც ქართველები არიან, მათი სისხლი და ხორცი, თუ იუსუფი რჯულს შეიცვლიდა ის შემდეგდა სალომეს ცოლად შერთვას.

გიორგობისას ტაძრის აღდგენა დასრულდა და ხალხი ზეიმობდა. დღესასწაულზე, ეისკოპოსმა იუსუფი მოინათლა და სახელი იოსები დაანათლა. ქორწილი სოფელმა გადაუხადა, შემდეგ კი ძმები ხშირად სტუმრობდნენ იოსებს. მათ უნდოდათ რომ დედაც წამოეყვანათ, მაგრამ მან იარი განაცხადა ქრისტიან რძალს ვერ ვნახავო, თუმცა საკუთარი ხელით ოქრო მკერდით მოქარგული ორიხელი ტანისამოსი გამოაგზავნა, ჩაფრასტებიც მოაყოლა მამაპაპისეული ქართული, ჩემს შვილიშვილებს გადაეცო. ახალშეუღლებულები იქვე დასახლებულან, სამი ვაჟი შეეძინათ, არქიფო, სეგო და სანდრო (კეცხოველი, 1976:264). სერგოს შვილიშვილი პროფეროსი, ბიოქიმიკოსი სერგო დურმიშიძე იყო. იოსებმა თავის შვილებს ანდერძი დაუბარა. არასოდეს კაცის მამული არ გაეყოთ და ყველა დურმიშიძეს ჯვარი კაცის ეკლესიაში უნდა დაეწერა, მიუხედავად იმისა სად ცხოვრობდა, რასაც შვილები უპირობოდ ასრულებდნენ. 1935 წლამდე ზაფხულობით დურმიშიძეების ძველი სახლ-კაცი სავსე იყო ახალგაზრდებით [კეცხოველი, 1976:265].

საინტერესოა პეტრე მოდებადის შთამომავლობის ისტორია. პეტრეს შვილიშვილი ლიზამისთხოვდა აბაშიძეს, მათი შვილი იყო პოეტი ირაკლი აბაშიძე. მეორე შვილიშვილის ნინოს შვილი აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა. პეტრეს შვილი იყო პროფესორი კოტე მოდებაძე, რომელმაც პარიზის უნივერსიტეტი დაამთავრა. დღესდღეობის ტაძრის ეზოში არის საფლავები, რომლებზეც იკითხება: „1870 წელსა ლოდსა ამასა ქვეშა განისვენებს შვილების უმახსოვნო იოსებ ოსმანის ძე დურმიშიძე, წამკითხველო გთხოვთ შენდობას“. ასევე მეორე ქვაზე ამოიკითხავთ: „1871 წელს პეტრე მოდებადის ასული ლოდსა ამა ქვეშე განისვენებს სალომე იოსების მეუღლე“.

მატიანე ქართლისა ცნობით კაცხის მონასტერში არიან დასაფლავებული, ერისთავთ ერისთავი რატი ბაღვაში, ლოპარტ ლიპარტის ძე ბაღვაში (ბეროზაში ანტონი), რომლის ნეშტი ბიზანტიიდან ჩამოასვენეს, იმერეთის მეფე გიორგი V, ვახტანგ VI დროს მოღვაძე სვიმონ აბაშიძე, არგვეთის მთავარი ლევან აბაშიძე, დავით იონეს ძე ლიონიძე. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ 1921 წელს კაცხის ტაძარი დაიხურა. 1924 წელს კაცხის მონასტერის დარბევის დროს განადგურდა ეტრატზე ხუცურად ნაწერი ოთხთავი და მონასტრის უნიკალური ბიბლიოთეკის უდიდესი ნაწილი. 1988 წელს მამა ამირან მოდებადის ძალისხმევით ტაძარი შეუერთდა მოქმედი ტაძრების რიცხვს [ბუჭუხიშვილი, 2017].

დღესდღეობით დურმიშები ცხოვრობენ თურქეთში, დურმიშიძეები კი თბილისში, რომლებიც ასევე ხელოვნების დარგში მოღვაწეობენ. თეა დურმიშიძე იტალიაში აღიარეს ხელოვნების ელჩად და ის ხშირად აწყობს გამოფენებს.

დასკვნა

კაცხის ტაძრის ისტორია მოიცავს ქართველი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას, სულიერ ტრადიციებს და ადამიანური ურთიერთობების მაგალითებს. ტაძრის აღდგენისა და ლაზი ძმების შრომის ისტორია ნათლად ასახავს ქართველი ხალხის თანამშრომლობისა და ერთიანობის იდეას. ეს პროცესები არა მხოლოდ არქიტექტურული ძეგლის აღდგენას ემსახურებოდა, არამედ სხვადასხვა კუთხისა და ტრადიციის მატარებელ ადამიანებს შორის კავშირების გაღრმავებასაც.

ლაზი ძმების მაგალითი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ადამიანები, მიუხედავად რელიგიური ან კულტურული განსხვავებებისა, მზად იყვნენ საერთო მიზნისთვის

გაერთიანებულიყვნენ. ამ პროცესმა შვა არაერთი საინტერესო ისტორია, მათ შორის სალომესა და იოსების სიყვარულის ამბავი, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანის ღირსებას, საერთო ფესვებს და ერთმანეთის მიმართ პატივისცემას.

დღეს კაცხის ტაძარი არა მხოლოდ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია, არამედ ერთგვარი სიმბოლო ქართველთა ერთიანობისა და მრავალფეროვნების. ეს მემკვიდრეობა მომავალ თაობებს შთააგონებს, რომ ერთიანობა და კულტურის დაცვა მნიშვნელოვანი ღირებულებებია, რომლებიც ყველას აერთიანებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუჭუხიშვილი მ., 2017. „კაცხის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძარი“, (ბუკლეტი)
2. კეცხოველი ნ., 1976. „მეცხრე მთაც გადავიარეთ“
3. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, 1978. ტომი მე-3.
4. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, 1980. ტომი მე-5.

ვაზი გეოლოგიურ წარსულში A grapevines in the geological past

ლამარა გულორდავა

სსიპ აჭარის მუზეუმი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის
სახელობის მუზეუმის საბუნებისმეტყველო
მიმართულების ხელმძღვანელი

LAMARA GULORDAVA

LEPL Ajara Museum, Ajara Khariton Akhvlediani State Museum
head of nature department

აბსტრაქტი: ვაზი ერთ-ერთი უძველესი მცენარეა. ჩვენს ქვეყანაში მდებარეობს უნიკალური, ვულკანით გაქვავებული ტყე, რომელიც ცნობილია „გოდერძის ნამარხი ტყის“ სახელით. იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გოდერძის გადასასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ბინძეს და აჭარისწყლის სათავეები ზღ. დ. - დან 1600-2100 მ. სიმაღლეზე.

ამ ტერიტორიაზე მილიონობით წლების წინ ვულკანის მიერ ამონთხეული ფერფლისა და ლავის ქვეშ დაიმარხა ტყე და გაქვავდა. ამჟამად, აქ დადგენილია 100-მდე სახეობის მცენარე. ტყეებში ხარობდა როგორც მარადმწვანე, ისე ფოთოლმცვენი სახეობები, ბუჩქნარები, ლიანები და გვიმრისნაირები. კლდის ქანებში ჩანს მცენარეების გაქვავებული ღეროები, ტოტები და ფოთლების ანაბეჭდები. აქ მრავლადაა ოპალიზებული და ქალცედონიზირებული ხის ღეროები, განსაკუთრებით აღსანიშნავია გიგანტური ვაზის ღეროები და ფოთლის ანაბეჭდები.

პროფესორმა მედეა უზნაძემ პირველმა საქართველოში, 1960-1961 წლების საველე სამუშაოების დროს ზედა მიოცენური ასაკის გოდერძის წყებაში, აღმოაჩინა ველური ვაზის მრავალრიცხოვანი ფოთლების ანაბეჭდები, რომლებიც განისაზღვრა როგორც *Vitis teutonika* A. Br. ხოლო ვაზის ერთ-ერთი ფოთლის მიხედვით იგი განისაზღვრა, როგორც *Vitesx goderzika*.

განსაკუთრებით საინტერესოა გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, მდინარე ბინძეს სიახლოვეს - ტუფოქვიშების ქანებში აღმოჩენილი გასაოცარი ნიმუში - გაქვავებული ვაზის ღერო, რომელიც პალეობიოლოგების მიერ 15 მლნ. წლით არის დათარიღებული. ნიმუშს ახალ მონატეხზე მიკროსკოპულად კარგად ეტყობა სხივოსნური რადიალური აღნაგობა ცენტრიდან პერიფერიისაკენ. ასეთი წლიური ზრდის ხაზები მხოლოდ ვაზს ახასიათებს.

გოდერძის ნამარხი ტყის მოვლას, დაცვას და სწორ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კარგი იქნება აქ „გეოლოგიური პარკის“ მოწყობა. ამისათვის აუცილებელია საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა.

გოდერძის წყებაში აღმოჩენილი ვაზის ღეროს ნაშთები და ფოთლის ანაბეჭდები გვამცნობს, რომ საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში 15 მლნ. წლის წინიდან მოყოლებული გიგანტური ველური ვაზი ხარობდა და ვაზის - *Vitis*--ის გვარის მრავალი წარმომადგენელი არსებობდა, რომლებიც ვულკანური ზემოქმედებით გაქვავდა, გაკაჟდა.

გოდერძის ნამარხი ტყე უმნიშვნელოვანეს ბუნების ძეგლს წარმოადგენს. იგი საინტერესოა, როგორც სამეცნიერო, ასევე ტურისტული თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: „გოდერძის ნამარხი ტყე“, ვაზის ღერო, გამანამარხებელი ფოთოლი *vitesx goderzika*, „გეოლოგიური პარკის“ მნიშვნელობა.

Abstract: Vine is one of the oldest plant. In our country there is a unique, volcanically petrified forest, known as the “Goderdzi Fossil Forest”. It is located in the southwestern part of Georgia, at the headwaters of the Dzindze and Adjaristskali rivers, at an altitude of 1600-2100 m above sea level.

Millions of years ago, in this area, a forest was buried under ash of volcano lava spewed. Currently, about 100 species of plants have been identified here. Both evergreen and deciduous species, shrubs, lianas and ferns. Petrified stems, branches and leaf prints of plants can be seen in the rocks layers. The tree trunks found here have been transformed into minerals - opals and chalcedony. especially the trunks and leaf prints of giant vines.

Particularly noticeable are the giant vine stems and the prints of vine leaves.

Professor Medea Uznadze was the first who discovered numerous leaf impressions of wild grapevines in the Upper layers of Goderdzi Formation rocks in Georgia during fieldwork in 1960-1961, This discovery was identified as *Vitis teutonika* A. Br. and one of the grapevine leaves was identified as *Vitesx goderzika*.

Another interesting discovery was made in the area of Goderdzi Pass, near the Dzindze River - a fossilized vine stem, which paleobiologists have dated to 15 million years. Microscopically, a fresh fracture of the specimen clearly shows a radiant radial structure from the center to the periphery. Such lines are characteristic only of vines.

The care, protection and proper use of the Goderdzi fossil forest is of great importance. It would be good to organize a «geological park» here. For this, it is necessary to create the necessary infrastructure.

The remains of vine stems and leaf prints discovered in the layers of the Goderdzi petrified forest tell us that in Georgia, especially in its western part, 15 million years ago, a giant wild vine flourished, and there were many representatives of the vine genus *Vitis*-s, which were petrified by volcanic impact.

The Goderdzi fossil forest is a significant natural monument. It is interesting both from a scientific and touristic point of view.

Keywords: „Goderdzi Buried Forest”, Vine stem, Fossilized leaf *vitesx goderzika*, The importance of the „geological park”.

ვაზი ერთ-ერთი უძველესი, ფარულთესლოვანი მცენარეა. მისი პირველი წარმომადგენლები მეზოზოური ერის ზედა ცარცის პერიოდში (60 მლნ წლის წინ) გამოჩნდნენ. ამ დროს არსებობდა მცენარე, რომლის ფოთლები წააგავდა თანამედროვე ვაზის ფოთლებს და დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილში, მთლიან ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი.

მატერიკის დაცალკეების შემდეგ ვაზის არეალი გაწყვეტილი აღმოჩნდა. ამჟამად იგი სამ ერთმანეთისაგან დაცილებულ კერებშია მოქცეული - ჩრდილო ამერიკულ, აღმოსავლეთ აზიურ და ევრაზიულში. ვაზის არსებობის უტყუარი საბუთი, ყურძნის წიპწები და ფოთლის ანაბეჭდები მრავლად არის ნაპოვნი დასავლეთ ევროპის მესამეული პერიოდის ნაფენებში. ამ მცენარეს უკვე ჩვენს ეპოქაში *vitis teutonika* A. Br. შეერქვა [კეცხოველი, რამიშვილი, ტაბიძე, 1960:1, 13; რამიშვილი, 2000:12].

ვაზის ისტორია საქართველოში მილიონობით წლებს ითვლის. ჩვენს ქვეყანაში მდებარეობს უნიკალური, ვულკანით გაქვავებული ტყე, რომელიც ცნობილია „გოდერძის ნამარხი ტყის” სახელით. ეს განამარხებული ფლორა წარმოდგენილია საქართველოს სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, მესხეთის ქედის სამხრეთით, არსიანის ქედის აღმოსავლეთით და დასავლეთით, გოდერძის გადასასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე (ზღ. დ. 1600-2100 მ., ბათუმიდან 115 კმ.-ში), მდინარეების ბინძეს და აჭარისწყლის სათავეებში. ნამარხი ტყის ფართობი დაახლოებით 70-80 კვ. კმ.-ია. [საქართველოს სსრ წითელი წიგნი, 1982:212].

აღნიშნული ტერიტორიის გეოლოგიური ისტორია რამდენიმე მილიონი წლის წინანდელ ვულკანიზმს უკავშირდება. გოდერძის ნამარხი ფლორა მოქცეულია გოდერძის წყებაში, რომელიც ტუფების, ბრექჩიების, კონგლომერატებისა და ბაზალტური ლავების განფენების მორიგეობისაგან შედგება. გოდერძის წყების პალეოგეოგრაფია კი მ. უზნაძის მონაცემებით ასეთია: ზედა მიოცენში, ე. ი. 15 მილ. წლის წინათ (ბრაზილიაში 2000 წ. ჩატარებული გეოლოგიური კონგრესის მიერ მიღებული აბსოლუტური ასაკის შკალის მიხედვით), სამხრეთ საქართველოში, აჭარა-თრიალეთის ქედის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ვულკანური აქტივობა და ვულკანის მიერ ამონთხეული ფერფლისა და ვულკანური განფენების ქვეშ იმარხებოდა ტყე, მცენარეული საფარი. ამის გამო გოდერძის წყება მდიდარია განამარხებული ფლორის ანაბეჭდებით. ვულკანურ ქანებში შემორჩენილია ზედამიოცენურ ქვედაპლიოცენური ასაკის მცენარეების გაქვავებული ღეროები, ტოტები და ფოთლების ანაბეჭდები. ზოგიერთ ხეს შენარჩუნებული აქვს ვერტიკალური მდებარეობა თავისი ფესვებით და წრიული ზრდის რგოლებითაც კი. ასევე გვხვდება წაქცეული ხეები ან გადაღუნული ღეროები, ზოგჯერ ფოთლები დახვეულიცაა. ფლორის თითქმის 70 პროცენტი შეიცავს ტენიანი, სუბტროპიკული, ასევე ზომიერი ტყის

ელემენტებს. ეს არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და კარგად შესწავლილი ნამარხი ფლორა. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მე-19 ს.-ის 80-იან წლებიდან. გაქვავებული ხეების შემცველი წყების სიზრქე საშუალოდ 250 მეტრს აღწევს, ხოლო ზოგან უფრო მძლავრიცაა [ფოფორაძე და სხვ. 2019:7].


გოდერძის ნამარხი ტყის შემცველი ვულკანოგენების ასაკი არ სცდება შუა მიოცენ-ქვედა პლიოცენს, რაც ასაკით 7 - 5 მლნ. წლით თარიღდება [ფოფორაძე და სხვ. 2019:7]. აქვე აღვნიშნავ, რომ მიოცენი დაიწყო 23,03 მლნ. წლის წინ და დასრულდა 5,332 მლნ. წლის წინ, ამ პერიოდიდან იწყება პლიოცენი [https://ka.wikipedia.org.]

ამჟამად, აქ დადგენილია 100-მდე სახეობის მცენარე. ტყეებში ხარობდა როგორც მარადმწვანე (წიწვიანები, პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრი, მაგნოლიები, არაუკარია), ისე ფოთოლმცვენი (ლელვი, ნეკერჩხალი, მუხა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრნი, წიფლისებრნი) სახეობები, ასევე ბუჩქნარები, ლიანები და გვიმრისნაირები. აქ მრავლადაა ოპალიზირებული და ქალცედონიზირებული ხის ღეროები, განსაკუთრებით აღსანიშნავია გიგანტური ვაზის ღეროები და ფოთლის ანაბეჭდები [Уз-надзе, 1965:85-87].

მილიონობით წლის წინ ვულკანის მოქმედებით მაშინდელი ტყე განადგურდა, გაქვავდა. ხის ორგანული მასალა მთლიანად ჩანაცვლებულია ოპალით, ქალცედონით და კვარცით. ისე, რომ სრულიად არ დარღვეულა მისი პირვანდელი სტრუქტურა. ანუ კლდის ქანებში ხის ტოტები და ღეროებია შემორჩენილი და თვით ქანზე ფოთლების ფორმებია აღბეჭდილი.

აღსანიშნავია პროფესორ მედეა უზნაძის მონაცემები. მან პირველმა საქართველოში, 1960-1961 წლების საველე სამუშაოების დროს ზედა მიოცენური ასაკის გოდერძის წყებაში, აღმოაჩინა ველური ვაზის მრავალრიცხოვანი ფოთლების ანაბეჭდები, რომლებიც განისაზღვრა როგორც *Vitis teutonika* A. Br. [Узнадзе М. 1965:90-91; ქოქრაშვილი, 2008:10].

გოდერძის ტყეში მოპოვებული განამარხებული ვაზის ერთ-ერთი ფოთლის აღწერილობა ასეთია:



წვეროსკენ დაზიანებული, ოვალური ფორმის, კიდეებდაკბილული, კიდის ნაწილი ჩამომტვრეულია, ძირითადად ასიმეტრიულია, დაქსელილია ძარღვებით, მთავარი ძარღვი პირდაპირაა მიმართული წვეროსკენ, გვერდითი ძარღვები უფრო თხელია და ფოთლის კიდეებისკენ დაწვრილებული, აქვს დამატებითი წვრილი ძარღვები. ამ ფოთლის მიხედვით იგი განისაზღვრა, როგორც *vitesx goderzika*. [Узнадзе, Цагарели, ტაბ. XXXII N 4].



განსაკუთრებით საინტერესოა გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, მდინარე მინძეს სიახლოვეს - ტუფოქვიშების ქანებში აღმოჩენილი გასაოცარი ნიმუში, მოყვითალო ფერის „გაქვავებული“ ხის სქელი ნაწილი, რომელიც ვაზის ღერო აღმოჩნდა.

მისი დიამეტრი 30 სმ-ია. ეს ვაზის შტამპი პალეობიოლოგების მიერ 15 მლნ. წლით არის დათარიღებული. ნიმუშს ახალ მონატებზე მიკროსკოპულად კარგად ეტყობა სხივოსნური რადიალური აღნაგობა ცენტრიდან პერიფერიისაკენ. ვაზის სპეციალისტებისა და პალეობიოლოგებისათვის კარგად არის ცნობილი ვაზის აღნაგობის განსაკუთრებული და განსხვავებული და სტრუქტურა. ვაზი არის ერთადერთი მცენარე, რომლის აშკარად გამოხატული წლიური ზრდის რგოლები თვალისათვის ძნელად შესამჩნევია, მაგრამ რადიალური განაწილება ისე აშკარაა რომ გადახერხილი ტოტი სხივოსნურ დისკოს მოგვაგონებს [ძველაია, კვირკველია, 1987:70].

ასევე, მეტად საინტერესოა ახალციხის რაიონში, ქისათიბის დიატომიტის საბადოში აღმოჩენილია ველური ვაზის ღერწისა და ფოთლების ანაბეჭდები, რომელთა ასაკი 10 მლნ. წლით ისაზღვრება. ფოთლის აღნაგობა აქ უფრო მარტივია. კარგად ჩანს სამ ნაწილიანი კიდედაკბილული ფოთლის ფორმა.



ზემოთ აღწერილი ვაზის განამარხებული ღერო და ფოთლის ანაბეჭდი ინახება ახალციხის მუზეუმში. [ქოქრაშვილი, 2008:8-10; გიქოშვილი, 2015:7].

განამარხებული ფლორა პალეოგეოგრაფიისა და მცენარეთა ევოლუციის საუკეთესო ნიმუში აღმოჩნდა. მისი მეშვეობით დადგინდა, რომ იმ პერიოდში კავკასიის ტერიტორიაზე ზოგადად, ნოტიო ტროპიკული სარტყლისათვის დამახასიათებელი ჰავა და მცენარეულობა დომინირებდა. ეს არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და კარგად შესწავლილი ნამარხი ფლორა. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან [Узнадзе, 1965:83]. ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეები, რომლებიც 10-15 საუკუნის წინ, ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ ფერფლით დაიფარა, მიაწინებებს, რომ ამ ტერიტორიაზე, სადაც დღეს სუბალპური ზონაა, ოდესღაც თბილი ჰავა და ხშირი წვიმები იყო.

გოდერძის ფლორის ანამედროვე ანალოგები ბინადრობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში, ჩრდილო ამერიკაში, ანტილიის და კანარის კუნძულებზე, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში და კავკასიაში [Узнадзе М. 1965:87-88].

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ბუნების ექსპოზიციაში ნაჩვენებია ვაზის გაქვავებული, ოპალიზებული ღერო. მისი სიგრძე 50 სმ-ია. ფერი ჩალისფერ-ყავისფერი. ჩამოტანილია გოდერძის ტყიდან მე-20 ს-ის 70-იან წლებში, მეცნიერ-მუშაკების გოდერძი ტოტოჩავას და ბიძინა აფხაზავას მიერ. ნიმუში აღებულია მდინარის დამშრალი კალაპოტის სანაპიროდან [გულორდავა, 2017:3].



მსგავსი ვაზის ღერო გამოფენილია არქეოლოგიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში. ეს ვაზის ღერო და სხვა ზემოთაღნიშნული ნიმუშები დასტურია იმისა, რომ მილიონობით წლის წინ ჩვენში ხარობდა გიგანტური ვაზი, რომელიც ვულკანურ ლავასა და ფერფლში ჩაიმარხა. პლიოცენის ხანაში საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში ვაზის - *Vitis-s*-ის გვარის მრავალი წარმომადგენელი არსებობდა [რამიშვილი, 2000:14]

გოდერძის ნამარხი ტყე უნიკალურ ბუნების ძეგლს წარმოადგენს, როგორც გაქვავებული ხეებისა



და განამარხებული ფლორის მეცნიერული მნიშვნელობითა და უნიკალურობით, ასევე სამუზეუმო და დეკორატიული თვალსაზრისით. ვაზის ღეროს გარდა ჩვენს მუზეუმში დაცულია გაქვავებული, ქალცედონიზებული და ოპალიზებული მერქნის ნიმუშები გოდერძის ტყიდან.

გაქვავებულ ხეებს აქვს ყავისფერი, ყვითელი, თეთრი, წითელი და შავი შეფერილობა. ეს ფერები ხშირად ერთსა და იმავე ნიმუშზე ერთდროულად გვხვდება და მორიგეობს ერთმანეთთან, რაც ნედლეულს აძლევს კარგ დეკორატიულ იერსახეს. გაქვავებულ

ნაშთებში საწყისი ორგანული მასალა თითქმის ჩანაცვლებულია კვარცის ჯგუფის მინერალებით.

გოდერძის განამარხებული ფლორა დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. მისი პალეობოტანიკური, პალეოკლიმატური, პალეოგეოგრაფიული მნიშვნელობის გამო. უამრავი კვლევა ჩატარებული ნამარხი ფლორის განსაზღვრისათვის, თუმცა ამ ბოლო წლებში გოდერძის წყებისათვის ნამარხი ფლორის ახალი სახეობები აღმოჩნდა, რომლებითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გოდერძის ნამარხი ფლორა სუბტროპიკული ხასიათისაა. რაც შეეხება ნამარხი ფლორის (გაქვავებული ხეები) მინერალოგიურ კვლევას, ეს საკითხი მკვლევართა მიერ სათანადოდ არაა შესწავლილი [მაქაძე, 2022:1]. მაგრამ დადგენილია, (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) რომ საწყისი ორგანული მასალა თითქმის ჩანაცვლებულია კვარცის ჯგუფის მინერალებით - კვარცით, ქალცედონით, ოპალის მსგავსი მინერალებით. ისე, რომ ხის პირვანდელი სტრუქტურა არ დარღვეულა. კრისტალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა 250-1300 გრადუს ცელსიუსით ტემპერატურის ინტერვალში [ფოფორაძე და სხვ., 2019:12].

რაც შეეხება გოდერძის განამარხებული ფლორის ასაკი, „სამხრეთ კავკასიის ბიომრავალფეროვნების რუკაზე“ მითითებულია 7-4 მლნ. წელი, ზედა მიოცენი-ქვედა პლიოცენი [სამხრეთ კავკასიის ბიომრავალფეროვნების რუკა. 2021].

გაქვავებული ტყე როგორც არაორგანული ბუნების ძეგლი, ადრე წითელ წიგნში იყო შეტანილი. ხდებოდა მისი დაზიანება, გაჰქონდათ სუვენირებად. გოდერძის ნამარხ ტყეს ბუნების ძეგლის სტატუსი 2013 წელს მიენიჭა და სპეციალური კანონის დაცვის ქვეშ მოექცა. (საქართველოს კანონი. ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ. მუხლი 4). გოდერძის ნამარხი ტყე წითელი წიგნის მიხედვით მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია და ბუნების უიშვიათეს საოცრებადაა მიჩნეული, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ შუა აზიასა და საქართველოშია აღმოჩენილი.

გეოლოგების (ფოფორაძე, გოგია, კობახიძე, აბოხანიძე) მიერ ჩატარებული სამუშაოები და კვლევები ადასტურებს, რომ გოდერძის ნამარხი ტყე და მისი მიმდებარე ტერიტორია აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც საჭიროა საქართველოში მაღალი დონის ტურისტულ-საგანმანათლებლო ზონის ჩამოსაყალიბებლად და პირველი „გეოლოგიური პარკის“ მოსაწყობად.

„გეოლოგიური პარკი“ დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახეობაა, რომლის ძირითადი მიზანია დაიცვას მნიშვნელოვანი გეოლოგიური მემკვიდრეობა, მოახდინოს მისი პოპულარიზაცია, გამოავლინოს და განავითაროს მისი საგანმანათლებლო და ტურისტული პოტენციალი ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ჩართულობის ფონზე. ასეთი პარკის მოწყობა საფუძვლად დაედება გოდერძის წყების შემცველი გაქვავებული ხეებისა და განამარხებული ფლორის სათანადო დაცვისა და გამოყენების რეკომენდაციების შემუშავებას. [ფოფორაძე და სხვ. 2019:7-12].

გოდერძის ნამარხი ტყის მოვლას, დაცვას და სწორ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვეთანხმები ქართველი გეოლოგების წინადადებას „გეოლოგიური პარკის“ მოწყობის შესახებ. ამისათვის აუცილებლად საჭიროა საზღვარგარეთის ქვეყნების ბუნების ძეგლების მოწყობის გამოცდილების გაზიარება, ტურისტების მოსაზიდად საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა.

მეცნიერები ველური ვაზის გავრცელების არეალად მიიჩნევენ მთელ ევრაზიას. შესაბამისად, ველურიდან კულტურულ ვაზზე გადასვლა შეიძლება მომხდარიყო ნებისმიერ ადგილას ამ არეალში, მათ შორის, საქართველოშიც. ველური ვაზი საქართველოს ფლორის ტიპური მცენარეა და წარსულში მთელს ტერიტორიაზე ფართოდ იყო გავრცელებული.

ველური ვაზის წიპწები აღმოჩენილია პალეობოტანიკური კვლევის შედეგად აფხაზეთში, პლიოცენურ შრეებში, რომელიც 5 მლნ. 300 ათასი წლის წინ ილექებოდა. ასევე, კახეთის შირაქის წყების ნალექებში აღმოჩენილია იგივე ასაკის (პლიოცენური) ველური ვაზის წიპწები. აღნიშნულ ადგილებში უკვე ჰოლოცენის კონტინენტურ ნალექებში (10-12 ათასი წელი) დაფიქსირებულია ველური ვაზის წიპწები [ქოქრაშვილი, 2008:11-12]. დღეისათვის საქართველოში მოძიებულია ველური ვაზის 78 ფორმა.

ღვინოს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითის ხანაშიც, ანუ დაახლოებით 8 ათასი წლის წინათაც მოიხმარდნენ, ეს არქეოლოგიური გათხრებითაც ჩანს. კვლევის შედეგად აღმოჩენილი ყურძნის წიპწებით დგინდება, რომ ველური ვაზი ადამიანმა პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მოიშინაურა და შემდეგ უკვე კულტურული ვაზისგან ღვინო დაწურა. ასევე, კომპლექსური კვლევის

შედეგად, კერამიკული ჭურჭლის ანაფხეკებში აღმოჩენილია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები, რაც ამ ჭურჭელში ღვინის არსებობის დასტურია.

საქართველოს ტერიტორიაზე კულტურულ მემკვიდრეობა-მეცენახეობას ჩვ.წ. აღ-მდე VI- V ათასწლეულში მისდევდნენ. ეროვნულ მუზეუმში ინახება მარნეულის რაიონის სოფელ შულავერში აღმოჩენილი ყურძნის წიპწები, რომელთა შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც საქართველო მდებარეობს, კულტურულ ვაზს ჯიშობრივი ასორტიმენტით ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში იცნობდნენ [რუსიშვილი, 2010:13].

გიგანტური ვაზი არც თანამედროვე პერიოდში აკლია საქართველოს მიწა-წყალს. ისინი მოფენილია ვარძიის, ხერთვისის და ხიზაბავრის ცნობილი ტერასების შემოგარენში. ადიგენის რაიონის სოფელ დიდ სამადაში მდგარი გიგანტური ვაზის ასაკი სამი საუკუნისაა. ასევე, 300 წლოვანი ვაზი დგას კახეთში, წინანდალში ნიკო ნიკოლაიშვილის ეზო-კარში [ძველაია, კვირკველია, 1987:71; ფაცია, 2020].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ გოდერძის წყებაში აღმოჩენილი ვაზის ღეროს ნაშთები და ფოთლის ანაბეჭდები გვამცნობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიურ წარსულიდან, 15 მლნ. წლის წინიდან მოყოლებული ველური ვაზი ხარობდა.

გოდერძის ნამარხი ტყე უმნიშვნელოვანეს ბუნების ძეგლს წარმოადგენს და იგი საინტერესოა, როგორც სამეცნიერო, ასევე ტურისტული თვალსაზრისით. თავგადასავლების და საერთოდ, ბუნების მოყვარულებს აქ ელით საინტერესო მოგზაურობაში წარსულში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიქოშვილი რ., 2015 „მესხური ვაზი და ღვინო“. ახალციხე
2. გულორდავა ლ., 2017 „მუზეუმის უძველესი ექსპონატები“. მუზეუმის მაცნე 9. ბათუმი
3. კეცხოველი ნ., რამიშვილი მ., 1960 ტაბიძე დ., „საქართველოს ამპელოგრაფია“. თბილისი
4. მაქაძე მ., 2019, „ახალი მონაცემები გოდერძის წყების ნამარხი პოსტულკანური მინერალიზაციის შესახებ“. ინტერნეტი: <http://Conference.ens.2022.tsu.ge/uploads>
5. მირველაშვილი მ, მაღრაძე დ., „ვაზისა და ღვინის კულტურა საქართველოში“. თბილისი
6. რამიშვილი რ., 2000. „ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია“. თბილისი
6. რუსიშვილი ნ. 2010. „ვაზის კულტურა საქართველოში პალეოეთნობოტანიკური მონაცემების საფუძველზე“. „მთენი“,
7. სამხრეთ კავკასიის ბიომრავალფეროვნების რუკა. 2021.
8. საქართველოს სსრ წითელი წიგნი, 1982. თბილისი
9. საქართველოს კანონი. „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“. მუხლი 4.გვ.2., 20.11.2013. <https://apa.gov.ge/uploads/other/1/1060.pdf>
10. Узнатдзе М., „Неогеновая флора Грузии“, „მეცნიერება“ 1965.
11. Узнатдзе М., Цагарели Е., „Сарматская флора ущелья реки дзиндза“. Тв 1979.
12. ფაცია ლ., „300 წლიანი წინანდლის ვაზი“. კვირის პალიტრა. 02.09.2020,
13. ფოფორაძე ნ., გოგია ბ., კობახიძე მ., აბზიანიძე ვ., „გოდერძის ტყის კომპლექსური გამოკვლევა“. სამთო ჟურნალი. N 1, (42) 2019.
14. ქოქრაშვილი ზ., „ქართული ფენომენი - ღვინო და ღვინის ღვთაება ზადაგონი“. თბ. 2008.
15. ძველაია მ., კვირკველია ბ., „აჭარის გეოლოგიური ისტორია“. თბილისი, 1987.

განათლების პირველი კერები აჭარაში XX სს. 20-40 წწ (აჭარა)
First education hubs in Ajara in the middle of XX c

ირმა კარანაძე

სსიპ აჭარის მუზეუმი, ამირან კახიძის სახელობის აჭარის
არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერმუშაკი
ფილოლოგიის დოქტორი

IRMA KARANADZE

LEPL Ajara Museum, Researcher at Amiran Kakhidze
Ajara Archaeological Museum, PhD in Philology

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2024.01.006>

აბსტრაქტი: როგორც მოგეხსენებათ, აჭარის განათლების სისტემაში წლების განმავლობაში მუშაობდა არაერთი საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, რომლებმაც არა მხოლოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აჭარის განათლების სისტემის განვითარებასა და არაერთი თაობის აღზრდაში, არამედ ნათელი კვალი დატოვეს ადამიანების მეხსიერებაშიც. განსაკუთრებით იმ პირველი თაობის პედაგოგებმა, რომლებმაც აჭარაში მუშაობა დაიწყეს ურთულეს პერიოდში - საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, დიდი ისტორიული და მენტალური ცვლილებების ეპოქაში. მათი საქმიანობის, ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი ურთიერთობის, ზოგადად, სოფლების კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის მათი ზრუნვისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთი ნათელი მოგონებაა შემონახული ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში. ეს მოგონებები, ზოგჯერ, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ოფიციალური ისტორიოგრაფიის მონაცემებისგან და ამ პერიოდის აჭარის ისტორიის ძალზე საინტერესო მომენტებს ინახავენ და მნიშვნელოვნად ავსებენ ოფიციალურ ისტორიოგრაფიას.

სწორედ ამან გვიბიძგა სხვადასხვა თაობის ადამიანებთან კომუნიკაციით შეგვესწავლა ადამიანების მეხსიერებაში შემონახული ეს საინტერესო ისტორიები და წინა პლანზე წამოგვეწია რესპოდენტთა მიერ განცდილი და მათ მეხსიერებაში დალექილი მოვლენები, პიროვნული განცდებისა და ისტორიების პრიზმაში გაგვეხილა ისეთი მნიშვნელოვანი და გარდამტეხი მოვლენა აჭარის ისტორიაში, როგორც იყო წერა-კითხვის უცოდინრობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია.

საკვანძო სიტყვები: განათლების პირველი კერები, წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია, წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები, „ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელისაზოგადოება“, „ქართულისაქველმოქმედოსაზოგადოება“, მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები.

Abstract: As you know over the years, numerous individuals with remarkable biographies have worked within Adjara's educational system. Their contributions extended far beyond the advancement of education in the region and the upbringing of successive generations; they also left an enduring legacy in the collective memory of the people. This is particularly true of the first generation of educators who began their work in Adjara during a most challenging period—at the dawn of Soviet rule, an era marked by profound historical and cultural transformations. The collective memory of local communities has preserved a wealth of vivid recollections concerning their professional activities, their interactions with the population, and their efforts to cultivate the cultural life of villages more broadly. These memories, at times, diverge significantly from the data presented in official historiography. They capture highly engaging aspects of Adjara's past and substantially enrich the official historical narrative. It was precisely this realization that encouraged us, through communication with representatives of different generations, to study these stories preserved in people's memory. Our aim has been to foreground the events experienced and internalized by respondents, and to examine a crucial and transformative process in the history of Adjara—the elimination of illiteracy and semi-literacy—through the prism of personal

Keywords: Early Centers of Education , Elimination of Illiteracy, Schools for the Eradication of Illiteracy, Society for the Spreading of Literacy among Georgians, Georgian Charitable Society, Schools for the Eradication of Semi-Literacy.

საბჭოთა ხელისუფლების განათლების რეფორმებთან დაკავშირებულ მოვლენების შესახებ არაერთი ნაშრომია შექმნილი, მაგრამ მათი უმრავლესობა საბჭოთა პერიოდში დაიწერა და ეს ლიტერატურა გაჯერებულია საბჭოთა იდეოლოგიით. ამასთან, ამ ნაშრომებში არაფერია ნათქვამი კონკრეტული პიროვნებების შესახებ, რომლებიც ქმნიდნენ სწორედ ამ ისტორიას, მათ თავგადასავლებზე, მათ განცდებზე, იმ სიძნელეებზე, რომლებიც ხვდებოდათ მათ მოღვაწეობისას. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ კვლევის მეთოდად აგვერჩია ზეპირი ისტორიები, რომლებიც წარმოაჩენს ოფიციალური ისტორიოგრაფიისაგან მივიწყებულ ან მიჩქმალულ მხარეებს, მოვლენის უშუალო მონაწილეთა მიერ განცდილსა და მათი ახლობლების, შთამომავლების მეხსიერებაში დალექილ მოვლენებს.

წარსულის გააზრება ზეპირი ისტორიების კონტექსტში, ფაქტების დამი ახლებური მიდგომის საშუალებას იძლევა. ამ ნარატივების შეპირისპირება ისტორიულ დოკუმენტებთან, საარქივო მასალასთან, პერიოდული პრესის მონაცემებსა და სამეცნიერო ლიტერატურასთან პროცესების მეტნაკლებად დაბალანსებულ და რეალურ სურათს წარმოქმნის. ამდენად, ჩვენ შევეცდებით აჭარის განათლების ისტორიის ეს პერიოდი წარმოვადგინოთ ზეპირი ისტორიების საშუალებით, პიროვნული განცდებისა და ისტორიების პრიზმაში. გასაანალიზებლად ავირჩიეთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (მაშინდელი ბათუმის რაიონი) წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის პროცესები.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის კვლევაში განათლების საკითხების შესწავლას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ოსმალეთის ეპოქაში შეჩერებული კულტურული განვითარება მე-19 საუკუნეში ქართველი მოღვაწეების დიდი ძალისხმევით კვლავ აღორძინდა, შემდგომი განვითარება კი მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან იწყება. სკოლების გაჩენა, წერა- კითხვის გავრცელება საბჭოთა ხელისუფლების განათლების რეფორმებთან იყო დაკავშირებული, რომელიც 1920-იან წლებში დაიწყო. პირველ სკოლებს რეგიონის მოსახლეობის წერა- კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრა და განათლების დონის ამაღლება ევალებოდათ. (შრომები XV- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი,)

აჭარაში სკოლების გახსნის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე წიგნში „იაკობ გოგებაშვილი და აჭარა“ წერდა: „აჭარელი ბავშვებისათვის სკოლების გახსნა და ბავშვების სკოლაში მიზიდვა ყველას აინტერესებდა. ამ საქმეს ი. გოგებაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა. იგი აჭარაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით დადიოდა და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა. იაკობ გოგებაშვილს, როგორც განმანათლებელს, ერის წინსვლის მთავარ საშუალებად მიაჩნდა სკოლა, მრავალტანჯული აჭარის აყვავება-აღორძინებას იგი ქართული სკოლის გახსნა-დაარსებაში ხედავდა. (გობრონიძე ა, ბათუმი 1970)

მნიშვნელოვანია აჭარის განათლების ისტორიის მკვლევარის ვახტანგ წულუკიძის ნაშრომი „პირველი ქართული სკოლა აჭარაში“ (ბათუმი, 1982 წ.) ავტორი წიგნის შესავალ ნაწილში ხაზს უსვამს კონკრეტულად ბათუმის პირველი ქართული სკოლის გახსნის მნიშვნელობას, განსაზღვრავს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებული აჭარისათვის ამ სკოლის დიდ როლს და ფაქტობრივად გვაძლევს ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორიას მისი დაარსებიდან XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე. ილია ჭავჭავაძეც აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერების, თავიანთ ქრისტიან ძმებთან, ქართველებთან სულიერად შეკავშირების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად სასკოლო დაწესებულებების გახსნას მიიჩნევდა, რომ „- ეს სკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულითა და გულით შემოგიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა.“ (გობრონიძე, 1970) პირველად ბათუმში 1881 წლის მარტში, სწორედ ამ საზოგადოებამ ქართველი მაჰმადიანებისთვის

დაარსა პირველი ქართული სკოლა - ორკლასიანი სასწავლებელი. ეს სკოლა იყო ბათუმის კულტურული ძალების თავშესაფარი, სადაც ტარდებოდა ზეიმები; სკოლა ასრულებდა ბიბლიოთეკის, კლუბის, კულტურის სახლის მოვალეობას. ამ სასწავლო დაწესებულებამ უდიდესი როლი შეასრულა აჭარლების ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში.(იხ:სქემა-IV სკოლის ფოტო და მაკეტი, რომელიც დაცულია სიპ.აჭარის მუზეუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში).

„ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ დიდი დაბრკოლების მიუხედავად, აჭარაში ქართული სკოლების გახსნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და დიდი სამსახური გაუწია აჭარის მოსახლეობას, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ძმობა-ერთობის გამყარებისა და განმტკიცების საქმეს. ოსმალეთის ეპოქაში შეჩერებული კულტურული განვითარება მე-19 საუკუნეში ქართველი მოღვაწეების დიდი ძალისხმევით კვლავ აღორძინდა, შემდგომი განვითარება კი მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან იწყება. ახალმა ხელისუფლებამ მოსახლეობის განათლების, კულტურისა და ყოფის გარდაქმნისათვის პირველი რიგის ამოცანად დასახა წერა-კითხვის უცოდინრობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია. მთელს აჭარაში იხსნება წერა კითხვის უცოდინრობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები.(იხილეთ: სქემა I, ცხრილი 1)იგი ეხებოდა 50 წლამდე ასაკის ადამიანებს. ამ პრობლემისადმი განსაკუთრებული ყურადღება იმითაც იყო განპირობებული, რომ 1921 წლისათვის წერა- კითხვა იცოდა მოსახლეობის 7%-მა. 1921 წ. აჭარაში იქმნება წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო კომისია. ჩატარდა წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა, გამოიყო მასწავლებლები. უკვე 1921 წ. აჭარაში იყო 37 წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელიც 787 მსმენელს აერთიანებდა. 1926 წლისათვის მუშაობდა 119 სალიკვიდაციო სკოლა 2394 მსმენელით, მათ შორის ქალი იყო მხოლოდ 205.1930 წ. აღნიშნული სკოლების რიცხვმა 399-ს მიაღწია, რომელშიც მეცადინეობდა 8 ათასამდე მსმენელი, აქედან მხოლოდ 945 ქალი. ასევე იქმნებოდა წერა-კითხვის უცოდინრობასთან მებრძოლი ორგანიზაცია (წერ-კუმსი). 1926 წ. ამ ორგანიზაციას ჰყავდა 2743 წევრი, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 45 უჯრედში. 1921 წ. აჭარის რევკომმა შექმნა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო კომისია. ჩატარდა წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა, გამოიყო მასწავლებლები. უკვე 1921 წ. აჭარაში იყო 37 წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელიც 787 მსმენელს აერთიანებდა. 1926 წლისათვის მუშაობდა 119 სალიკვიდაციო სკოლა 2394 მსმენელით, მათ შორის ქალი იყო მხოლოდ 205. 1930 წ. აღნიშნული სკოლების რიცხვმა 399-ს მიაღწია, რომელშიც მეცადინეობდა 8 ათასამდე მსმენელი, აქედან 945 ქალი. (იხ:სქემაII,ცხრილი2). შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინრობასთან მებრძოლი ორგანიზაცია (წერკუმსი). 1926 წ. ამ ორგანიზაციას ჰყავდა 2743 წევრი, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 45 უჯრედში. აჭარის 131957 მცხოვრებთაგან წერა-კითხვის მცოდნე იყო 38952 (29,5%), მათ შორის, ქალი – 14590. უფრო დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა სოფელს, სადაც 81579 მცხოვრებიდან წერა-კითხვა იცოდა 8443 (10,3%), 38921 ქალიდან წერა-კითხვის მცოდნე იყო მხოლოდ 1907 (5%).(ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი,შრომები XV-ბათუმი)

1920-30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში წამოიწყო მასშტაბური კომპანია-წერა-კითხვის გაუნათლებლობის აღმოფხვრისათვის. ერთ-ერთი პირველი სკოლა ხელვაჩაური რაიონში, სოფელ ჩხუტუნეთში გაიხსნა. მასწავლებელი, რომელიც დაარსებიდანვე ამ სკოლას ხელმძღვანელობდა, გახლდათ ნიკოლოზ ქამუშაძე - დაიბადა საჩხერის რაიონის, სოფელი ქორეთში,- მუშაობდა აჭარასა და იმერეთში. მასთან ერთად მუშაობას იწყებს ეთერ რაზიკაშვილი. ამ პიროვნებამ დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო სკოლას, მოსწავლეთა სწავლების საქმეს. ეთერ რაზიკაშვილი გახლდათ ვაჟა ფშაველას ძმის - მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - თედო რაზიკაშვილის ქალიშვილი. იგი დაიბადა გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში. გორის ქალთა გიმნაზიის წარმატებით დასრულების შემდეგ სამუშაოდ აჭარაში ჩამოვიდა სოფელ ჩხუტუნეთის ახლად დაარსებულ სკოლაში შეუდგა მოღვაწეობას. ამ პროცესში სპეციალური სასწავლო ცენტრები და წრეები იქმნებოდა სოფლებში, სადაც სწავლება ხშირად ღამის საათებში ტარდებოდა, რადგან დღის განმავლობაში მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ასრულებდა, მასწავლებლები დიდი სირთულეების მიუხედავად შეუჩერებლად მუშაობდნენ. მათ უწევდათ ადგილობრივ ოჯახებში სიარული, მოსახლეობის დარწმუნება და საჭიროების შემთხვევაში სახელმძღვანელო მასალების ხელნაწერად მომზადება. კამპანიამ ხელი შეუწყო განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას და რეგიონის სოციალურ-კულტურულ გარდაქმნას, რაც

მომავალში ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას საფუძვლად დაედო. აღსანიშნავია, რომ ქართული სკოლა სოფ ყოროლისთავში გახსნილა ჯერ კიდევ 1909 წელს, მაგრამ კადრებისა და მოსწავლეთა სიმცირის გამო გაუქმებულია. კარგა ხნის შემდეგ, 1916 წლის მარტში, ჰაიდარ აბაშიძის ინიციატივით სოფელ ყოროლისთავში ისევ გაიხსნა სკოლა. სასკოლო შენობაც მალე გამოინახა. ეს იყო ჰაიდარ აბაშიძის პაპის, გენჯი ქიქავას საცხოვრებელი სახლი, რომელმაც მემკვიდრეობით გადასცა თავის ქალიშვილს - ჰაიდარის დედას. ასე გაიხსნა ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე პირველი ქართული სკოლა. სკოლის საზეიმო გახსნაზე ჰაიდარ აბაშიძემ მიმართა შეკრებილთ- „ჩვენო ძმებო, გაგვიძეხით წინ და გაგვიყვანეთ ნათელ გზაზე, რომ თქვენთან ერთად გავწიოთ ცხოვრების მძიმე უღელი, რომლითაც გავახარებთ ჩვენს ტანჯულ სამშობლოს და ტურფა სამშობლოსათვის წამებულ გმირებს. მაშ ვუსურვოთ გამარჯვება პირველ მერცხალს- დღევანდელ ეროვნულ სკოლას“. ყოროლისთავის პირველი ქართული სკოლის პირველი მასწავლებელი თავად ჰაიდარ აბაშიძე გახლდათ. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიურმა სასწავლებელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დაწყებითი სკოლებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში, რომლებიც გამოირჩეოდნენ საუკეთესო თეორიული და პრაქტიკული მომზადებით.

წარმოდგენილი გვაქვს აჭარის პედაგოგიური სასწავლებლების ქსელი და მათში მოსწავლეთა რაოდენობა 1930-31 და 1950-51 სასწავლო წლების დასაწყისის მდგომარეობით (იხილეთ: სქემა III). (თ.კომახიძე - ხელვაჩაურის (ბათუმის რაიონი) (განათლება, კულტურა, ჯანმრთელობა, ჰავა, კურორტები)- სს„გამომცემლობა აჭარა“-ბათუმი-2003.)

1922 წელს ხელვაჩაურში, სოფლის თავკაცმა იუსუფ ვარშალომიძემ სკუთარ საცხოვრებელ სახლში, საკუთარი სახსრებითა და ძალისხმევით გახსნა პირველი სკოლა, სადაც სწავლება თავდაპირველად მიმდინარეობდა თურქულ ენაზე. ხოლო 1923 წელს იუსუფ ვარშალომიძემ საკუთარი თანხებით სკოლისათვის დაიქირავა მასწავლებელი - ქსენია მშვიდლობაძე, რომელმაც სოფელში პირველად ქართულ ენაზე დაიწყო მოსწავლეთა სწავლება. და ისევ იუსუფ ვარშალომიძის ძალისხმევით 1927 წელს სოფელში აშენდა დაწყებითი სკოლის შენობა. (ფოტო იხილეთ სქემა-V) აჭარაში ქართული სკოლების დაარსებას დიდი სიხარულით შეხვდა აჭარის მოსახლეობა. მიუხედავად მაჰმადიანური სასულიერო პირების წინააღმდეგობისა, სულ მოკლე ხანში ბავშვებით აივსო სკოლები. სოფელ თხილნარში პირველი დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1924 წელს. მასწავლებლად მუშაობდა პლატონ წილოსანი. შემდეგ სკოლას ხანძარი გასჩენია და სკოლა დამწვარა. სკოლა გახსნილა ხასან კარანაძის ოჯახში. 1930 წელს აუშენებიათ ახალი დაწყებითი სკოლის შენობა. 1935 წელს ამ სკოლის ბაზაზე აშენებულია ორსართულიანი შენობა 8 საკლასო ოთახით და გახსნილა არასრული საშუალო სკოლა. სოფელ ერგეში პირველი ქართული სკოლა გაიხსნა სელიმბეგ ბიბილეიშვილის საცხოვრებელ სახლში. როგორც მოგახსენეთ, აჭარის სოფლების სკოლებში სამუშაოდ მოდიოდნენ უმთავრესად დასავლეთ საქართველოდან- გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან) აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არცერთი ადგილობრივი მასწავლებელი არ იყო, ხოლო 1927 წლამდე- არც ერთი ადგილობრივი ქალი მასწავლებელი. (კომახიძე, II. ხელვაჩაურის (ბათუმის რაიონი) სს„გამომცემლობა აჭარა“-ბათუმი-2003.)

მართალია, სკოლების მშენებლობასა და ტექნიკური აღჭურვისათვის საჭირო სახსრები ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი, მაგრამ არსებული სიმწიფეების გადალახვა ხორციელდებოდა პატრიოტ მასწავლებელთა უჩვეულო ენთუზიაზმით. მიუხედავად მათი მძიმე მატერიალური პირობებისა, ისინი დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ასრულებდნენ. კულტურული ცხოვრების აღმავლობა აჭარის დედასამშობლოსგან ჩამოშორებამ ძლიერ შეაფერხა. მაშინდელი განათლება მხოლოდ მაჰმადიანური რელიგიური ხასიათისა იყო. მედრესეებში ხოჯები და მოლები ასწავლიდნენ. მიუხედავად ამისა, როგორც გვამცნობს ზ. ჭიჭინაძე, იქ ხოჯები მეტ-ნაკლებად ცდილობდნენ ქართული წერა-კითხვის სწავლებას და თავის მრევლსაც ასე ასწავლიდნენ.

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებული პრობლემა იყო მატერიალური სიდუხჭირე, თუმცა უსახსრობის მიუხედავად, მასწავლებლები მთელს აჭარაში დიდი ენთუზიაზმით უფასოდ იღვწოდნენ. განათლების სფეროში დაწყებული აღმავლობის შედეგად 1923 წლისათვის ხელვაჩაურში, კერძოდ, აჭარისწყალზე, ფუნქციონირებდა 2 შრომის სკოლა, ხოლო 1924 წლისთვის კი ოთხწლიანი შრომითი სკოლა. გარდა ამისა, წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლე- ბი გაიხსნა აჭარისადმართში და ჩიქუნეთში

(კახიძე, 1974). მანამდე კი მთელ აჭარისწყლის მაზრაში მხოლოდ სამი სკოლა იყო – აჭარისწყალზე, მახუნცეთსა და ქვედა მარადიდში. აჭარისალმართის შრომის სკოლას შეფობას უწევდა ბათუმის გიმნაზიის საშეფო კომისია (კახიძე, 1974). ბათუმის ოლქში 6 დაწყებითი ქართული სკოლა გაიხსნა (კომახიძე, II, 2003). მათ შორის ორკომპლექტიანი იყო დაწყებითი სკოლა ყოროლისთავში, ხოლო ერთკომპლექტიანი სკოლა ჩხუტუნეთში (კახიძე, 1974; კახიძე ნ., 2008, №2; ბაბილოძე, 1975.)

აჭარის სკოლების გარემო შექმნილ მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მასწავლებელ ნიკო ქამუშაძის წერილი, სადაც საუბარია თუ რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა სახალხო მასწავლებლებს, როგორ უშლიდნენ ხელს ქართული სკოლის დაარსებაში და რა ღონისძიებას ატარებდა ამ მხრივ „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“. როგორც ნოკოლოზ ქამუშაძე აღწერს თავის მოგონებებში, - აჭარისკენ მიმავალი გზა მწვანე გორაკებს შორის მიიკლალნება, მაღალი მთები, ნაძვები კი უცხვად აფრქვევენ არემარეს თავის სურნელებას. ტყე შრიალებს, კაკლის ხეები თავის ჩრდილში გვახვევენ. რაკრაკა ნაკადულები მახლობელ მაღლობთაგან მოსრიალებენ. მრისხანე წყალვარდნილები კლდე-ღრეს გიჟურად ეჯახებიან. ჩვენც მივედით დასახელებულ სოფელ ჩხუტუნეთში. მეორე დღეს მოველაპარაკეთ ხალხს, გავაცანით ჩვენი მოსვლის მიზეზი.“ როგორც ქამუშაძე აღნიშნავს თავის მოგონებებში, სახალხო მასწავლებლების დევნა აჭარაში არახალია, მეორე მხრივ საქველმოქმედო საზოგადოების აბუჩად აგდება, რადგან ქართული სკოლების გახსნას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა - ცდილობდნენ თავიანთი ზრახვა სისრულეში მოეყვანათ და დაეხურათ ქართული სკოლები, მაგრამ საქველმოქმედო საზოგადოება მოხერხებულად შეხვდა- აიღო და დაითხოვა მასწავლებლები. ვნახოთ, შემდეგ რა იქნება“(გაზეთი, სახალხო ფურცელი № 609)

საბჭოთა პერიოდში პედაგოგების საქმიანობა არ იყო მხოლოდ ცოდნის გადაცემა – მათ საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესში განსაკუთრებული როლი ეკავათ. განათლების მთავარი ამოცანა წერა-კითხვის უცოდინრობის დამლევა, მცირემცოდნეობის აღმოფხვრა და მთელს ქვეყანაში ქართული სასწავლო დაწესებულებების აშენება და ქართულ ენაზე სწავლების გავრცელება. მართალია, სკოლების მშენებლობასა და ტექნიკური აღჭურვისათვის საჭირო სახსრები ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი, მაგრამ არსებული სიძნელების გადალახვა ხორციელდებოდა პატრიოტ მასწავლებელთა უჩვეულო ენთუზიამით; მიუხედავად მათი მძიმე მატერიალური პირობებისა, ისინი დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ასრულებდნენ.

შემორჩენილია დანიშვნის ბრძანების ამონაწერი „განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანება 180,23 ნოემბერი, 1930 წელი, №15.

დაინიშნოს სოფ. ყიზილთოფრახის მასწავლებლად ა/წ 25 ნოემბრიდან ამხ. ვლადიმერ ერმალოვის ძე ჯაველიძე. განათლების სახალხო კომისარი - ფარცხალაძე. (კომახიძე, II. ხელვაჩაურის (ბათუმის რაიონი) სს „გამომცემლობა აჭარა“-ბათუმი-2003.)

ბატონ ვლადიმერზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია აჭარაში (ბათუმის რაიონი) მუშაობამ და ამიტომაც დაუწერია მოგონება, „ორი წელი აჭარაში“. ვლადიმერ ჯაველიძის წერილი, რომელიც 1970 წელსაა დაწერილი, დაიბეჭდა მცირეოდენი შესწორებით და შემოკლებით ჟურნალში „მაჭახელი“. (სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი, „მაჭახელი“-N 6-7.-ბათუმი 2012-2013.) წერილი აგებულია აჭარაში, კერძოდ ახალსოფელში (მაშინდელი ყიზილთოფრახი), კირნათსა და მაჭახელაში პედაგოგიურ სარბიელზე მუშაობის შთაბეჭდილებებსა და მოგონებებზე. მოგონებებიდან ჩანს, რომ ბატონ ვლადიმერს 1930 წელს, 17 წლის ასაკში, ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაუწყო მუშაობა აჭარაში. წერილში ვკითხულობთ: „ჩემს მისვლამდე სკოლას უძღვებოდა მასწავლებელი ნინა აფხაზავა, რომელიც სკოლის დაარსების (1928 წელი) სათავეებთან იდგა - და პირველმა აზიარა აქაური ბავშვები მშობლიურ დედა ენას. მან პირველად მუშაობა დაიწყო სოფელში არსებულ უბადრუკ მედრესეში, რომელიც შედგებოდა სამი პატარა ოთახისაგან. მედრესეს შენობა, რა თქმა უნდა, ხისა გახლდათ, ბარაკული ტიპისა, რომელსაც სამსაფეხურიანი კიბე გააჩნდა. სოფლის მედრესეში აქაური ხოჯა ბავშვებს ლოცვებსა და არაბულ ენას აზეპირებინებდა. ნინა აფხაზავამ, რომელიც მაშინ სრულიად ახალგაზრდა, 18 წლისა იყო, სწორედ ამ მედრესეში მოსიარულე 20 ბიჭი და რამდენიმე გოგონა მიიღო სკოლაში და ენერგიულად შეუდგა მათ სწავლებას. ჯერ კიდევ მუსლიმანურ სარწმუნოებითა და წეს- ჩვეულებებით გაჟღენთილ სოფელში

ისეთი ურთულესი საქმის წამოწყება, სკოლა და მოსწავლეთა აღზრდა, უამრავ სიძნელესთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ნინა არ შეუშინდა დაბრკოლებებს, და სულ მალე სოფლის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.) მაგრამ როცა მოსწავლეთა რაოდენობამ იმატა (1930 წელი) და პირველ კლასში უკვე 18 მოსწავლე იყო, მეორეში-8., შემდეგ სკოლაში მოზიდული იქნა 10-ზე მეტი ბავშვი ნოლი ჯგუფისთვის. ამიტომ დასმულა საკითხი მეორე მასწავლებლის დანიშვნაზე. სოფ. ყიზილთოფრახის (ახლ: ახალსოფელი) სკოლა მოთავსებული იყო მაშინდელი სასოფლო საბჭოს შენობის ზემოთ, სამხრეთისკენ მიმავალ გზაზე. სკოლას პატარა დეღე ჩამოუდიოდა, სადაც წისქვილი იდგა, 17 წლისამ დავიწყე მუშაობა და ჩემს ცხოვრებაში დიდი სიახლე იწყებოდა და დიდ შიშსაც განვიცდიდი, თუ როგორ შევეწყობოდი საქმეს. ჩემთვის ყველაფერი უცხო იყო. მშობლიურ გარემოს მოულოდნელად დავმორდი და აღმოვჩნდი სრულიად უცნობ და უცხო ხალხში. თან მქონდა ამ სოფელში მცხოვრები ეთემ ბათალოღლისა და და სურმანიძეების სახელზე მოწერილი წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ჩემი ნათესავი ბათუმიდან რემზი ხიზა და მისი მეუღლე ლუდმილა მაგლობლიშვილი ბათუმიდან. წერილში ეწერა, რომ ყურადღება მოექციათ ჩემთვის. ეს კაცი თავზე მევლებოდა. ყველანაირად ცდილობდა ჩემს გამხნეებას. მეკითხებოდა: „ასე ახალგაზრდას, მასწავლებლობა ვინ მოგცაო“. მხიარულობდა და დიდ გულწრფელობას იჩენდა. გამომკითხა მისი ბათუმელი ნაცნობის რემზი ხიზას ოჯახის მდგომარეობა. ყიზილთოფრაღში (ახლანდელ ახალსოფელში) ცხოვრობდა სულეიმან ლეონიძე, რომელსაც ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. მას უყვარდა სასოფლო საბჭოს გვერდით გრძელ სკამზე ჩამოჯდომა, ირგვლივ შემოიკრიბებოდნენ გლეხები და იმართებოდა შესანიშნავი საუბარი. სალაპარაკო თემა იყო ჩვენი ცხოვრების მომავალი. ყველა გლეხი პატივისცემით მეპყრობოდა, ჩემი ახალგაზრდობის მიუხედავად,, მოკრძალებით მომმართავდა, რაც დიდად მსიამოვნებდა. ერთხელ სკოლაში მოვიდა, სადაც ცხოვრობდი და სადილად მიმიწვია. გულთბილად მესაუბრა. მეც ვაფასებდი მის გამჭრიახობას, უნარიანობას, სიდაბაისლეს. მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო განათლება არ ჰქონდა მიღებული. იგი ურჩევდა გლეხებს, რომ სკოლაში მიებარებინათ ბავშვები. ერთი სიტყვით, თავიდანვე დიდი ყურადღებით დავრჩი მისი მხრიდან. რამდენიმე დღე ისე შევეჩვიე მათ, რომ მათდამი სიყვარული დღესაც მახარებს, და ვინ იცის რამდენჯერ, ვისთვის არ მითქვამს ამ ამ შესანიშნავი დღეების შესახებ, რაც მე აჭარაში, ბათუმის რაიონის სოფლებში გამიტარებია. მეორე წელს გადამიყვანეს სოფელ კირნათის დაწყებითი სკოლის გამგედ. კირნათში იყო ოთხი კლასი, ცინცადის სახლში. სკოლისათვის მეორე სართულზე სამი საკლასო ოთახი გვეჭირა. მასწავლებელი ორნი ვიყავით- მესამე-მეოთხე კლასები- მე მეხარა, ხოლო პირველი- მეორე კლასები- რუხაძეს. მესამე- მეოთხე კლასში- 15 მოსწავლე იყო. ერთ მხარეს მეოთხე კლასელები ისხდნენ, მეორე მხარეს- მესამე კლასელები. სკოლა მდინარე ჭოროხის ნაპირას იყო განთავსებული. ცხოვრობდი მძების რამიზ და იბრაიმ ჯიხაძეების ოჯახში, მათ ეჭირათ ორსართულიანი სახლი მეორე სართული, პირველ სართულზე მათი ბიძია იაშა ჯიხაძე ცხოვრობდა. პატივისცემა და ყურადღება მქონდა რა თქმა უნდა მშობლიური. ჩემთვის ცალკე გამოყოფილი იყო ერთი ოთახი, ხოლო სასმელ-ნსაჭმელით უზრუნველყოფილი ვიყავი ამ ოჯახით. როცა სახლის მეპატრონეს ვთხოვე, რამდენი უნდა გადამეხადა ბინისა და სასმელ-საჭმელის ღირებულებაში, ეწყინა და შეწუხებულმა მითხრა: ისე, როგორ უნდა წავხდე, რომ ჩვენი სკოლის მასწავლებელს ფული გამოვართვა, განა ერთი კაცი დაავსებს ჩემს ოჯახსო. იბრაიმ ჯიხაძე უცოლშვილო ახალგაზრდა კაცი, ერთ ზაფხულს ჩემს სოფელში წავიყვანე-ასკანაში მშობლებს გავაცანი. დიდი სიყვარულით მიიღეს. როცა ქუთაისში დავბრუნდი სამუშაოდ, კავშირი იბრაიმს ჩემს ოჯახთან არ გაუწყვეტია. როცა დაქორწინებულა, მამაჩემს პირობის თანახმად, სოფელ ასკანაში ცასულა და მამაჩემს, პირობის თანახმად, რამდენიმე ფუტი ღვინო გაუტანებია. სოფელ კირნათში 1931 წლის თებერვლამდე დავრჩი. აქედან სამუშაოდ გადამიყვანეს აჭარის აღმართში (მაჭახელი) რაისკოლის გამგედ. რაისკოლა - რომელიც აერთიანებდა თემის ყველა სკოლას. 1932 წელს აჭარის აღმართში- განათლების განყოფილების გამგედ დავიწყე მუშაობა. აჭარის აღმართი მთიანი სოფელია, მაშინდელ პირობებში უგზოობა ძალიან დამაბრკოლებელი იყო სოფლებისათვის, მიხდებოდა ხან ერთ სოფელში ასვლა, ხან მეორეში, ყველგან იგრძნობოდა დიდი ლტოლვა - მისწრაფება განათლებისადმი. ვამოწმებდი სკოლებს და შეძლებისდაგვარად ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას ვუზიარებდი. მიუხედავად იმისა, რომ თემის სოფლების მასწავლებლებს გამოცდილება და სტაჟიც ჰქონდათ, ერთმანეთის მიმართ ძალიან კარგი დამოკიდებულება და შეწყობილი მუშაობა ჰქონდათ. აჭარაში მუშაობამ დიდი შთაბეჭდილება

მოახდინა ჩემზე. აქ გატარებულ დროს ყველაზე მეტად სასარგებლოდ ვთვლი მე ჩემს ცხოვრებაში. მე რომ დიდი გამოცდილება მქონოდა, უფრო მეტს შევძლებდი. მე იმ დროს მომიწია მუშაობა, როცა ხალხი ისწრაფვოდა განათლებისაკენ, მაგრამ არ იყო საკმარისი კადრები. სამსოფელოში ვიმუშავე, მრავალი ხალხი გავიცანი, ვნანობ, რომ მიღებული თაბეჭდილებები მაშინვე არ ჩავწერე- უფრო ზუსტი და სასარგებლო იქნებოდა.“(სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი“-N 6-7.-ბათუმი 2012-2013.)

წარმოდგენილი გვაქვს 1922 წლის 14 იანვრის აჭარის ასსრ საბჭოების პირველი ყრილობის რეზოლუციის ამონაწერი აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ:

„აჭარის საბჭოების პირველმა ყრილობამ მოისმინა მოხსენება სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული მუშაობისა და შემდგომი ამოცანების შესახებ. ყრილობა იწონებს კომისარიატის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მიუთითებს უახლოეს ხანებში ოლქის სკოლების გადადგმულ ნაბიჯებს და მიუთითებს უახლოეს ხანებში სკოლების გახსნის აუცილებლობაზე, ამასთან სკოლების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაზე და მათი სასწავლო ნივთებითა და ინვენტარით დროულ მომარაგებაზე. პოლიტიკური განათლების დარგში კი ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მისი მუშაობის ადგილობრივ პირობებთან შეფარდება. ამასთან ყრილობა ადგენს, რომ სახელმწიფო ენად აღიარებული იქნას ქართული. (გაზ „უწყებანი“, №244, 1922 წელი.)

იმდროინდელ ქართულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მასალები პედაგოგთა მეტად ცუდი ეკონომიური პირობების და უუფლებო მდგომარეობის შესახებ. ერთ-ერთი იმდროინდელი მასწავლებლის დღიურში ვკითხულობთ, ლაქია, ნოქარი და დარაჯი უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე მასწავლებელი. სულ რაღაც 30 მანეთით თავიც უნდა ირჩინო, გამოიკვებო, ჩასაცმელ-ფეხსაცმელი შეიძინო და გაზეთიც გამოიწერო“. მიუხედავად ასეთი მძიმე მატერიალური პირობებისა, აქაურ მასწავლებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, ისინი მაინც განაგრძობდნენ მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობას, რასაც მოზარდის აღზრდა ჰქვია. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი პედაგოგები ყველა ზეწოლასა და გაჭირვებას უძლებდნენ და განაგრძობდნენ თავიანთ კეთილშობილურ საქმიანობას.

დასკვნა. ამგვარად, 1920–1940 წლებში განათლების დარგში მოპოვებული იყო თვალსაჩინო წარმატებები. უწინარესად, ლიკვიდირებულ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობა. სკოლების ქსელი უზრუნველყოფდა სოფლად და ქალაქად სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმას სწავლებაში. განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს აჭარაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში სახალხო მასწავლებლებმა, რომლებიც მოვლენილი იქნა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მიუხედავად ყოველგვარი მატერიალური პირობებისა, ისინი დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ასრულებდნენ. საგრძნობლად ამაღლდა მოსახლეობის განათლების დონე, დაძლეულ იქნა ფსიქოლოგიური ბარიერი. მოსახლეობამ ირწმუნა, რომ სკოლის, ცოდნის გარეშე შეუძლებელია სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული პრობლემების გადაწყვეტა.

ლიტერატურა:

1. თეიმურაზ კომახიძე - ხელვაჩაურის (ბათუმის რაიონი) (განათლება, კულტურა, ჯანმრთელობა, ჰავა, კურორტები)-სს.,გამომცემლობა აჭარა“-1,ბათუმი-2003.
2. სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი,„მაჭახელი“-N 6-7.-ბათუმი 2012-2013.
3. კახიძე ნ. „ჯაველიძე ვლ. „ორი წელი აჭარაში (ახალსოფელი, კირნათი, მაჭახელი), -ჟ. „მაჭახელი, 2012-2013, №6-7, გვ. 7-13
4. გრიგოლ ბაბილოძე. სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957 წწ.). ბათუმი-1958
5. ბაბილოძე გრ, ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან, გამომცემლობა: „საბჭოთა საქართველო“, ბათუმი-1975.
6. გობრონიძე ა, იაკობ გოგებაშვილი და აჭარა, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“,ბათუმი.1970
7. შრომები XV- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი-ბათუმი - 2021
8. განათლება, მეცნიერება, კულტურა და რელიგია აჭარაში 1921–1990 წლებში.თავი მეცამეტე: 1. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი-ბათუმი - 2021
9. ნ. ჩელებაძე-განათლება და კულტურა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი-ბათუმი - 2021.

სქემები:

ქალაქი, რაიონი	წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები			წერა-კითხვის მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები		
	სულ	მსმენელთა რაოდენობა	მათ შორის, ქალი	სულ	მსმენელთა რაოდენობა	მათ შორის, ქალი
ხელო	135	2000	1000	50	1000	200
ქედა	67	1000	483	30	500	100
ქობულეთი	100	1490	812	50	900	250
ბათუმის რაიონი	120	1824	819	45	800	200
ქბათუმი	38	686	386	45	800	250
სულ აჭარაში	460	7000	3500	220	4000	1000

I. წერა-კითხვისუცოდინრობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებისა და მსმენელთა შესახებ ინფორმაცია-1934 წელი

სასწავლო წელი	სკოლების რაოდენობა				მოსწავლეთა რაოდენობა			
	დაწყებითი	რვაწლიანი	საშუალო	სულ	1-4 კლასები	5-8 კლასები	9-10 კლასები	სულ
1931-1932	281	30	-	311	19283	2740	-	22023
1932-1933	257	32	3	292	19441	3288	80	22809
1934-1935	298	33	6	337	20974	3546	600	25120
1936-1937	300	50	8	358	22246	5338	894	28388
1939-1940	299	61	24	384	22059	7563	1886	31508

II. სასწავლო დაწესებულებებისა და მოსწავლეთა რაოდენობა- 1931-1940 წწ

აჭარის პედაგოგიური სასწავლებლების ქსელი და მათში მოსწავლეთა რაოდენობა 1930-31 და 1950-51 სასწავლო წლების დასაწყისის მდგომარეობით

წელი	1930	1931	1932	1933	1934	1935	1936	1937	1938	1939	1940	1941	1942	1943	1944	1945	1946	1947	1948	1949	1950	1951
ბათუმის ლეონის სახ. პედაგ. სკოლა	255	293	275	303	280	41	289	263	196	245	225	232	233	87	180	110	157	177	168	201	210	191
ქუთაისის სახ. წიგნების	—	—	84	82	39	30	30	49	63	31	84	89	92	—	—	—	—	—	—	—	—	—
ქობულეთის სახ. სკოლა	—	—	—	—	—	—	143	130	128	117	109	92	62	38	—	—	—	—	—	—	—	—
ხელოსანთა სახ. სკოლა	—	—	—	—	—	—	39	38	40	57	50	64	58	73	78	75	103	105	115	167	189	159
ხელოსანთა სახ. სკოლა	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	12	20	24	21	34	35	51	64
სოფლის სახ. სკოლა	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	45	91	89	103	105	112	111
სოფლის სახ. სკოლა	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	25	45	65	71	87	84	102	101

აჭარის პედაგოგიური სასწავლებლების ქსელი და მათში მოსწავლეთა რაოდენობა 1930-31 და 1950-51 სასწავლო წლების დასაწყისის მდგომარეობით

1930-31 წლის მდგომარეობით აჭარის პედაგოგიური სასწავლებლების ქსელი და მათში მოსწავლეთა რაოდენობა 1930-31 და 1950-51 სასწავლო წლების დასაწყისის მდგომარეობით

1930-31 წლის მდგომარეობით აჭარის პედაგოგიური სასწავლებლების ქსელი და მათში მოსწავლეთა რაოდენობა 1930-31 და 1950-51 სასწავლო წლების დასაწყისის მდგომარეობით

III. აჭარის პედაგოგიური სასწავლებლებლების ქსელი და მათში მოსწავლეთა რაოდენობა 1930-31 და 1950-51 სასწავლო წლების დასაწყისის მდგომარეობით



IV. 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ორკლასიანი ქართული სკოლა.(1)
მაკეტი- პირველი ქართული სკოლა ბათუმში. დაცულია სსიპ აჭარის მუზეუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში.(2)



V. ხელვაჩაურის დაწყებითი სკოლის შენობა-1927 წელი. (1) მასწავლებელი მოსწავლეთა გარემოცვაში.(2)

ორნამენტის სახეები „ფიჭვნარულ დოქებზე“
(ქრონოლოგიური ჩარჩოები, გავრცელების არეალი)
Types of ornament on „Pichvnari jugs“
(chronological frames, distribution area)

ნარგიზ სურმანიძე

სსიპ აჭარის მუზეუმი, ამირან კახიძის სახელობის
აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერმუშაკი
ისტორიის აკადემიური დოქტორი

ნინო ძნელაძე

სსიპ აჭარის მუზეუმი, ამირან კახიძის სახელობის
აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის უფროსი მეცნიერმუშაკი
ისტორიის აკადემიური დოქტორი

NARGIZ SURMANIDZE

LEPL Ajara Museum, Researcher of Amiran Kakhidze

Ajara Archaeological Museum, PhD in History

NINO DZNELADZE

LEPL Ajara Museum, Senior Researcher of Amiran Kakhidze

Ajara Archaeological Museum, PhD in History

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2024.01.008>

აბსტრაქტი: ქობულეთის ფიჭვნარის ანტიკური პერიოდის სამაროვნის კერამიკული მასალიდან გამოიყოფა ძალიან საინტერესო ჯგუფი, რომელსაც სხვა კოლხური ჭურჭლისაგან განასხვავებს სპეციფიკური თვალშისაცემი ფორმები და შემკობის მოტივები. ფიჭვნარული დოქების გავრცელების არეალი ფიჭვნარს არ სცილდება, ძირითადად ძვ. წ. V-IV სს კოლხურ და ბერძნულ სამაროვნებზეა აღმოჩენილი. დოქების ეს ფორმა ძვ. წ. V ს შუახანებამდე არ გვხვდება, ძვ. წ. IV საუკუნეში აგრძელებს არსებობას, თუმცა ისეთი ინტენსივობით არა. ფორმების კონსტრუქციებზე დაკვირვებამ გააჩინა მოსაზრება, რომ აქ სულ მცირე 2 სამეთუნეო კერა მოქმედებდა.

საკვანძო სიტყვები: ფიჭვნარი, დოქი, ორნამენტი, რელიეფური თვალი

Abstract: A particularly interesting group can be distinguished among the ceramic material from the ancient-period cemetery of Pichvnari in Kobuleti. This group stands out from other Colchian pottery due to its specific and visually striking forms and decorative motifs. The distribution area of the Pichvnari-type jugs does not extend beyond Pichvnari itself; they are primarily found in Colchian and Greek cemeteries dated to the 5th–4th centuries BC. This form of jug does not appear before the mid-5th century BC and continues into the 4th century BC, though with less intensity. Observations of the construction of the vessel forms have led to the hypothesis that at least two pottery workshops were operating at the site.

Key words: Pichvnari, jug, ornament, relief eye

სტატია შესრულებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი საგრანტო პროექტის „აჭარის არქეოლოგიური ძეგლები გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაში“ (BS-24-180) ფარგლებში.

ქობულეთის ფიჭვნარი, რომლის შემოგარენი ნეოლითის ეპოქიდან ჩანს ათვისებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კლასიკურ და ელინისტურ ხანაში, როგორც ანტიკურ სამყაროსა და ძველ კოლხეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ერთ-ერთი ავანგარდული რგოლი. ამას, სხვა კატეგორიის მასალასთან ერთად, ადასტურებს აქ აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა, წარმოდგენილი სხვადასხვა საწარმოო ცენტრების ამფორებით, ატიკური მოხატული, სადა და ორნამენტირებული ჭურჭლით, იონიური, სამოსური და სხვა ელინური მხარეების

ნაწარმით. კარგად შესწავლილი ბერძნული კერამიკა უტყუარად ათარიღებს სამარხეულ კომპლექსებს, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კერამიკული ნაწარმის ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის. ამ მრავალფეროვნებაში გამოიყოფა ძალიან საინტერესო ჯგუფი როგორც ფორმის, ისე შემკობის მოტივის მიხედვით, რომლის გავრცელების არეალი ფიჭვნარს არ სცილდება. შესაბამისად, ჩვენ მათ ფიჭვნარულ დოქებს ვუწოდებთ. დოქების ეს ფორმა არ არის დადასტურებული ძვ. წ. V ს შუა ხანებამდე, ძირითადად ამ პერიოდის ძეგლებზე გვხვდება (გარდა ფიჭვნარისა, მხოლოდ რამდენიმე ცალია აღმოჩენილი ციხისძირის ანტიკური ხანის სამაროვანზე და 2 ფრაგმენტი - კვაშტის ანტიკური ხანის ნასახლარზე), არსებობას განაგრძობს ძვ. წ. IV საუკუნეშიც, თუმცა გვხვდება ნაკლები რაოდენობით, გამოიყოფა პატარა ჯგუფი დაბალი ცილინდრული ყელით.

ფიჭვნარული დოქები გვხვდება როგორც კოლხურ, ისე ბერძნულ სამარხებში. ესაა მცირე ზომის სტანდარტული აგებულების დოქები, ოდნავ გარეთ გადაშლილი პირით, ფართო ცილინდრული მომადლო ყელით (გამოიყოფა დოქები ცილინდრულფუძიანი, პირისკენ ოდნავ გადაშლილი ყელით, ასევე, დაბალ ცილინდრულყელიანი დოქებიც), დაბალი მომრგვალებული ტანით (გამონაკლისია ეგზემპლარი (ძვ. წ. V ს ბერძნული სამაროვნის 76-ე სამარხი), რომლის კორპუსი ბიკონუსური მოყვანილობისაა, თუმცა შემკულობის სტილი - რელიეფური თვალები - დაცულია), ოდნავ შეწეული ბრტყელი ძირით და სამკუთხა, დაწახნაგებული ან ოვალურგანივკვეთიანი ყურით (ტაბ. I,1). ზედაპირი ისე საგულდაგულოდაა დამუშავებული, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კოლხი მეთუნეები ცდილობდნენ ატიკური ლაკის ბზინვარება მიეღოთ. უმეტესად შავად ან ნაცრისფრად გაპრიალებული, იშვიათად არის ყავისფერკეციანი ნიმუშებიც. ფიჭვნარული დოქების ტანი მეტწილად ორნამენტირებულია. გარდა ძირითადი ორნამენტისა, შეიძლება მორთული იყოს ჭურჭლის ყელი ან ყური - ნაკაწრი ვერტიკალური ხაზებით შემდგარი, ზიგზაგისებური ორნამენტები ან კოპები ყურისა და პირის შეერთების ადგილას. აღსანიშნავია ერთ-ერთი ფიჭვნარული სადა დოქი, რომლის ყურის ბოლო შემკულია რელიეფური გამოსახულებით და წიწვოვანი ორნამენტით [კახიძე, 2007:133] (ტაბ. II,2)

ორნამენტის წამყვანი ფორმაა ვერტიკალურად განლაგებული მოზრდილი ნუშისებრი რელიეფური თვალების ორნამენტი ვარიანტებით. ეს ის პერიოდია, როცა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და მათთან დაკავშირებული რიტუალები ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობაში. ყველა ორნამენტი, ყველა დეტალი იმ საგნებზე, რასაც ადამიანები იყენებენ, გათვლილია ღვთაებების მხარდაჭერასა და თანადგომაზე იმ საქმიანობასა და ქმედებებში, რომლებთანაც ეს ნივთებია დაკავშირებული. რასაკვირველია, ფიჭვნარული დოქები, ისევე, როგორც ყველა სამეთუნეო ნაწარმი, ყოფის შემადგენელი ნაწილია. სხვადასხვა ხალხების და, მათ შორის, ქართულ მითოლოგიაში, თვალი მზის სიმბოლოა და მისი სქემატური გამოსახულება ფიჭვნარულ დოქებზე შემთხვევითი არაა. მას უდაოდ ჰქონდა აპოტროპეული დატვირთვა და ნაყოფიერების ან დაკრძალვის კულტთან დაკავშირებული სიმბოლო უნდა ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გარდა კვაშტის ანტიკური ხანის საფორტიფიკაციო საცხოვრებლისა, სადაც მხოლოდ ორი ფრაგმენტია აღმოჩენილი, ეს დოქები ჯერჯერობით მხოლოდ სამარხეული ინვენტარის სახითაა დადასტურებული. თვალების რაოდენობა დოქებზე სხვადასხვაა, ზოგ ჭურჭელზე 3 თვალია, ზოგზე - 4, იშვიათად - 6. თვალები ზოგჯერ პირდაპირაა ამოკაწრული, ზოგჯერ კი წინასწარ გაკეთებულ ვერტიკალურ ბურცობებზეა დატანილი. არის შემთხვევები, როცა მხოლოდ ბურცობია მოცემული (ტაბ. I,2). რელიეფური თვალის ერთ-ერთი ვარიანტია ნახევრად გეომეტრიულად (რომბისებურად) გადმოცემული თვალის ღარებით. გვაქვს შემთხვევები, როცა ბურცობზე დატანილი რელიეფური თვალი ვერტიკალური ღარითაა გადაკვეთილი (ქვბV:06/100; 1-05:677; ქვბV:20/27) (ტაბ. I,3). ერთადერთი ნიმუშის ორნამენტს აქვს ნუშისებური თვალის წყვილ ღარს შორის მოქცეული მკვეთრად ამოზიდული ოვალურ ბურცობი (ქვბIV:02/15)(ტაბ. I,4).

გვხვდება მცენარეული წიწვისებური ორნამენტი ცალკე ან წამყვან ორნამენტთან ერთად მონაცვლეობით(ტაბ. I, 5. გამოირჩევა ძვ. წ. V ს კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი დოქი, რომლის ტანს ძირამდე მოუყვება წიწვისებრი ორნამენტის სიმეტრიულად განლაგებული 4 ვერტიკალური ზოლი, რომლებიც ყელის დასაწყისთან გაერთიანებულია სწორი ხაზების სარტყელით (ტაბ. II,1). არის ეგზემპლარები ვერტიკალურ ბურცობზე დატანილი მოკლე წიწვოვანი ორნამენტით, რომლის ანალოგი უნდა იყოს კვაშტის ფიჭვნარული დოქის ფრაგმენტი [კახიძე, მამულაძე, 1993:68] (ტაბ. II,3,4)

გვხვდება ვერტიკალურად განლაგებული ყუნწიანი ფოთლის ან ფოთლისებური ორნამენტი, როგორც პირდაპირ ამოტვიფრული, ისე ვერტიკალურ ბურცობზე დატანილი (ტაბ. II,5).

ჯერჯერობით ერთადერთია ფიჭვნარული დოქი გეომეტრიული ფიგურებით ძვ. წ. V ს კოლხური სამაროვნიდან. ყელის დასაწყისი შემკული აქვს მოგრძო ჭდეების ჰორიზონტალური სარტყელით. ტანის ზედა ნახევარი შემკულია ორმაგი უფუძო სამკუთხედებით შემდგარი შევრონებით (ტაბ. II,6).

აღსანიშნავია ფიჭვნარული დოქის ვარიანტი (ძვ. წ. V ს კოლხური სამაროვანი, 1966 წ. მეორე სამარხი), ტანზე დაფნისებური ფოთლებით და ყურის ზედა ბოლოზე ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით [კახიძე, 2016:79].

გარდა იმისა, რომ გამოირჩევა თავისი ფორმით სხვა კოლხური ჭურჭლისაგან, ამ ფორმას ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის, კულტურული ელემენტების გაცვლის პირდაპირი კვალიც აქვს, ესაა პირის გვირგვინის ფორმა, რომელიც ძალიან ჰგავს ელინური ოინოქოების სამყურას ფურცლების ფორმას (ტაბ. II,7).

როგორც ვხედავთ, სტილისტური მახასიათებლების მიხედვით, ფიჭვნარის ტერიტორიაზე მოქმედებდა სულ მცირე 2 სამეთუნეო სახელოსნო, სადაც 2 საუკუნის მანძილზე მზადდებოდა დახვეწილი ფორმების მქონე გემოვნებით ორნამენტირებული ჭურჭელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კახიძე ა. (2007), ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი, ფიჭვნარი-II, ბათუმი-ოქსფორდი
2. კახიძე ა. (2016), ფიჭვნარის ძვ. წ. V ს კოლხური სამაროვანი, ფიჭვნარი-VII, ბათუმი
3. კახიძე ა., მამულაძე შ., (1993), აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, , ბათუმი



